


# მწიგნობარი

საქართველოს  
ეკლესიის მართლმადიდებელი  
ეპისკოპოსოსი

1610  
1998

98





# მნიბნობარი

## 98

საქართველოს  
ილია ქავჭავაძის  
სახელმწიფო  
აიბნის  
მუხვარულთა  
საზოგადოებრივი  
აღმწიფი

გამწიფის  
1980 წლამდე

თბილისი  
1998

ალმანახი „მწიგნობარი“ მოგვითხრობს  
წიგნებსა და წიგნის უემქმელებზე,  
ბიბლიოთეკებსა და ბიბლიოფილებზე,  
კიბებზე წიგნის სამყაროში,  
კვლ წიგნებზე,  
სხვადასხვა ქვეყნისა და მხარის  
წიგნის მოყვარულებზე.

მთავარი რედაქტორი  
ლევან მენაბდე

სარედაქციო საბჭო:  
ლალი ავალიანი (მთავარი რედაქტორის მოადგილე)  
ალექსანდრე გვახარია  
შოთა კობიაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი)  
გივი მიქაძე  
ლია ნადარეიშვილი  
ნოდარ ტაბიძე  
მიხეილ ქავთარია  
კელო ღელეყვა  
როსტომ ჩხეიძე

მხატვარი ანზორ თოდრიძე

გ ა რ ე კ ა ნ ი ს   პ ი რ ვ ე ლ   გ ვ ე რ დ ზ ე : მინიატიურა  
საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული(S 129) სულხან-  
საბა ორბელიანის „სამოთხის კარის“ მორთული ხელნაწერიდან.



თბილისი 1997 წელი

### შინაარსი

თემატიკური ინდექსი

თემატიკური ინდექსი

### ღრმ და აღაშინაშინი

ეთერ ავსაჯანიშვილი, ალექსანდრე ყაზბეგი თანამედროვეთა მოგონებებში .....	7
ფიქრია ზანდუკელი, ქართული ფოლკლორის მოამბე — პეტრე უმიკაშვილი .....	19
შუქია აფრიდონიძე, მოგონება მოუგონელი .....	33
მანანა დუმბაძე, რისთვის, ღმერთო? .....	50

### წიგნი და ცხოვრება

ლამარა შავგულიძე, ილია ჭავჭავაძის „პედაგოგის საფუძვლების“ ერთ-ერთი წყარო .....	61
გივი ცქიტიშვილი, ტერენტი გრანელის პოეტური კრებულები .....	67

### წარსულის შურცლაპი

დარეჯან მენაბდე, ძველი ქართული სამოგზაურო- მემუარული მწერლობის ისტორიიდან .....	89
გივი მიქაძე, ქართული წიგნის სავაჭრო კატალოგების ისტორიისათვის .....	101

### ძიება

ლევან მენაბდე, აბუსერისძე ტბელი — XII-XIII საუკუნეების გამოჩენილი მწერალი და მეცნიერი .....	117
ენრიკო გაბიძაშვილი, ახალგაშობილი ნათარგმნი თხზულება — „წმ. საბინეს წამება“ .....	134
ნესტან სულავა, საბა სვინგელოზის ბიოგრაფიისათვის .....	138
ნანა გონაჩილაშვილი, მზის დაბნელების მხატვრული ფუნქცია „ნინოს ცხოვრებაში“ .....	143

25879

საქართველოს  
წარსული  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა 3



ყალბით და ფხვნით

ქეთევან ელაშვილი, ერთი ძველი ქართული მორთული  
ხელნაწერის თავისებურება ..... 165

ბიბლიოთეკები და ბიბლიოფილები

ვიქტორ კუნიანი, კარდინალი და ბიბლიოთეკარი  
(თარგმნა პელო დელეყვამ) ..... 169

დავით ბოკუჩავა, ღვაწლმოსილი ბიბლიოფილის  
გახსენება ..... 192

წიგნი... წიგნი... წიგნი...

რევაზ ბარამიძე, მეცნიერის უკანასკნელი წიგნი ..... 197

ზურაბ ჭუმბურიძე, ივირონის ჩამქრალ  
ვარსკვლავთა შუქი ..... 199

ემზარ კვიციანიშვილი, ქართული „პლატერო“ ..... 207

ქრონიკა


წიგნის მოყვარულთა საზოგადოება: ფაქტები, მოვლენები,  
ლონისძიებები – 1997 წელი  
(შეადგინა ლეილა ბარაბაძემ) ..... 213

ღამისები

ნოდარ დუმბაძე, გადასცემ, ალუბალო? ..... 58  
ღამით თბილისში ..... 210

ტერენტი გრანელი, \*\*\* (ისევ ლექსია ჩემთვის ნუგეში) ..... 86

გ ა ს წ ო რ ე ბ ა : აღმანახ „მწიგნობრის“ მუშაკის უყურადღებობით 1997 წლის ნომერ-ში გენადი სადუნიშვილის სტატია „საქართველოს უცხოელი მეგობრები პოეტის მშობლიურ კუთხეში“ მოთავსებული იყო ანდრო ლომიძის სახელით, რაზედაც რედაქცია ბოდიშს იხდის.





საქართველოს ბიბლიოთეკების კავშირი

საქართველოს ბიბლიოთეკების კავშირი




# დრო და ალაგინები



ქართული ენა-წიგლის კლასიკური ნაწარმი  
საქართველოს ბიბლიოთეკის  
ნათარია, ვინც სიბრძნე მოიხვეჭა და მოუთხ-  
რობს მას ყურადღებულთ.

სიბრძნე ზირაქისა — 25,9



წიგლის, წიგლის, წიგლის

ბიბლიოთეკის მართლმადიდებლური წიგნების განყოფილება ..... 197  
საქართველოს ენა-წიგლის კლასიკური ნაწარმი ..... 199  
საქართველოს ენა-წიგლის კლასიკური ნაწარმი ..... 207

# იბრაჰიმოვი

საქართველოს ენა-წიგლის კლასიკური ნაწარმი  
საქართველოს ენა-წიგლის კლასიკური ნაწარმი — 1997 წელი  
(საქართველოს ენა-წიგლის კლასიკური ნაწარმი) ..... 213

საქართველოს

საქართველოს ენა-წიგლის კლასიკური ნაწარმი ..... 58  
საქართველოს ენა-წიგლის კლასიკური ნაწარმი ..... 210  
საქართველოს ენა-წიგლის კლასიკური ნაწარმი ..... 86

## ალექსანდრე ყაზბეგი თანამედროვეთა მოგონებებში

(დაბადების 150 წლისთავისათვის)

XIX საუკუნის მეორე ნახევარში მეფის რუსეთმა დაამთავრა საქართველოსა და კავკასიის პოლიტიკური დაპყრობა, შემდეგ კი შეუდგა ეკონომიკურ დაპყრობას. ჯერ კიდევ 60-იანი წლებიდან მეფის მთავრობა ყოველმხრივ ავიწროვებდა ქართულ ენას სკოლებში, ხოლო 90-იან წლებში კი ქართულ ენაზე სწავლებასთან ერთად ქართული ლაბარაკიც იკრძალებოდა, დევნას განიცდიდა ქართული პრესაც, ქართული წიგნი, ქართული თეატრი, რომლებსაც ცარიზმის მოხელენი ბრაალად სდებდნენ ეროვნული გრძნობების გაღვიძებას.

ქართულ ენას ჯვაროსნული ომი გამოეცხადა.

აღ. ყაზბეგი ებრძოდა იმ გადაგვარებულ პიროვნებებს, რომლებიც კრძალავდნენ ქართულ ენას და ცდილობდნენ საქართველოში რუსული ენის დამკვიდრებას. იგი დაუღალავი შრომით, პრაქტიკული საქმიანობით მუდამ იმისთვის იღვწოდა, რომ მშობლიურ ქვეყანას განათლებული ახალგაზრდობა ჰყოლოდა, მას ღრმად სწამდა, რომ ის ერი, რომელსაც ფართოდ ერუდირებული ინტელიგენცია ჰყავს, სხვა ერთა შორის მტკიცე ადგილს დაიმკვიდრებს და ეს შესაძლებელი იქნება მაშინ, როდესაც საზოგადოების თითოეული წევრი თავისი სიცოცხლის უმთავრეს საგნად ქვეყნის ბედნიერებას გაიხდის. ბედნიერება კი, მისი ღრმა რწმენით, მხოლოდ განათლების გზით მოიპოვება.

იმ მრავალ მოგონებათა შორის, რომელიც შეიქმნა აღ. ყაზბეგის გარშემო, გამოკვეთილი ადგილი სწორედ ამ საკითხზე ზრუნვას ეთმობა. ამ მხრივ საინტერესოა აღ. ყაზბეგის თანამებრძოლის ვასილ კირვალიძის მცირე მოგონება.

მოგონების ავტორი წერს:

„თუმცა პატარა კაცი ვარ, მაგრამ ჩვენს დიდ მოღვაწეებს პირადად ვიცნობდი.

აღ. ყაზბეგსაც ვიცნობდი და ვშიშობ მოხუცებულმა სამარეში არ ჩავიტანო ის, რაც ვიცი უკვდავი მწერლის ცხოვრებიდან.

ჯერ კიდევ პატარა ვიყავი, ქართულმა მწერლობამ და ქართული თეატრის სიყვარულმა რომ გამიტაცა. ამისი მიზეზი გახლავთ მწერლობაში აკაკი და აღ. ყაზბეგი, თეატრში კი ვასო აბაშიძე მეუღლითურთ, ლადო





მესხიშვილი და ნატო გაბუნია-ცაგარლისა. მართალია, ქართველი თეატრის ქანდარიდან სიყვარულით დაგყურებდი ხოლმე როგორც აკაკის გაჩეჩილ თმას, ისე სანდროს მოხდენილი ლეკურის თამაშს, მაგრამ მე ეს არ მაკმაყოფილებდა და ჩემი ნატვრა მუდამ ის იყო, რომ ეს ორი დიდი მწერალი პირადად გამეცნო.

ლერმონტოვის ქუჩაზე ხოსროვის სახლში, სამკერვალო ჰქონდა სილოვან ალავიძეს, ამ სამკერვალოში ხშირად იკრიბებოდნენ ხელზე მოსამსახურეები და მზარეულები. აქვე ვკითხულობდით სხვადასხვა წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებს. ასე რომ, ალავიძის სამკერვალო ჩვენთვის ნამდვილი წიგნთსაცავი საკითხველო იყო. ეს იყო 1884-1885 წლებში. ამ ხანებში მდაბიო ხალხში მწიგნობრობას ავრცელებდნენ ძმები კირვალაძეები, იოსები და ნოშრევანი. ორივენი კარგი წამკითხველები იყვნენ, ამითი იზიდავდნენ ხალხს და აყვარებდნენ წიგნის კითხვას.

ერთ საღამოს ხსენებულ სამკერვალოში შემობრძანდა ალ. ყაზბეგი, ჩვენ ყველანი, ვინც იქ ვიყავით, ფეხზე წამოვდექით და მივესალმეთ, სათითაოდ ყველას ხელი ჩამოგვართვა. მან შეგვნიშნა, რომ ყველა საღამოს მორიგეობით ვკითხულობდით წიგნებს, ესიამოვნა, მეტად მოეწონა და შეგვპირდა თავის წიგნებს. ამ საღამოს ალ. ყაზბეგმა ჩოხა-ახალუხი შეუკვეთა თერძ ალავიძეს.

იმ ხანებში მეხუთე უბნის ბოქაულად იყო ლოლაძე, მის თანაშემწედ ვინმე შერგილოვი. ეს შერგილოვი გადაგვეკიდა ჩვენ და გვიკრძალავდა სამკერვალოში წიგნების კითხვას და თავის მოყრას, მაგრამ მაინც ჩვენსას არ ვიშლიდით.

სწორედ იმ დროს, როდესაც ალ. ყაზბეგი ჩვენთან საუბრობდა, უბნის ზედამხედველი გიჟივით შემოვარდა და დაგვიპირა გარეთ გამორეკვა ხელის წამოკვრით. ყაზბეგმა რომ შეამჩნია ასეთი თავხედობა, შესძახა:

- რას ჩაღიხარ, რა დაგიშავეს ამ კაცებმა? — უბნის ზედამხედველი დაიბნა და რადგან იცნო, „ჩესტით“ გამოეჭიმა და წაილულლულა:
- თქ... ვენო... ბრწყ...
- არ მინდა შენი სალაპი და არც შენი „ბრწყინვალეობა“. მითხარი, რა დაგიშავეს ამ კაცებმა?
- მა... პატყეთ... რა... ვქნა, უფროსისაგან მაქვს ნაბრძანები.

— შევარცხვინე შენი უფროსიც და შენც, ეს კაცები გონების საზრდოს იძენენ წიგნებიდან და ვის რა უფლება აქვს ხელი შეუშალოს? წადი, უთხარი შენს უფროსს, ხვალ მე გეახლები-თქო.

ჩვენ გავიგეთ, რომ მეორე დღეს ალექსანდრე ყაზბეგს ალიაქოთი მოეხდინა უბნის სამმართველოში. ეს იყო და ეს, ამის შემდეგ ჩვენთვის აღარავის შეუშლია სამკერვალოში სიარული და წიგნის კითხვა.

ერთხელ ალექსანდრემ თავის ბენეფისზე მიგვიწვია. მისი სურვილი



იყო ბილეთების ფული არ გადაგვებადნა. ჩვენ ეს არ ვქენით და სანდროს  
თავისი ნაწერები დაგვირიგა რამდენიმე კაცს.

იმ საღამოს დივერტისმენტში გამოვიდა და გამორული ლექსების კითხ-  
ვით დაგვატკბო.

იმხანად ალ. ყაზბეგის საპროტესტო გამოსვლა უბნის ბოქაულის წი-  
ნალმდეგ გამირობის ტოლფასი იყო.

ქართული ენა ქართველისთვის მთავარი, სასიცოცხლო არტერია იყო  
და ამიტომაც ასეთი თავგამოდებით იცავდა მას ალ. ყაზბეგი და ცდი-  
ლობდა მის მკვიდრ ბურჯებზე დაყენებას. ყაზბეგი თავისი საქმიანობით  
გამორჩეული დამცველია ქართული ენის და მწერლობისა. ამის ნათელი  
დადასტურებაა აჭარელი კორესპონდენტის ივანე მჭედლიშვილის საინ-  
ტერესო მოგონება: „აჭარიდან დაბრუნებული, როდესაც რედაქციაში  
აჭარის ცხოვრებიდან „დროებაში“ დასაბეჭდ შენიშვნებს ვწერდი, ამ დროს  
აწ განსვენებულმა სერგეი მესხმა თავს წამომაყენა ახოვანი ახალგაზრდა  
— „აი, ეს არის ჩვენი ბათუმელი თანამშრომელი“, უთხრა სანდროს,  
მეც მითხრა რა იმის ვინაობა, დასძინა: „ამ ყმაწვილსაც ჰსურს შენი  
გაცნობა, მაგრამ ეხლა მუსაიდს თავი დაგანებოთ, ეგ შენიშვნები ხვალის  
ნომრისთვის მიხდაო“, დაუმატა მესხმა და ჩვეულებრივი მისალმება აღარ  
დაგვაცადა, ხელმოკიდებული ისე გაიყვანა ყაზბეგი მეორე ოთახში. ყაზ-  
ბეგს თურქე ძალიან საინტერესოდ მიაჩნდა ახლადშემოკრებილ ქარ-  
თველთ მაჰმადიანების ცხოვრება და იმათი ზნე-ჩვეულება და როდესაც  
მესხისაგან შეიტყო, რომ მე მეორე დღით ბათუმში უნდა დაგებრუნებუ-  
ლიყავი, ფეხი აღარ მოიცვალა რედაქციიდან. გავათავე თუ არა წერა,  
ისევ ერთად შემოვიდნენ სანდრო და სერგეი, წავუკითხე ჩემი დაწერილი  
შენიშვნა, დაუწყო გადასწორება სერგეიმ ჩემს შენიშვნებს. — რას ასწო-  
რებო? გაკვირვებით ჰკითხა ყაზბეგმა სერგეის. ჩვეულებრივის ტკბილი  
ღიმილით უბასუხა მესხმა: როდესაც შენ დაგნიშნავენ ცენზორად, მაშინ  
აღარ დასჭირდება ამის ნაწერებს გასწორება, მანამდე კი შალაშინი,  
შალაშინიაო.

— რომ იცოდეთ, ყმაწვილო, — მომიბრუნდა მე, — ამან და ამის  
შალაშინმა უნდა მომიღოს ბოლო, აუჩემებია ცენზორი და ხშირად ჩემს  
ნაწერებს ვეღარ ვცნობ.

ამ სიცილ-ხუმრობით გამოვვითხოვეთ სერგეის და გამოვვით რედაქ-  
ციიდან. ახალმა გაცნობილებმა გადავწყვიტეთ ერთად გვევახშმა და  
მეამბნა ბათუმისა და მისი მცხოვრებლების ამბავი. სმენად იყო გადაქცე-  
ული, როდესაც ვუამბობდი, რომ ოსმალეთში გადასასახლებლად მომზა-  
დებულნი დიდად დანაღვლიანებულნი არიან-მეთქი; გულის სიღრმიდან  
ობრადა, როდესაც ვუთხარი, რანაირი ცრემლით ემშვიდობებოდნენ აჭარ-  
ლები ყველაფერს, რაც კი თავიანთ საყვარელ სამშობლო ჰქვეყნას და



სახლ-კარს მოაგონებდათ. ცრემლი ვერ შეიძაგრა განსვენებულმა, როდესაც ვუამბე ამბავი ერთის მოხუცებულის აჭარელი ქალის, რომელმაც გადასახლების დროს ქმრის და შვილების საფლავითგან მიწა პატარა პარკში გამოკრა და წაიღო სათათრეთში, — „ამაზე უნდა ვილოცოთ, სხვა საფლავს გავუთხრი, ვითომ იქა მყავს ქმარ-შვილი დამარხულიო“. თითქმის ათ წამს ორივენი გაჩუმებულები ვიყავით.

— ბატონო, ყოველივე მაგას რატომ არ აღწერ, რა გაბრკოლებს? — გაკვირვებით მკითხა განსვენებულმა.

— ის მატრკოლებს, რომ ცენზორად შენ არა ხარ და სხვა ყოფილა მეთქი!

მწარედ გაეღიმა საწყალს და ამით გათავდა იმდღევანდელი გაცნობა და მუსაიფი. ბევრი ხანი გავიდა მის შემდეგ, რომ აღარ გვენახა ერთმანეთი.

ერთხელ ამხანაგებს დაშორებული ალ. ყაზბეგი ბათუმში დარჩენილიყო და სცხოვრობდა „ევროპის“ სასტუმროს ერთს ნესტიანსა და ბნელს ოთახში, სადაც იმისათვის კი არ ნაღვლობდა, რომ ასეთი ცხოვრება მის ჯანმრთელობას ავნებდა, არამედ იმისათვის, რომ „შრომას მიშლის და ამას ვწუხვარო“, მითხრა მე და მის ერთადერთ ბათუმში თანამგრძობელს განსვენებულს მ. ნა-ძეს, როდესაც შევიტყვეთ მისი უქეიფობა და სანახავად წავედით.

მისმა უნუგეშო მდგომარეობაში ნახვამ გვაფიქრებინა მისი ჯანმრთელობისა და მდგომარეობის ცოტადაც არის გასაუმჯობესებლად რაიმე ღონე გვეხმარა და ან მე, და ან მ. ნ-ძეს სახლში მოგვეწვია. მე ვერიდებოდი, რომ ჩემი თხოვნა სხვანაირად არ აეხსნა და განსვენებულს მ. ნ-ძეს არ შეეძლო სახლში სივიწროვის გამო მიეპატიუნა. მე ვარჩიე, რომ ნ-ძის პირით მეთხოვნა დათანხმებულიყო ჩემთან საცხოვრებლად გადმოსვლას.

— მერე რატომ თვითონ არ მითხრა, თუ მეპატიებოაო, — ეთქვა სათხოვნელად მიგზავნილ ნ-ძესთვის.

— მოგვერიდა, არ გწყენოდა მისი მიპატიებება, შემდეგ თქვენ შორის მომხდარი უსიამოვნებისა, — ეთქვა პასუხად ნ-ძეს.

ამაზე პასუხის მიუცემლად მისთვისვე დაწვრილებით გამოეკითხა — მეტი ბარგი ხომ არ გავუხდები, ისიც ცოლ-შვილიანი ყოფილა და ძნელია ბათუმში ცხოვრებაო. მიანიც თვითონ მოინდომა შეემოწმა, შემეძლო თუ არა ერთი ოთახი მისთვის დამეთმო და ამისთვის ორივენი ჩემთან მოვიდნენ.

— მოვედი, რომ დაპატიებებისათვის დიდი მადლობა და მოციქულის გამოგზავნისათვის დიდი საყვედური გითხრა, განა ის მიზეზი, რაც ამ ჩემს მეგობრისათვის გითქვამს, მიზეზია? განა შენს სახლში სტუმრად

რომ ვიყო, ის დაგისხნის თუ გასალანძღავი საქმე ჩაიდინე რამე? აბა, შენ ჩემზედ შემცდარი აზრი გქონია შედგენილი, დამერწმუნე, რომ მეტი ბარგი ვიქნები შენს ოჯახში, სთქვა ბოლოს. მე უარეს მდგომარეობაშიც ვყოფილვარ მთებში, ამაზედ ავადაც ვყოფილვარ, მაგრამ კარგად გაგმხლარვარ, ვშიშობ ჩემის მიზეზით შენს ჯალაბობას შეწუხება არ მიაღვესო, მეუბნებოდა განსვენებული სანდრო და როცა დარწმუნდა, რომ წრფელის გულით ვსთხოვდით, დასთანხმდა და მეორე დღესვე გადმობარგდა ჩემთან საცხოვრებლად.

რაც დრო გადიოდა, იმდენად შინაური კაცი ხდებოდა ჩემს ოჯახში სანდრო, ასე ვსცხოვრობდით თითქმის სამ თვეს. ხშირად გველაპარაკებოდა თავის თავგადასავალზე, როცა ის მთებში მწყემსად იყო. თუ არა მასთან დაახლოებული, კაცი ძნელად მიხვდებოდა მისის სულის ღელვას. ხშირად იმის თხელ ტუჩებზედ ღიმილის გამომხატველი თრთოლვა მისი სულის, გულის შეფოთვის აღმნიშვნელი იყო. ძნელად გაუგებდა ადამიანი მოწყენას, თუმცა საამისო მხიარულიც არ იყო. ბევრჯერ არ იყო წერის გუნებაზედ, როგორც ამას თვითონ იტყოდა ხოლმე, მაგრამ სიკვდილად მიაჩნდა, თუ წერის დროს ვინმე ხელს შეუშლიდა. ხანდახან ნაკუწ-ნაკუწ ქაღალდზე იცოდა წერა და ბოლოს საკვირველის ხელოვნებით ერთად თავს მოუყრიდა და შეადგენდა ერთს ვრცელს ამბავსა.

ერთ დღეს, სადილის ჭამის დროს, შევატყვე მეტის-მეტი მოწყენა, თუმცა ჩვეულებრივი მწარე ღიმილი იმის ტუჩებს არ სცილდებოდა, ნაკლებად ლაპარაკობდა და არცთუ პასუხის გაცემა ეხერხებოდა,

— სანდრო, კიდევ რას მოღრუბლულხარ, შენს მთიულებში ხომ არ დაპტრინავ?

— „ჰოო“, — მითხრა და ისევ ჩაღუნა თავი.

— კაცო, ხმა ამოიღე, მოწყენით ვის რას უშველი. ღმერთმანი, ხანდახან სასაცილო ხარ, ისეთი უცნაური ხასიათი გაქვს-მეთქი! — ცოტა წყენის კილოთი ვუთხარი.

— ჰო, სასაცილო ვართ, არა მარტო მე, ყველანი სასაცილონი ვართ, რომ ველარაფერს ვერავის ვშველით! — ეს თქვა და მომაწოდა ჭიბიდან ამოღებული ერთი გაზეთი, რომელშიც უწმაწურის სიტყვებით იხსენიებდნენ ქართველებს და ქართულ ენას.

მინდოდა გამხიარულებულიყო და სიცილით ვუთხარი:

— მართალსა სწერენ, ეხლა რა ფასი აქვს თუნდ შენს სამშობლოს, თუნდ შენს ენას, ან ეროვნებას?

— რა ფასი აქვს? — იკითხა განსვენებულმა აღელვებულად და ჩვეულებრივის ტუჩების თრთოლვით თითქოს წამოიღულღულაო და მომაცქერდა.

— ჰო, რა ფასი აქვს აბა ახლა? — განვუმეორე რომ გამომეფხიზლებინა.



— იცი რადა ღირს, ან რა ფასი აქვს? ფასიც და ღირებულებაც რომ ნაირი აქვს: თუ გაყიდვა გინდა, ფასი ოქრო და ვერცხლია, თუ ყიდვა, მაინც სისხლია, ან შენთვის რა საჭიროა ამისი ფასი და ღირებულება იცოდე! გაკაპასებულმა სთქვა და წამოდგა სუფრიდან. ბევრი ხვეწნამუდარა და ბოდიშის მოხდა დამჭირდა, სუფრაზე ისე ძლივს დავსვი და ძლივს დავაჯერე, რომ გეხუმრე და შენი გართობა მინდოდა-მეთქი. გული დიდხანს ვერ დაიმშვიდა და ხმის ამოუღებლად იჯდა.

მეორე დღეს მოინდომა, რომ სადილზე, ან შესაიფის დროს ოჯახობაში ერთმანეთთან უცხო ენაზედ ნურავინ ილაპარაკებსო. ჯარიმაც სიტყვაში შაურის გადახდა თვითონ იკისრა. ეს ჯარიმა ყმაწვილებისთვის ხილის სასყიდლად უნდა ყოფილიყო გადაღებული.

დიდხანს დარჩებოდა სუფრის მეხარკედ ეს შესანიშნავი კაცი, ერთ სასაცილო გარემოებას რომ არ შეეშალა ხელი.

სადილად ვისხედით, შემოგვესწრო ერთი უცხო, მაგრამ ქარველი კაცი, გავიცანით, რასაკვირველია, ერთმანეთი. ეს ახლადმოსული კაცი უცხო ენაზეც ელაპარაკებოდა ყველას და რადგანაც ენის კარგად უცოდინარობის გამო სიტყვების დაბოლოებას ამახინჯებდა, სანდრო დიდხანს გაჩუმებული აღარც ერთს გვცემდა ხმას. ბოლოს გამოაცხადა, რომ გადაწყვეტილი გვაქვს და ჯარიმას ვახდევინებთ ერთმანეთს, ვინც სხვა ენაზე ილაპარაკებსო და ხუმრობით სთხოვა, რომ ამ გადაწყვეტილებას ისიც დამორჩილებოდა, ამითი ვითომ უცხო ენაზე ლაპარაკი უნდა მოეშლევინებინა. სანდროს ამნაირი გადაწყვეტილება ერთობ ეუცხოა ჩვენს სტუმარს, თითქმის კიდევ სწყენოდა, ამოიღო მანეთი და სანდროს მიაწოდა.

— იანგარიშეთ და ხურდა დამიბრუნეთ, რაც მერგება, ჯარიმის გამო-რიცხვის შემდეგო, მიჰმართა განსვენებულს.

— არა, ბატონო, თქვენ ჯარიმა კი არა, დიდი ჯილდოც გერგებათ, რადგანაც ისე დაამახინჯეთ და ჯვარზედ აცვით ის ენა, რომლის ლაპარაკისთვის ჩვენ ჯარიმას ვახდევინებთ, რომ არ ვიცი, რანაირად გითხრათ მაღლობა?

ეს სიტყვები იმნაირი შხამიანი ენით იყო ნათქვამი, რომ ყველანი გაფრთხილდით. ლაპარაკის ვაგრაჟლება ველარც ერთს გვეხერხებოდა და სუფრიდან წამოვდგეთ. სანდრო და სტუმარი ერთმანეთს შეჰბღვიროდნენ. ბოლოს სანდრო ხმის ამოუღებლად თავის საწოლ ოთახში გავიდა. ეს იყო და ეს, ჯარიმის გადახდევინებაზე ხელი აიღო“.

ქართული ენის დაცვის საკითხს ეხება ალ. ყაზბეგზე ვიქტორ მატარაძის მოგონებაც, სადაც ვკითხულობთ: „მამაჩემმა დიდი წვეულება გამართა, მიბატიყებულნი იყვნენ ალ. ყაზბეგი, პოეტი სოლომონ გოშაძე, თელავის თეატრის ჭირისუფალი მელქო-აჯი მამედოვი და მაზრის უფ-



როსი კიკო ჩოლოყაშვილი. ყაზბეგმა წვეულებაზე დაიგვიანა. ესე-  
სადილობა იქნებოდა, რომ მან ეზოს კარი დააბრაახუნა. დედაჩემი ფაცუ-  
რით გაემართა სტუმრისაკენ. სანდრო სახლში შემოიყვანა და ნაბღის  
მოხდა სთხოვა. მას მაზრის უფროსის დანახვა არ ესიამოვნა და უკან  
გაბრუნება მოინდომა. მამაჩემმა მხიარულად მიამხა: „სანდრო, ხომ იცოდი  
წვეულება მქონდა და უნდა დროზე მოსულიყავ, რაღას გვერიდები, მო-  
იხადე ნაბადი და სუფრასთან მობრძანდი“.

ყაზბეგმა მამაჩემს არაფერი უთხრა, მხოლოდ დედაჩემს წასწურჩუ-  
ლა: „უთხარი თავი დამანებოს მაგ კაცმა, ყველაფერს ნუ მხდის; საიმი-  
სოდ (მაზრის უფროსზე ანიშნა) არა ვარ ჩაცმული“.

დედამაც ხმამაღლა ყველას გასაგონად თავაზიანად მიმართა: „არა-  
ფერს გაძალებთ, სანდრო, მობრძანდით სუფრასთან და დაჯექით ისე,  
როგორც თქვენ გესიამოვნებათ“.

დედაჩემის სიტყვებზე მაზრის უფროსმა ირონიულად ჩაილაპარაკა:  
„რას აძალებთ ნაბღის მოხდას? ალბათ სხვაგანაც მაგაზე ჯდომასაა მიჩ-  
ვეული და აქაც ასე ესიამოვნება“. ყაზბეგმა შეურაცხყოფის ნიშნად იმ  
წუთას ნაბადი გადაიხადა, ტახტზე დადო და მაგიდასთან დაჯდა. მოსა-  
ლოდნელი იყო უსიამოვნება, მაგრამ მამაჩემმა სტუმრების გასამხიარუ-  
ლებლად სანდროს დაუდგა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადო-  
ების ყულაბა და თან ხუმრობით უთხრა: „თავი დავანებოთ ყველაფერს,  
ახლა ქეიფს შევუდგეთ და ყულაბასაც მივხედოთ“.

ამ ყულაბის დანიშნულება ის იყო, რომ ვინც საუბარში რუსულ სიტყვას  
გაურევდა, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგა-  
დოების სასარგებლოდ შიგ შაურიანი უნდა ჩაეგდო.

ყაზბეგმა ყულაბა მაზრის უფროსს გადაუდო ამ სიტყვებით: „ეს რომ  
მთელი წელიწადი ჩემს წინ იდგეს, ერთი გროშიც არ ჩავარდებოდა,  
დარწმუნებული ვარ მაზრის უფროსი საღამომდე მას გაავსებს“.

სტუმრებმა სიცილი ასტეხეს. განაწყენებულმა უფროსმა ყაზბეგს ვი-  
თომც სიტყვის მოსაგებად დაცინვით მიმართა: „აბა, ერთი, ჩვენო პოე-  
ტო-მასხარავ, რაიმე ლექსი წაგვიკითხე და გაგვაცინე“. სანდრომ თავი  
ვერ შეიმაგრა და აღელვებით წამოიძახა: „მე არც თქვენი მასხარა ვარ და  
არც ისეთ ლექსებსა ვწერ, რომ გული მოგფხანო“. მერე ნაბადი წამოი-  
ხურა და გარეთ გავიდა. დედაჩემი უკან გამოეკიდა, სთხოვა, არსად წა-  
სულიყო, მაზრის უფროსს უბოდიშებდა; „მთვრალია და რეებს ლაპარა-  
კობს, არ იცისო“. მე კი სანდროს კალთაზე შემოვებხვიე და არსად ვუშ-  
ვებდი. ბოლოს, როგორც იყო დედაჩემმა ის ზედა სართულზე აიყვანა და  
თავისუფალ ოთახში მოასვენა. მე თან აყვევი, იქ სანდრო დამშვიდებით  
შეექცა საჭმელს. ჭამის შემდეგ მითხრა: „ვიქტორ, გენაცვალე, ჩადი ძირს  
ოთახში და ჩაბალახი ამომიტანე“. სიხარულით ჩავირბინე კიბეები, ჩაბა-



ლახს ხელი დავავლე და სანამ მას ავუტანდი, გავხსენებ მგონივრულად  
კამფეტები და ჩურჩხელეები ელაგა, მაგრამ ორი გაღეული ფანქარი და  
ბლუჯა-ბლუჯა ქალაღდების მეტი ვერა ვნახე რა. ზოგი დაწერილი იყო და  
ზოგიც დაუწერავი. ქალაღდები საჩქაროდ შევახვიე, ჩაბალახი შევკარ და  
ძიას ავურბენინე. მან შუბლზე მაკოცა და გამომისტუმრა. მერე მაგიდას  
მიუჯდა და წერას შეუღდა“.

ალ. ყაზბეგი დიდი დამცველი და პროპაგანდისტი იყო ქართული  
საგუნდო-სამუსიკო სიმღერებისა. იგი მოხიბლული იყო ფილიმონ ქორი-  
ძით, რომელიც კრებდა საეკლესიო საგალობლებს და ცდილობდა მის  
ნოტებზე გადაღებას. ამ საქმეში ფილიმონი მარტო არ იყო. მას მხარში  
ედგნენ ისეთი ეროვნული მოღვაწეები, როგორებიც იყვნენ მელიტონ  
ბალანჩივაძე, რომანოზ ღუმბაძე, აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი,  
დიმიტრი ყიფიანი და ალექსანდრე ყაზბეგი. ამ ფაქტის შესახებ საინტე-  
რესო მოგონება დავგიტოვა ცნობილმა რეჟისორმა, ფილიმონ ქორიძის  
ვაჟმა მიხეილ ქორელმა: „1880 წელს თბილისის ოპერის სამსახურში  
გუნდის წევრად (და კომპრიმარიოდ) შევიდა ახალგაზრდა მომღერალი,  
ბარიტონი მელიტონ ბალანჩივაძე, რომელმაც სწორედ მაშინ საოსტატო  
სასწავლებლის კურსი დაამთავრა. მან ახალგაზრდობისაგან გუნდი შე-  
ადგინა და ამ გუნდით დროგამოშვებით გამოდიოდა „არწრუნის“ თეატ-  
რის სცენაზე. პროგრამაში შედიოდა უფრო იმერულ-გურული კილოს  
სიმღერები, რომლებსაც მელიტონი საფუძვლიანად გაეცნო ქუთაისში,  
თავისი მამის, ქართული სიმღერის დიდად მოყვარულ მღვდელ ანტონის  
სახლში. თვით მელიტონის და გიორგი ბოკერიას ნაამბობით, ანტონ  
ბალანჩივაძემ მოიწვია ცნობილი ეგრეთწოდებული „სრული“ მგალობე-  
ლი, რომანოზ გრიგოლის ძე ღუმბაძე. ის დადიოდა დაბა-დაბა, სოფელ-  
სოფელ და მსურველებს ძველ გალობას ასწავლიდა. როდესაც ღუმბაძე  
ბალანჩივაძის სახლში დროებით დაბინავდა, მელიტონი ამ ძველ გალობ-  
ბას და საერო სიმღერებს უსმენდა და ეჩვეოდა. ასე რომ, თბილისში  
ჩამოსვლისას, მელიტონს ქართული სიმღერა-გალობის მარაგი ჰქონდა  
და თავის გუნდს ზეპირი გზით ასწავლიდა.

მელიტონი ფილიმონის ნათესავი იყო, და ფილიმონის თბილისში ჩა-  
მოსვლისთანავე მასთან მივიდა, დაუახლოვდა მას. შემდეგ ჩვენთან ხში-  
რად დადიოდა და ფილიმონის მიერ ქართული გალობა-სიმღერების აღ-  
დგენის საქმეში მისი უახლოესი თანამშრომელი გახდა.

როდესაც ფილიმონმა ქართული ზეპირი მუსიკის ნოტებზე გადაღება  
განიზრახა, ამ საკითხით დაინტერესებულნი ჩვენთან გიორგი წერეთე-  
ლი, დიმიტრი ყიფიანი და ალექსანდრე ყაზბეგი დადიოდნენ. ყაზბეგთან  
გაცნობა ორიგინალურად მოხდა: ერთხელ აკაკიმ ფილიმონს მოუტანა  
ვაზეთ „დროების“ ნომრები და უთხრა:



— ყაზბეგის მოთხრობა „ელგუჯა“ საინტერესოა, წაიკითხე. ფილიმონის კითხვას შეუდგა და ამ მოთხრობამ იმდენად გაიტაცა, რომ ორიოდ-ჯერ რეპეტიციასზე დააგვიანდა და საერთოდ კითხვის დროს, თითქოს ამ ქვეყნად არ იყო. დედაჩემმა ჰკითხა:

— ასე გატაცებით რას ჰკითხულობ?

— ძალიან საინტერესო მოთხრობაა, დამაცა გავათავებ და შინაარსს გაიმბობ.

მე იმ დროს მაინ რიდი ყველაზე უკეთესი მწერალი მეგონა და მოუთმენლად ვკითხე:

— მაინ რიდს სჯობია?

— სულელი ხარ, მიქელე. სად შენი მაინ რიდი და სად ამ მოთხრობის დამწერი!

კითხვა გათავა თუ არა, შინაარსი გვიამბო. თუმცა ფილიმონის გამოცემა, ალბათ, ავტორის ფერადებს მოკლებული იყო, გმირების თავგადასავალი მაინც იმდენად წარმტაცი იყო, რომ სულგანაბული ვისმენდი; მე ხომ, პატარა მსმენელს, მხოლოდ თავგადასავალი მაინტერესებდა.

დედაჩემი დიდხანს ჩუმად იყო, მერე ჰკითხა ფილიმონს:

— ვინ არის ამ შესანიშნავი მოთხრობის ავტორი?

— მწყემსი! — ღიმილით უპასუხა ფილიმონმა.

— შენ, ფილიმონ, ყოველთვის მეხუმრები, მე კი!..

— ნუ აჩქარდები! გავიგე, რომ მალე გაგვეცნობა და მაშინ გაიგებო.

მართლაც, ყაზბეგი მელიტონთან ერთად მოვიდა. ფილიმონმა დედაჩემი გააცნო.

— ეს ჩემი მეუღლე გახლავთ, ჩემი გულითადი მეგობარი. როდესაც ხუმრობით ვუთხარი, „ელგუჯას“ ავტორი მწყემსიაო, გაიოცა!

ყაზბეგმა გაიღიმა, ხელი ჩამოართვა და თქვა:

— გასაოცარი არაფერია, ქალბატონო...!

ამ საგანზე მეტი არაფერი უთქვამს, ფილიმონს ქართული მუსიკის შესახებ დაუწყო ბაასი. მე კი ვუყურებდი და მწყემსის ნიშნებს ვეძებდი, მაგრამ საამისო ვერაფერი დავინახე. მწყემსის კომბალი მაინც ჰქონდეს, ვფიქრობდი...

ეგზარქოსი პავლე რუსეთის „უწმინდესი სინოდის“, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, პობედონოსცევის განკარგულებით ბესარაბიიდან საქართველოში იყო გადმოყვანილი და მას ქართული ეკლესიის ბედ-იღბალი ჩააბარეს. მან რუსეთიდან მოიყვანა ეგრეთ წოდებული „თეთრი ბერი“, ვინმე ჩულდევკი და სემინარიის რექტორად დანიშნა. ორივენი ერთიმეორეს კარგად იცნობდნენ და ქართული ეკლესიის გამარჯვებულ პოლიტიკას მეგობრულად ახორციელებდნენ.

ეგზარქოსმა ბერების მოხსენება გაიცნო, თითქოს მოეწონა და საკი-





თხის გადასაწყვეტად დანიშნა კომისია შემდეგი შემადგენლობით: თავ-  
ჯდომარედ არქიმანდრიტი გრიგოლი, მდივანად — ილია კიკნაველიძე, ამ-  
ნაირად შედგენილი კომისია არც მწვადს სწვავდა და არც შამფურსო, —  
ამბობდნენ.

ფილიმონს მტკიცედ სწამდა კომისიის დედგენილების სასიკეთო შე-  
დეგი და დიდი მოუთმენლობით უცდიდა კომისიის სხდომას. ქართული  
ინტელიგენცია ამ სხდომით დიდად დაინტერესებული იყო. დიპლომა-  
ტიური მოსაზრებით სხდომა ღია იყო და ქართული საზოგადოების რამ-  
დენიმე პირი დაესწრო. მელიტონის ნაამბობიდან ჩანს, რომ სხვების გარდა  
დაესწრნენ და შემდეგ მონაწილეობაც მიიღეს აკაკიმ, გიორგი წერეთელ-  
მა და ალექსანდრე ყაზბეგმა.

სხდომის დასაწყისშივე ინიციატივა ჩუდღეცკიმ აიღო, მან ჯერ ქართუ-  
ლი ეკლესია, ქართველი ერი, საქართველოს შესანიშნავი ბუნება დიდად  
შეაქო. შემდეგ დასმულ საგანს უშუალოდ შეეხო. მან თქვა, რომ ამ  
კეთილშობილ და ღვთისაგან კურთხეულ საქმეს დიდი დაბრკოლება აქვს.  
მცოდნე პირებისაგან ვიცით, რომ ქართული გალობა იმდენად თავისე-  
ბურია, სხვა ხალხის გალობისაგან იმდენად განსხვავდება, რომ მისი ჩა-  
წერა არსებული რუსული ნოტებით შეუძლებელია. მოგვიხდება ქართუ-  
ლი გალობის შესაფერისი სამუსიკო ნიშნები გამოვიგონოთ. ამ საქმეს  
დიდი შრომა, დიდი დრო და დიდი ხარჯიც დასჭირდება. სამწუხაროდ  
ქართულ ღარიბ ეკლესიას ასეთი ხარჯი არ შეუძლია გაილოს...

სხდომას ესწრებოდა მღვდელი აუშევი, ქართული გალობის მცოდნეც  
და მოყვარეც, მან მტკიცედ და მოურიდებლად უპასუხა:

თქვენი აზრი, თითქოს ქართულ მუსიკას რაღაც ახალი, არარსებული  
სამუსიკო ნიშნები სჭირდება, სრულებით შემცდარია. უკვე ჩაწერილია  
მრავალი საგალობელი ევროპაში, ნოტებით. თქვენ ეს ამბავი ალბათ ან  
არ იცით, ან არ გინდათ იცოდეთ. ჩვენ კი ვიცით, რომ დღეს საჭიროა ამ  
დაწყებული საქმის განგრძობა და ნივთიერად ხელისშეწყობა. თვით ქარ-  
თული ეკლესია ამას საჭიროებს.

ამ გაბედულმა პასუხმა ჩუდღეცკი გააბრაზა და მან კილო შეიცვალა,  
შინაარსით გესლიანი, დამცინავი და ამავე დროს გარეგნულად მეტად  
ტკბილი კილოთი იმავე საგანს შეეხო, ხოლო სხვა მხრივ.

— დაფუშვათ, რომ ქართული გალობა ჩაიწერა, დაიბეჭდა და გავ-  
რცელდა, — ამბობდა ჩუდღეცკი, — მაგრამ რას მისცემს ეს ამბავი ქარ-  
თულ მართლმადიდებელ ეკლესიას, მის სამწყსოს, მრევლს? რას მოის-  
მენს იგი? თქვენი გალობა არაკეთილზმოვანია, ყურს ეხამუშება, ევრო-  
პული ყურისთვის ნამდვილი კაკაფონიაა. რატომ არ გინდათ მიიღოთ და  
შეითვისოთ კეთილზმოვანი, ღვთისაგან ნაკურთხი და დალოცვილი, სლა-  
ვური გალობა, რომელიც მთელ დიდ რუსეთში მიღებულია, და ევროპა-



შიც უდავოდ მოწონებულია. ეს ხომ ქართული ეკლესიისათვის კულტურული მენაძენი იქნება.

ამ სიტყვებში დამსწრე საზოგადოებაში დიდი აღელვება გამოიწვია. ბერები გრიგოლ და მაკარი დაიბნენ და ხმა ვერ ამოიღეს. ფილიმონი გაცხარდა, წინ იწევედა, ხელეები უკანკალებდა. მელიტონი მის კალთას ეწეოდა და ამშვიდებდა. მაშინ აკაკი წამოხტა, ჩუღდუცის სიტყვა შეაწყვეტინა და გამოაცხადა:

— თქვენ შევიძლიათ ჩვენს განზრახვაზე პირდაპირ უარი თქვათ, ეს თქვენი უფლებაა, მაგრამ თქვენ ჩვენს წმინდათა წმინდას ტლანქად შეეხეთ. თქვენ ფიქრობთ, რომ ჩვენ, ქართველები, რამდენიმე ხნის შემდეგ, თქვენი ლოცვა-კურთხევით სლავებად გადავიქცევით. ეს შეცდომაა! საქართველოს დიდი ისტორია, მდიდარი უძველესი კულტურა და ჩვენი საკუთარი წინსვლისათვის გასასვლელი გზა აქვს, უნეშ ძალას ამ გზის შეცვლა არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია. ასი წლის განმავლობაში ქართველ ერს თავისი სახე არ შეუბღალა, და შეუცვლელად შეურჩენია, შემდეგ შიშველი იქნა. ქართველი ერი, თავის შეუდარებელ მუსიკას, რომელიც თავისი უკვდავი სული აქვს ჩაქსოვილ-ჩაქარგული, უთქვენოდ არც მოუვლის და განავითარებს. თქვენი დახმარება არ სჭირდება. აკაკის გლორჯი წერეთელი მოჰყვა.


— ჩვენს ხალხს სამღვდლოების და ეკლესიის დახმარება არ სჭირდება. ის თავის საყვარელ საქმეს თვითონვე მოაგვარებს და დაავიჯრავინებს. იგი ბავშვი არ არის, მაგრამ საკუთარ ფეხზე დადგება და არც ტატიტო ტარებას, არც მოწყალებას არავის არ თხოვს.

ამის შემდეგ ალექსანდრე ყაზბეგმა მოკლედ უარპყო რა ჩუღდუცის აზრი და კილო, გამოაცხადა, რომ ყოველივე ამ კომისიაში თქმული, გაზეთებში იქნება დაბეჭდილი“.

დაძაბულმა გონებრივმა შრომამ, უკიდურესმა გაჭირვებამ საგრძნობლად შეარყია ალ. ყაზბეგის ჯანმრთელობა. ის განუკურნებელი სენით დაავადმყოფდა, თანდათან დაკარგა შრომის უნარი. მალე საავადმყოფოში მოათავსეს, სადაც გარდაიცვალა კიდეც. მისი ნაადრევი სიკვდილი მტიკვენულად განიცადა ქართველმა საზოგადოებამ.

„19-ს დეკემბერს 1893 წ. საავადმყოფოს პატარა ეკლესიისაკენ მოეშურებოდნენ დიდი და პატარა, მდიდარი თუ ღარიბი, მასწავლებელი და მოსწავლე, ერთი სიტყვით, ყველა წრისა და წოდების ქართველობა, ქალი და კაცი თავს იყრიდნენ მოჩხუბარიძის კუბოსთან, — იგონებს გამოჩენილი ქართველი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ლუარსაბ ბოცვაძე.

— განურჩევლად სქესისა და წოდებისა ყველანი ცდილობდნენ ქიტყვიან ან საქმით მონაწილეობა მიეღოთ ამ სამეგლოვიათა კორტანიაში. ამის





დენა ზღვა ხალხი სულ ერთი გრძნობით იყო გამსჭვალული, ერთი სიყვარულით და ერთი სიზნობით. თითქო ერთი გული უფეთქავსო, ერთი მაჯა უცემსო. აქ უცხო არავინ იყო. თითო ამთვანი კერძო ჭირისუფალი იყო. ამ კუბოს გვერდით ქართველობას გრძნობდა. ერთმანეთს თვალით ვზომავდით და თითქოს მწუხარება სიამოვნებად შეგვეცვალა, როდესაც ერთსულობა და ერთგულობა ვიგრძენით. ჩვენ შევიკრიბენით ერთის ჩვენის ძვირფასის მწერლის დასაკრძალავად. ჩვენ ერთი გვამი დაგვაკლდა და ერთმანეთი ათასობით ვიპოვეთ... ამაში გამოიხატება ჩვენი საბატოო დღესასწაული. საკვირველი მომხიბვლელი ძალა ჰქონდა თემობას და იმის მისწრაფებათა შედუღებას.

დანიშნულ დღეს მე დილითვე გავეშურე საავადმყოფოს პატარა ეკლესიაში, სადაც მოჩხუბარიძის გვამი ესვენა და იქიდან ქაშვეთის ეკლესიაში უნდა გადაესვენებინათ ანდერძის ასაგებად. თავის მეგობრებს ის იყო მოერთოთ საბრალო სანდრო საუკუნოდ გასამგზავრებლად: ლურჯი სადა ჩოხით, თეთრის ახალუხით, წულა-პაჭიჭით ტყავის უშველებელ კუბოში შევროდა!... აჰა, შესრულდა ღვთისა და ბუნების ნება: 44-45 წლის ვაჟკაცმა საჩქაროდ, ბორძიკით გაირბინა თავისი ნარ-ეკლიანი გზა და ეხლა ტანჯული უნდა წარსდგეს თავის წინაპართა წინაშე".

ქართული ფოლკლორის მონაგაბა - პეტრე უმიკაშვილი

არიან პიროვნებები, რომლებიც თავიდანვე მკაფიოდ გამოკვეთენ ცხოვრების მიზანს და ერთგულად მიჰყვებიან არჩეულ გზას.

მათ რიცხვს მიეკუთვნება პეტრე უმიკაშვილი — მოქალაქე და მოღვაწე, რომელიც ეროვნული ჟურნალისტიკის, ლიტერატურის, ფოლკლორის, ხელოვნების სიყვარულში დაიფერფლა.

პეტრე უმიკაშვილის თაოსნებით გამოცემული „სასოფლო გაზეთით“ ერთი უმნიშვნელოვანესი და ნათელი ფურცელი იშლება სამამულო ჟურნალისტიკაში.

საყურადღებოა პ. უმიკაშვილის პუბლიცისტური მოღვაწეობა. მისი ნარკვევები, სტატიები, კორესპონდენციები გამოირჩევა არა მხოლოდ საზოგადოებრივ-პოლიტიკური საკითხების წინ წამოწევით და მართებული გადაწყვეტით, არამედ პუბლიცისტური ოსტატობითაც, იდეის მოხდენილად და შთამბეჭდავად განფენით(1).

მოწონებას იმსახურებს პეტრე უმიკაშვილის საგამომცემლო საქმიანობა. გავიხსენოთ თუნდაც „ვისრამიანი“, „სიბრძნე სიცრუისა“, ა. ჭავჭავაძის, გ. ორბელიანისა და სხვათა თხზულებების მისეული გამოცემები, რომლებშიც ორიგინალურად არის წაკითხული არაერთი ადგილი, შეჭერებულია ხელნაწერები და ა. შ. მათში გათვალისწინებულია ტექსტოლოგიის იმდროინდელი მიღწევები(2). თხზულებათა გამოცემის პეტრე უმიკაშვილისეულ მეთოდებზე კარგად მიგვანიშნებს მისი ერთი, 1899 წლით დათარიღებული ბარათი, რომლის ადრესატია ლადო მესხიშვილი, ცნობილი ქართველი მსახიობი.

„ბატონო ვლადიმერ! თქვენ წაიკითხავდით ივერიაში, რომ სუნდუკიანცის პიესების დაბეჭვდას აპირებენო. ამის შესახებ მე ვიკისრე ყოველი დონისძიება (აქ და ქვემოთ ხაზი ყველგან ჩენია — ფ. ზ.), რომ სუნდუკიანცის პიესები ერთ წიგნად დაბეჭდოს, რომელიც დიდად საჭიროა ქართულის სცენისათვის, ნებართვა მომცა სუნდუკიანცმა; მოლაპარაკებული მაქვს მბეჭდველთან, რომ დაბეჭდავს. საჭიროა პიესები ხელში მქონდეს. აქ, დრამატიულ საზოგადოების ბიბლიოთეკაში არ აღმოჩნდა „დაქცეული ოჯახი“. მოვიკითხეთ აქა-იქ და ბოლოს მოვაგენით, რომ ის პიესა გამოუგზავნია თქვენთვის ლომაურის ცოლს (ხუდადოვის დას). ახლა გთხოვთ, ამისთანა მარჯვე შემთხვევა არ



დაგვაკარგვინოთ და ეგ პიესა მონახოთ თქვენს ბიბლიოთეკაში. მთელი მოიკითხოთ თქვენს ნაცნობებში და მოგვაშველოთ.

ყველა პიესა თუ ხელში არ მექნა, დაბეჭდვა არ შეიძლება და არ შეფუძვები, სანამ ეგ პიესა არ ვიშოვე. სხვა პიესები ყველა გვაქვს, ეგ გვაკლია.

იმედი მაქვს, რომ თქვენც ჩემსავით მოსურნე ხართ დაბეჭდილი პიესები გვქონდეს. თქვენ უნდა ყოველი ღონისძიება იხმაროთ და მოსძებნოთ. აქ ვერსად ვერ ვიშოვეთ და თქვენ უნდა გამოგზავნოთ, რადგანაც თქვენ წაგიღიათ. გთხოვთ მალე გამოგზავნეთ ან ჩემ სახელზე: В Тифл. Пет. И. Умикову. სხვა არაფერია საჭირო, ფოტო ამ იცის ჩემი ადრესი, ან გამოგზავნეთ დრამატიულ საზოგადოების სახელზე. ორივე შემთხვევაში с налогом, რომ ხარჯი არ მოგივიდეთ.

დავშთები მომლოდინე პიესისა. პეტრე უმიკაშვილი.

ტფილისი, 28 სექტემბერი, 1899" (3).

ამ წერილიდან აშკარაა, რომ წიგნის გამოცემისას პ. უმიკაშვილს, უწინარეს ყოვლისა, საზოგადოების ინტერესთა დაკმაყოფილების სურვილი ამოძრავებდა. ისიც ხაზგასასმელია, რომ იგი შემოქმედის მიღწევებისა და თავისებურებების უკეთ შეცნობის მიზნით აუცილებლად თვლიდა არა რჩეულის, არამედ თხზულებათა სრული კრებულის გამოცემას. მოტიანილი ბარათიდან იმ დასკვნის გაკეთებაც შეგვიძლია, რომ პ. უმიკაშვილი საავტორო უფლების მტკიცე დამცველია და ტექსტთა მეცნიერული სიზუსტით გამოცემას უჭერს მხარს.

პ. უმიკაშვილი დიდი თეატრალია. ეს მხარე მისი მოღვაწეობისა კარგად აქვს გაანალიზებული მკვლევარ ზელიმხან მეზევიშვილს და მასზე აქ ყურადღებას არ შევაჩერებთ.

დამსახურება-ღირსებათა ჩამოთვლა სრული არ იქნება, გვერდს თუ აფუვლით პ. უმიკაშვილის მთარგმნელობით საქმიანობას. მის გემოვნებაზე, სიტყვის შეგრძობაზე და ფრაზის გამართვის ნიჭზე მეტყველებს მის მიერ ქართულად თარგმნილი ესპანური პიკარესკული ჟანრის ნაწარმოები — „ლასარილიო ტორმესელის ცხოვრება“, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ „მოამბეში“ (1899, №10).

პეტრე უმიკაშვილი დიდ პრაქტიკულ საქმიანობასაც ეწეოდა, იღვწოდა საქართველოს ეკონომიკის და სოფლის განვითარებისათვის. არაერთი წამოწყების მონაწილე და სულისჩამდგმელიც იყო. აქ დავესახებით უცნობ ბარათს, რომელშიც კარგად მუღავნდება პ. უმიკაშვილის აზროვნებისა და ქმედების დიაპაზონი. წერილის ადრესატად ვარაუდობენ ვინმე ლუკა ანდრიაძეს (4).

„ჩემო მეგობარო ლუკა,



სამწუხაროდ მირჩება ის გარემოება, რომ ტფილისში ვერ მთავარდება  
ხეთ ერთად მოლაპარაკება უფრო დალაგებით იმ საგნის შესახებ, რომელსაც ახლა ვთხოვ.

ამ წერილთან „წერა-კითხვის“ საზოგადოების მალაზიაში ვტოვებ თქვენთვის გადმოსაცემად „კითხვის ფურცელს“ — სამ ეგზემპლარს — ჩვენებურ ინდუსტრიაზე. იმედი მაქვს გადასცემთ თქვენს ნაცნობებს — უფრო შეგნებულებს. თითო სოფელში თითო.

გთხოვთ თქვენ წაიკითხოთ, აუხსნათ ზოგი რამ, რომელსაც იქნება კარგა ვერ მიხვდნენ, თუმცა კი ძნელი არ არის. როდესაც დასწერენ, გთხოვთ, რომ თქვენ მოგცენ და გამოგიგზავნონ ფოსტით с наложенным платежом. ესე იგი, რომ ფოსტის ხარჯი თქვენ არ გადაიხადოთ და აქ მე მივცე. დიდად მაღლობელი ვიქნები, თუ ამას მალე მოახერხებთ და შეგნებულ კაცებს მისცემთ. ძალიან სასურველია, რომ ცნობები ფშავ-ხევსურეთში და თუშეთში იქნას შეკრებილი იქაურებისაგან. ვაჟა-ფშაველას გაუფუზავნიდი, მაგრამ ხეტი კაცია და იმედი არა მაქვს, რამე გამოვიდეს. თუ ნახავთ, თონეთში ჩამოსულს და პირს გაუზომავთ, თუ მოახერხებს, კარგი იქნება, მაგრამ ცარიელი დაპირებით კი რა იქნება. უფრო კარგი სანდო ვკონებ დავით ხიზანიშვილი იყოს.

თუ სანდო ბეჯითი კაცები გეგულებათ და მეტი ეგზემპლარი მოგიინდათ, წერილით შემატყობინეთ და გამოგიგზავნით. ჩემი ადრესი „კითხვის ფურცელშივეა“. თქვენი ძალიან იმედი მაქვს. ძალიან საჭიროა ხევსურ-ფშავიდან მასალები.

დავითები თქვენის იმედათ. ბ. უმიკაშვილი (4).  
და მაინც, ჩვენთვის ბ. უმიკაშვილი, უწინარეს ყოვლისა, ქართული ფოლკლორის უდიდესი მოამბეა (5).

თავდაპირველად ყურადღებას გავამახვილებთ ბ. უმიკაშვილის თეორიულ მოსაზრებებზე.

მართალია, მას საგანგებო გამოკვლევა არ დაუწერია ზეპირსიტყვიერების არსსა და საკვანძო მომენტებზე, მაგრამ ცალკეულ სტატიებში, შენიშვნებსა თუ ეპისტოლურ მემკვიდრეობაში საკმაოდ არის გაბნეული ისეთი შეხედულებები, რომელთა დაჯგუფება-გააზრება ნათელს ჰქვენს ჩვენთვის საგულისხმოდ საკითხს.

პირველი, რასაც ხაზს უსვამს ბ. უმიკაშვილი, ეს არის ფოლკლორის ფენომენის თავისებურება და ღირებულება. იგი სამართლიანად მიუთითებს, რომ ზეპირსიტყვიერების ნიმუშებში რელიეფურად მჟღავნდება ერის ხასიათი, თვისება-მისწრაფება თუ ინტელექტი. ფოლკლორზე დაყ-



რდნობით ნამდვილად შეგვიძლია ვიმსჯელოთ ეპოქათა სპეციფიკაზე და საგულისხმო მინიმუმებით, ნიუანსებით წარმოვაჩინოთ კიდევ ისტორიული სინამდვილე. ეს თვალსაზრისი განფენილია წერილში — „სახალხო სიმღერებისა და ზღაპრების შეკრება“: „ხალხის სარწმუნოება, ფიქრი, სატანჯველი, სიხარული, იმედი — ხალხის ლექსებში და ზღაპრებშია გამოხატული და გაფანტული. ისტორიის, ნამდვილი ისტორიის დამწერი მართო დამპალ ადამის ხნის წიგნებს კი არ გამოუდგება, უქველად დიდის მეცადინეობით ხალხის ცოცხალ სიტყვასაც, ესე იგი სიმღერებს და ზღაპრებსაც გადიკითხავს; გრამატიკის შემდგენელმა ძალიან ბევრთად უნდა იცოდეს ხალხის ზღაპრებისა და სიმღერების ენა. ენის მასწავლებელს არ შეუძლიან უიმათოთ გაუმართოს თავის მოწაფეებს ენა და არ შეუძლია ჩაუნერგოს ნამდვილი, ინსტიქტით გადაქცეული, ღვიძლი სიყვარული და არა ზედმიკვრებული. ერთის სიტყვით, სწავლაში თუ სწავლებაში დიდი მასალაა ეს ხალხის ზღაპრები, სიმღერები, შაირები, არაკები, გამოცანები, შელოცვები, ანდაზები“ (6).

ამრიგად, ზეპირსიტყვიერებას პ. უმიკაშვილი აღიქვამს, როგორც ეროვნულობის გამჟღავნების ყველაზე დიდ ფენომენს. მან კარგად იცის, რომ ფოლკლორი დღევანდელობის საყრდენია და მომავლის საამშენებლო ელემენტიც, რომ ხალხურ ეპოსზე დაყრდნობით შეიძლება აღიზარდონ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თავკაცები, რომ სატრფილო თუ ფილოსოფიური ლირიკა ხელს შეუწყობს პიროვნების ესთეტიკურ აღზრდას, რომ ზღაპრები და სხვა ჟანრის თხზულებები გაუფართოებს ახალგაზრდას თვალსაწიერს.

ერთი სიტყვით, პ. უმიკაშვილი ფოლკლორს იაზრებს ურთულეს მოვლენად, რომელშიც ნათლად იხატება საზოგადოების აწმყოც და მომავალიც.

ყოველივე აქედან გამომდინარე, ლოგიკური ჩანს მისი ძალზე სერიოზული და თავგადასდებული საქმიანობა ეროვნული ზეპირსიტყვიერების სფეროში. ნათქვამის ნათელსაყოფად კვლავაც დავიმოწმებთ ამონაწერს პ. უმიკაშვილის 1897 წლით დათარიღებული წერილიდან ფილიპე გოგიჩაიშვილისადმი, რომელიც პირველად ქვეყნდება:

„... ლექსები სახალხო გეთხოვნა, გუშინ გამოგიგზავნე ფშავლური ლექსები, ნიკოს ბიბლიოთეკიდან. გვერდებზე ზოგი შენიშვნა (სიტყვების ახსნა) გაუკეთე.“

მშვენიერი ლექსებია, იქილამ ვგონებ საკმაოდ ამორჩევა შეიძლება სათარგმნელად. იქნება 30 მეტიც ამოარჩიო, როგორც დაჰპირებხარ. ჩემ კოლლექციიდანაც ვეცდები ამოვარჩიო და გამოგიგზავნო, მაგრამ ხასიათი ლექსებისა იგივეა, რაც ხევსურ-ფშავლურის... ლაშქრობის კოლორიტი მეტად ადგილობრივია, სოფლის, მთების, კაცების სახელებით



აჭრელებული. ლექსი ადგილობრივად სულ სხვა ძეგლებით ახდენს შთაბეჭდილებას და გარეშე კაცისათვის უმნიშვნელოთ და გაუგებრათ რჩება. ვინც ჩვენ მთაში არ ყოფილა, არ გაუგონია ახლოს ლექსის გამომთქმელი თემისაგან, არ უნახავს ყოფა-ცხოვრება და ბუნება, ძნელი გასაგები ხდება. ამის გამო ეს მთიულური ლექსები და ვაჟა-ფშაველას ნაწერები გაუგებარი რჩება მთელი იმერეთისათვის (გურია, სამეგრელო). კარგი დაკვირვება, კარგი მეცადინეობა და ფანტაზიის შენჯღრევა ეჭირება იმერელს გაგებისათვის. თუ დასძლიე, კარგი საქმე იქნება და კარგი მუშაობა. ზოგი წინათ მოგწერე იმის შესახებ, რომ ამისთანა მუშაობის ნაყოფში ნივთიერი წილი გეკუთვნის და სულ სხვებს მიუჭკერძო, ცოდვია. ეს შენ იცი და შენმა ხათრიანობამ. მაგრამ ერთს კი გეტყვი, რომ ცუდი არ იქნება, გაიცნო ვენელ სომხებისა და აგრეთვე შუხარდის შემწეობით, ვინც კი მოხერხებული იქნება როდისმე დაგეხმაროს რაიმე მხრით ნივთიერად და საკუთარი მეცადინეობისათვის“ (7).

წერილში ძალზე ნათლად და მკაფიოდაა ჩამოყალიბებული, თითქმის კინტენსირებულია, ფოლკლორის არსებითი დებულებანი. მართებულად არის მინიშნებული, რომ რეგიონის სპეციფიკა იმდენად ორიგინალურად ირეკლება ლექსში, რომ უცხო მკითხველისათვის შეიძლება გაუგებარი აღმოჩნდეს. ისიც საგულისხმოა, რომ პ. უმიკაშვილი ლოგიკურ კომენტარებს მოითხოვს, რათა უფრო გასაგები, ადვილად აღსაქმელი აღმოჩნდეს ტექსტი.

ხსენებული ბარათი სხვა მხრივაც ფრიად საყურადღებოა.

საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ ფოლკლორის სპეციფიკის პ. უმიკაშვილისეულ განსაზღვრაზე. „ხალხის პირად სიტყვიერების ნაწარმოები, — წერს პ. უმიკაშვილი, — ეწოდება იმისთანა თხზულებებს, რომელნიც ძველ წინაპართა დროიდან მკვიდრს ისტორიულ ქვეყანაში სოფლად მცხოვრებელ გლეხობაში ერთის თაობიდან მეორეს თაობაში გადადის ზეპირად და არა წერით. ამ ნაწარმოებში გამოისახება ხალხის ყოველი სულიერი მხარე: სარწმუნოებითი, ზნეობითი და გონებითი. ხელოვნებითის მწერლობისაგან იგი განირჩევა მით, რომ ხელოვნების ნაწერში გამოიხატება თვით მწერლის მხედველობა, თვით მწერლის საკუთარი სულის მდგომარეობა, იმის წადილი, აზრი. ზეპირსიტყვიერ ნაწარმოებში კი ცხოვრების გასახვა ერთის კაცისა არ არის, იმაში იხატება ცხოვრება სრულებით ისე, როგორც მთელი ხალხი ხედავს“ (8).

მოცემულ ციტატაში კარგად მჟღავნდება პ. უმიკაშვილისეული გაგება ხალხური შემოქმედების სპეციფიკისა, რას წარმოადგენს იგი და რით განსხვავდება დამწერლობითი ლიტერატურისაგან.

პ. უმიკაშვილმა მართებულად დიფერენციაცია მოახდინა, როდესაც





ზეპირსიტყვიერების ნიმუშები პრინციპულად გამოაცალკევა მხოლოდ თხზულებებისაგან. მართალია, ამგვარი გამიჯვნა ლოგიკურია, მაგრამ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ცალკეულ შემთხვევებში კონკრეტული მწერლის კონკრეტული თხზულება იმდენად მახლობელი ხდება მასებისათვის, რომ ხალხურობის იერს იძენს, ნიმუშისათვის „ვეფხისტყაოსანი“, თუნდაც რაფიელ ერისთავის, აკაკის, ვაჟას რამდენიმე ლექსი-სიმღერა გამოდგებოდეს.

აქვე გასათვალისწინებელია ეპოქის სპეციფიკა, ის გარემოება, რომ პ. უმიკაშვილის საქმიანობა ფოლკლორულ ნიმუშთა ჩაწერის დასაწყის ეტაპს ემთხვევა, ამ დროს განსაკუთრებული სიმძაფრით იწევს წინ ფიქსაცია — სიზუსტე და კონკრეტულობა. ამდენად, მოულოდნელად არ უნდა მოგვეჩვენოს მოთხოვნა, რომ მხოლოდ წმინდა „გლეხური“ თხზულების ჩაწერა მოხდეს და არა ხალხში გავრცელებული ტრანსფორმირებული ლიტერატურული ძეგლებისა.

შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც პ. უმიკაშვილის ფოლკლორულ შეხედულებებთან დაკავშირებით ჩნდება, ეს არის ქალაქური და სოფლური ზეპირსიტყვიერი ნიმუშების დიფერენციაცია. პ. უმიკაშვილი ფიქრობს, რომ მათ შორის პრინციპული სხვაობაა, ნაღდ ფოლკლორს მხოლოდ სოფლებში ვხვდებით, რომ არ შეიძლება სახალხო, ანუ, როგორც თვითონ უწოდებს, „სოფლური სიმღერების“ აღრევა „ქალაქურ სიმღერებში“. მისი მჯელობიდან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ „ქალაქური ფოლკლორი“ არ არის ხალხური შემოქმედება. „ჩვენში ურევენ სახალხო (გლეხის, სოფლურ) სიმღერებს და ქალაქურ სიმღერებსა, — შენიშნავს პ. უმიკაშვილი, — ქალაქებში ჩვენი სიმღერები ან ვისგანმე მწერლისაგან არის გამოთქმული, და ან ისევე ქალაქის ამქრების მუშა-ხელოსნებშია შემდგარი. აი, როგორც, მაგალითად ალექსანდრე ჭავჭავაძის, ბესიკის (ბესარიონ გაბაშვილის), დავითის (ბატონიშვილისა), სტეფან ფერშანგოვის და ჩვენ უკანასკნელ დროს სკანდაროვის ლექსები, ან კიდევ ის ლექსები, როგორც „ქალო ხაბარდიანო“, — ესეები სულ ქალაქებში არის გამოთქმული და ქალაქებში მღერიან. სიმღერის ხმა თათრული (სპარსული) სიმღერების ხმაა და ევროპიულ მუზიკაზე გადაღების დროს ძალიან უშნოთ გამოდის. ქართულ სოფლურ სიმღერას სულ სხვა კილო აქვს, ევროპიულ მუზიკაზე მშვენიერათ, ჰარმონიულათ გამოდის... ხმაზე დიდი განსხვავება თვით ლექსებში და სიმღერებშია. ამიტომ ვამბობ, რომ სახალხო, საეროს ლექსებს, ზღაპრებს, სიმღერებს იმას ეძახიან, რასაც სოფლის გლეხკაცი მღერის და ამბობს“ (9).

რასაკვირველია, ამ მოსაზრების სრულად გაზიარება შეუძლებელია. ის, რომ ტექსტები შექმნილია ამქრების, მუშა-ხელოსნების მიერ, სრულ-



ლიდაც არ ნიშნავს მათ არაფოლკლორულობას. ისინი, უთუოდ, ლექტიური შემოქმედების ნაყოფია და კარგადაც ამჟღავნებენ საზოგადოების ერთი ნაწილის ხასიათსა და ტენდენციას. ერთ რამეში კი უთუოდ მართალია პ. უმიკაშვილი: ქალაქში გამოთქმული და გავრცელებული სიმღერები აღმოსავლური ხმით გამოირჩევა და მნიშვნელოვნად განსხვავდება „სოფლური სიმღერების“ კილოსა და ჟღერადობისაგან.

უპრიანი იქნება, აქვე შეგჩერდეთ იმ მოსაზრებებზე, რომელთაც გამოთქვამს პ. უმიკაშვილი ზეპირსიტყვიერების ნიმუშთა ფიქსაციის თაობაზე.

პ. უმიკაშვილის უპირველესი მოთხოვნაა ხალხურ ნაწარმოებთა ყველა ვარიანტის ჩაწერა. ამ შემთხვევაში გათვალისწინებულია ფოლკლორის თავისებურება, რომ საზოგადოების სხვადასხვა წევრს თავისი დამოკიდებულება, ნიუანსი შეაქვს ტექსტში და, ამდენად, ვარიანტთა სიხშირე საზოგადოებრივ ტენდენციათა მეტი სიმკვეთრით წარმოჩენას უწყობს ხელს. ის, რაც, შეიძლება, ერთ კუთხეში მივიწყებული იყოს, მეორეში, შესაძლებელია, ხაზგასმით ფუნქციონირებდეს და ყოველივე ეს უთუოდ აირეკლება თხზულებაში. ამ სიტუაციაში სხვა გარემოებაც იპყრობს ყურადღებას. ვარიანტული სიხშირე ძირითადი ტექსტის დადგენასა და სრულყოფილად წარმოჩენას უწყობს ხელს. ამ გზით თითქმის კონდიციურულ ნაწარმოებს ვიღებთ. წამოყენებული თეზისი რომ უფრო დამაჯერებელი იყოს, პ. უმიკაშვილს ფრიად მეტყველი მაგალითი მოჰყავს. მას „არსენას ლექსის“ ათამდე ვარიანტი ჰქონია ხელთ და მათგან მხოლოდ ორში ყოფილა აღნიშნული შემდეგი დეტალი: არსენა როცა სიძესიდედრს თელეთის გზაზე ცხენსა და ხურჯინს წაართმევს, დედაკაცს ეუბნება, ნუ დამწყევლიო. ისიც ლოცავს:

სადაც წაბრძანდ-წამობრძანდე, არსენა, გაგიმარჯვედესა!

მდიდარს ართმევ, ღარიბს აძლევ, ღმერთი როდი წაგახდენსა!

ეს ეპიზოდი იმ მხრივაცაა საყურადღებო, რომ არსენასადმი დიდ სიყვარულზე მეტყველებს, გმირის საერთო დახასიათების წარმოჩენას გულისხმობს. დედაკაცი არა მხოლოდ კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე, არამედ არსენას მთელი საქმიანობის გათვალისწინების საფუძველზე მოქმედებს, ამიტომაც ლოცავს.

მაშასადამე, აქ არა იმდენად ლოგიკური სიტუაციის დახასიათებაა, რამდენადაც საერთო განზოგადებული შთაბეჭდილების წარმოჩენა.

როგორც პ. უმიკაშვილი მიგვანიშნებს, სწორედ ამგვარი ნიუანსების დაცვაა აუცილებელი, თუ გვინდა ტექსტის მთელი სიძლიერე და სიმშვენიერე გამომჟღავნდეს. აკი თვითონვე ამბობს, ხსენებული დეტალი რომ არ გაგვეთვალისწინებინა და მხოლოდ რვა ვარიანტის მონაცემებს დაყრდნობოდით, „არსენას ლექსი“ შესამჩნევად გაღარიბდებოდაო.



ბ. უმიკაშვილმა ძალიან კარგად იცის, რომ ვარიანტები სიმრავლე ნაწარმოების პოპულარობის მიმანიშნებელიც არის და ამ მომენტზე ყურადღების გამახვილებითაც იგი ნაწარმოების ღრმა და საფუძვლიანი შესწავლისაკენ მოგვიწოდებს.

ახლა უშუალოდ იმ მითითებებზე, რომელიც ტექსტის ჩაწერას ითვალისწინებს. ბ. უმიკაშვილის ღრმა რწმენით, მეტყველების ნიუანსობრივი მხარე მკაფიოდ ირეკლება ნაწარმოებში და ეს უთუოდ უნდა აღინიშნოს. ამიტომაც შენიშნავს, რომ სალიტერატურო ენაში უკუგდებული ასოები უ, ზ, დ და ა. შ. ზოგიერთ დიალექტში კვლავაც ინარჩუნებს თავის ფუნქციას და ტექსტის ჩაწერისასაც ეს გარემოება აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული. ასევე, ზოგიერთ დიალექტში ბუნებრივია ა-სა და ო-ს მონაცვლეობა, რაც, აგრეთვე, უთუოდ უნდა დაფიქსირდეს. შესაძლებელია ლიტერატურის თვალსაზრისით ტექსტი გაუმართავი იყოს, მაგრამ ჩამწერს მიანიც არ აქვს უფლება მთქმელის მეტყველება გააშალაშინოს.

ამ შემთხვევაშიც ბ. უმიკაშვილის მოთხოვნა ლოგიკური და მისაღებია.

კამათს არ იწვევს ბ. უმიკაშვილის შემდეგი დებულებაც, რომ ჩამწერი საკუთარი პრიზმიდან კი არ უნდა განიხილავდეს და ჩაინიშნავდეს ტექსტს, არამედ რეალური ვითარების გათვალისწინებით. შეიძლება მისთვის გაუგებარი იყოს ცალკეული სიტყვის, გამოთქმის მნიშვნელობა, მაგრამ უფლება არ აქვს ისინი გამოტოვოს ან გადააკეთოს.

უთუოდ გასაზიარებელია მოთხოვნა, რომ ტექსტი ჩაიწეროს კუთხისათვის ნიშანდობლივი სპეციფიკის ზუსტი დაცვით. ეს ეხება არა მხოლოდ ცალკეულ სიტყვათა დაწერას, არამედ მახვილის ზუსტად გამოკვეთასაც. „ყველა ასო ისე უნდა იწერებოდეს, როგორც გლეხი გამოსთქვამს. ეს ძალიან საჭირო იქნება გრამატიკისათვის და მეტადრე ევროპის მსწავლულ ფილოლოგებისათვის. ის ასოები, რომელსაც ეხლა წერაში აღარა ვხმარობთ, უეჭველად ლექსების წერის დროს უნდა იყოს ხმარებული, რადგან ის ხმები არის უ, ზ, დ, ვ... ამას გარდა, — აგრძელებს ფოლკლორისტი, — საჭიროა, რომ ხმის დაყოლება (ударение) დაცული იქნას მეტადრე იმ ლექსებში, რომელიც ქართლ-კახეთს არ ეკუთვნის. ხმის დაყოლება ჩვენში განსაკუთრებულია სხვადასხვა ადგილებში: მაგალითად, ქართლელი და კახელი სხვარიგათ წაიკითხავს ქვემოხსენებულ ლექსსა და არაგველი ასე კითხულობს: ხმის დასაყოლებელ ნიშნის მაგიერათ დიდ ასოებს ვიხმარებთ:

ვერ გამგეთა ქართველო, შავმხსნა რკინის კარია,  
მეფე აღარ გყავთ, ერმკლე, ბაგრატიონთა გვარია... (10).



ასევე საგულისხმოდ გვეჩვენება ტექსტთა პასპორტიზაციის დაკვირვება. კავშირებული საკითხების აქცენტირება.

პ. უმიკაშვილის შეხედულებით, ფოლკლორული ტექსტის ჩაწერისას „ადგილი უნდა იყოს მოხსენებულ: რომელ სოფელშია დაწერილი, რომელ სოფელისაგან უსწავლია მთქმელსა, ან თუ ლექსი ბატონის კარზე უსწავლია? ეს უკანასკნელი იმიტომ არის საჭირო, — ასკვნის ავტორი, — იქნება ბატონის კარზე წიგნებიდან ესწავლოს... აგრეთვე ის ლექსი მთქმელის გამოთქმული ზომ არ არის, ან მესტვირისაგან გაუგონია, თუ ისე გლახისაგან? რომელ ლექსს რა შემთხვევაში მღერიან, რა მუშაობის დროს, რომლისამე სიმღერის დროს როგორი თამაშობა იციან, ან შელოცვის დროს რას აკეთებენ...“ (11).

გასაზიარებელია პ. უმიკაშვილის თვალსაზრისი, რომ დაზუსტებული იყოს არა მხოლოდ მთქმელის ვინაობა, სოციალური მდგომარეობა, ასაკი და ა. შ. არამედ ისიც, თუ ვინ მოახდინა ტექსტის ფიქსაცია, სად და როდის.

პ. უმიკაშვილის ხსენებული მოსაზრებანი ფრიად მნიშვნელოვანია და მათი დაცვა-გათვალისწინება — აუცილებელია.

მართლაც, არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ ვინ არის მთქმელი, ვინ არის ჩამწერი, სად არის მოსმენილი ტექსტი და ა. შ. ამ მხარეთა ხაზგასმა, მართლაც, აუცილებელია, რათა უფრო ნათლად ჩავწვდეთ მთელ რიგ ნიუანსებს. სულ სხვაგვარად გადმოსცემს ტექსტს უბირი მთქმელი, და სულ სხვაგვარად „ბატონის კარზე განსწავლული“ კაცი.

ისიც გასათვალისწინებელია, თუ რა დონის ჩამწერთან გვაქვს საქმე. ამ შემთხვევაში მართო განათლება კი არ იგულისხმება, არამედ წარმომავლობა, კუთხურობა. ცხადია, ხევსური უკეთ ჩაიწერს ბარისაზოსა თუ შატილში გაგონილ ამბავს, ვიდრე იმერეთიდან გადმოსული და ამ გარემოსთან შეუჩვეველი კაცი.

ძალზე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია პ. უმიკაშვილის მოსაზრება, რომ მთქმელმა გარკვეული კომენტარი უნდა მოგვაწოდოს. კომენტარი არა მისეული კვალიფიკაციის შემცველი, არამედ ობიექტური ვითარების ხაზგამსმელი. უფრო ზუსტად, კონკრეტული სიმღერა თუ ლექსი როდის წარმოითქმება — მკისას, თოხნისას, თიბვისას თუ ა. შ. ამ გარემოებას, მართლაც, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება არა მართო წარმოების ფილოსოფიური ასპექტის წარმოჩენით, არამედ კომპოზიციისა და მუსიკალური ქლერადობის გააზრების თვალსაზრისითაც. შემთხვევითი როდია, რომ დიდი გერმანელი მეცნიერი კარლ ბიუხერი თავისი წიგნის „შრომა და რიტმის“ ძირითად დებულებებს სწორედ ამ გადასახედიდან ამოკრებილი ფოლკლორული ნიმუშებით ამაგრებს. დასახელებული წიგნისათვის პ. უმიკაშვილის მიერ მიწოდებული ხალხური მასალების თაო-



ბაზე შედარებით ვრცლად დაიბეჭდა ახალგაზრდა მკვლევარ-მწიგნობართა დადუნაშვილის მიერ „მნათობში“ (1994, №1-2) გამოქვეყნებულ წერილში — „მასალები პეტრე უმიკაშვილისეული არქივის ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან“ და აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ (12).

როგორც ვხედავთ, პ. უმიკაშვილის მოსაზრებები ზეპირსტიყვიერი ნიმუშების ჩაწერასთან დაკავშირებით გამართული, მისაღებია, მსოფლიო ფოლკლორისტიკის დონის შესაბამისად ჩამოყალიბებული და ამიტომაც დღესაც იმსახურებს მხარდაჭერას. არც ის არის შემთხვევითი, რომ სწორედ ამ მართებული და საღი შეხედულებების გამო პ. უმიკაშვილის ნაზრევი საფუძვლად დაედო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ აღიარებულ პროგრამას, რომელიც 1882 წელს გამოიცა და თითქმის დოკუმენტ-დირექტივის ფუნქცია შეიძინა.

პ. უმიკაშვილის მოსაზრებანი ყოველმხრივ მისაღებია და დღესაც ინარჩუნებენ პრაქტიკულ ღირებულებას.

ყოველივე აქედან გამომდინარე, ლოგიკური ჩანს პ. უმიკაშვილის სერიოზული და თავგადასდებული საქმიანობა ეროვნული ზეპირსტიყვიერების შეკრება-გამოცემის საქმეში.

პ. უმიკაშვილმა უმდიდრესი ფოლკლორული არქივი დააგროვა, როგორც ფ. გოგიჩაიშვილი მიუთითებს, პ. უმიკაშვილი ხალხური სიტყვიერების შეკრების პიონერი იყო ჩვენში. მას ეს საქმე დაუწყია ახალგაზრდობაშივე (20-21 წლისას) და არ დაუგდია სიკვდილამდე (მისი უკანასკნელი ჩანაწერი დათარიღებულია 1903 წლით). მაშასადამე, იგი ამ მასალას აგროვებდა 40-45 წლის განმავლობაში“ (13).

შემთხვევითი არ არის, რომ პ. უმიკაშვილი ჩვენში ამ საქმის პიონერად მოიხსენიება. მან ეს ეპითეტი სოფრომ მგალობლიშვილისაგან დაიმსახურა. „პეტრე — პირველი პიონერია, სახალხო ლექსების, ზღაპრების, ანდაზების, საზოგადოდ ხალხური სიტყვიერების განძის შეკრება-გამოცემისათვის“ — გვითხულობთ ს. მგალობლიშვილის ერთ-ერთ მოგონებაში.

პიონერობა ორდინალური „რეგალია“ როდია. ასეთი სახელის მოპოვებას საფუძვლად დიდი ნებისყოფა უდევს, ნიჭი, უზარმაზარი შრომა, განცდანი, შეჭირვებანი.

ისიც აღსანიშნავია, რომ პ. უმიკაშვილი კომუნიკაბელური პიროვნება გახლდათ. რაც მთავარია, წამოწყებული საქმის რივიანად წარმართვაში მას ხელს უწყობდა სამსახურეობრივი მდგომარეობა — გიმნაზიის მასწავლებლობა, რედაქტორობა და ა. შ.

პ. უმიკაშვილის არქივი უნიკალურია, თანაც არა მხოლოდ საქართველოს მასშტაბით. 3 ათასზე მეტი ტექსტის აღნუსხვა და მოწესრიგება უზარმაზარ ენერჯიას და საქმის ფანატიკურ სიყვარულს მოითხოვს. ისიც ცხადია, რომ ერთ პიროვნებას, რომელიც სხვა უამრავი საქმიანაც იყო



დაკავებული, გაუჭირდებოდა ბევრგან ყოფნა და ზეპირსიტყვიერების ნიმუშთა აღნუსხვა. ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ხელშემწყობთა ჯგუფს; პეტრე უმიკაშვილმა კარგად გაართვა თავი ამ სიმწელეებსაც. მას ხალხური შემოქმედების ნიმუშებს აწვდიდნენ ი. ჭავჭავაძე, დ. ყაზბეგი, ა. ხაზანაშვილი, ი. გვარამაძე, დ. ხიზანიშვილი, თ. ხუსკივაძე, პ. მირიანაშვილი და სხვები, მოსწავლეები, სოფლად მომუშავე ინტელიგენტები, გაზეთის კორესპონდენტები და ა. შ.

თავიდათავი კი მაინც საკუთრივ მის მიერ შეკრებილი მასალებია. ამ მიზნით იგი არაერთგზის სწვევია ქართლის, ფშავის, ხევსურეთის, ხევის, რაჭის, გურია-იმერეთის სოფლებს. ჯერ კიდევ 1871 წელს პ. უმიკაშვილი პრესის ფურცლებზე აღნიშნავდა:

„აგერ რამდენიმე წელიწადია ვაგროვებ სახალხო ლექსებს, ზღაპრებს, ანდაზებს და სხვას. რამდენჯერმე დავაპირე დაბეჭდვა, მაგრამ კიდევ დამატება, შევსება ვამჯობინე და არცა ვნანობ. რამდენიმე ყმაწვილმა მასწავლებლებმაც მიიღეს მონაწილეობა ჩემს შრომაში და მესამედზე მეტი ამით ეკუთვნის. ამჟამად თითქმის 300 ნომერი სახალხო სიმღერები იქნება, 150 ანდაზა (ჩუბინოვის ქრესტომათიაში დაბეჭდილის გარდა), 60 ზღაპარი, 30 გამოცანა და ათიოდე შელოცვა, სულ ქართლ-კახეთისა, თუშ-ფშავ-ხევსურისა, არაგვისა და მოხევისა, ორი-სამი აჭარულია და რაჭული“ (14).

ამ მხრივ ფოლკლორისტმა მუშაობა შემდეგ წლებში კიდევ უფრო გააღრმავა.

რა შეიძლება ითქვას პ. უმიკაშვილის მიერ შეკრებილ მასალებზე?

1. ისინი ხასიათდებიან გეოგრაფიული მრავალფეროვნებით. ეს კი არსებითია. ამ გზით, ჯერ ერთი, სრულიად საქართველოს განწყობას, მსოფლგაგებასა და შეხედულებებს ვეცნობით, მეორეც, ამ შემთხვევაში, ერთი და იგივე ტექსტის ვარიანტები აღინუსხება და, აქედან გამომდინარე, ნებისმიერი ნაწარმოების ტრანსფორმაციისადმი თვალის გადევნების დიდი შესაძლებლობა იქმნება. თანაც კონკრეტულ კუთხეთა თუ რეგიონთა სპეციფიკის წარმოჩენაც ხერხდება.

2. იგრძნობა ფიქსატორთა სიმრავლე. ამასაც პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება. საქმე ის ვახლავთ, რომ ამ დროს განსხვავებული ვარიანტების წარმოჩენით რომელიმე ჩამწერის მიერ დაშვებული შეცდომა გაიზრება და ტექსტის სრული ვარიანტის შექმნის შესაძლებლობა გვეძლევა. გავიხსენოთ პ. უმიკაშვილისეული „არსენა“.

3. პ. უმიკაშვილის კოლექცია თემატური სიუხვითაც წარმოჩნდება. ჯეროვნად არის წარმოდგენილი სატრფიალო, საგმირო, საისტორიო თუ ფილოსოფიური ნიმუშები, რომლებშიც აისახა ქართველი ხალხის სულიერი სამყარო.



4. პ. უმიკაშვილის არქივი გამორჩეულია ჟანრობრივი სისტემატოპიკით, აქ შეხვდებით ზღაპრებს, თქმულებებს, ანდაზებს, გამოცანებს, შელოცვებს, შაირებს და ა. შ.

ახლა საგანგებოდ შევჩერდებით პ. უმიკაშვილზე, როგორც ზეპირ-სიტყვიერების ტექსტთა პუბლიკატორზე.

ნებისმიერი გამოცემლის დახასიათებისას, უპირველესად, პასუხი უნდა გაეცეს კათხვას: რომელ ტექსტს ირჩევს დასასტამბად. ეს გარემოება მით უფრო ანგარიშგასაწევიანია, თუ გავიხსენებთ მე-19 საუკუნის II ნახევრისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის საქართველოს ვითარებას. მხედველობაში გვაქვს ის ფაქტი, რომ მავანი და მავანი ხალხური პოეზიის რუბრიკით მიჯრით გამოსცემდნენ უხარისხო ნაწარმოებებს, რომლებიც, ფაქტობრივად, საზოგადოების გემოვნებისა და ინტელექტის დაქვეითებას იწვევდა. ეს კარგად ჰქონდა შემჩნეული პ. უმიკაშვილს და მიზნად ისახავდა ვითარების რამდენადმე მაინც გაუმჯობესებას. ამიტომაც შეაჩერა არჩევანი „არსენას ლექსზე“, „ეთერიანზე“, „ქართულ ანდაზებზე“...

არსენა ვაჟაკობისა და რაინდობის სიმბოლოა, სილამაზითა და გონიერებით გამორჩეული პიროვნება, ამიტომაც იმსახურებს დიდ სიყვარულს. ხსენებულ ნაწარმოებში თავიდათავი მაინც სოციალური საკითხია, სამართლიანობის დაცვის პრინციპი, ჰუმანიზმი. „არსენა ჩნდება ჩვენს ცხოვრებაში ამ საუკუნის დასაწყისში და, როგორც ვთქვით, არის წარმომადგენელი ჩვენი ხალხის გრძნობებისა და გონებისა. იმასში იხატება გარკვევით და ცხადათ რა მწუხარება აწუხებს ჩვენ გლახსა და რა იმედი ამელოვნებს“ (15). ასე ესახება არსენას პიროვნება პ. უმიკაშვილს და ამ შეფასებით კვლავაც ათვალსაჩინოებს თავის დამოკიდებულებას ამ ნაწარმოების გამოცემისადმი.

ამდენად, „არსენას ლექსზე“ ყურადღების გამახვილება კიდევ ერთი დეტალია პ. უმიკაშვილის მიერ ფოლკლორის სიღრმისეული გააზრებისა.

დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას „ეთერიანის“ წინ წამოწევის გამოც. ვფიქრობთ, არცთუ ბევრია მსგავსი ნაწარმოებები, რომლებშიც ზოგადსააკაცობრიო და ეროვნული ტენდენციების ასეთი მახვილი გააზრება და ოსტატური განფენა იგრძნობოდეს.

რაც შეეხება „ქართულ ანდაზებს“, მისი გამოცემა განპირობებულია ჟანრის დიდი ორიგინალობით. ანდაზა, ჯერ ერთი, ხალხური სიბრძნის, საუკუნეობით დაუნჯებული ცოდნის, ერის მსოფლგაგების გამომხატველია. მეორეც, გამოირჩევა სისხარტითა და აფორისტულობით, სწორედ ეს გარემოება — ფორმა-შინაარსის ოპტიმალური განპირობებულობა — განსაზღვრავს ამ ჟანრის ესოდენ პოპულარობას. ეს ყველაფერი კარგად ესმოდა პ. უმიკაშვილს და ამიტომაც უერთგულა ამ ფოლკლორულ ძეგლებს.



ახლა სხვა მხრითაც შევეხოთ პრობლემას.

ერთია ობიექტის შერჩევა, მეორე მისი მოწოდების ხარისხი.

ბ. უმიკაშვილისათვის დამახასიათებელია ტექსტთა მრავალმხრივი შესწავლა. უწინარეს ყოვლისა, იგი ვარიანტების მოპოვებაზე ზრუნავდა. მეორეც, შეპირისპირებასა და სიღრმისეულ ანალიზს აწარმოებდა. ყოველივე ეს აპირობებდა პერსონაჟთა ხასიათის მართებულად გამოკვეთას, მხატვრული პასაჟების სიზუსტეს და ნაწარმოების კომპოზიციურ სრულყოფას.

შემთხვევითი როდია, რომ ბ. უმიკაშვილმა „არსენას ლექსის“ მრავალი ხელნაწერი შეაჯერა, აღადგინა ძირითად ვარიანტში დაკარგული პასაჟები, რომლებიც შემორჩენოდა ორიოდ, შედარებით უმნიშვნელო ჩანაწერს და ამ გზით მრავალმხრივ გამართული ტექსტი შესთავაზა საზოგადოებას. როგორც ვ. მაცაბერიძე წერს: ბ. უმიკაშვილმა ჩვეული კეთილსინდისიერებითა და გულმოდგინებით, მის ხელთ არსებული ვარიანტების შეჯერებით შექმნა ერთი მთლიანი სახალხო პოემა. ცვლილებებს მიმართავდა იმ შემთხვევაში, თუ ვარიანტებში ადგილი ჰქონდა უმართებულო ან არაზუსტ ადგილებს... ამ გზით შედგენილი „არსენას ლექსი“ ისევ ხალხს დაუბრუნდა, გავრცელდა და უკვდავო მარაბდელის გმირული სახელი“ (16).

როგორც ვხედავთ, ბ. უმიკაშვილი ღრმად განათლებული ფოლკლორისტიკა, რომელიც კარგად იცნობს ამ დარგის მსოფლიო მიღწევებს და წარმატებითაც იყენებს მათ არა მხოლოდ თეორიული დებულებების შემუშავებისას, არამედ პრაქტიკულ საქმიანობაშიც. მან დაგვიტოვა უმდიდრესი ფოლკლორული არქივი, რომლის დიდი საზოგადოებრივი ღირებულება დღეს კიდევ უფრო ნათლად ჩანს.

ბ. უმიკაშვილმა სათავე დაუდო ჩვენში ზეპირსიტყვიერების ნიმუშთა გამოცემის კლასიკურ მეთოდს და ფართო საზოგადოების დიდი მოწონებაც დაიმსახურა.

ბ. უმიკაშვილი ის მოღვაწეა, რომლის ნამუშავევც დროთა ცვლილებას არ ემორჩილება. ამდენად, მისი დამსახურების შეფასება არა მხოლოდ აწმყოს თვალსაზრისით, არამედ მომავლის გათვალისწინებითაც უნდა მოხდეს.

### დამოწმებული ლიტერატურა

1. ზ. მებზევიშვილი, პეტრე უმიკაშვილი (პუბლიცისტი და კრიტიკოსი), თბ. 1977.
2. ლ. გვარამაძე, პეტრე უმიკაშვილი — რედაქტორ-გამომცემელი, „მაც-





- ნე", 1971, №2, გვ. 45-60; ვ. მაცაბერიძე, ქართული ხალხური წიგნების შემდგენელ-გამომცემელი, თბ., 1977, გვ. 13-44.
3. ბ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, I, თბ. 1937, გვ. XXXIX.
  4. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორული არქივი, ბ. უმიკაშვილის ფოლკ. კოლექცია, წერილი ლუკა ანდრიაძისადმი, 1899.
  5. ფ. გოგიჩაიშვილი, პეტრე უმიკაშვილი (ბიოგრაფიული ნარკვევი). წინასიტყვაობად ერთვის „ხალხურ სიტყვიერებას“ (I, თბ., 1937); II გამოცემა (ოთხ ტომად), წინასიტყვაობა, შენიშვნები და რედაქცია მ. ჩიქოვანისა, IV, თბ. 1964; მ. ზანდუჯელი, ბ. უმიკაშვილის ოთხი წერილი ეკ. გაბაშვილისადმი, ა. ბუშინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, I, 1941; ვ. მაცაბერიძე, ბ. უმიკაშვილის ფოლკლორისტული მოღვაწეობა, „ლიტერატურული ძიებანი“, XIV, თბ., 1962; მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, თბ., 1975, გვ. 281-287; ე. ვირსალაძე, ბ. უმიკაშვილი და ფოლკლორის შეკრების საქმე საქართველოში, „მაცნე“, 1974, №2, გვ. 25-31; ე. დადუნაშვილი, მასალები ბ. უმიკაშვილისეული არქივის ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან, „მნათობი“, 1994, №1-2, გვ. 177-182 და სხვ.
  6. ბ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება (ოთხ ტომად), IV, გვ. 191-192.
  7. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორული არქივი, ბ. უმიკაშვილის ფოლკ. კოლექცია, წერილი ფილიპე გოგიჩაიშვილისადმი, 1897.
  8. ბ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება (ოთხ ტომად), IV, გვ. 226.
  9. იქვე, გვ. 193-194.
  10. იქვე, გვ. 194-195.
  11. იქვე, გვ. 195-196.
  12. ე. დადუნაშვილი, მასალები ბ. უმიკაშვილისეული არქივის ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან, „მნათობი“. 1994, №1-2, გვ. 178-179.
  13. ბ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, I, თბ., 1937, გვ. 8.
  14. „დროება“, 1871, №22.
  15. ბ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება (ოთხ ტომად), IV, გვ. 207.
  16. ვ. მაცაბერიძე, ქართული ხალხური წიგნების შემდგენელ-გამომცემელი, გვ. 37.

## მოგონება მოუპონელი

(თედო სახოკია შვილიშვილის თვალით)



●  
თედო

სახოკია

—◆—  
130  
●

„შეშუღბით ძრისტას“

წესიერ სასამართლოში ტრადიციულად ამ რიტუალს ასრულებენ (ალბათ, ასე იყო ადრე ჩვენშიც): მოწმეს აფიცებენ, რომ იტყვის სიმართლეს, მხოლოდ სიმართლეს და სხვას არაფერს, სიმართლის გარდა.

ეს სიტყვები საკმარისია, რომ მოწმეს ენდონ. ნდობა კი მოწმეს ბევრს ავალებს...

თითქმის ასეა მემუარისტის საქმეც. მოგონების „წერად განმზადებული“ ამ მოწმის როლშია: მან მართალი უნდა თქვას უჩინარ მსაჯულთა — ღმრისა და ერის წინაშე (სხვაგვარად ყველაფერს აზრი ეკარგება, თუკი მოგონებულის ნაცვლად მოგონილს, გამონაგონს ვთავაზობთ მკითხველს).

განსხვავება მხოლოდ ერთია: მემუარისტს შეუძლია გამოტოვოს ზოგი რამ და თავისი შეხედულებისამებრ შეარჩიოს ის ეპიზოდები, რომლე-



ბიც მხოლოდ მავანთა კერძობით ინტერესს კი არ აკმაყოფილებს (საქმეებს, ესეც აცოცხლებს ამბავსა და პიროვნებას), არამედ საერთო, საზოგადო სულისკვეთებასაც ასე თუ ისე ეხმიანება. აი, ამ შეგნებით შევუდგეთ საქმეს, ანუ, როგორც თავად თედო სახოკია იტყოდა, — „შევუდგეთ ქრისტეს“ (ე. ი. დავიწყოთ ქველი საქმეო).

## ჩემამდე

თედო სახოკიას ერთი ქალ-ვაჟი ჰყავდა: თინა (შინაურულად — თიკო, დედაჩემი) და მასზე წლინახევრით უმცროსი ვახტანგი (ვატა). არც ერთს არ რქმევია ბებია-პაპის სახელი, როგორც ეს ახლაა მიღებული. ცოლი ნადე, სამეგრელოში ცნობილი საეკლესიო მოღვაწის, დეკანოზ ანტონ კეკელიას (მის შესახებ იხ. „ლიტერატურული საქართველო“, 1990, 5/X, გვ. 15-16) ქალიშვილი, ადრე მოუკვდა ჭლექით — იმხანად უკურნებელი სენით, 37 თუ 38 წლის ასაკში. კარგ მასწავლებლად ითვლებოდა და გამოსათხოვარი სიტყვა ამბროსი ხელაიამ უთხრა, შემდგომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა (ეს სიტყვა დაბეჭდილია გაზეთ „კავკასიონში“, 1994, 21/IX, გვ. 8)

ნაადრევად დაობლებული და ერთთავად დედას დანატრებული შვილები პაპამ მარტომ გამოზარდა ისე, რომ სხვა ცოლი აღარ შეურთავს (50 წლისა დაქვრივდა). მეტიც, სწორედ მაშინ გადაუგდია სამუდამოდ პაპიროსი, რომელსაც მანამდე თურმე ჩაუქრობლად ეწეოდა. ნებისყოფის გამოცდის ასეთი დემონსტრირებით შეხვედრია ცხოვრების ამ უმძიმეს დარტყმას. გადააგდო და გადააგდო, — უამბია დედას, — ყოველგვარი შემზადების გარეშეო. და უნდა ითქვას, სიცოცხლის დარჩენილი თითქმის ოთხი ათეული წლის მანძილზე (ზოგი მონაყოლით ვიცი, ზოგსაც თავად შევსწრებივარ) იშვიათი სულიერი მხნეობით ზიდა ცხოვრების ჭაპანი. პაპა შედარებით გვიან მოჰკიდებია ოჯახს, დედასაც ცოტა შეჰგვიანებია გათხოვება. ასე რომ, როცა ღმერთმა ჩემი სახით პირველი შვილიშვილი მოუვლინა ამქვეყნად პაპას, იგი 72 წლისა შეჰგებებია თავის ახალ და დიდი ხნის ნანატრ როლს; ხოლო მეორე (და უკანასკნელ) შვილიშვილს, თავის სრულ სენხიას (ვაჟისაგან რომ ჰყავდა), 80 წელს გადაბიჯებული შეხვდა და სულ ექვსიოდ წლის მანძილზე თუ ტკბებოდა მისი ყურებით. თვით ჩემს ბიძაშვილს კი, ვეჭვობ, რაიმე მნიშვნელოვანი ახსოვდეს პაპისა ან პაპაზე: ჯერ სკოლაშიც არ შესულიყო და, ესეც არ იყოს, ერთადაც არ ეცხოვრათ, სამწუხაროდ.

ჩვენი პატარა ოჯახი — პაპა, დედა და მე — ვცხოვრობდით ე. წ. „ზემელზე“, რუსული (ახლანდელი ტვერელის) ეკლესიის ქვედა კალთაზე, მოსკოვის (ამჟამად ს. ზალდასტანიშვილის) შესახვევში, ოთხ ნომერში, სხვათა შორის, ჩვენი სახლი ისტორიული იყო იმ მხრივაც, რომ 1923-24 წლებში პაპას აქ, თავის ბინაში შეფარებული ჰყავდა პარიტეტული მთავრობა, კერძოდ, მისი თავმჯდომარე კოტე ანდრონიკაშვილი, აგრეთვე: დავით ონიაშვილი, რომელიც აქ ყოფნის დროს გერმანულიდან თარგმნიდა „ფაუსტს“, იასონ ჭავჭავიშვილი, სოლომონ ზალდასტანიშვილი და სხვ. მათი უმეტესობა 1924 წლის გამოსვლების დამარცხების შემდეგ დახვრიტეს შიომღვიმეში (თ. სახოკიას ცხოვრების ამ ეპიზოდის შესახებ დაწვრილებით იხ. გაზეთი „თბილისი“, 1997წ. 20/V, გვ. 4)

გვეჭირა ორსართულიანი სახლის ზედა სართული. ამ ქუჩაზე ერთადერთი რკინის აივანი ჩვენი იყო და პაპას იგი მცენარეებისათვის ჰქონდა გამოყენებული. პატარა ქოთნებში იაჟუჟუნა (ანუ სამფერა ია) ედგა, უფრო მოზრდილში — ვარდისფერი და თეთრი ოლეანდრე, ხოლო კასრში — ლიმონი. სოხუმში დიდხანს ნაცხოვრები, როგორც ჩანს, ამ სუბტროპიკული მცენარეების მოვლით იკლავდა მშობლიური ქალაქის მონატრების ტკივილსა და ნახვის სურვილს. როგორც დედას მონაყოლიდან ვიცი, პაპასაც და ბებისაც ყვავილებიდან ყველაზე მეტად ია, ხოლო ფერებიდან იისფერი ჰყვარებიათ. ამიტომ, როცა პაპას ბებია შეურთავს და სოხუმში, მამისეულ სახლში ჩაუყვანია, ერთი ოთახი სულ იისფრად გაწყობილი დაუხვედრებია. იისა და იისფერის სიყვარული შემდგომ მთელს ჩვენს ოჯახს გადმოჰყვა მემკვიდრეობით.

ამ აივანით იწყებოდა დილა. აქ აბურებდა პაპა ჩიტებს, წყალს უსხამდა ყვავილებს და შემდეგ გარეთ გავყავდი დილის მოციონზე. ხან ხელში აყვანილი დაყავდი, ხანაც — ხელჩაჭიდებული.

დავდიოდით ე. წ. „გორკაზე“ (ასე ეძახდნენ ჩვენს სამეზობლოში, თორემ პაპასათვის იგი, ცხადია, „გორა“ იყო) — მთაწმინდის გაგრძელებაზე ვერისაკენ. ოღროჩოღრო აღმართის ცალ მხარეს ხევი იყო, სადაც უამრავი პატარ-პატარა სახლი იდგა თავისი კარ-მიდამოთი. ერთი ხელისდადება ეზოები ყველაფერს იტევდა: საქათმესა თუ ბალ-ბოსტანს, ძაღლის ზუზულასა თუ ათასგვარ საკუჭნაოს. გარდა იმისა, რომ აქ ამოვდიოდით, რათა დილის სუფთა ჰაერი ჩაგვეყლაპა (რაც პაპას აინტერესებდა, და არა მე), აქ უნდა გვენახა ყველაზე მთავარი — „იკო“, ანუ მაგიური „ყიცილყოს“ დამაძახებელი. მე სხვა არაფერი მაინტერესებდა, თუ არა მამლების გადაძახილის საკუთარი თვალთ ნახვა და ჩემი ხათრით პაპაც თავს ისე იჭერდა, თითქოს მისთვისაც ამაზე საინტერესო



ქვეყნად არაფერი ყოფილიყოს. ამ „რიტუალს“ რომ მოვილევდით, ისევე თავქვე დავეშვებოდით და შინ ორივე კმაყოფილი ვბრუნდებოდით.

რას მეძახდა, როგორ მომმართავდა პაპა? ერთი სახელი არა მქონდა, რამდენიმე სახელი მონაცვლეობდა, მაგრამ ყველაზე ხშირად მისგან „ბუ-ბული“ მესმოდა. იყო „ბარტყუნიაც“ (ან „ბარდღუნია“ ვარიანტი), „მესეფიც“ (მეგრული მითოლოგიის ჯუჯა პერსონაჟი), მაგრამ ესენი — უფრო 10 წლამდე. 10-11 წლიდან კი, როგორც „უკვე დიდს“, ერთადერთი ოფიციალური სახელით მომმართავდა.

\* \* \*

დედაჩემი სკოლის მასწავლებელი იყო. იცოდა, რომ პაპას პენსია, თუნდაც პერსონალური, ოჯახს ვერ შეინახავდა და სკოლაში თავს ძალზე იტვირთავდა: სამ წყებაში მუშაობდა და შინ გვიან ბრუნდებოდა. ამიტომ უფრო ხშირად პაპასთან მიხდებოდა დარჩენა. ისიც ათასგვარ გასართობს იგონებდა ჩემს შესაქცევად.

ერთი მათგანი იყო „აჩიკუდა, თაფლის გულა“. ზურგზე მომიკიდებდა, დადიოდა ოთახებში და, ვითომ თაფლსა ყიდდა, იძახდა: „აბა, თაფლის გულა გასაყიდი, თაფლის გულაა!“ ანდა დაჯდებოდა სკამზე ფეხიფეხგადაჯვარედინებული, ჰაერში გამოკიდებულ ცალ ფეხზე დამიყენებდა ორივე ფეხით, ერთმანეთს ხელებით ჩავეჭიდებოდით და ცალი ფეხის რწევით, ჩემიანად, იწყებდა — სტრიქონის ბოლო მარცვლის გამოყოფით და წამდერებით:

აჩუ, აჩუ, ცხე-ნო,  
საით გაგაჭე-ნო,  
ალაზანი დიდი-ა,  
შიგ ბებერი კიდი-ა,  
პური ვთხოვე, არ მაჭამა,  
ჩემი ცოდვა ჰკი-დი-ა!

ბოლო ა მარცვალზე პაპას ფეხიდან იატაკზე უნდა გადმოვმხტარიყავი და ამით თავდებოდა ეს თამაში.

დამდამობით კი, თუ დედა ჯერ კიდევ შინ არ იყო დაბრუნებული, მაძინებდა „სისატურას“ მონოტონური სიმღერით — ასეთი ვარიანტით:

სისაა, | ტურაა,  
შუქიაას | არ უკიჭო,

თორემა | პაპა მოვია,  
თოფს მოიტაანს,  
გესვრიის, | მოკაამს!

(ე. ი. მოგკლავსო, ჩემი გამოთქმის იმიტაციით).

ბოლო სიტყვას აწეული, კულმინაციური ტონით წარმოთქვამდა და შემდეგ ასე აჯამებდა:

ამას გიზაამს | ჩემი პაპაა,  
შენ არ იციი, | პაპა ვინ არიის და ა. შ.

თუკი გარეთ ჰქონდა საქმე, მეც თან დავყავდი. დავდიოდით ხელი-ხელჩაკიდებულნი. ჩემს ხელს „ბარტყს“ ეძახდა და, თუ შემთხვევით გაშვება მოუხდებოდა ნაცნობებისათვის ქუდის მოსახდელად, შემდეგ ისევ ჩამჭიდებდა ხელს და — „ბარტყი დავიჭირეო“, — მოაყოლებდა.

კიდევ რა?

კიდევ ერთი ზღაპარი გვქონდა — სამი თავისა; გრძელი და უსასრულო, რომელსაც ყოველდღე ერთად ვთხზავდით და ახალ-ახალ გაგრძელებას ვუძებნიდით. თავგების ზღაპარი იმის გამოძახილი იყო, რომ სახლში თავგები გვყავდა და, თუმცა ჩვენები ერთთავად ხაფანგის დაგებაში იყვნენ, პაპასაგან ისინი ერთობ თბილად მოიხსენიებოდნენ (იქნებ ვაჟას „სათაგურის“ გავლენით?). მათ სახელებიც კი მოვუგონეთ: რეზო, ჯენარო და ციალა. ესენი ჩემი საბავშვო ბაღის ამხანაგები იყვნენ — ზოგი უფროსი ჯგუფიდან, ზოგიც — უმცროსიდან. ერთი თუ ორი წლის განმავლობაში ამ ზღაპრებით ვიქცევდით თავს.

საბავშვო ბაღი ვახსენე. ეს მთელი ეტაპი იყო ჩემს ცხოვრებაში და ამასაც ჩვენებს, განსაკუთრებით კი პაპას უნდა ვუმაღლოდე. ალბათ, მისი პატივისცემითაც იყო, რომ დაუბრკოლებლად მოვხვდი ნატაშა უნაფქოშვილის სახელგანთქმულ ბაღში, რომელიც ძალიან ბევრს აძლევდა ბავშვს. ეს ბაღი იყო სასამართლოს (ახლანდელ ზუბალაშვილების) ქუჩაზე. იქაც უმეტესად პაპას დავყავდი და ერთი-ორჯერ დიდი შიშით ვაჭამე: ჯერ იყო და პირველსავე დღეს გამოვიპარე და იქვე ახლოს, პაპას მეგობრებთან მივედი. მეორეჯერ კი, პაპამ რომ მომაკითხა, ჭიშკრის ვიწრო კარის გადასასვლელს მოუხერხებლად გადავახტი და შუბლი გავიტეხე. ერთი სიკვდილი გაათავა მაშინ პაპამ.

პატარაობაში პაპას სულ რაღაც ცხოველები და ფრინველები მოჰყავდა ჩემთვის. გალიაში ხან კურდღლები გვყავდა, ხან — მწყურები, ხან რა და ხან კიდევ — რა. ერთხანს აბრეშუმის ჭიაც კი გვესვა (ჩემს საბავშვო ბაღში მოგვცეს). მე და პაპა ახლომანლო თუთის ფოთლის საკრეფად დავდიოდით. ერთ მშვენიერ დღეს კი უკვე კარგა მოზრდილი აბრეშუმის



ჭია ერთიანად ჭიანჭველად შეგვიჭამა, რაც ორივემ ძალიან განწუხებული ზამთრობით მუდამ ბედურების გამოზამთრებით ვიყავით დაკავებული; გაზაფხულზე კი ჩვენი აივნიდან მათ საზეიმოდ ვუშვებდით და გული გვწყდებოდა, როცა ჩვენი „შვილობილები“ „უკან მოუხედავად“ გაფრინდებოდნენ ხოლმე — მადლობის უთქმელად.

როდესაც წამოვიზარდე და მოპასანის ერთი რომანი წავიკითხე რუსულად (მგონი, „ЖИЗНЬ“ უნდა ყოფილიყო. მოპასანის ეს რომანი პაპას არ უთარგმნია), იქ აღწერილმა სიუჟეტმა გამახსენა, როგორ ცდილობდა პაპა ფრინველთა და ცხოველთა მოვლის მაგალითის ჩვენებით ზრუნვის, მფარველობისა და გულმომწყალების გრძნობების გაღვივებას ჩემში და ამის გამო მე მას ახლაც დიდად ვემადლიერები.

ფრიდონი ღა... კვამკვისია

5-6 წლისა რომ ვიყავი, ბავშვთა ოლიმპიადისათვის საბავშვო ბაღში „ვეფხისტყაოსანი“ დაგვადგმევინეს, — ცხადია, პრიმიტიულად, ჩვენს ასაკს რომ შეეფერებოდა, ისე. ძირითადი აქცენტი გოგოებს ქართულ კაბებსა და გვირგვინ-ნაწნავეებზე გვექონდა გადატანილი, ბიჭებს კი — აბჯარსა და ფარ-ხმალზე. გვამღერეს, გვაკეკვეს, ცოტა რამ გვათქმევინეს და მორჩა. მაგრამ ამან მაინც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე და შემდეგ მთელი წლის მანძილზე „ტარიელობანას“ ვთამაშობდით.

„ვეფხისტყაოსანს“ პატარაობიდანვე ვიცნობდი. შინ ბევრი სხვადასხვა გამოცემა გვექონდა. შინაარსიც (ჩვენების მონაყოლით) და ყველა პერსონაჟის სახელიც კარგად ვიცოდი. სათამაშო კარტში „დამებსა“ და „ვალეტებს“ შორის მთავარ გმირებს თავ-თავისი ადგილი ჰქონდათ მიჩენილი. — ნესტანი და ტარიელი, თინათინი და ავთანდილი, — ასე ვალაგებდი კარტს, მაგრამ ფრიდონისათვის ვეღარ მომეძებნა მეწყვილე და პაპას ერთთავად ვეკითხებოდი, ფრიდონის ცოლს რა ჰქვია-მეთქი. არა ჰყოლიაო ცოლი, — მეუბნებოდა, მაგრამ მაინც ისევ და ისევ ვეკითხებოდი, იქნებ ახლა მაინც წამოვაცდევინო-მეთქი: ფრიდონის მიმართ განსაკუთრებული გრძნობა მქონდა, რადგან ჩემს გვარში მისი სახელი ერია. ერთხელაც, თავი რომ მოვაბეზრე იმავე კითხვით, მიპასუხა: რა ერქვა და... კვეკვესიაო. თუმცა ამაზე დედაჩემმა გულიანად გადაიკისკისა, რასაც უნდა შევეფუჭებინე, მაგრამ ისე მინდოდა ფრიდონის დაწყვილება, რომ დავიჯერე, ოღონდ სხვისთვის ამის შესახებ არაფერი მითქვამს. ამიერიდან ჩემს კარტში გულის „ვალეტი“ და „დამა“ ფრიდონად და კვეკვესიად მოვნათლე და ამ ამბით ჩვენები კარგა ხანს ერთობოდნენ.



DICTUM – FACTUM

პაპას პირადი ნივთებიდან ყველაზე ახლო ურთიერთობა მქონდა მის შვეიცარული სისტემის ჯიბის საათთან, რომელიც ეილეთის ჯიბეში ჰქონდა დამაგრებული, და ძელქვის ჯოხთან, რომელიც მოხუცებულობაში მისი განუყრელი თანამგზავრი იყო. თუ კარგად მოვიქცეოდი, მიმიხმობდა თავისთან საათის მექანიზმის საჩვენებლად, რომლის ყურებაც რატომღაც ძალიან მიზიდავდა. საათი ორი საკეტით იკეტებოდა და ახლაც ყურში მიდგას ამ საკეტების ტკაპუნის ხმა.

რაც შეეხება ჯოხს, რომელსაც ცხენად ვიყენებდი, იგი მართლაც ისტორიული იყო: პაპას ხეებიდან ყველაზე მეტად ძელქვა უყვარდა და სწორედ მისგან გამოათლევინა ჯოხი, ზედაც ლათინურად ამოატვიფრინა სიტყვები Dictum - Factum. თუ ვინმე ცნობისმოყვარე შეეკითხებოდა, რას ნიშნავსო, — განუმარტავდა: რასაც ვიტყვი, ავასრულებ კიდევცო. საერთოდ, სიტყვისა და საქმის ერთიანობა პაპას ცხოვრების ზნეობრივ პრინციპად ჰქონდა ქცეული. ცოტაა ვთქვათ, რომ თედო სახოკია იყო ნამდვილი რაინდი თავისი სიტყვისა. მხოლოდ დასაიმედებლად და გულის გასაკეთებლად პირობას არავის მისცემდა, ხოლო, თუკი შეჰპირდებოდა ვინმეს რასმე, უსიკვდილოდ აღასრულებდა კიდევც.

თვითონ რომ ასეთი იყო, ალბათ, ამიტომ სხვასაც იმავეს სთხოვდა, და თუ ეს სხვა პაპას პრინციპებისაგან შორს იდგა, პაპა, რასაკვირველია, გაუგებრობას უსიამოვნებაში არ გადაზრდიდა, ოღონდ უსათუოდ კი შენიშნავდა ნახევრად ხუმრობით: „პარიზში ასე არ იცინაო“.

საერთოდ, ევროპაში ხანგრძლივმა ცხოვრებამ აკურატულობის თანდაყოლილი ჩვევა კიდევ უფრო განუმტკიცა და მუდამ ცდილობდა (თუმცა ხშირად ამაოდაც) ევროპული წესრიგის გადმონერგვას ჩვენს ყოფაში. მახსოვს, როგორ აღიზიანებდა სათხოვნელად მიცემული წიგნის დაგვიანება, ან — კიდევ უარესი — საერთოდ დაუბრუნებლობა. აკი ხშირად ჩიოდა: საქართველოში პირადი ბიბლიოთეკის შექმნა შეუძლებელიაო. რამდენიმე მოზრდილი უბის წიგნაკი გავსებული ჰქონდა წიგნის წამლებთა სიებიტ, მაგრამ სია სიადგე რჩებოდა: წაშლილი გვარები იქ თითო-ოროლა თუ იყო. უმეტესობა, როგორც ჩანს, არ აბრუნებდა. ჰკუთას კი მაინც ვერ სწავლობდა: წიგნის თხოვებაზე უარის თქმა უჭირდა (ერიდებოდა). ასე დაგვეკარგა უამრავი წიგნი.





სწავლა-აღზრდის შინაური გაკვეთილები ხან საჩინო იყო, ხანაც (უმეტესად) — უჩინო. ქუჩაში გასვლისას პაპა მარჯვნივ ამომიყენებდა ხოლმე: მარჯვენა ხელი მუდამ თავისუფალი უნდა გქონდესო — მისასალმებლად, მოსაგერიებლად ან დაცემისას ხელის წასაშველებლად.

მაშინ ამაზე არ მიფიქრია, მაგრამ ახლა რომ წარმოვიდგენ ამ სცენას — ჩემს თავს, მის მარჯვნივ მიმავალს, პაპას მარჯვენა ხელზე რომ ვიყავი ჩაფრენილ-ჩამოკიდებული, გამოდის, რომ თვითონ საკუთარი მარჯვენა მუდამ ჩემით ჰქონდა დაკავებული, რაც დიდ უზერხულობას უქმნიდა: მას ბევრი ხალხი იცნობდა და ესალმებოდა. ისიც წამდაუწუმ ხელს მიშვებდა, ნაცნობებს ქუდს (შლაპას) უხდიდა, ქალებს ხელზე ეამბორებოდა. მე ვცელქობდი, ხელს არ ვანებებდი. ყასიდად მიჯავრდებოდა: მოიცა, რა ვქნა, სირცხვილია, რას იტყვიანო. ასე ჭიდაობითა და რის ვაი-ვაგლახით ასრულებდა მისალმების ამ სავალდებულო რიტუალს.

ასეა თუ ისე, იმ დროიდან მყარად შევითვისე, რომ ნებისმიერი ტვირთი მარცხენა ხელით უნდა მეზიდა, რათა მარჯვენას ყველა ხიფათი აეცდინა. რაც მთავარია, ჩამომიყალიბდა ხატოვანი ასოციაცია — გამარჯვების დაკავშირება მარჯვენასთან, დამარცხებისა კი — მარცხენასთან. ეს იყო ჩემი პირველი ხალხური, მაგრამ სწორი ეტიმოლოგია.

მაგონდება კიდევ ერთი მეტად დასამახსოვრებელი „პედაგოგიური გაკვეთილი“. იგი ბოკაჩოს „დეკამერონის“ წაკითხვას უკავშირდება.

მეოთხე კლასში გახლდით. პარალელურად სამუსიკო სკოლაშიც ვსწავლობდდი, იქაც მეოთხე კლასში ვიყავი, — ჩემი იქაური ამხანაგებიდან თითქმის ყველაზე უმცროსი. ერთხელ, სოლფეჯიოს გაკვეთილზე, თვალი შევასწარი, რომ ჩემზე ორი-სამი წლით უფროსი გოგოები მერხის ქვეშ რაღაც წიგნს კითხულობდნენ. ცხადია, დავინტერესდი, მაგრამ ახლოც არ მიმიშვეს: ეს „დეკამერონია“ და შენთვის ჯერ ადრეაო. ვიცოდი, რომ ეს წიგნი პაპას თარგმნილი იყო, მაგრამ, ვინაიდან მას სახლში არავინ მიმალავდა — პირდაპირ პაპას საწერი მაგიდის თაროზე იდო გამოსაჩენ ადგილას, ცოტა არ იყოს, შევეჭვდი: ალბათ, სხვა „დეკამერონია“-მეთქი. შინ რომ დავბრუნდი, ყოველი შემთხვევისათვის ჯერ დედას დავეკითხე, „დეკამერონი“ რამდენია-მეთქი. რამდენი უნდა იყოს, — რა თქმა უნდა, ერთიო, — მიპასუხა, მაგრამ შევატყვე, ამის შესახებ პაპას გაფრთხილებას აპირებდა. ამიტომ დავასწარი და პირდაპირ პაპას მივმართე. იგი უფრო „პედაგოგიურად“ შეხვდა ამ კითხვას: — აი, ეს წიგნი. რაკი ასე დაინტერესებულხარ, წაიკითხე და, თუ რამეს ვერ გაიგებ, მერე ვისაუბროთო. მე სურათები ისედაც დათვალიერებული მქონდა, დასაწყისიც — ნაწილობ-



რივ წაკითხული. ამიტომ, რაკი პაპასაგან არავითარ წინააღმდეგობას  
წავწყდომივარ, „აკრძალული ხილის“ პრინციპით, ინტერესიც დამეკარგა  
(რომ აეკრძალათ, ცხადია, მაშინვე ჩაკირკიტებით წავიკითხავდი).

მხოლოდ გვიანლა მივუბრუნდი ამ წიგნს. მაგრამ მაშინ უკვე შინაარსი  
იმდენად აღარ მაინტერესებდა, რამდენადაც პაპას თარგმნის ხელოვნება.  
ასე რომ, თუმცა ამ წიგნის ნაადრევი გაცნობა არ შემდგარა, პაპას  
მოუხელთებელი პედაგოგიური უნარის წყალობით, ამაზე ყურადღება  
არ გამახვილებულა და ყველაფერმა სრულიად უმტკივნეულოდ ჩაიარა.

თედო სახოკიას მწიგნობრივი ბაკჰეტილიკი

ჩემთვის ხშირად უკითხავთ: მეგრელ-იმერელი ხარ და აღმოსავლურად  
პაპას (და არა ბაბუას) რატომ ეძახდიო. ეს უთუოდ იმ ლინგვისტური  
ორიენტაციის „ბრალი“ (თუ „წყალობა“) უნდა იყოს, თედო სახოკიამ  
რომ დაამკვიდრა თავის ოჯახში. ვისაც რამე წაუკითხავს მისი  
ცხოვრების შესახებ, იმან იცის, რომ პაპამ მოღვაწეობა მასწავლებლობით  
დაიწყო გორის მაზრის სოფელ ტირძნისში და ხუმრობით არაერთგზის  
უთქვამს: ქართლში უფრო ბევრი ვისწავლე, ვიდრე ვასწავლეო. სწორედ  
აქ ჩაეყარა საფუძველი ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმებისა და ანდაზე-  
ბის შეგროვებას. ასე რომ, სამეგრელოში დაბადებულ-გაზრდილის წიგნით  
ნასწავლმა ქართულმა თანდათან ქართლური მეტყველების ელფერი  
შეიძინა და, ჭაბუკობიდან მოკიდებული, სალიტერატურო ქართულის ეს  
საყრდენი კილო მუდამ ბურჯად ჰქონდა შეყენებული მის მართლაც მდი-  
დარსა და წვნიან ენას, რეზო ინანიშვილი „შამპანურივით შუშხუნას“ რომ  
უწოდებდა. ქართლურივე ქართულით დაზარდა პაპამ ძიძა-გადიებისაგან  
მობრუნებული და მეგრულად ამეტყველებული ადრე დაობლებული შვი-  
ლები (ე. ი. დედაჩემი და ბიძაჩემი), შემდგომ კი — მეც.

მეტყველების ეტიკეტს დიდი ყურადღება ექცეოდა ჩვენს ოჯახში. შა-  
ბათ-კვირაობით ეზოს მხრიდან მოგვადგებოდა ერთი მეზობელი, თით-  
ქმის პაპას ხნისა, კარზე მოგვიკაკუნებდა და კოლორიტული კახური კი-  
ლოთი იკითხავდა: „ბატონი თედო შინა ბრძანდება?“ პაპასაგან სულ  
პატარაობიდანვე ვიცოდი, რომ „ბრძანდება“-ზე უნდა შემეგებებინა „გახ-  
ლავთ“ (ან „არ გახლავთ“), და თუ პაპა შინ არ იყო და კარს მე ვაღებდი,  
მივუგებდი: „არ გლახავთ“, თან მიკვირდა, ამ უფროსებს ასე რა ამხიარ-  
ულებთ-მეთქი. ასოების გადაადგილებით გამოწვეული ეს საყმაწვილო  
დეფექტი, რომელიც სკოლაში მისვლისას აღმომეფხვრა, ცხადია, შინაურ-  
თა ჩვეული მეტყველების ჩემებური მიბაძვით გამომიმუშავდა. ასევე, თუ  
პაპაზე ვიტყვოდი, ეს პაპაჩემია-მეთქი, პაპა გამისწორებდა, მე კი არა ვარ



პაპაშენი, შენა ხარ ჩემი შვილიშვილიო. ასეთი უფროს-უმცროსობის, ნიუანსებით იყო „მოჩუქურთმებული“ პაპას მეტყველება, რომლის ეშხში მეც თანდათან შევდიოდი.

თედო სახოკია თავისი დროის პოლიგლოტი იყო: შესანიშნავად იცოდა რუსული და ვეროპული ენები. ნამდვილი პატრიოტობა მისთვის კულტურასა და განათლებას ნიშნავდა, ხოლო კუთხური კარჩაკეტილობა პრინციპულად მიუღებელი იყო. მთელი თავისი ცოდნა და ენერგია მან ქართული კულტურის დასავლურ კულტურასთან დაკავშირებას მოახმარა — თუ თარგმანების გზით, თუ უცხოეთის ამბების პუბლიკაციებით, თუ საქართველოს შესახებ უცხოეთში ნარკვევების გამოქვეყნებით.

უნებლიეთ მახსენდება ჩემი ორი დიდი მასწავლებლის — არნოლდ ჩიქობავასა და ივანე გიგინეიშვილის ნათქვამი ენების ცოდნასთან დაკავშირებით: ბ-ნ არნოლდს უთქვამს, ჩვენს სინამდვილეში რუსულის უცოდინანრობა პროვოკაცია არისო; ბ-ნი ივანეს აზრით კი, ზოგის პატრიოტობა ჩვენში ხშირად მხოლოდ ქართულის ცოდნაზეა დამყარებული, ხოლო ზოგის კოსმოპოლიტიზმი — მხოლოდ უცხო ენების ცოდნაზეო. უცხო ენებთან დაკავშირებით აქვე უნდა გავიხსენო პაპას ანდერძის ის ადგილი, სადაც იგი თავის თარგმანებს ეხებოდა: „ფრანგულიდან ჩემს თარგმანებს რედაქტორობა გაუწიოს გერონტი ქიქოძემ და სხვამ არავინ!“ ამ ბოლო ორ სიტყვას ანდერძში ხაზი ჰქონდა გასმული.

მიუხედავად იმისა, რომ პაპამ რამდენიმე ენა იცოდა, ნარევი ენით ლაპარაკი ჭირის დღესავით სძულდა. თვითონ ხომ არა და არ ლაპარაკობდა, სხვისგანაც ვერ ითმენდა მსგავს მეტყველებას. სიტყვამ მოიტანა და აქვე ვიტყვი, რომ პაპას სალიტერატურო ქართული, ზოგჯერ პურისტული ტენდენციებითაც აღბეჭდილი, ხშირად სხვადასხვა თავშესაქცევი ამბისა თუ ანეკდოტური შემთხვევის წყაროდ ქცეულა. მე თავად არაერთხელ შევსწრებივარ გასტრონომსა თუ პურის მალაზიაში გათამამებულ სცენებს, როცა შექრის ფხვნილსა და „პესოკთან“, ანდა „სერ პურთან“ დაკავშირებით ხანგრძლივი დისკუსიები იმართებოდა. დაახლოებით იგივე მეორდებოდა რუსულად (ხშირად — დამტვრეული რუსულით) მოანგარიშე მოლარეებთან. არ მახსოვს, პაპას ოდესმე გულგრილად ჩაეგლოს ქართულის დამახინჯების თუნდაც ერთი ფაქტისათვის. მაგონდება, პირველად მეხამუშებოდა კიდევ ამ დებატების მოსმენა, პაპას სახელოზე ვექაჩებოდი, წასასვლელად ვაჩქარებდი, მაგრამ თედო სახოკია რის თედო სახოკია იქნებოდა, დედაენის ხელყოფა რომ შეერჩინა ვინმესათვის. ასეა თუ ისე, ყოველივე ამან შედეგად ის ნაყოფი გამოიღო, რომ შემდგომ მეც, ჯერ კიდევ ბავშვი, საკუთარ სიმართლეში დარწმუნებული, თავს უფლებას ვაძლევდი, უფროსებისათვის, ვინც უნდა ყოფილიყო იგი, გამესწორებინა დამახინჯებული (ჩემი აზრით) ქართული, რის გამოც ხშირობით „პაპამისის ნატეხის“ წოდებაც დამიმსახურებია.



ჩემთვის ისიც ხშირად უკითხავთ, თარგმნას თუ გასწავლილნი კითხვას უარყოფითი პასუხი უნდა გავცე და ესეც პაპას „პედაგოგიური სვლა“ იყო. მახსოვს, ერთხელ ვთარგმნე ჯერომ ჯერომის „სამნი ერთ ნაგში“-ს ნაწყვეტი. პაპა სულ არ ჩარეულა, მაგრამ წაიკითხა და ერთადერთი შენიშვნა მომცა: ყურადღება მიაქციე ნაცვალსახელების ხმარებასო, — ქართულს ხშირად არ სჭირდებაო ისინი. მეტი არაფერი. „მწიგნობრის“ მკითხველისათვის ალბათ გასაგებია, რომ პრაქტიკოს მთარგმნელს, ევროპული ენების ჩინებულ მცოდნეს, ამას ქართული ზმნის თავისებურება ალაპარაკებდა.

მაგრამ ყველაზე თვალსაჩინო „ენობრივ გაკვეთილზე“ ჯერ არაფერი მითქვამს. მთელი ბავშვობა და ახალგაზრდობა, როგორც უკვე აღვნიშნე, ზემელის უბანში გავატარე. როგორც ძველი თბილისის ტიპობრივ ეზოში, ჩვენთანაც სხვადასხვა ეროვნების მობინადრენი ცხოვრობდნენ და, თუმცა შიგადაშიგ არცთუ კეთილშობიანი ჯაჯღანის ხმაც გაისმოდა ხოლმე (ძირითადად კომუნალურ თემებზე), კეთილმეზობლური ურთიერთობა ეროვნული შუღლით არ იწყამლებოდა. დედას ნაამბობიდან ვიცი, რომ, ვიდრე სკოლაში შევიდოდი, პაპას უთხოვია არაქართველი ახლო მეზობლებისათვის, ჩემთან მხოლოდ ქართულად ელაპარაკათ. ერთ რამედ ღირდა ამ ლინგვისტური ექსპერიმენტების მოსმენა: როგორ წვალობდნენ და ჯახირობდნენ ჩვენი მეზობლები, რომ პაპასათვის არ ეწყენინებინათ და მისი თხოვნა შეესრულებინათ. სამაგიეროდ, ცოტა რომ წამოვიჩიეტე და სასკოლოდ მოვმწიფდი, თხოვნა შეიცვალა: ახლა მათვე არათუ ნება მიეცათ რუსულად ლაპარაკისა, არამედ ეთხოვათ კიდევ, რაც შეიძლება მალე გაეტეხინებინათ ჩემთვის ენა.

მაშინ ამ საკითხებზე, რა თქმა უნდა, არ დავფიქრებულვარ. მოგვიანებითლა გავიგე — ჯერ ისევ პაპასაგან, შემდეგ კი უნივერსიტეტში სწავლისას, რომ დედაენაზე სწავლის დაწყება — ეს მთელი თეორია ყოფილა, ჩვენი წინა თაობების მოწინავე მოღვაწეებს რომ ჰქონიათ შემუშავებული. ქართველ მკითხველს უთუოდ მოეხსენება, რომ საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ეს საკითხი თავის წესდებაში საგანგებოდ პარაგრაფადაც კი ჰქონდა შეტანილი...

ბედნიერი ვარ, რომ ამ მართალი ენობრივი პოზიციის მადლსა და სიკეთეს ბავშვობიდანვე მაზიარა სწორედ პაპაჩემმა — თედო სახოკიამ.

### „ჩემოა სალიტერატურო ნაშრომთა ბენიამინა“

თედო სახოკიას თავისი ავტობიოგრაფიის ერთ ადგილას უწერია: „ქართულ ხატოვან თქმათა ლექსიკონი“ და „ქართული ანდაზები“... უნდა გახდეს ჩემთა სალიტერატურო ნაშრომთა ბენიამინე“.



ეს სიტყვები ბავშვობიდანვე მქონდა წაკითხული და კარგად მახსოვს ის შთაბეჭდილება, რომელიც მაშინ სიტყვა „ბენიამინემ“ ჩემზე მოახდინა. ვიცოდი, რომ ეს იყო კაცის სახელი. ჩვენი ახლობლებიდან ეს სახელი ერქვა მხოლოდ ბიძაჩემის, ვახტანგის, უახლოეს მეგობარს — იურისტ ბენო ხომერიკს. რატომღაც თავის დროზე პაპასათვის არაფერი მიკითხავს ამის თაობაზე და ამიტომ დიდხანს დარწმუნებული ვიყავი, რომ პაპას სიტყვები ძია ბენოს ეხებოდა, ვინაიდან იგი, როგორც პრაქტიკოსი ადვოკატი, შესანიშნავი ორატორი იყო (ბიძაჩემის სახლში წვეულებებს მუდამ ის თამაშობდა და მისი მჭევრმეტყველება ყველას ხიბლავდა). ხატოვანი თქმებიც ამიტომ ბუნებრივი ასოციაციით მის სახელს მიეჯახვა. მხოლოდ მოგვიანებით, როცა ბიბლიის სათანადო ადგილი წავიკითხე, გავიაზრე პაპასეული ფრაზის რეალური შინაარსი.

მაგრამ მთავარი მაინც თვით პაპას მუშაობა იყო ამ მასალაზე. როგორც თედო სახოკიას ავტობიოგრაფიიდან ჩანს, ამ საქმიანობას — ხალხური სიბრძნის ნიმუშთა შეგროვებას — საფუძველი ჩაჰყრია სულ ახალგაზრდობიდან, როცა ქართლის ერთ-ერთ სოფელში, ტირქნისში (გორის რაიონი) პაპას მასწავლებლობა დაუწყია. ეს საქმიანობა პაპას სიკვდილამდე არ შეუწყვეტია. მუშაობა მიმდინარეობდა ორი მიმართულებით: ერთი იყო ამობარათება ქართველ მწერალთა ნაწარმოებებიდან, მეორე კი — ველზე მუშაობა, მასალის ჩაწერა ცოცხალი ინფორმანტებისაგან, რისთვისაც პაპა იყენებდა ქუჩასაც, ბაზარსაც, სტუმრად ყოფნასაც და ა. შ.

ხატოვანი სიტყვა-თქმების შეგროვებისას პაპას ინფორმანტები უმეტესად აღმოსავლეთ საქართველოდან ჰყავდა. მათ ყველაგან ეძებდა და არა მარტო პოულობდა, არამედ უმეგობრდებოდა კიდევ. მაგრამ იყო კურონებიც: ერთი მენობელი გვყავდა, ყსაბი. კვირაობით სასაკლაოზე დადიოდა და იქიდან შინ ხშირად ნასვამი ბრუნდებოდა. სიფხიზელში რაც კი გაახსენდებოდა ხატოვანი სიტყვა ან გამოთქმა, აწერიებდა ხოლმე პაპას, სიმთვრალეში კი მოაგონდებოდა, რომ სახლის საქმეებთან დაკავშირებით სასამართლოზე პაპა მოწმედ მის მოწინააღმდეგეს დაუდგა, და გუნება ემღვრეოდა. ერთხელაც, ამგვარი გრძნობების „შემოტევისას“, ნასვამს პაპასთვის ეთქვა: „თედო, სისხლს რად იძლევიო!“ (ე. ი. რად მეკვლევივინებო). პაპას, თავისი მიამიტობით, უფიქრია, მასალას მაწერიებო, და მიძახა: — „დაიცა, არ დაგავიწყდეს, ახლავე ფანქარსა და უბის წიგნაკს გამოვიტანო“. მერეღა მიმხვდარა ილიომის ჭეშმარიტ აზრს, მაგრამ პაპას გულუბრყვილო რეაქციას „სისხლის მაძიებელი“ დაუბნევია და სიტუაციაც ბუნებრივად განმუხტულა. ასე იხსნა პაპა ხატოვანი სიტყვისათვის თავდადება და თავდავიწყებამ ყოფითი უსიამოვნებისგან, რასაც ხშირად სიცილით იგონებდა და სიამოვნებით ხელეხს იფშვენტდა.

ადამიანთა მრავალფეროვან კლასიფიკაციებს შორის არსებობს ასეთიც: ერთ კატეგორიას ძალიან უყვარს — და ამიტომ აქვს კიდევ — ლამაზი ნივთები, მეორე კატეგორია კი გულგრილია ასეთი ნივთებისადმი, ყოველ შემთხვევაში, არ ცდილობს მათ შექენას: სისადავე მეტ კმაყოფილებას ანიჭებს.

თედო სახოკია სწორედ ამ მეორე კატეგორიას განეკუთვნებოდა. ამ მხრივ იგი ნამდვილი პურიტანი იყო. თითქმის არაფერი გვექონდა სახლში ისეთი, რაც ძალიან არ გვეჭირდებოდა. მხოლოდ კედელზე ჩამოკიდებულ სურათებს ან კიდევ არქეოლოგიურ კოლექციას თუ ეთქმოდა ფუფუნების საგნები.

პაპას სამუშაო ოთახის კედლის ბინადრები ორგანული ნაწილი იყო თედო სახოკიას გონებრივი და სულერი ცხოვრებისა.

ერთი კედელი ილია ჭავჭავაძის უზარმაზარ პორტრეტს ეჭირა. ილია სრულიად განსაკუთრებული და ღრმა სიყვარულით უყვარდა პაპას. საწერი მაგიდის თავზე ეკიდა პაპას უახლოესი მეგობრების — შიო არაგვისპირელის, ვასილ ბარნოვისა და ალექსანდრე მიქაბერიძის გრაფიკული პორტრეტები, რომლებიც პაპამ საგანგებოდ ერთ მხატვარს (თუ არ ვცდები, გ. ფეკლისტაშვილს) ფოტოებიდან გადაახატვინა. საწოლის თავით პაპას ცოლოურის, ე. ი. ბებიჩემის საგვარეულოს დამონტაჟებული სურათი ეკიდა, სხვა კედლიდან კი თამარ მეფე, დიმიტრი ყიფიანი, გარიბალდი და მოპასანი (პაპას უსაყვარლესი მწერალი) იმზირებოდნენ.

სურათების ამ გალერეას აგვირგვინებდა იტალიური ხელოვნების ნიმუშთა რეპროდუქციები და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ნაგროვები ნივთების ისტორიულ-არქეოლოგიური კოლექციები. ასე რომ, პაპას კაბინეტში შემოსულს თავი მუზეუმში ეგონებოდა. პაპაც ხალისით კისრულობდა ექსკურსიამძღოლის როლს. ჩვენს ოჯახში იმხანად საკმაოდ ბევრი ხალხი დადიოდა — სრულიად სხვადასხვა ასაკისა, და მათთან ერთად მეც ხშირად ვისმენდი ნებაყოფლობითი გიდის ახსნა-განმარტებებს, ყოველ ახალ ცდაზე ახალი დეტალებით გამდიდრებულს.

აი, სულ ეს იყო ჩვენი „ფუფუნების საგნები“. სამაგიეროდ, ეს „არაპრაგმატული“ ნივთები იყო ის ყოველდღიური სულიერი საზრდო, ხსოვნის სახით რომ გვიყალიბდება და დიდაქტიკის გარეგნულად უტყვ, მაგრამ რეალურად ძალზე მეტყველ და მოქმედ საშუალებას რომ წარმოადგენს.

თედო სახოკიას პურიტანიზმი მთლიანად თუ ნაწილობრივ მისი სპარტანელობიდან გამომდინარეობდა. ვაჭირვება მუდმივ თანამგზავრად ახლდა. ამიტომ მაქსიმალისტი არასდროს, ყოველ შემთხვევაში, მოხუცე-



ბულობაში არ ყოფილა. ცხოვრებისაგან ბევრს არც ელოდებოდა. ეძებდა. მაქსიმუმს მხოლოდ საკუთარ თავს სთხოვდა, ყოფაში კი მინიმუმითაც კმაყოფილდებოდა. კომფორტის მცირე გამოვლინებაც კი სათავისოდ არ მიიჩნდა და მყისვე აირეკლავდა. ასე, მაგალითად, სიცოცხლის ბოლომდე უბრალო რკინის საწოლზე ეძინა, რომელსაც ლეიბქვემ ფიცრები ჰქონდა დაგებული, და ყოველი ჩვენი ცდა, ფიცრები ბადით შეგვეცვალა, მარცხით მთავრდებოდა.

საზოგადოდ, ბუნებრივ საშუალებებს ამჯობინებდა ყველაფერში. ტექნიკით, რადიოთი, ტელეფონით არ სარგებლობდა: დროის დაკარგვისა ეშინოდა. თავს მიწით (თეთრი თიხის გუნდით) იბანდა, უმეტესად — ჩემი დახმარებით; პარიკმახერი შინ დაუდიოდა: მეზობელი იყო, ქუჩის გადაღმა ცხოვრობდა და მამაბაბური წესით ჰპარსავდა; ჰყავდა „ქარის ექიმიც“. ასე ეძახდა თავისი უახლოესი მეგობრის — შიო არაგვისპირელის ქალიშვილს — ნათელა დედაბრიშვილს; ჰყავდა კიდევ უფრო შინაური ექიმი, ჩვენი ქვედა მეზობელი — მარია ივანოვნა სტარცევა, რომელიც ფერშლად მუშაობდა სამკურნალო კომბინატში, მაგრამ ბევრ ახლანდელ ექიმს სჯობდა განსწავლულობითა და გამოცდილებით. თუ რამე გაუჭირდებოდა პაპას, ჯოხით დაუბრაახუნებდა იატაკზე და ისიც, რა დროც უნდა ყოფილიყო, მაშინვე ამოვიდოდა შპრიცითა და საჭირო წამლებით ხელში. ნამდვილი გაჭირვების ტალკვესი იყო. ჰყავდა ე. წ. „ადიუტანტიც“ — ნიკოლაი დმიტრიევიჩ სტრელკოვი, ძალიან კოლორიტული პიროვნება, რომელიც ეგზავნებოდა პაპას სხვადასხვა ყოფითი საქმის მოსაგვარებლად. მრავალი ხელობა ენერჩებოდა: ხან ციგას გამიკეთებდა ზამთარში სასრილოდ, აღდგომას ლამაზად მოხატულ კვერცხებს მომიტანდა და ა. შ. ოჯახში ძალიან გვიყვარდა და ბატვისა ვცემდით. იმასაც ღვიძლ და ახლობელ ადამიანებად მივაჩნდით. ახლოს ცხოვრობდა ჩვენთან და თითქმის ყოველდღე ამოდიოდა.

შემოდგომაზე ერთი დიდი საქმე ელოდა პაპას: შეშის ყიდვა. ჩვენ ყველა ძალიან მცივანები ვიყავით და ამიტომ შეშას ბევრს ყიდულობდა — წელიწადში 10-12 კუბმეტრს. მოიყვანდა მხერხავს, სადილს თვითონ დაუმზადებდა, ღვინითაც გაუმასპინძლდებოდა და დიდხანს მუსაიფობდა მასთან, როგორც კარგა ხნის მეგობართან, შებინდებისას კი ორივე კმაყოფილი შორდებოდა ერთმანეთს.

საჭმელ-სასმელებიდან პაპა მუდამ არჩევდა იმას, რაც სასარგებლო იყო. გაჭირვების მიუხედავად მუდამ გამოუღლეველი გვქონდა: თაფლი, ჩაი, ლიმონი, ასკილი, მაწონი და ნიორი. სახლში ხშირად ორ-ორი სადილი კეთდებოდა. წვენი (სუპი), კატლეტი და ამგვარი რამეები დედას უნდა გაეკეთებინა. სამაგიეროდ, ღომი, ზუთხი, ხაში და ლობიო პაპას საქმე იყო და ძალიან გემრიელადაც აკეთებდა. ამ სადილით უმასპინ-



ძლდებოდა სამეგრელოდან ჩამოსულ ნათესავებს ან თავის ძველ მეგობრებს. სადილს მუდამ სამ პატარა ჭიქა ღვინოს აყოლებდა. სადილის შემდეგ მუდამ ამ სიტყვებს წარმოთქვამდა: „გმაილობ, შენ, უფალო, რადგან განმადღე მე“. ამას მოსდევდა საათნახევრიანი ან ორსაათიანი ძილი, შემდეგ — ისევ მუშაობა თავის ნაწერებზე და, ბოლოს, მზადება სტუმრად წასასვლელად, სადაც ზუსტად რვა საათზე უნდა ყოფილიყო. ეს იყო საღამოს ვიზიტები პაპას მეგობრებთან, რომელთაგან თითოეულს კვირის გარკვეული დღე ჰქონდა გამოყოფილი და რომლებთანაც ბავშვობაში მეც დავყავდი.

### სა(ო)ჯან(ო) საღამო(ო)ები

უკვე ვისაუბრე თედო სახოკიას პედაგოგიურსა და ენობრივ გაკვეთილებზე. მაგრამ ადამიანური ურთიერთობისა და კულტურის ყველაზე შთამბეჭდავი გაკვეთილები მაინც პაპას მეგობრებთან საღამოს ვიზიტების დროს მივიღე. როგორც ზემოთ აღვნიშნე, მათთვის კვირის თითო დღე იყო გამოყოფილი. შეიდივე დღე დაკავებული გვქონდა. აი, ამ საოჯახო საღამოების განრიგიც: ორშაბათობით საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან — კალისტრატე ცინცაძესთან დავდიოდით. ერთი უცნაურობა მჭირდა ამ არაჩვეულებრივ, სპეტაკ და კრისტალურ ადამიანთან შეხვედრისას: ძალზე განვიცდიდი, როცა პაპა მოიხრებოდა და ხელზე ეამბოროებოდა „პაპა კალისტრატეს“. ჩემთვის ორივე ერთნაირი პაპა იყო და რატომღაც პაპაჩემის დამცირებლად მიმაჩნდა ეს ამბორი. ამიტომ სიონის ეზოში გავიჩინე ამხანაგი (მგონი, უშანგი ერქვა სახელად). ცოტა ხანს იმასთან ვითამაშებდი, რომ ამბორის სცენა არ მენახა, და მერე შევრბოდი სახლში, სირბილისა და თამაშისაგან გახურებული. კათოლიკოსი შუბლზე მაკოცებდა და საღამოც წესისა და რიგისამებრ ჩაივლიდა. ყოველ აღდგომას გვიგზავნიდა საეკლესიო წიგნს წარწერით — „ქრისტე აღდგა!“ პაპაც (ჩემთან ერთად ან ცალკე) უსათუოდ მიაშურებდა სიონს და მასაც ულოცავდა. თვითონ არ მოვსწრებდით ამ პროცესს, მაგრამ დედასაგან ვიცო, რომ პაპა ეხმარებოდა ხოლმე კათოლიკოსს უცხოურ ენებზე ეპისტოლეებისა თუ მილოცვების ტექსტის შედგენაში.

სამშაბათს ალექსანდრე მიქაბერიძის — ელინური მითებისა და „ილიადის“ მთარგმნელის ოჯახის სტუმრები ვიყავით. ზოგჯერ გზად ვუკოლბერიძესთანაც შევივლიდით (აბაკელიას ქუჩაზე, ბავშვთა საავადმყოფოსთან). ოთხშაბათს ექიმ-გინეკოლოგთან, პროფ. ევგენი შალამბერიძესთან დავდიოდით. ახლაც თვალწინ მიდგას მისი კეთილი და ალერსიანი სახე. ხუთშაბათი შიო არაგვისპირელის (დედაბრიშვილების) ოჯახს ეკუთვნოდა,





პარასკევი — სოლომონ ცაიშვილსა და მის ოჯახს, შაბათი, <sup>პარასკევი</sup> კოლა ყავრიშვილს, ხოლო კვირა — ვასილ ბარნოვის ოჯახს — ბარნაველებს, როგორც პაპა ეძახდა.

დავდიოდით გერმანული სიზუსტით. რვა საათზე უსათუოდ ადგილზე უნდა ვყოფილიყავით. როგორც იხსენებენ, ჩვენს ზარსა თუ კაქუნზე საათის გასწორებაც კი შეიძლებოდა. თითქმის ყველგან პაპას თან დაჰქონდა ცოტაოდენი (ერთი ან ნახევარი კილო) შაქარი და თითო ბოთლი „მუკუნანი“. პაპა ჩაისაც ბევრს სვამდა და შაქარსაც ბევრს იყრიდა. იმხანად კი შაქარი ჭირდა და პაპას არ უნდოდა, მასპინძლებს ოდნავ მაინც ეზარალათ ჩვენი სტუმრობით.

ამ საღამოების მნიშვნელობა, ცხადია, ბავშვობაში სათანადოდ არ მქონდა გაცნობიერებული. აქ გამართული დარბაისლური ბაასი ამალეებულ თემებზე ჩემს გულსა და გონებას დიდად არ ეკარებოდა: თვალი და ყური ერთთავად თამაშსა და თავშესაქცევ ამბებზე მქონდა გაფაციცებული. მაგრამ ეს საუბრები თავის კეთილისმყოფელ გავლენას მაინც ახდენდა — უჩუმრად, თანდათან, მაგრამ მტკიცედ და დაბეჭითებით. და მე მიმაჩნია, რომ სტუმარმასპინძლობის ამგვარი ჯანსაღი ტრადიციები, როგორც ადამიანთა ურთიერთობის უთვალსაჩინოესი გაკვეთილები, მხოლოდ სიკეთის მომტანია ჩვენი მოზარდი თაობისათვის და ამგვარი ტრადიციები უეჭველად უნდა გაგრძელდეს, რათა ეს კულტურა არ დაიკარგოს.

### სიკვდილი თუ გარდაცვალება?

1956 წლის შუა თებერვალი იყო. ერთ სამშაბათს პაპა მორიგი სტუმრობიდან (ჩვენი ახლო ნათესავებისაგან — ხვედელიძეებისაგან) შემცივნილი დაბრუნდა, ფილტვების ანთება დაემართა (უკვე მეთოთხმეტედ!) და ორ დღეში, 17 თებერვლის ნაშუაღამევს, 88 წელს მიტანებული, განეშორა სააქაოს. იმ ღამეს უცნაური დაჟინებით მოგვთხოვა საწერ მაგიდასთან მიყვანა. საწოლიანად მივაჩოჩეთ (მაგიდაზე დახვავებული იყო წიგნები და ნაწერები) და კალმისტარი დავაკავებინეთ ხელში, მაგრამ ამოოდ: ვერაფერი დაწერა და ბედს მიენდო...

გაზეთებში, თუმც შედარებით ძუნწად (იმ დღეებში სტალინის განმაქიქებელი ყრილობის მასალები იბეჭდებოდა მხოლოდ), მაგრამ მაინც დაიწერა: თედო სახოკია გარდაიცვალაო, ასეთიო, ისეთიო, — როგორც ხდება ხოლმე ასეთ დროს და ასეთ პიროვნებასთან დაკავშირებით. გულითადი სიტყვები უთხრეს მწერალთა კავშირში, რომელთაგან გერონტი ქიქოძის ხმა ყველასაგან გამოიჩინებოდა. დიდუბის პანთეონში კი, რო-



გორც ყოველთვის, თავისებურად დასამახსოვრებელი სიტყვით გამოიხატა  
თხოვა კონსტანტინე გამსახურდია.

და თუმცა იმ დღეს გადაუღებლად ბარდნიდა, დიდძალმა ხალხმა  
მოიყარა თავი დაკრძალვაზე. მართლაც გრანდიოზული სანახავი იყო  
თოვლით გადაპენტილ რუსთაველის პროსპექტზე უწყვეტ ნაკადად მომ-  
დინარე შაგქოლგებიანი მღუმარე და თავჩაქინდრული პროცესია.


ასე ჩანდა გვერდიდან და გარედან. მე კი... მე კი მაშინ პაპა მო-  
მიკვდა — ჩემი პაპა, ერთადერთი და განუმეორებელი (აკი თავად  
მეუბნებოდა — თუ ცოტას გავაჯავრებდი — ალერსიანი საყვედურით: რა  
გქნა, ერთი პაპა გყავარ, მეტი ხომ არაო). დიახ, მომიკვდა, მე მომიკ-  
ვდა!

ამ განცდით ვიყავი შეძრული და ერთიანად მოცული: 15 წლისა ვი-  
ყავი...

ახლა კი...

ახლა კი ვიცი, რომ ის მართლაც გარდაიცვალა, რომ ის კვლავ  
ჩემთანაა, და კიდევ უფრო ჩემთანაა.

და არა მხოლოდ ჩემთან, — ჩვენთანაც!




... და თავისებურად, ვიდრე გვეძრებოდა, რა მოხდა, სამიწ-  
ოდ გაბნობოდა. მისი რომ წაიფაროს, მე ეს დღემაც ვეძებოდა.

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა

... რა გავიყავი — ადრეააზიური კულტურის უცვლელი მემკვიდრეობა  
... მისი რომ წაიფაროს, მე ეს დღემაც ვეძებოდა. ...  
... მისი რომ წაიფაროს, მე ეს დღემაც ვეძებოდა. ...

## რისთვის, ღმერთო?



●  
 ნოდარ  
 ღუმბაძე

—◆—  
70  
●

ამ მოგონებათა ავტორი ნოდარ ღუმბაძის უფროსი ქალიშვილი მანანა ღუმბაძეა — ლიტერატურათმცოდნე, მთარგმნელი, ჟურნალისტი.

მკითხველი თავად დარწმუნდება, რომ მანანა ღუმბაძემ კარგად იცის თავისი მამის ყადრი, მაგრამ დითირამებების წერა უხერხულად მიაჩნია; ამიტომაც აიჩრია მან ასეთი ყოფითი, სადაგი, მახვილგონივრული, ღიმილიან-ტკივილიანი სტილი და დაგვიხატა „ნამდვილი“ ნოდარ ღუმბაძე — ნათელი და ძლიერი პიროვნება, ჭეშმარიტად სახალხო მწერალი (რ ე დ.).

### ნეტავ, ბულრიფუჭი თუ ისევ წვიმს?..

გულრიფშში გრილი საღამოები იცის. თუ გაწვიმდა, სიცივე და ნესტი ძვალში ატანს, თანაც ერთი და ორი დღე კი არ წვიმს, კვირაობით. ასეთ დროს ბუხარს ვუსხედვართ ხოლმე მთელი ოჯახი და თბილისიდან ზღვაზე „დასასვენებლად“ ჩამოსული მთელი იქაური საზოგადოება. იმ დილას მამიდაჩემი გვეწვია ქმარ-შვილით. ვახშობის დროა. ბუხრის წინ ტაბლას ვართ გარშემომსხდარნი. ჩემი მამიდა მსუქანი ქალია. როცა



იცინის, თვალებიდან სულ კურცხალ-კურცხალ სდის ცრემლები. მთელი ტანი უთახთახებს და ისეთი საყვარელია, ერთი სული მაქვს, მაგრად დავჩქმითო. დედაჩემი მეუბნება, ჭამას თუ არ მოუკელი, მალე ზუსტად ეგეთი გახდებიო. მამიდაჩემი მამშვიდებს, ნუ გეშინია, შენს ასაკში უკვე კარგა ფუშფუშა ვიყავი, თანაც სიყმაწვილეში იმდენი ვიშიმშილე, ორი გრამით თუ დავძიდი, არაფერი უჭირს რა, გამასვენებს როგორმე ჩემი სამი შვილი და მორჩება ამით ჩემს წონაზე ლაპარაკიო. სამი შვილი კი ამ დროს მშვიდად სვამს ჩაის და დასახული პერსპექტივის მიმართ ერთუზიანს მაინცდამაინც არ ამტლავნებს.

— შიშშილზე გამახსენდა, — მოგონებას მიეცა უცბად გიგლა ფირცხალავა, — ოცდაჩვიდმეტი წელია, ვიქნები ასე რვა-ცხრა წლის, მამაჩემმა სამი მანეთი მომცა და ნავთზე გამაგზავნა. ბელინსკის ქუჩას დავუყვევი, ათ ნომერთან ნიაზა შემხვდა, დიასამიძე. ბილონით რომ დამინახა, უკან გამომყვა, ნავთი იქვე, ქუჩის დასაწყისში იყიდებოდა. ჯერ საკონდიტრო უნდა გაგვევლო. ვერელებს გახსოვთ ალბათ იქაური „ბონნიკების“ გემო. ჰოდა, საკონდიტროდან იმისთანა სუნი გამოვარდა, ადგილიდან ფეხი ვეღარ მოვიცვალეთ. ცხრაჯერ გადავთვალ-გადმოვთვალე ნავთის ფული, არაფერი გამოდიოდა, ან ნავთი უნდა გვეყიდა ან... ჰოდა, ჩვენც „ბონნიკები“ ვარჩიეთ. გვიანლა გამახსენდა სახლში დასაბრუნებელი რომ ვიყავი და მამაჩემი ტყავს გამაძრობდა. ბევრი ვიბოდიალე, მაგრამ რას ვიზამდი, მაინც სახლისაკენ გავუყვევი გზას, ფეხები უკან მრჩებოდა. ეზოში შეუძინველად შევიპარე, ჩვენი ბინის კიბესთან მეზობლები მოქუჩულიყვნენ და ჩუმად, ფრთხილად საუბრობდნენ. მე ვერავინ შემაძინია. თვითონ გამოველაპარაკე ერთ-ერთს, რა მოხდა-მეთქი? იმან თავზე ხელი გადამისვა და მამაშენი წაიყვანესო, მითხრა. არაფერი ვუპასუხე, კიბე ავირბინე და ოთახში შევევარდი. დედა ტიროდა, მეზობელი ქალებიც ტიროდნენ, მეც მომინდა ტირილი, მაგრამ შემრცხვა და თავი შევიკავე.

— რისი შეგრცხვა? — არ აცალა დედაჩემმა.

— რისი და, თავდაპირველად, ვიდრე გავიზარებდი, რა მოხდა, საშინლად გამიხარდა, მამა რომ წაიყვანეს, მე კი დასჯას გადავურჩი.

სიჩუმე ჩამოვარდა. მამაჩემს გაეცინა.

— რა გაციინებს! — გაუბრაზდა გიგლა და უნებლიედ თვითონაც ახითხითდა.

— არაფერი, არაფერი. — თქვა მამაჩემმა და მამიდაჩემს გახედა რაღაც ეშმაკურად. მამიდა ნამცხვარს გეახლებოდათ და ძმისთვის სულ არ ეცალა, მამაჩემი სიცილს ვერ იკავებდა.

— რა გაციინებს, ნოღარ? — იეჭვიანა მამიდაჩემმა და თვალები დაუბრიალა.



— არაფერი. ჩემთვის რაღაც გამახსენდა, ყურადღებას ნუ მიაქცევთ.

— მაშინ, ვიდრე არ დამვიწყებია, მე მოგყვები, — საუბარში ანზორ სალუქვაძე ჩაერთო, — დილაა, მე და ნიაზი „პახმელიაზე“ ვართ, ფული არა გვაქვს, არც „შოგნის“ შანსი. ვკვდებით, ლუდხანაში კი არავინ გვეპატივება. ნიაზმა მითხრა, ცოტა დამაცადეო და სახლში წავიდა. როცა დაბრუნდა, ხელში რუსულ-ქართული ლექსიკონის უძველესი გამოცემა ეკავა. ლექსიკონი დაბლა, ლენინის ქუჩაზე, ბუკინისტებში მივიტანეთ და სამას მანეთად გავყიდეთ. მონაპოვარი კი დავამღერეთ, მაგრამ ცოტა ფული კიდევ დაგვრჩა მეორე დილას „პახმელიაზე“ გამოსასვლელად. დილას ბელინსკის ქუჩის კუთხეში უნდა შევხვედროდით ერთმანეთს. მივედი. ნიაზი მელოდა, დამინახა თუ არა, თავში წაიშინა ხელები.

— რა ამბავია? — უიმედოდ და უნდობლად გკითხე მე.

— რაღა რა ამბავია? გუშინ საღამოს მამაჩემმა ლექსიკონი მოიკითხა და რომ ვერ ნახა, ულტიმატუმი წამომიყენა, ან დღესვე დააბრუნე, ან დაჯექი და შეაღვინეო.

ყველას გულიანად გაგვეცინა, მამიდაჩემი, როგორც ყოველთვის, ცრემლად დაიღვარა, მამაჩემიც გულიანად იცინოდა, მაგრამ უფრო იმაზე კი არა, რაზეც სხვები, რაღაც სულ სხვაზე. თითქოს თავისთვის განმარტოვდა, თანაც მამიდაჩემს არ აცილებდა თვალს.

— რა მოხდა, ნოდარ, აღარ იტყვი? — ვეღარ მოითმინა მამიდამ, — რას მომჩერებინარ, პირველად მხედავ?... მითხარი ერთი, რა გაცინებს, რა გაგახსენდა ასეთი. მითხარი, გეხვეწები, გაფიცებ ყველაფერს, არ დამიძალო.

— მოგყვ?... კარგი, მოგყვები... ომის შემდეგ ლეილამ სამედიცინო ინსტიტუტში ჩააბარა, ფრიადოსანი სტუდენტი იყო და კარგი სპეციალური ლიტერატურაც ჰქონდა შეგროვებული. ერთხელ მე და ოთარ სადრაძე სახლში მარტო დავრჩით. საშინლად გვშიოდა, დედა ჯერ კიდევ გადასახლებაში იყო. არც საქმელი გვქონდა და არც ფული. ვიწვრიალეთ, შემდეგ ლეილას ერთ სქელტანიან წიგნს დავადგიოთ თვალი. ერთი კი გამაფრიალა ტანში, მაგრამ შიმშილმა სძლია სინდისს, დავავლეთ ხელი იმ წიგნს და მივაყიდეთ. ბუკინისტმა რა კაპიკებიც მოგვცა, იმით ბაზარში ვიყიდეთ ყველი, ნივრის წნილი, კიტრი, პამიდორი, მწვანელი, ხუთი ნომერი და გემრიელად ვიჭეიფეთ. ხუთი წელი ეძებდა მერე ლეილა დუმბაძე იმ წიგნს, თუ არ ვცდები, ხანდახან ახლაც ეძებს ხოლმე.

ყველამ მამიდას გადავხედეთ. იმას აღარ ეღიმებოდა. გამომეტყველება შეეცვალა, თვალი გაუშტერდა, ერთი შესძახა, უსინდისოებოო, და დაპაღუპით წასკდა ცრემლები. მამაჩემი მოეხვია და ცრემლიან ლოყაზე აკოცა.



— არ გრცხვენია, გოგო, ასი წლის ამბავს ტირი? რა გლოცვნი გეძღვება იცოდე, მე და ოთარმა, სულ შენი სადღეგრძელოები ვსვით.

ამაზე მამიდას კიდევ უფრო აუჩუყდა გული და ხმით მოუთქვა, ოღონდ რას ლულულულებდა, არავის ესმოდა.

— სუ გაჩერდი, გოგო, არა გრცხვენია, სუ-მეთქი... — ამშვიდებდა მამა.

— მერე, მე არ მშოიდა, მე რატომ არ მაქამეთ, მე ცოლო არ ვიყავი? — ზლუქუნებდა მამიდა.

ასეთ რეაქციას მამაჩემი ნამდვილად არ ელოდა. მამიდა პატარა, მსუქან, გულმოკლულ ბავშვს გავდა. მის დაწყნარებას აზრი არ ჰქონდა, თავის უბედურ ბავშვობას ტიროდა. მამაჩემმა მკერდზე მიიკრა მისი ფუმფულა ხუჭუჭი თავი და დიდხანს, ძალიან დიდხანს უაღერსა. თვალელებში რომ შევხედე, მასაც თვალის უბებთან ორი პატარა კურცხალი უბრწყინავდა.

ამ ორიოდე წლის წინ ფოტოკორესპონდენტმა დამირეკა და მითხრა, მამათქვენის ბოლოდროინდელი სურათები მაქვს და მინდა ოჯახს გაჩუქოთო. შევხვდი, საფოსტო კონვერტში სათუთად ჩაწყობილი ფოტოსურათების თვალთვრება დავიწყეთ. ერთია, როცა მამაშენის უცნობ ფოტოსურათებს უყურებ — ზოგჯერ გავიწყდება, რომ აღარ არის და ვიხარია მათი ცქერა, იცინი, რაღაც-რაღაცეები გახსენდება, მეორეა, როცა ელდა დაგკრავს მათი ხილვით: სურათებიდან მხიარული, მაგრამ სნეული, უჩვეულოდ დაბერებული და სამარადისო განშორების გზაზე დამდგარი მამა მიყურებდა. მე ის ფოტოები დედამისათვის არ მიჩვენებია, შინ მაქვს გადამალული, იმავე საფოსტო კონვერტში მომწყვდეული და ძალიან იშვიათად თუ შევავლებ ხოლმე თვალს.

დედა მიამბობდა: ერთხელ მამის გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, ასეთ სცენას შევესწარი. ნოდარი საძინებელში სარკის წინ იდგა, დიდხანს აკვირდებოდა თავის თავს ისე, რომ ჩემი იქ ყოფნა არც კი შეუნიშნავს, უეცრად ხელი სარკისაკენ გაიშვირა და თავის ანარეკლს უთხრა: ეს რა უქენი, ბიჭო, შენს თავს!

ეტყობა, სარკიდან ის ნოდარი უმზერდა, მე რომ კონვერტში ჩავმაღე და მერე დღის სინათლე აღარ ვაღირსე.

მაინც რა უქნა ასეთი თავს ნოდარ ღუმბაძემ? ის, რაც მაგონდება, ყოველთვის იწყება და მთავრდება ორი ფრაზით, რომელთაც ძალზე იშვიათად ამბობდა, მე კი მათი გაგონება მუდამ შიშის ზარს მცემდა — ნეტავი რისთვის მამზადებს ღმერთი, ასეთ სასტიკ გამოცდებს რატომ მიწყობსო.

„ილიკო და ილარიონის“ პრემიერას მარჯანიშვილის თეატრში ორივე, მამაჩემიც და დედაჩემიც შავებში ჩაცმულები დაესწრნენ — ნახევარი



წლის გარდაცვლილი ჰყავდათ ხუთი წლის ზაზა. ძალიან ახალგაზრდები იყვნენ. პრემიერას მაშინდელი ცეკას პირველი მდივანი, ვასილ მუჟაგანაძე ესწრებოდა. ამ პიესის გარშემო ცენზურას წინასწარ უკვე ისეთი აჟიოტაჟი ჰქონდა ატეხილი, სპექტაკლის საბოლოო ბედი სწორედ რომ ცეკას მდივნის სიტყვაზე იყო დამოკიდებული. მოხდა ის, რასაც ოფიციაში არა და არ ელოდა: სპექტაკლის მსვლელობისას მუჟაგანაძე ხან ტიროდა, ხან იცინოდა, ბოლოს კარგი ტაში დასცხო და ამით ხელი მოაწერა „ილიკო და ილარიონის“ მომავალ სასცენო ტრიუმფს. კულისებში შთაბეჭდილების გაზიარებისას თქვა, პიესაში ბევრი უცენზურო სიტყვა და გინებააო. ამაზე გიგა ლორთქიფანიძემ მოსწრებულად მიუგო, ეგ ყველაფერი ღუმბაძისაა, დანარჩენი — ჩემიო.

შემდეგ მუჟაგანაძემ თურმე დასძინა, მშვენიერი სპექტაკლია, ბებიჩემი გამახსენდა, სულ ოღლას ჰყავდაო. ურჩია, ამოიღეთ პიესიდან უცენზურო გამოთქმები და დანარჩენი როგორც არის, ისე დატოვეთო. ამის მერე ფეხზე წამოდგა და პალტოს ასაღებად წაიწია. ეს გიგა ლორთქიფანიძემ აღრევე იგრძნო გუმანით, რადგან, ვიდრე მუჟაგანაძე ან მისი მხლებლები გონს მოეგებოდნენ, ფეხზე წამოხტა და თვალის დახამხამებაში ჩააცვა ხელმწიფისტოლა სტუმარს პალტო. ეს რომ მოათავა, მამაჩემს გახედა, იგი თავჩაღუნული იდგა და უღვაშებში ეღიმებოდა. როცა ცეკას მდივანი გაისტუმრეს, გიგა მიუახლოვდა ნოდარს და ილარიონის ენით შესჩივლა — „ღამჭამე, ნოდარა, დამტკვირე, ხომ ვიცი, ჩემი საქმე გათავებულია, ამიგლებ ახლა მასხრად და აღარ გამახარებ ამ ღუნიაზეო“. ამის გამგონეს, მამაჩემს სიცილი აუტყდა — „რა გჭირს, ბიჭო, ჩემი მასხრად ასაგდები, გულზე ვარ გამსკდარი, ამ კოჭლმა კაცმა როგორ დამასწარიო“.

ცხრა წლის იყო, ოცდაჩვიდმეტში მამა რომ დაუხვრიტეს და დედა ათი წლით შუა აზიის ბანაკებში გადაუსახლეს. ამ ათი წლის განმავლობაში რაც თავს გადახდა, ნოდარ ღუმბაძის მკითხველმა კარგად უწყის რადგან იგი ყოველთვის თავის ცხოვრებაზე წერდა და იმაზე კი არასოდეს, რაც არ იცოდა. მე კი ანდერძად ეს პატარა კანონი დამიტოვა — „მთელი ქვეყნიერების ვალი მაქვს, მამა, კეთილი აღამიანები რომ არა, ღმერთმა უწყის, რით დამთავრდებოდა ჩემი ცხოვრება. თითო სიკეთე ყველასაგან მიხსოვს და უფლება არა გვაქვს არც მე და არც ჩემს ნაგრამს, სიკეთე არ ვთესოთო“.

ორმოცდაათი წლის იყო, პირველმა ინფარქტმა რომ დაჰკრა, არავინ ფიქრობდა, მაშინ მის გადარჩენას. ჯანსუღ ჩარკვიანი უცხოეთში იყო მივლინებული, მაგრამ ამ ამბის გამო თბილისში დარჩა, საავადმყოფოდან არ გასულა. როცა მამაჩემმა მესამე დღეს ძლივს თვალი გაახილა, თავზე წამომდგარი ჯანსუღი დაინახა: მე შენ წასული მეგონეო, — წაი-



ლულულა. ჯანსულმა ერთხანს ხმა ვერ გასცა, მერე გახალისდა, მერე  
 ბის გუნებაზე დადგა და მკვახედ მიუგო: — მეც კი მეგონე წასული,  
 მაგრამ აქ ხარ და ფეხის მოცვლასაც არ აპირებო. მეორე დღეს მამაჩემმა  
 ცოტა მოიბრუნა სული და ფანჯრისკენაც გაიხედა (ეს ის დრო იყო,  
 ხრუშჩოვი ქართველებს გადასახლებით რომ ემუქრებოდა), — მგონი უკ-  
 ვე გადაგვასახლეს და გვიმალავენო, — თავისთვის ჩაილაპარაკა და პალა-  
 ტაში ისეთი ხარხარი ატყდა, საავადმყოფო აზანზარდა. მას მერე ხში-  
 რად გაიგონებდით საავადმყოფოს ღერეფანში სხვა ავადმყოფთა ჭირი-  
 სუფლებსაგან, ეს ღუმბაძეები ან გიუები არიან, ან „აფერისტები“, კაცი  
 ნახევრად იქით არის, ამათ სიცილ-კისკისს კი ბოლო არ უჩანსო. გურუ-  
 ლებმა კაცი აფრინეს ჩონატაურიდან, „ნოდარას“ ჯანმრთელობის ამბავი  
 ჩამოგვიტანეო. დიდხანს იბრძოდა ის კაცი პალატის კართან, მაგრამ არ  
 შეუშვეს. დედაჩემმა უთხრა, მშვიდად წადი, აწი არაფერი უჭირს, კარ-  
 ვად არისო. მაინც არ მოიშალა და ჩუმად შეძგრა მამასთან. დიდხანს  
 უყურა წამლებით გაბრუებულ ნოდარს, გამოვიდა, არავისთვის არაფერი  
 უთქვამს, ისე გაბრუნდა ჩონატაურში. მერე გურულები გვიყვებოდნენ:  
 როცა ვკითხეთ, ნოდარა რაფრაა-თქვა, ასე გვითხრა, ნანულია ამბობს,  
 კარგადააო, ცუდად ყოფნას რას უძახის, მაი არ ვიცი მეო.

ოცდახუთი წლისა დაპატიმრებული იყო გახმაურებული მკვლელო-  
 ბის გამო და დახვრეტის მუხლი ჰქონდა მიყენებული. ექვსი თვე იჯდა  
 „გუბერნსკში“, გაამართლეს. ამის მერე დაიწყო ზეპირი ამბების მთელი  
 სერიები ციხის ცხოვრებაზე, შემდეგ „თეთრი ბაირალებიც“ დაწერა. ერ-  
 თხელ, თურმე, როცა ციხის ამბავს ყვებოდა, ჭაბუა ამირეჯიბს უთქვამს:  
 ბიჭო, 25 წელი ვხეხე, გამოვედი და 25 წუთში მოვეცი ყველაფერი, შენ  
 რა ექვსი თვე იჯექი ასეთი, რომ დღემდე ვეღარ დაგიმთავრებიაო.

პირველი ინფარქტის შემდეგ რვა წელი აღარც ეწეოდა და აღარც  
 სვამდა (თუმცა ამას ვერ დავიჯერებ!), მერე დედაჩემს შეეყარა რაღაც  
 უცნაური სენი: თავის ქალის ახდა და ტვინის ოპერაცია დასჭირდა. იმ  
 დღიდან დაიწყო მამაჩემმა გამხელილად სიგარეტის წვევაც და სმაც. რა-  
 ტომღაც რუსულად მითხრა: — „Если ваша мама умирает, пускай  
 ваш папа тоже умрет-о“.

ეს უკვე მერამდნე გამოცდა იყო მის ცხოვრებაში. დედაჩემი გადარ-  
 ჩა. ოპერაციის მერე მოსკოველმა პროფესორმა კ. კონოვალოვმა გვითხ-  
 რა: „Я там все тщательно почистил, все достал, бояться уже нечего-о“.  
 ჰოდა, მას მერე შეკლული ჰყავდა დედაჩემი, — როგორც კი მისთვის  
 რაიმე უსიამოს ეტყოდა, მაშინვე მიახლიდა ხოლმე: „კონოვალოვის დედა  
 ვატირე, ამოიღო ხომ ყველაფერი, აღარაფერი ჩატოვა ხომ შიგ, უჰ,  
 მაგისი...“





1978 წელს ამერიკაში მიიწვიეს საბჭოთა და ამერიკელი მწერლების ისტორიულ კონგრესზე. 24 დღე დაჰყო ოკეანის გაღმა და ამ მოგზაურობას „ოდისევსის დაბრუნება“ მიუძღვნა. სწორედ ამერიკაში ყოფნისას, 22 აპრილს, ტრაგიკულად გარდაიცვალა მისი სიძე, მწერალი ჯეიმს თოფურიძე, რომელსაც შვილებში არ არჩევდა და რომლითაც სამართლიანად ამყობდა. ჯეიმსის მოთხოვნა „გოგია“ გვიან ღამით წაიკითხა, ვერ მოითმინა, მაშინვე დაურეკა — ეს პატარა შედეგრი ნეტავ მე დამეწერაო. იცოცხლე, მერე ნანობდა ნათქვამს, რადგან გახარებული ჯეიმსი დილიდანვე ქეიფს შეუდგა და ერთი თვე აღარ გამოფხიზლებულა.

ესეც მერამდინე უსასტიკესი გამოცდა: კიდევ ერთი ბიჭი გამოსტაცა ბედმა.

მეორე ინფარქტმა გულრიფვეში მოიმწყვდია, მარტო. იმდენჯერ მოგკვდი, საიქიოს გზას თვალდახუჭული ვაგნებო, ეხუმრებოდა სოხუმელ ექიმებს და აქეთ ამხნევებდა, ნუ გეშინიათ, სანამ ბოლომდე არ გამომწურავს ბუნება, ვიდრე ბოლომდე არ დამაფტვევინებს ბედის წისქვილი ჩემს საფუძვას, სიკვდილი არ მეღირსებაო... და ხუთი წელი კიდევ იცოცხლა, სასწაულით. „მარადისობის კანონიც“ მაშინ აღმოაჩინა. ხუთი წლის თავზე მეოთხე სამმართველოს საავადმყოფოში, სიკვდილის წინ ახლადგამოცემული „ილიკო და ილარიონის“ კითხვა დაიწყო ხმამაღლა, დაიღალა და მე და ქეთინოს — ჩემს დას — გვთხოვა, თქვენ განაგრძეთო. გკითხულობდით და ვიცინოდით, თვითონაც გულიანად იცინოდა, მერე ხელით გვანიშნა, გეყოფათო. — ეს რა მაგარი რამე დამიწერიაო, — თქვა მშვიდად და დაიძინა.

კონსტანტინე გამსახურდიას დასაფლავება მაგონდება. ბატონ კონსტანტინეს ხელით მიასვენებდა სრულიად საქართველო კოლხური კომკისაკენ. რუსთაველის პროსპექტზე რეპროდუქტორები მისი ნაწარმოებების ნაწყვეტებს გადმოსცემდნენ და ხალხი გმინავდა, ისეთი მომნუსხველი და ამღელვებელი იყო ეს პროცესი. შინ რომ დავბრუნდით, მამაჩემმა უეცრად თქვა, თავი არ მომჭრათ, ბაღნებო, და ჩემს გასვენებაზე იგივე არ გაიმეორათ (საკუთარი ნაწარმოებების ნაწყვეტების კითხვას გულისხმობდა), თორემ დაწყდება პროცესია სიცილითო.

ხანგრძლივ სიცოცხლეზე ოცნება ვერც კი წარმოედგინა, თუმცა წამოსცდებოდა ხოლმე, ისე როგორ უნდა მოგვკვდე, ცალი თვლით მაინც არ შევიჭყიტო XXI საუკუნეშიო. 2000 წელს 72 წლის გახდებოდა (არც ისე ბევრია, როგორც თვითონ ეგონა). გარდაიცვალა მაშინ, როცა სოციალიზმი „ჰყვაოდა“ და „პერესტროიკამდე“ ჯერ კიდევ დრო იყო.

თავისი „პერესტროიკა“ კარგა ხნის დაწყებული ჰქონდა, პირველი ფელეტონებიდან; მის განხორციელებას კი ველარ მოესწრო. ცხადია, შემდგომ მოვლენებსაც მოაკლდა, თუმცა ამ მოვლენათა უშუალო „მონაწი-



## გადასცემ, ალუბალო?

გახსოვს, ალუბალო?  
 არ გახსოვს? მაშინ  
 მე და შენ ვიყავით გართული ფიქრით.  
 ის გაზაფხულივით მოვიდა ბაღში  
 პატარა ქოლგით და პატარა წიგნით.  
 ცა იყო საოცრად მშვიდი და ღრმა,  
 მისი თვალები ბაძავდნენ ზეცას,  
 მხრებზე ეყარა გაშლილი თმა  
 და აპრილივით ლამაზად ეცვა.  
 არ გახსოვს?  
 გაიხსენე,  
 კარგად გაიხსენე,  
 მაშინ შენ ჰგავდი სულ ახლად მოთოვილს.  
 მოვიდა,  
 დიმილით ბაგე გაიხსნა  
 და წიგნით წაიღო შენი ფოთოლი.  
 ჰოდა, იმ გოგონას,  
 იმ ლამაზ ცირას  
 მინდა ორიოდე სიტყვა დავუბარო...  
 იქნება მოვიდეს, შენთან და, იცი რა?..

— გადასცემ, ალუბალო?




---

# წიგნი და სსოპრები

გადასმენი, კალმარული

თუ ვიზენი აღამიანის გულიდან მომდინარებს,  
მეშინის ის სხვა აღამიანების გულგებობასაც გაიკვლევს  
გზას.



თომას კარლეილი

მხოვანზე უფრო გამოსული თან  
და მხოვანობის დამაწყვეტელი  
არ ვახსოვს  
გახსოვს, იპეტია  
გარეგან გახსოვს,  
მეშინ შენ ჰყავს, მხოვან მხოვანად  
მოვიდა,  
და წინააღმდეგობა  
ხოდა, ამ გოგონას,  
ამ დამან ეძრას  
მინდა თორიდე სიტყვი დაეუბარო  
იქნება მოვიდეს, შენთან და, იყო რა!  
— გადისდე, ალუბლო!

## ილია ჭავჭავაძის „პედაგოგიის საფუძვლების“ ერთ-ერთი ნაწარო

ილია ჭავჭავაძის მრავალმხრივ მემკვიდრეობაში დიდი ადგილი უჭირავს შეხედულებებს პედაგოგიის საკითხებზე. მწერალი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ახალგაზრდა თაობის აღზრდას, ეს მიანიშნავდა ერის აღორძინების ერთ-ერთ წინაპირობად.

ჯერ კიდევ 1863 წელს ი. ჭავჭავაძე წერდა: „ჩვენ ვგონებთ, რომ ნამეტანი იქნება იმაზედ ლაპარაკი, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნისათვის კითხვას ყმაწვილების აღზრდაზედ, რადგანაც ცხადია, რომ ქვეყნის მყობადი მდგომარეობა დამოკიდებულია იმ მიმართულებაზედ, რომელსაც მისცემენ ახალს თაობას“ (იხ. ზალცმანის „კონრად კიფერის“ ქართული თარგმანის წინასიტყვაობა) (1). მისი აზრით: „ვინ იცის, რა ძლიერი ფარ-ხმალია ცოდნა და განათლება, რა დიდი ღონეა ერის ბედნიერებისათვის საერთოდ და ცალკე კაცისათვის საკუთრივ, ჭკუა გახსნილი მოქმედება და ცნობიერად ხელის მოკიდება და გაძლოლა საქმისა საქვეყნო იქნება თუ საცალკეო“.

დიდი ილია აღზრდას განიხილავდა, როგორც ისტორიულ პროცესს, მჭიდროდ დაკავშირებულს ეპოქის სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ ინტერესებთან და არა როგორც ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებულ პრინციპებს.

ილია ჭავჭავაძე მკაცრად აკრიტიკებდა იმ დროს გაბატონებული ძველი სკოლის რეჟიმს და სწავლების ფორმალისტურ და სქოლასტიკურ-დოგმატურ მეთოდებს და გამოდიოდა თეორიისა და პრაქტიკის მთლიანობის გაგებიდან. მისი საგანმანათლებლო იდეების მიხედვით: „სწავლა-განათლებამ აღამიანს უნდა მისცეს თანაბარი თეორიული და პრაქტიკული განვითარება. აღამიანის თეორიული ცოდნა უნდა ვლინდებოდეს მის პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში“ (2).

მაშასადამე, იგი ებრძოდა უსაგნო, აბსტრაქტულ ცოდნას, პრაქტიკული ცხოვრებისაგან მოწყვეტილ, მისგან დაშორებულ სწავლა-განათლებას, სწავლების ფორმალისტურ ხერხებს.

ილია თავისი შეხედულებებით თამამად დგას იმდროინდელი მსოფლიო პროგრესული პედაგოგიკური აზროვნების სიმაღლეზე, კარგად იც-



ნობს პედაგოგიკური მოძღვრების ისტორიას და თავის დროის განმარტ-  
 ნილ რუს და ევროპელ მეცნიერთა შეხედულებებს სწავლა-აღზრდის სა-  
 კითხებზე, რაც მას ეხმარება, ერთი მხრივ, ღრმად გააანალიზოს და ფარ-  
 თოდ გამოიყენოს ამ დარგში არსებული გამოცდილება საკუთარი თვალ-  
 საზრისის შემუშავების დროს და, მეორე მხრივ, ქართული სკოლის და,  
 საერთოდ, ახალი თაობის აღზრდის ამოცანები განიხილოს მსოფლიო  
 პედაგოგიკის მიღწევების დონეზე, სწავლების პროგრესული პრინციპე-  
 ბის ყოველმხრივი გათვალისწინებით.

ილიას პედაგოგიკური თვალსაზრისი კარგად ჩანს მისი წერილების  
 სერიაში, რომლებიც მოწინავეს სახით გამოქვეყნდა გაზეთ „ივერიის“  
 1888 წლის 92-96, 142-144 ნომრებში. წერილების სერია დიბეჭდა  
 უსათაუროდ, იგი მოგვიანებით დასათაურებული იქნა პ. ინგოროყვას  
 მიერ სახელწოდებით — „პედაგოგიის საფუძვლები“.

აღნიშნული წერილები საინტერესო მასალას შეიცავს მწერლის შე-  
 მოქმედებითი ლაბორატორიის გასაცნობად; კერძოდ, ჩვენთვის ნათელი  
 ხდება, რომ წერის პროცესში მწერალს აღორძინების ხანის პედაგოგიკუ-  
 რი პრინციპების გაცნობისას უხვად უსარგებლია სათანადო სამეცნიერო  
 ლიტერატურით, მაგრამ კონკრეტულად თუ რა პირველწყაროებით, ეს  
 უცნობი იყო. ილია ჭავჭავაძის თხზულებათა არცერთ გამომცემელსა და  
 ასევე მისი შემოქმედების მკვლევარს დღემდე ამ ფაქტის მიმართ ყურა-  
 დდება არ გაუმახვილებია. არადა, ამ მოვლენას განსაკუთრებული მნიშ-  
 ვნელობა ენიჭება ილიას თხზულებათა ახალი აკადემიური გამოცემის  
 მომზადებასთან დაკავშირებით.

საქმე ის არის, რომ აღნიშნული წერილების სერიაში ძალზე ხშირად  
 გვხვდება ბრჭყალებში ჩასმული, ე. ი. ციტირებული ადგილები (სულ 12-  
 ჯერ), რომელთაც წინ უძღვის ილიას ასეთი კომენტარი — „აი რას ამ-  
 ბობს ერთი ავტორი,“ „გვიამბობს ერთი მწერალი“, „ამბობს ერთი მწე-  
 რალი“ და ა. შ. ერთი სიტყვით, კონკრეტულად არ არის მითითებული  
 ციტირებული ადგილების ავტორის ვინაობა. მხოლოდ ერთადერთ შემ-  
 თხვევაში, მეხუთე წერილში, როდესაც ილია მსჯელობს აღორძინების  
 პერიოდის პედაგოგიკურ მოძღვრებაზე, კერძოდ კი — ვიტორინო დე-  
 ფელტრეს შესახებ, სქოლიოში მიუთითებს: „ეს ცნობები თითქმის სიტყ-  
 ვა-სიტყვით ამოვსწერეთ, ცოტა კი შემოკლებით, თხზულებიდან: „პედა-  
 გოგიური თქორიები განახლების ეპოქისა.“ ეს არის და ეს.

აღნიშნული ვითარება, ერთი მხრივ, აძლიერებდა ამ უცნობ ავტორ-  
 თა ვინაობის დადგენის ინტერესს, ხოლო, მეორე მხრივ, მდგომარეობას  
 ართულებდა ის გარემოება, რომ არ არსებობდა რაიმე მინიშნება ან  
 მეტად თუ ნაკლებად ხელჩასაჭიდი ფაქტი (თუ მხედველობაში არ მივი-  
 ლებთ სქოლიოში მოხსენიებული მხოლოდ ერთადერთი თხზულების სა-



თაურს), რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებელი გახდებოდა ამ დუმლოების“ ამოცნობა. ალბათ, ამით იყო განპირობებული, რომ როგორც ა. აბაშელისა და პ. ინგოროყვას გამოცემაში, ისე პ. ინგოროყვას მიერ მომზადებულ ათტომეულში და გ. თავზიშვილის მიერ შესრულებულ ილიას პედაგოგიკურ თხზულებათა გამოცემაშიც აღნიშნულ საკითხს საერთოდ გვერდი აქვს ავლილი, უფრო მეტიც, ცნობილი მკვლევარი, პროფ. გ. თავზიშვილი ილია ჭავჭავაძის პედაგოგიკური შეხედულებებისადმი მიძღვნილ სპეციალურ ნარკვევში ილიას მიერ დამოწმებული ერთ-ერთი ადგილის გამო შენიშნავს: „თუ როგორი ძალისაა მასწავლებლის მაგალითი მოსწავლეთა ზნეობრივი აღზრდისა და გამოსწორებისათვის, მოაქვს ამონაწერი ერთი ავტორიდან (რომელსაც ილია არ ასახელებს და ვერც ჩვენ გამოვარკვეთ მისი ვინაობა ჯერჯერობით)“ (3).

რადგანაც უშუალოდ წერილებიდან არ ხერხდებოდა საძიებელი პირველწყაროს დადგენა, გადავწყვიტეთ გავცნობოდით თვით ილიას ბიბლიოთეკას იმ იმედით, რომ იქ შეიძლება დაცული ყოფილიყო რაიმე აღორძინების პერიოდის იტალიელ მოღვაწეთა შესახებ. ჩვენი ყურადღება მიიპყრო ილიას ბიბლიოთეკაში დაცულმა გეორგ ფოიგტის წიგნმა — „Возрождение классической древности или первый век гуманизма“, რომელიც რუსულად გამოიცა 1884 წელს. შედარებამ ცხადყო, რომ ილიას ამ წიგნიდან უსარგებლია ზოგადი ცნობებით მხოლოდ ვიტორინო დე-ფელტრეს შესახებ, დანარჩენ მოღვაწეებზე (პიერ პაოლო ჯერჯერიოსა და მატეო ვეჯიოზე) წიგნში მოთხრობილი ფაქტები ძალზე მკრთალადაა წარმოდგენილი. რაც მთავარია, ციტირებული მასალა ზუსტად არ მისდევდა წიგნის სათანადო ადგილებს. მაშასადამე, ცნობები სხვა წყაროდან უნდა ყოფილიყო მოხმობილი. ამ ეჭვს ისიც აძლიერებდა, რომ ერთ-ერთი წერილის სქოლიოში ვიტორინო დე-ფელტრეს შესახებ თვით ილიას მიერ დასახელებული წყაროს სათაური არ ემთხვეოდა გეორგ ფოიგტის წიგნის სათაურს. ილიას იმ ერთადერთ მითითებაში, როგორც ვნახეთ, ლაპარაკია რომელიღაც ავტორის თხზულებაზე, რომლის სახელწოდებაა — „პედაგოგიური თეორიები განახლების ეპოქისა“. ამდენად, საძიებელი იყო ეს წიგნი. ამ მიზნით მოგვიხდა აღორძინების ეპოქის იტალიის პედაგოგიკის ირგვლივ არსებული ლიტერატურის გაცნობა, მათ შორის, შვეიცარიელი ისტორიკოსისა და ცნობილი ფილოსოფოსის იაკობ ბურკჰარდტის (1818-1897) ნაშრომისა — „აღორძინების ხანის იტალიის კულტურა“, რომელიც დაიწერა 1876 წელს, ხოლო რუსულად უთარგმნიათ და გამოუციათ 1885 წელს. უეჭველია, ილია ამ ნაშრომსაც იცნობდა, მაგრამ მას უშუალოდ არ უსარგებლია ამ წყაროთი.

ილიას მიერ დასახელებული წყაროს კვალისათვის რომ მიგვეგნო,





გადავხედეთ თვით აღნიშნული წერილის გამოქვეყნების შემდეგ, 1888 წლის შემდეგ გამოცემულ წიგნებსაც და, სრულიად მოულოდნელად, ამ კვალს წავაწყდით მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორ მიხეილ კორელინთან (1855-1906), რომელიც ითვლებოდა აღიარებულ სპეციალისტად შუა საუკუნეების ევროპული კულტურის კვლევის დარგში. მისი ცნობილი ოთხტომიანი წიგნი — „Ранний итальянский гуманизм и его историография“, რომელიც პირველად გამოიცა პეტერბურგში 1892 წელს, ხოლო მეორედ 1914 წელს, ცხადია, არ შეიძლებოდა გამხდარიყო ილიას წერილების პირველწყარო, მაგრამ ამ წიგნების ბოლო გამოცემას დართული ჰქონდა ბროშურა — „Алфавитные указатели ранних гуманистов и лиц родственных им по направлению“, რომელშიც დასახელებული იყო ლიტერატურა, რითაც მეცნიერმა ისარგებლა. ამ „ანბანურ მაჩვენებლებში,“ სხვა წიგნთან ერთად, მოხსენიებულია „Педагогические теории эпохи Возрождения“, გამოცემული 1888 წელს, რომლის ავტორია ნ. სტოროჟენკო. ამ გზით მიკვლეულ იქნა ილიას მიერ დასახელებული წიგნი და გაირკვა მისი ავტორი.

ტექსტების ურთიერთშედარებისას ცხადი გახდა, რომ ილიას მიერ აღვლილები მოტანილია ნიკოლოზ სტოროჟენკოს წიგნიდან.

ამის საილუსტრაციოდ მივმართეთ მაგალითებს:

ი. ჭავჭავაძის წერილში ციტირებულია:

1. თუმცა ეს სკოლა მარტო ჰერცოგის და მის დარბაისელთა შვილთათვის დანიშნული იყო, მაგრამ ვიტორინომ ეს არ შეიწყნარა და იგი მანტუის სკოლა საყოველთაო სკოლად გადააქცია. ამ სახით სკოლის კარი გაიღო ყველა წოდების შვილთათვის, როგორც მდიდართა, ისეც ღარიბთათვის. ხოლო ღარიბთათვის სკოლის მახლობლად გაჰმართა ცალკე სადგური, საცა იგი აკმევდა, ასმევდა, აცმევდა და აძლევდა ყოველისფერს, რაც სკოლაში სახმარად საჭირო იყო (4).

2. საოცარი წყურვილი ჰქონდა მათემატიკა ესწავლა, ხოლო გროში არა ჰქონდა ფული ეძლია მათემატიკის ერთადერთ მასწავლებლისათვის პაღუაში... აიღო და მოსამსახურედ დაუდგა

ნ. სტოროჟენკოს მიხედვით:

1. Хотя школа первоначально, по мысли герцога, предназначалась для его сыновей и детей придворных, но Витторино не замедлил широко раскрыть её двери для детей всех сословий, как богатых, так и бедных.

Для последних он устраивал невдалеке от школы приют, где он содержал, одевал и снабжал необходимыми учебными пособиями (8).

2. Имея страстное влечение к математике и не имея чем заплатить единственному преподавателю этого предмета в Падуе... поступил в услужение к своему



საქართველოს  
საქართველოს  
საქართველოს

და მოსამსახურობით გასამრჯელოს უზღვიდა თავის ოსტატსა... მალე ისე გაიმართა და ისე ისწავლა, რომ თავითვე შეეძლო ესწავლებინა მათემატიკა სხვისათვის... (5).

3. ამიტომაც სკოლაში სწავლება და გარეთ ჰაერზედ ვარჯიშობა ერთი-ერთმანეთს რიგ-რიგად მოსდევდა. ყოველ დღეს, დანიშნულს საათს, რაც გინდ ტაროსი ყოფილიყო, ყმაწვილები ვარჯიშობდნენ სრბოლასა, ჭიდაობასა, ცურვასა, ბურთობასა და შევიდონსობაში, ზოგჯერ ნადირობის და თევზაობის ნებასაც აძლევდა. ზაფხულობით ოსტატების თანხლებით ყმაწვილებს სამგზავროდ ისტუმრებდა კარგა შორს, ზოგჯერ ალპიის მთებშიაც (6).

4.... იდგა რა პლატონ ფილოსოფოსის თქმულზედ, რომ თავისუფალი არსება თავისუფლად უნდა იზრდებოდესო, უტყუა-უცემლად, ვიტორინო უძღვებოდა თავის შეგირდების წყრთანას მაგალითით და ჩაგონებითა და მარტო ძალიან იშვიათს შემთხვევაში ჰხმარობდა ხორცთა სასჯელსა (7).

მაგალითების მოტანას აღარ გავაგრძელებთ, დანარჩენ შემთხვევაშიც ასე ზუსტად, როგორც ილია აცხადებს, „სიტყვა-სიტყვით“ მისდევს დამოწმებული ციტატა ნ. სტოროვენკოს დასახელებული წიგნის ტექსტს.

ამრიგად, ილიას აღნიშნული წერილების წერილისას უშუალოდ ხელთ ჰქონია არა მხოლოდ ნ. სტოროვენკოს წიგნი — „ალორძინების ეპოქის პედაგოგიური თეორიები“, არამედ გ. ფოიგტის ნაშრომიც — „კლასიკური წარსულის ალორძინება ანუ ჰუმანიზმის პირველი საუკუნე“ (ტ. 1).

აღნიშნული წერილების შესწავლა ცხადს ხდის, ჯერ ერთი, თუ რაოდენ მრავალფეროვანი იყო მწერლის ინტერესები. იგი საკითხს სწავლობდა ღრმად და საფუძვლიანად, იმდროინდელი მსოფლიო პედაგოგიკური აზროვნების მიღწევათა გათვალისწინებით. ამასთან, ყოველთვის ეყრდნობოდა ზუსტ მონაცემებსა და ავტორიტეტულ შეხედულებებს. ამით იყო გაპირობებული მისი არჩევანიც, რომელიც შეჩერდა იმ დროისათვის განმაურებულ ავტორებზე.

მაგალითად, გეორგ ფოიგტი (1827-1891) იყო გამოჩენილი გერმანე-

учителю и оплачивал личным трудом даваемые ему уроки по геометрии. Витторино сделал в скором времени такие быстрые успехи в математике, что сам мог преподавать этот предмет (9).

3. Вот почему в мантуанской школе учебные занятия чередовались с играми и физическими упражнениями на свежем воздухе. Каждый день, в известные часы, во всякую погоду, ученики упражнялись в беге, борьбе, плавании, игре в мяч, стрельбе из лука. Иногда им позволялось охотиться и ловить рыбу. Летом они делали под руководством наставников дальние экскурсии... даже на Альпы (10).

4. Помня завет Платона, что свободное существо нужно воспитывать свободно, без всякого насилия, Витторино старался действовать убеждением и только в весьма крайних случаях прибегал к телесным наказаниям (11).



ლი ისტორიკოსი, ჯერ რომტოკის, შემდეგ ლაიფციგის უნივერსიტეტის პროფესორი. ფართოდ გახდა ცნობილი მას შემდეგ, რაც გამოაქვეყნა თავისი პირველი და საუკეთესო ნაშრომი — „Возрождение классической древности или первый век гуманизма“. ეს წიგნი პირველად გამოიცა 1859 წ., მეორედ — I ტ. 1880წ., II ტ. — 1881წ., ხოლო რუსულად ითარგმნა 1884წ. ეს რუსული გამოცემა აღმოჩნდა ილიას ბიბლიოთეკაში და საგულისხმოა, რომ მთარგმნელის წინასიტყვაობის მთელი აბზაცი ილიას მიერ შავი ფანქრით არის ხაზგასმული. ასევე ნიკოლოზ სტოროჟენკოც (1836-1906) იყო მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი, დასავლეთ ევროპის ლიტერატურისა და კულტურის ისტორიის ცნობილი მკვლევარი. მის მრავალრიცხოვან ნაშრომთა შორის ფართო აღიარებით სარგებლობდა „აღორძინების ეპოქის პედაგოგიური თეორიები“, რომლითაც ილიას უსარგებლია. მეორეც, ყურადღებას იქცევს ილიას, თუ შეიძლება ითქვას, ოპერატულობა. იგი შეუწელებლად ადევნებდა თვალყურს სათანადო ლიტერატურას, ჩინებულად იცნობდა მიღწევებსა და სიახლეებს მისთვის საინტერესო მეცნიერების სფეროში. მაგალითად, ნ. სტოროჟენკოს წიგნი, როგორც მ. კორელინი მიუთითებს, გამოვიდა 1888 წელს და ილია ისე სრულყოფილად იცნობს მას, რომ იყენებს იმავე წლის მაისში დაბეჭდილ წერილში.

ძალზე საინტერესოა ილიას დამოკიდებულება პირველწყაროსადმი. იგი საფუძვლიანად სწავლობს ამ მასალას, მაგრამ ავტორიტეტულ თვალსაზრისთა ტყვეობაში როდი ექცევა. საკითხის გაშუქების დროს ყოველთვის ამოდის კონკრეტული ამოცანიდან და აყალიბებს საკუთარ, ორიგინალურ შეხედულებას. აღნიშნულ წერილებშიც ილია ითვალისწინებს ეროვნული პედაგოგიკის ინტერესებს, ქართველი ახალგაზრდობის აღზრდის ამოცანებს და იძლევა ისეთ თეორიულ დასკვნებს, რომელთაც დღესაც კი არ დაუკარგავთ მნიშვნელობა.

**დასოფნიებული ლიტერატურა**

1. „საქართველოს მოამბე“, 1863, №3.
2. გ. თ ა ვ ზ ი შ ვ ი ლ ი, რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, II, 1977, გვ. 125.
3. იქვე, გვ. 201.
4. ი. ქ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებათა სრული კრებული (ათ ტომად), პ. ინგოროყვას რედაქტორობით, IV, თბ., 1955, გვ. 303-304.
5. იქვე, გვ. 303.
6. იქვე, გვ. 304.
7. იქვე, გვ. 305.
8. Н. С т о р о ж е н к о, Педагогические теории эпохи Возрождения, [1888], გვ. 7.
9. იქვე, გვ. 5-6.
10. იქვე, გვ. 7.
11. იქვე, გვ. 8.

ტერენტი ბრანელის პოეტური კრებულები

მე ეს ლექსები სად გადავწერო, —  
მე ეს ლექსები გულში მიწყვიდა.  
ტერენტი ბრანელი



●  
ტერენტი  
ბრანელი

◆  
100  
●

„საქართველო-იმერეთის სინოდური კანტორის დოკუმენტურ მასალებში დაცულ სენაკის მაზრის სოფ. წალენჯიხის მაცხოვრის ეკლესიის 1898 წლის მატრიკული წიგნიდან ჩანს, რომ ტერენტი სამსონის-ძე კვირკველია (შრობლები: მამა — სამსონ მურზას-ძე კვირკველია, დედა — ივლიტა კვიციანიას ასული ლუკავა) დაიბადა 1898 წლის 3 ივნისს სოფ. წალენჯიხაში. მონათლა ამავე წლის 7 ივნისს. ნათლია — პავლე კუკურას-ძე ზარქუა, მღვდელი: იაკობ თვალთვაძე, დიაკვანი ვასილ თვალთვაძე. საფუძველი: 489, ან. 11, საქ. 8, ფურ. 8, რეგ. №10.

საქ. სსრ ცსსა დირექტორი: ს. ლევიშვილი, მ/თანამშრომელი: თ. კამკამიძე“.

ღვთისა და ერის სახელით გაკეთებული ეს ჩანაწერი არის სრულიად უეჭველი და აბსოლუტურად სწორი. საგულისხმოა ერთი ფაქტიც: სამსონ და ივლიტა კვირკველებს პირველად ვაჟი შეეძინათ, რომელიც ჩვილი დაეღუპათ. მეორე იყო მამო, მესამე — ტერენტი. ეს იმდენად დიდი სასიხარულო მოვლენა იყო ახალგაზრდა ცოლ-ქმრისათვის, რომ მათ დაუყონებლივ



მიუმართავთ ეკლესიისათვის და ოთხი დღის ჩვილი მოუნათლავთ. იქნება გამოუცდელ მშობლებს პირველი შვილის მონათვლა ოდნავ დაუგვიანდათ და ჩვილის დაღუპვა სასჯელად მიიღეს. ასე რომ, ტერენტის მშობლები ვაჟიშვილის მონათვლას ერთი წლით არც გადადებდნენ, მით უფრო, საეკლესიო ჩანაწერს არ გააყალბებდნენ.

ღიან, ტერენტი კვირკველია-გრანელის დაბადების შესახებ საქართველოს ცსს არქივში დაცული სოფ. წალენჯიხის მაცხოვრის ეკლესიის 1898 წლის 7 ივნისის ჩანაწერი ბავშვის იმავე წლის 3 ივნისს დაბადების შესახებ ზუსტი და უტყუარია. თავად ტერენტი გრანელი კი ამ ფაქტს მის ბედისწერას უკავშირებდა, როცა ლექსში — „Memento Mori“ — წერდა:

დღეს სამია ივნისის, მინდა იყოს ცამეტი,  
ჩემს გარშემო ციხეა, მწუხარების სავანე.  
რომ მდომოდა სიცოცხლე, სიკვდილს არ ვიწამებდი,  
მიწა არ იქნებოდა ჩემთვის შავი სამარე.

„სამი ივნისი“ პოეტის დაბადების დღეა. მას კი სურს: 13 რიცხვს იყოს მისი დაბადების დღე, რამეთუ „13 რიცხვის თარსობა“ — მსოფლიოშია ცნობილი და რომ „სამი ივნისის“ ნაცვლად ცამეტში დავბადებულეიყავ, — ჩემი ბედუკუღმართი ცხოვრების მიზეზი მაინც მეცოდინებოდაო, — აცხადებს ეს უფაქიზესი სულის პოეტი.

ტერენტი გრანელი ერთადერთი იყო, რომელიც არც მწერალთა კავშირში და არც რომელიმე ფრაქციაში არ გაერთიანებულა, ბუნებრივია, მას არსად საკუთარი ხელით დაწერილი ავტობიოგრაფია, არც ანგეტიური მონაცემები არ წარუდგენია.

ალმანახ „მწიგნობრის“ სარედაქციო საბჭომ ამ ნომერში მონაწილეობა შემომთავაზა. ვიცი, ეს არ არის კომუნისტური დაკვეთა. ტერენტი გრანელის დაბადებიდან მალე ასი წელი შესრულდება და რედაქციას სურს, მე, როგორც გრანელოლოგმა რამდენიმე სიტყვა ვთქვა ამ მეტიად მნიშვნელოვან თარიღთან დაკავშირებით. მაღლობა მოვახსენე: სიამოვნებით შევასრულებ-მეთქი თქვენს დავალებას, მეორე დღეს ვინანე: არ შევეთანხმებულვართ, ტერენტი გრანელის შემოქმედებიდან კონკრეტულად რომელ მხარეს შევეხო. ამაზე ფიქრში ორი კვირა გავიდა. არადა, სულ ოცი დღე მაქვს ვადად... იქნებ ტერენტი გრანელის პოეტურ კრებულებს, მის სიცოცხლეში გამოცემულ წიგნებს შევეხო! ჰო, მართლა: ალმანახი ხომ სწორედ ასე იწოდება — „მწიგნობარი“.

— მაშ, ასე, გადაწყდა: — მე ვწერ ტერენტი გრანელზე. საიდან დავიწყო? ბევრი დაიწერა ტერენტი გრანელზე. ძალიან ბევრი! მინდა კიდევ ბევრი დაიწეროს! ან იქნებ ის მოვიგონო, როგორ მოხდა ტერენტი გრანელის გამოჩენა ქართულ მწერლობაში ასეთი პროფილით: — „ტერენტი



გრანელი მოდის სისხლიანი სამარადიან — დაუვიწყარი! მისი სამშენ-  
ლო ასპარეზზე გამოსვლის პირველივე დღეებიდან ახმაურდა ქართული  
ჟურნალ-გაზეთები.

ყველანი ერთხმად იმეორებდნენ, რომ ტერენტი გრანელს უსათუოდ  
აქვს მომავალი. გამოიცა მისი ლექსების მეორე კრებული და გრანელის  
გამარჯვებას დაუსვა უკანასკნელი და საპატიო წერტილი. „მეორე წიგ-  
ნიო“, — მაგრამ პირველი?

პირველი წიგნი სრულიად ახალგაზრდა ტერენტი გრანელმა 1920  
წელს გამოსცა გობრონ აგარელთან ერთად. ეს ის დროა, როცა „სასტიკ  
დღეში ცხოვრობდნენ ჩვენი პოეტები. ცხოვრება გაძვირდა, ლექსები კი?  
ლექსებს საერთოდ არ ეტანებიან მშვიერ კულტურე. არიან მაძღრებიც, მაგ-  
რამ მათ პოეზიისათვის არა სცხვლათ! რა უნდა ჰქნა? ვის უნდა მიაგებო  
ლექსები? რა უნდა მოუხერხო ასეთ დროში ისეთ ფასდაკარგულ საქო-  
ნელს? ერთილა დაგრჩენია, გამოხვიდე დიდ შარაგზაზე და იყვირო —  
„საქართველო, შენ მოვალე ხარ, რომ ნატრობდე ჩემს მეგობრობას!“  
(გ. ტაბიძე). იყვირო ისე, რომ ძალით გააგებინო, თორემ ყურადღებას  
არავინ მოგაქცევს. ყველას თავისი საქმე აქვს...“ თითქოს დღეს იწერება  
ჟურნალ „შვიდი მნათობის“ ანონიმი ავტორის ეს სიტყვები. მე კი ამით,  
ხაზს ვუსვამ ფრიად მნიშვნელოვან ფაქტს: სწორედ ასეთ ვითარებაში  
გამოიცა ის პატარა მოცულობის წიგნი, რომელშიც ორი პოეტის სულ  
რადაც ზუთ-ზუთი ლექსია დაბეჭდილი და რომელიც უდავოდ მნიშვნე-  
ლოვან მოვლენად იქცა ქართულ მწერლობაში. მოვიდა დახვეწილი გე-  
მოვნების, ჩამოყალიბებული შეხედულებების, უაღრესად ორიგინალური  
ხმის უნიჭიერესი პოეტი-შემოქმედი ტერენტი გრანელი!

მკითხველს უნდა შევახსენო: ტერენტი გრანელი მწერლობაში მოვი-  
და, როგორც პუბლიცისტი, რომლის წერილები 1918-1919 წლებში იბეჭ-  
დებოდა. მათ მაშინვე მიიპყრეს ყურადღება თემების აქტუალობით, მა-  
ღალი იდეურობით, პატრიოტული პათოსით. „ტ. წ.“ (ტერენტი წალენ-  
ჯიხელის) ფსევდონიმით გამოგზავნილი წერილები სამეგრელოდან და  
აფხაზეთიდან დღესაც აქტიურად ეხმაურებიან იქ დატრიალებულ მოვ-  
ლენებს! ამას იმათ გასაგონად ვამბობ, ვისაც ყური სმენად აქვს, გონი —  
სააზროვნოდ! ტერენტი გრანელისათვის კი მაღალი იდეალი და სამშობ-  
ლოს სიყვარული მართოდენ ლამაზი სიტყვები კი არა — ეს მისი ცხოვ-  
რება იყო, რომელიც მან შეგნებულად შესწირა ორ გაერთიანებულ კო-  
ცონს — სამშობლოს და პოეზიის სიყვარულს!

ტერენტი გრანელის პოეტური გზა სწორედ იმ პატარა წიგნით —  
„პანაშვილებით“ — დაიწყო. დაიწყო მძიმე ადამიანური დარდითა და  
სიხარულის მძაფრი განცდით. ამ მხრივ საყურადღებოა მისი ლექსები  
„ფიროსმანიშვილს“ და „სონეტი დედინაცვალს“. თავადაც ხელოვნები-



სათვის წამებულმა შემოქმედმა, როგორც ჩანს, ძალიან განიცდიდა უნიკალურ რესი, მარტოსული მხატვრის ნიკო ფიროსმანაშვილის ტრაგიკული გარდაცვალება და დაუყოვნებლივ გამოეხმაურა ამ დიდად სამწუხარო ფაქტს!

ცოდვილ ქალაქში დადიოდი ჩოხის ამარა,  
საშინელებამ უცნაურად დაგასამარა...

ჩემთვის ვფიქრობ: ბოლო სიტყვები ხომ არ მიანიშნებს იმას, რომ ნიკო ფიროსმანაშვილის საფლავი მისი დაკრძალვის მეორე დღესვე წაიშალა: „საშინელებამ უცნაურად დაგასამარა“. ასე გამოიტირა გენიალური ქართველი მხატვარი სრულიად ახალგაზრდა პოეტმა, რომელმაც მაშინ უთუოდ არ უწყაოდა: საშინელება მასაც ისევე უცნაურად დაასამარებდა, როგორც ნიკო ფიროსმანაშვილს.

უნიკალურია პოეტის დამოკიდებულება დედინაცვლისადმი — დარია მებონიასადმი, რომელმაც, თავად უშვილომ, გერები საკუთარი შვილებივით შეიყვარა და რომელსაც ტერენტიმ უკვდავების ძეგლი დაუდგა.

მამის საფლავთან აგატირებს ტკბილი წარსული,  
სპეტაკ ცრემლებში დაეხვევი, როგორც ბაწარი.  
გყვარს ლოცვებში წალენჯიხის ძველი ტაძარი...

ქართულ, არა მხოლოდ ქართულ, ზეპირსიტყვიერებაში დამკვიდრებული აშარი, ჯადოქარი დედინაცვლის გაგებას ტერენტი გრანელმა უსაზღვრო სიყვარული დაუპირისპირა და ამით სრულიად ახალი გზა უჩვენა ადამიანებს — ქრისტესმიერი გზა!

კრებულ „პანაშვილებში“ შესული ლექსები „რკალიდან: „კვირის წირვები“ — უსათაურო („თეთრი ხაზებით დავეწვევი სასტიკ ზმანებას...“), „კვირის შუადღე“, „ლოცვა მთვარესთან“, „ფიროსმანიშვილს“, „სონეტ დედინაცვალს“ — აშკარად მეტყველებენ, რომ პოეტმა თამამად იღო თავს სიმბოლიზმის მძიმე ტვირთი, რომელსაც იმ დროის ქართულ მწერლობაში გაბატონებული მდგომარეობა ეჭირა, რომელიც მაშინდელი ლიტერატურის ძირითად მიმართულებას წარმოადგენდა. ხოლო იმ სასტიკ დროს — 1920 წელს — ტერენტი გრანელის ლექსების პირველი წიგნის გამოცემა პოეტის დიდი გამარჯვება იყო.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ტერენტი გრანელი საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც იმთავითვე აქტიურ პოციაზე იდგა. იმავე 1920 წლის დასასრულს ტერენტი ჯარში გაუწვევიათ, ქართულ ეროვნულ არმიას მსახურობდა. როცა „დროებითა მთავრობამ“, როგორც ადრე უწოდებდნენ, სინამდვილეში კი დამოუკიდებელი საქართველოს კანონიერმა



ტერენტი გრანელის პორტრეტები: 1,3 — ნახ. ლადო გუდიაშვილისა,  
2 — ნახ. ირაკლი თოიძისა, 4 — ნახ. ნათელა ბობოხიძისა.





ხელისუფლებამ ოცდაერთი წლის ოცდაერთ თებერვალს დატოვა საქართველო, თურქი ასკერები მყისვე შემოესივნენ აჭარას, შეუტიეს ქალაქ ბათუმს! ტერენტი გრანელმა რუსების ე. წ. მეთერთმეტე არმიის წინააღმდეგ მიმართული იარაღი თურქებისაკენ შეაბრუნა და ქართველი გენერლების ვაჩნაძისა და მაზნიანიშვილის, კაპიტან გურამიშვილისა და ვალიკო ჯღელის მეთაურობით, ქართველ პოეტებთან — გრიგოლ ცეცხლაძესთან, ჰერკულეს ყანჩელთან, სიმონ ჩიქოვანთან, ნიკოლოზ ჩაჩავასთან, გრიშა ორაგველიძესთან, ალექსანდრე გაბესკირიასთან, შემდეგში ცნობილ მსახიობ აკაკი ვასაძესთან ერთად თავდადებით იბრძოდა აჭარაში, შშობლიური მიწა-წყლის დასაცავად! როგორც ვიცით, მათი ეს ბრძოლა ქართული ჯარის, ქართველი ერის, შემოქმედებითი ინტელიგენციის გამარჯვებით დამთავრდა, რომლის ნაყოფს, საბედნიეროდ, დღემდე ვიმკით: აჭარა საქართველოს განუყრელ ნაწილად რჩება დღემდე! რაოდენ სამწუხაროა და სავალალო, რომ ეს ფაქტი ჰკუთს სასწავლ მაგალითად ვერ იქცა ჩვენი დროის ტაშ-ფანდურა, ე. წ. მწერლებისა და გაბოლიტიკოსებული ინტელიგენციისათვის, რომელთა „დემოკრატიულ ინტერნაციონალიზმს“ საქართველოს ტერიტორიის საუკეთესო მესამედი შეეწირა — სხვა უბედურებებზე რომ არაფერი ვთქვათ!

მე კი ეს შტრიხი ტერენტი გრანელის ბიოგრაფიიდან იმიტომ მოვიტანე, რომ ამ მომენტის გაუთვალისწინებლად ვერ ახსნით პოეტის ღრმა, ფილოსოფიურ ჩანაფიქრს, რომელიც მის ჯარში სამსახურს და იარაღით ხელში სამშობლოს დასაცავად ბრძოლას მოჰყვა. მხედველობაში მაქვს მისი ლექსების პირველი, დამოუკიდებელი წიგნი, რომელსაც პოეტმა „სამგლოვიარო კანკალი ხატებთან“ უწოდა. ეს ლექსები და მთლიანად ეს პატარა წიგნი „წითელი მელნით“, ტერენტი გრანელის „სისხლით“ არის დაწერილი. ამ ფაქტს ქართულ მწერლობაში ანალოგი არ მოეძებნება. წიგნი ათას ცხრაას ოცდაერთ წელს გამოვიდა, ავტორის ჯარიდან განთავისუფლების კვალდაკვალ!

ტერენტი გრანელისათვის მთავარია, პირადი ცხოვრებით, საკუთარი თვალით და გულით ნაგრძნობი ცოცხალი სინამდვილე. სწორედ ამგვარი გრძნობებით და განცდითაა დაწერილი ამ „სისხლით დაწერილ“ კრებულში შეტანილი ლექსები — „სოფლის სიჩუმეში“, „შენს გაქცევას“, „საიდუმლო მისალმება ჭლეჩიან სამრეკლოს“, „სიმორე“, „ფარული ვედრება“, „შეშლილი ცრემლები“.

ეს ვედრება შეშლილი — მეუცხოვა მე გვიან,  
 ღამე ვნებით შეშლილი ყელზე გადაამეხვია,  
 თეთრი შუქი ინთება ჩემი სულის და ვარდის,  
 ო, ტირილი მინდება შენს წინ უხმოდ დავარდნილს.



გენიალურია! ეს მუსიკაა! ტანჯვით ამღერებული სულის ამოხსნის  
სისხლისფერი მელნით ქაღალდზე გადატანილი! მხატვრული სახეებითა  
და განცდებით ანალოგიურია ყველა დანარჩენი ლექსი, რომელნიც ასევე  
„სისხლითაა“ დაწერილი. როგორც მოსალოდნელი იყო, წიგნი ლარიბუ-  
ლადაა გამოცემული. არანაირი ატრიბუტი არც თავსა და არც ბოლოში  
მას არ ახლავს. მაგრამ ეს ვერ ჩრდილავს კრებულში დაბეჭდილი ლექსე-  
ბის, ვერც წიგნის ღირებულებას! პირიქით, ამ მეორე წიგნში შესული  
ლექსების მიხედვით პოეტს უდავოდ ეტყობა წინსვლა, რიტმისა და რით-  
მის მძაფრი განცდა, სიახლის გრძნობა! ამ ნიშნით ხასიათდება მისი „შეშ-  
ლილი ცრემლები“ და „მწუხარე მელოდია“. სიმბოლისტური ფერებით  
ირხევა „ფრთები ანგელოსების“ — ლექსიდან „ფარული ვედრება“.

ერთი შეხედვით ტერენტი გრანელის ლექსების სათაურებიც კი მე-  
ტად მძიმე შთაბეჭდილებას ქმნიან, მაგრამ ამას არათუ არ უფრთხის  
პოეტი, არამედ „წითელი მელნით“, რომელიც ავტორს საკუთარი სის-  
ხლის სიმბოლოდ აქვს წარმოდგენილი, კიდევ უფრო ამძაფრებს მკითხ-  
ველის განცდებს და ამას აკეთებს იმის ღრმა რწმენით, რომ იცის, მისი  
პოეტური სტრიქონები ფრიალ ჰაეროვანი, მხატვრული სახით მეტად  
შთამბეჭდავი არიან.

ტერენტი გრანელისათვის მეტად ნაყოფიერი იყო 1922 წელი, როცა  
გამოიცა მისი ლექსების ახალი, შედარებით მოზრდილი წიგნი — „სული-  
დან საფლავები“, რომელსაც წამძღვარებული აქვს ეპიგრაფი: „ტერენტი  
გრანელი მოდის სისხლიანი სამარადიდან. იქნება ის იყოს ქრისტე მეორედ  
მოსული“. ასეთმა კატეგორიულმა განცხადებამ დიდი დავა და მითქმა-  
მოთქმა გამოიწვია, თუნდაც იმიტომ, რომ ბევრი მიხვდა: ეს პოეტის  
მორიგი, უაღრესად მნიშვნელოვანი გამარჯვება იყო!

იმავე ათას ცხრაას ოცდაორი წლის ექვს მაისს თბილისში გამოვიდა  
ერთდროული გაზეთი „პოეზიის დღე“, რომლის სარედაქციო ნაწილში  
ტიციან ტაბიძე მისთვის ჩვეული პათოსით მკითხველებს აცნობს ამ დღის  
მნიშვნელობას, ქართველი პოეტების ბოლო ერთი წლის ძირითად შე-  
მოქმედებით მიღწევებს და წერს:

— სამი წლის წინათ ჩემი წინადადებით ჯერ საქართველოს მწერალთა  
კავშირის საბჭომ, შემდეგ სრულიად საქართველოს მწერალთა კონფე-  
რენციამ დაადგინა, რომ ყოველ წელს იმართებოდეს ტრადიციული პოე-  
ზიის დღე. პირველი გაზრახვით ეს დღე უნდა ყოფილიყო ექვსი მაისი,  
ძველი სტილით ოცდასამი აპრილი, დღე, რომელიც მთელ საქართველოში  
გამოცხადებულია ეროვნული დღესასწაულის დღედ. მაგრამ, როგორც  
ყოველთვის, ჩვენთან შემთხვევით წყდება ყველაფერი და ეს დღე გადაი-  
დო. მიზეზი? მიზეზი ის არის, რომ ჩვენ ვიმყოფებით გარდამავალ დროში,



როცა დიდი ისტორიული მნიშვნელობის ფაქტები პოეზიის გარეშე სტუ-  
ბიან და დროებით ჩრდილავენ პოეზიის მნიშვნელობასა და ინტერესს.  
და ეს მაშინ, როცა გარდამავალი პერიოდის მოვლენებს ყველაზე ძლიერ  
განიცდიან პოეტები, რადგან მხოლოდ პოეტებმა იციან, რა ძნელია პო-  
ეზიაში ახლის თქმა, მითუმეტეს ისეთ ქვეყანაში, სადაც ლექსებს წერ-  
დნენ მეფეებით დაწყებული და გლეხებით დამთავრებული“. სწორედ ამ  
პრობლემების შეუქმნე განიხილავს ტიცციან ტაბიძე თავისი თანამოკალმე-  
ების ერთი წლის მონაგარს. „ტერენტი გრანელის „სულიდან საფლავე-  
ბი“ დაწერილია ცრემლებითა და ნერვებით. არის ადგილები, რომლებიც  
სამუდამოდ დაგამანსოვრდება უბრალო თქმით და გულწრფელობით.  
ტერენტი გრანელი სანთელივით იწვის პოეზიისათვის. არ შეიძლება ამ  
ალმა ცეცხლი არ გააჩინოს“, — ასკვნის ავტორი.

საინტერესოა „ცისფერყანწელთა“ ერთ-ერთი ლიდერის, დახვეწილი  
სტილისა და გემოვნების პოეტის ვალერიან გაფრინდაშვილის სიტყვები:  
— „წიგნში არის სტრიქონები და მთელი ლექსები, სადაც ტერენტი გრ-  
ანელი გვევლინება საკუთარი ხმით. „სულიდან საფლავები“ პირველი (უნ-  
და იყოს „პირველი მოზრდილი“ — გ. ც.) წიგნია ახალგაზრდა პოეტის.  
მით უფრო საკვირველია მისი მიღწევები“.

ტერენტი გრანელის შემოქმედებას, მის პოეზიას მაღალი შეფასება  
მისცა იმ დროისათვის უკვე უაღრესად პოპულარულმა, ევროპულად  
განსწავლულმა მწერალმა ლეო ქიაჩელმა: „ტერენტი გრანელი ერთი წლის  
განმავლობაში ზღაპრის გმირივით გაიზარდა. შეიძლება ითქვას, რომ  
წუთები ზრდიდნენ მას. მისი უკანასკნელი ლექსები ჯადოსნობდნენ ინ-  
ტიმობაზე. ინტიმურია მისი მოსვლა ქვეყანასთან. გაგება არა აქვს, შეგ-  
რძნება მხოლოდ, რომელიც სუნთქვავა უნაზესი სულის, მის ლექსებში  
არაერთხელ მიგრძნია: ტერენტი გრანელის ლექსებში ინდივიდობს არა-  
მიწიერი გრძნობა პირისპირ ქვეყნისა. ის რომელიღაც ძაფით უახლოვ-  
დება — უხილავით, რა თქმა უნდა, — ერთვის ქვეყანას, სრულიად, საგ-  
სებით. ეს მისტიკაა ნამდვილი. საინტერესოა ჩემთვის — ათას ცხრაას  
ოცდასამ წელს გაიმეორებს წარსულს, თუ კიდევ გაიმარჯვებს“, — წერდა  
იგი.

ღიახ, შემდეგ ორ წელიწადში ტერენტი გრანელმა არათუ გაიმარჯვა,  
მან ნამდვილ შემოქმედებით მწვერვალს მიაღწია. დღეს ამის შესახებ  
ბევრმა განათლებულმა ქართველმა იცის. ამაზე აქვე მოკლედ ჩვენც ვი-  
საუბრებთ. ოღონდ ჯერ ისევ „სულიდან საფლავების“ გამოცემის გამო-  
ორი ავტორის უაღრესად საინტერესო მოსაზრებებს შეგახსენებთ.

ჟურნალ „ილიონის“ ათას ცხრაას ოცდაორი წლის მეორე ნომერში  
„პ. ი“-ს ფსევდონიმით დაბეჭდილ მოკლე რეცენზიაში კონსტანტინე გამ-  
სახურდია წერდა: „ჩვენი თანამედროვეობა მისტიკის სანიშნოს უყუ-



რებს. ჩემზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ახალგაზრდა პოეტის ცარის გამბედაობით გამოცემულმა წიგნაკმა, რომელიც უფრო საოცარ წარწერას ატარებს: „ტერენტი გრანელი მოდის სისხლიანი სამარიდან. იქნებ ის იყოს ქრისტე მეორედ მოსული“. ჩვენს დროს ესაჭიროება ქრისტეს სისხლიანი სახის დემონური შემოხედვა. ევროპულის მასშტაბით მოხდა დიდი გარდატეხა რადიკალიზმიდან მარჯვნივ. ფილოსოფიაშიც მისტიკა იმარჯვებს. პოეზიასაც მისტიური ქროლვა ეუფლება. ახალგაზრდა ტერენტი გრანელი სიმპტომურია ამ მხრივ. წიგნში მრავალი გულწრფელი ცრემლია, დიდი ჰუმუნვარება, დიდი სევდაა გაუხარეღ ნაღველში გაზრდილი თაობისა. სტრიქონები აქა-იქ სევდიანია, როგორც ქურუმის თეთრი ფრთების შრიალი.

ლექსების ტექნიკაშიც დიდი წინსვლა ეტყობა პოეტს. არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ ტერენტი გრანელი ალაგ-ალაგ დაშინებას გვიპირებს თავის „მკვდრების“ ფანტომებით. ჩვენ ისეთი ვაკხანალიის გამოცდილი თაობის წარმომადგენლები ვართ, რომ სისხლიანი სურათებით ვერავინ დაგვაშინებს... ეს წიგნი უახლოეს პოეზიაში ძლიერ თამამი სიტყვაა. მას ჩვენ თავის დროზე ვეროვან ყურადღებას მივაქცევთ. საოცარი მატერიალური სიღარიბე ეტყობა წიგნს, მაგრამ ეს აორკეცებს იმ ცრემლიან ჰუმუნვარებას, რომელიც ასე ძლიერ ქრის ამ მინანქრის სტრიქონებიდან“, — კატეგორიულად აცხადებს რამდენიმე ევროპული ენის მკოდნე, დიდი მწერლების შემოქმედების ორიგინალებს ნაზიარები, თავდაც მხატვრული სიტყვის დიდოსტატი კონსტანტინე გამსახურდია.

და მეც შემეძლო აქ დამესვა წერტილი ტერენტი გრანელის ლექსების მესამე წიგნის — „სულიდან საფლავების“ — შესახებ მის თანამედროვეთა ზოგიერთი წარმომადგენლის მოსაზრების კომენტარისათვის, რომ არა ერთი მეტად საინტერესო წერილი, რომელიც მისი „პოეზიის საღამოს“ გამო გაზეთ „ტრიბუნის“ შვიდი ივლისის ნომერში დაიბეჭდა. დიახ: ტერენტი გრანელის პოეზია ქუხს თბილისში, სრულიად საქართველოში. მკითხველი საზოგადოება აღფრთოვანებული ელოდება პოეტის ყოველ ახალი ლექსის გამოჩენას, მისი არაორდინარული ცხოვრების შესახებ ინფორმაციას. საყვარელ პოეტს ეპატიჟებიან სავარდო და სამაისო ქუთაისში, მზიურ ბათუმსა და სოხუმში, პატარძეულში. უწყობენ შეხვედრებს, უმართავენ „პოეზიის საღამოებს“. სწორედ ერთ ასეთ თბილისში გამართულ „პოეზიის საღამოს“ მიეძღვნა პაატა ორბელიანის წერილი, რომელიც მოგვყავს მთლიანად: „ახალგაზრდა ქართველ პოეტებში თავისი ნაყოფიერებით და ტონით განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ტერენტი გრანელი. მხოლოდ მას, ვინც ივემა პოეზიის ინტიმური ზიარება და უფრო მეტად მას, ვისაც ჰომეროსის თქმით, ღმერთებმა არგუნა ზეციური ნიჭი ამღერებისა, შეუძლია მიხვდეს, თუ რას ნიშნავს საკუთარი



ტონი პოეზიაში. დღეს, როდესაც ქართულ პოეზიას აქვს დიდი წარსული და დიდი ტრადიცია, ძნელი არის გამოერჩიო მომღერალთა უფერულ ბრბოდან. დღეს იმდენად დიდია მოთხოვნილება და განვითარებულია ესთეტიკური გემოვნება, ძალიან ადვილია ახალგაზრდა პოეტმა ფენი წაიტენოს და დამარცხდეს. პირველი დამარცხება ყოველთვის არ არის დიდი ტრიუმფების წინასწარმეტყველება. ტრიუმფებსა და დაფნას სჭირდება შემოქმედებითი ენერჯის მაგარი მუხლები და გზა დამალავი.

ტერენტი გრანელს აქვს თავისი პირველი წიგნი „სულიდან საფლავები“ (პირველ ორ მცირე მოკულობის „კრებულს“ ავტორი, ეტყობა არ თვლის — გ. ც.) ეს ყვითელი წიგნი ჟღალი ფურცლებით ტოვებს მართლაც საფლავების სუნთქვის კომპარულ შთაბეჭდილებას. ერთმა მწერალმა ტერენტი გრანელს უწოდა „დიდი მწუხარების პოეტი“. ასეთი სადა და მარტივი დაფასება ყოველთვის შესაწყნარებელი არაა. პოეტის შინაგან ირაციონალობას ძნელია მოუნახო რაიმე ფორმულა, რადგან იგი მარად გამზიდავია და ვერ ითმენს ჩარჩოებს. აქ არ არის მართო მწუხარება (ხაზგასმა ავტორისაა — გ. ც.).

ტერენტი გრანელში უთუოდ მეტია ხილვა ხელშეუხებების და შეუცნობის. ამ წიგნში არის ბევრი სტრიქონი, როდესაც იგრძნობთ მყუდრო უდაბნოში მოზუზუნე სამუშების მოულოდნელ გამოქროლებას და საზარელ ოხვრას ქვიშაში დამარხული ქარავნებისა. უფრო ხშირია შფოთიანი გადაშლა უიმედო აფრებისა. ტერენტი გრანელი — ეს თმებგაწეწილი ბავშვი ტფილისის ტროტუარებისა და მისი აქლემისფერი მიდამოებისა, იყურება ამ წიგნიდან მართლა სისხლიანი თვალებით. ტერენტი გრანელს აქვს ბევრი ამღერება, რომელიც იძლევა იმპრესიონისტულ ათვისებას ტფილისის პეიზაჟისა პრიმიტივ ფორმებში. განსაკუთრებით ეს შეიძლება ითქვას მის სულ უკანასკნელ ლექსებზე. აქ არის განწირული ხმები ემაფოტზე ასული ადამიანისა.

არსად მის ლექსში არ არის ნიღაბი და პოზა. ყოველი სტრიქონი განცდილია უშუალოდ და წარმოადგენს რომელიმე წუთს მისი ცხოვრებიდან. აქ იშლება საინტერესო მომენტი ტერენტი გრანელის შემოქმედებაში. არიან პოეტები, რომლებიც ბიოგრაფიით ქმნიან შემოქმედებას. შეიძლება დადგეს დრო, როდესაც პოეტი დასწერს თავის სიცოცხლეში მხოლოდ ერთ ლექსს. ეს იქნება მისი ავტობიოგრაფია. ასეთი რიგის პანთეონით იამაყებს ქართული პოეზიაც. ჩვენ ახლაც გვაქვს კალეიდოსკოპი მწუხარე და მეოცნებე რაინდების: მამია გურიელი, დალუპული ჭლეჭით და უკანასკნელ წუთებში ატირებული თავისმკვლელ შვილზე! გრიშა აბაშიძე, პეტერბურგის ნისლში და ქარში დაკარგული; საგანელი — მორფით გაუღენთილი ბავშვის კუბოში.

დღეს ტფილისისათვის სიზმარეულია ტერენტი გრანელის მოცახცა-



ხე სული ისე, როგორც გრანელისათვის სიზმარია და მოჩვენება სკელებზე  
რი ცხოვრება. უიმედო დღეებმა წელა ჩაიარეს და არავინ იცის, რომ ამ  
ზამთრის დაუსრულებელ ღამეებში მას იატაკზე სძინავს გაყინული ცრემ-  
ლებით. დილას, როდესაც ტფილისის ნისლში ამოვა მზე, იგი მიჰყვება  
მზიან ტროტუარს თვალეზ-ამღვრეული, შფოთიანი ელდით და კონვულ-  
სიებით.

ქართველი საზოგადოება ყურადღებით უნდა მოეპყროს ახალგაზრდა  
პოეტს, რადგან არის ხალხი, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობა, რომ-  
ლისთვისაც ძვირფასია ქართული პოეზია და ხელოვნება მარადი.

ხუთშაბათს ტერენტი გრანელი კიდევ ერთხელ გამოვა ჩვენ წინ თავი-  
სი ახალი შემოქმედებით. ხუთშაბათის საღამო იქნება კიდევ ერთი ზედ-  
მეტი გამართლება ტერენტი გრანელის“ („ტრიბუნა“, 7 ივლისი 1922  
წლის).

დიახ, ტერენტი გრანელის ლექსების მესამე კრებულის „სულიდან  
საფლავების“ გამოსვლა პოეტის მორიგი დიდი გამარჯვება იყო. მას ხომ  
იმ დღეებში შეუსრულდა ოცდამეოთხე წელი, რომელსაც, მართალია,  
მცირე მოცულობის, მაგრამ ლექსების სამი კრებულით, ლიტერატურუ-  
ლი აღმანახით — „კრონოსის სარკე“ და ის-ის იყო დამოუკიდებლობა  
მოპოვებული საქართველოს პოზიციებიდან უაღრესად საინტერესო პუბ-  
ლიცისტური წერილებით შეხვდა. თანაც არა ოდენ სიტყვით: როცა თა-  
ვისუფლების დაკარგვის შემდეგ თურქეთის მიერ საქართველოდან ახა-  
ლი ტერიტორიის წაგლეჯის საფრთხეც რეალობად იქცა, ტერენტი გრა-  
ნელი იარაღით ხელში იბრძოდა სამშობლოს დასაცავად. სწორედ ეს  
იყო მიზეზი, რომ მისი ლექსების ახალ კრებულს ფართოდ გამოეხმაურა  
ქართული მწერლობა, ინტელიგენცია, მკითხველი საზოგადოება. ამის  
საილუსტრაციოდ ჩვენი საუკუნის უდიდესი მწერლების ზემოთ მოტანი-  
ლი მოსაზრებებიც კმარა.

და მაინც, ფაქტია, ტერენტი გრანელმა თავისი შემოქმედების ძალიან  
მოკლე გზაზე კულმინაციას მომდევნო ორ წელს გამოქვეყნებული ლექ-  
სებით მიაღწია, რომლის გვირგვინი გახდა ლექსების ახალი, მოზრდილი,  
ოთხმოც გვერდიანი კრებული, ცოტა არ იყოს უცნაური, თუმცა პოეტის  
შეხედულებებიდან გამომდინარე, არც ისე მოულოდნელი, სახელწოდე-  
ბით — „Memento Mori“ („გახსოვდეს სიკვდილი!“), რომელიც 1924 წელს  
გამოვიდა. პარადოქსულია თითქოს ასეთი ფაქტიც: ტერენტი გრანელი  
იყო ერთადერთი, ხაზს ვუსვამ — ერთადერთი — ქართველი პოეტი, ქარ-  
თველი მწერალი, რომელსაც არც ამ კრებულის გამოსვლამდე, არც შემ-  
დეგ — სიკვდილამდე (1934 წ.), ერთი არათუ ლექსი, ერთი სტროფი,  
ერთი ტაეპი არ მიუძღვნია საბჭოთა წყობილებისადმი. მიუხედავად ამი-  
სა, გაზეთი „კომუნისტი“ რუბრიკით „ხელოვნება“ იმავე წლის სამ ივნისს



აქვეყნებს ასეთ განცხადებას: „ტერენტი გრანელის წიგნობის და  
და მალე გამოვა ტერენტი გრანელის ლექსების კრებული „Me-  
mento Mori“. წიგნი შეიცავს ოთხმოც გვერდს და ელირება ათი „შაური“.

ათას ხუთასიანი ტირაჟით გამოცემულ ამ კრებულში დაბეჭდილი  
ახალი ლექსები საუკეთესოა არა მარტო ტერენტი გრანელის ადრინდელ  
ლექსებს შორის, არამედ ოციანი წლების ქართულ პოეზიაში საერთოდ,  
რომელმაც, სრულიად სამართლიანად, უდიდესი გამოხმაურება გამოიწ-  
ვია მკითხველებში. ეს იყო პოეტის საბოლოო გამარჯვება პოეზიაში! ეს  
იყო ტერენტი გრანელის შემოქმედების ზენიტი, რომელსაც ემსხვერპლა  
კიდევ (ეს ცალკე საუბრის თემაა. ამაზე სხვა დროს ვისაუბრებთ!).

„გაუმარჯოს ტერენტი გრანელის პოეზიას! ვალაკტიონი.“ — ასე წაუ-  
წერია ვალაკტიონ ტაბიძეს აღნიშნული კრებულის ერთ-ერთი ეგზემ-  
პლარისათვის, რომელიც, ეტყობა, ყურადღებით წაუკითხავს და აღფრთო-  
ვანებულა! ეს ეგზემპლარი შემდეგ ტერენტის ცნობილი მწიგნობრისა და  
საზოგადო მოღვაწის იაკობ შანავას მეუღლისათვის უჩუქნია ავტოგრა-  
ფით: „ჩემს ძვირფას მეგობარს კატო შანავას. ტერენტი გრანელი, გლენ-  
თა სახლი. 21 ივნისი, 1924 წლის“. იაკობის უფროსი შვილის გეგე შანა-  
ვას ოჯახმა აღნიშნული წიგნი გადმომცა მე. ახლა იგი წალენჯიხაში,  
„ტერენტი გრანელის სახლ-მუზეუმში“ ინახება. ვალაკტიონის მინაწერი  
საინტერესოა იმდენად, რამდენადაც მას ტერენტი გრანელის შემოქმე-  
დებაზე ამის მეტი არაფერი დაუწერია, თუმცა, ცნობილია, რაოდენ დიდ  
პატივს სცემდა მას. ეს მოტანილი მინაწერიდანაც ნათლად ჩანს.

კრებული „Memento Mori“ იხსნება სულის შემძვრელი მინიატურით  
„გულიდან: სისხლის წვეთები“: „— მე ვწერ ამ სტრიქონებს ქარიან ღამე-  
ში, როდესაც წვიმის წვეთები ეცემიან მინას და, როცა სიშორეზე ტირის  
როიალი. მე ეხლა მაგონდება ჩემი ცხოვრების ქარიშხლიანი დღეები და  
სინანულის ჟრუანტელი მივლის. თანაც მიხარია, რომ ვარ ტერენტი  
გრანელი. წინ უფსკრულია და შავი ნისლი მახვევია ირგვლივ. მე  
ქვეყნის გაჩენიდან ნელა მოვდიოდი სინათლისაკენ, რომ მეხილა მზე.

ალბათ მიზიდავდა შორეული და უხილავი. მოვედი ადრე და ეხლა  
ისევ უახლოვდები სიბნელეს, როგორც ზღვას, სადაც სამუდამოდ ჩაიძი-  
რება ჩემი სხეული. ყოველ ღამეს მოაქვს ფიქრი სიკვდილზე და სიშორე-  
ზე და მეშინია...

ვფიქრობ: მოვა წამი, როცა არ ვიქნები ცოცხალი. მაინც მჯერა ჩემი  
უკვდავება. მე პოეზიამ მაგრძობინა, რომ სადღაც შორს არსებობს უკ-  
ვდავების ცისფერი მხარე, სადაც დაფრინავს ჩემი მწუხარე სული.

ქარიშხლიანი ღამეა და მინდა ვიყო სხვაგან. პოეზიამ იცის უეცარი  
სიხარული, რომელიც უდრის გაფრენას.

მე არ მინდოდა სიცოცხლე.

არც სიკვდილი.

მე რალაც სხვა მსურდა.

ეხლაც ვფიქრობ და მწამს მესამე გზის არსებობა, როგორც იდუმა-  
 ლების. მე ისევ ვსდგავარ მარადისობის გარინდებულ საზღვართან ვით  
 მგლოვიარე სერაფიმი და ველი ქრისტეს ლანდს, რომელიც დამიხსნის მე  
 განსაცდელისაგან.

და მჯერა სიცოცხლე სხეულის გარეშე.

მე მივმართავ მთელ მსოფლიოს შემდეგი სიტყვებით:

მე მინდა გაფრენა. მე მინდა ყველგან ვიყო, რო-  
 გორც ღმერთი.

ჩარჩენილი ვარ ბავშვივით ამ ცოდვილ ქვეყანაზე და არ ვიცი როგორ  
 ამოვიდე იმ ტალახიდან, რომელსაც ეწოდება მიწა.

არა სიცოცხლე.

არა სიკვდილი.

არამედ რალაც სხვა.

ვამბობ: არ არიან სიტყვები გრძნობისათვის, გარეთ ისევ ქარიშხა-  
 ლია. წვიმის წვეთები ისევ ეცემიან მიწას და ისევ სიშორეზე ტირის  
 როიალი.

ტერენტი გრანელი

დარია ახვლედიანის ბინა“.

ეს არის პოეზიისათვის წამებული პოეტის რეკვიემი, პოეზია პროზად!  
 ხოლო მთლიანად კრებულმა — „Memento Mori“ — მის ავტორს საბო-  
 ლოოდ დაუმკვიდრა უკვდავის სახელი. ამას ტერენტი გრანელის შესა-  
 ნიშნავი ლექსები, მისი ტანჯული ცხოვრება ადასტურებს.

მიდის ფერწასული დღე, ღამე მომიახლოვდა,

ღამე მომიახლოვდა შავი და საშინელი.

სინანული გაივლის მოგონების მაღლობთან

და მოვა მწუხარება ჩემი ლურჯი ფრინველი.

ეს გუგუნე მუსიკის, როცა მე მიხარია,

თან ტირილი მინდება და მკლავებზე ტრაური.

ჩემი მოპირდაპირე უხილაგი ქარია

და თვალეში გაისმის ღამეების ხმაური.

მე ყოველთვის ასე ვარ და არავინ არ იცის,

ბოროტება მიცქერის როგორც შავი ყორანი.

მე ისევ მენატრება სურნელება მაისის

და ზაფხულის დღეები ტკბილად მოსაგონარი.

ქვევით საფლავებია და ზევიდან ფიქრები,

(ალბათ გენიოსი ვარ და ცისფერი სიშორე).



დაო, ასე მგონია, ბედნიერი ვიქნები,  
სადმე ახლო თბილისთან თუ სამარე ვიშოვე.  
სულის მკრთალი ლანდები შენს გარშემო ივლიან,  
წვიმიანი წამოვა რიცხვი აუტანელი.  
ბედის კარი, ძვირფასო, ისევ დაკეტილია,  
საოცრება მოგელის შენ, ტერენტი გრანელი.

(„ცისფერი სიშორე“)

გენიალურია!

დიდი მნიშვნელობის მოვლენად იქცა ტერენტი გრანელის „პოეზიის დღე“, რომელიც აღნიშნული კრებულის გამოსვლას მიეძღვნა და 1924 წლის 28 დეკემბერს გაიმართა. მისი ნიჭის დამფასებელმა ახალგაზრდა პოეტებმა ერთი კვირით ადრე გამოუშვეს ერთდროული გაზეთი „ტერენტი გრანელი“, რომელსაც ანალოგი არ მოეძებნება ქართული პრესის, ქართული მწერლობის ისტორიაში.

„მოქალაქენო! ტფილისის ქართველ ახალგაზრდათა ერთი ჯგუფის ინიციატორობით, კვირას, 28 დეკემბერს, 12 საათზე, მცირე თეატრის დარბაზში, უნიჭიერესი პოეტის ტერენტი გრანელის საპატივცემოდ გამართება ამავე პოეტის „პოეზიის დღე“. სრული რწმენით, რომ საქართველო არის პოეტების ქვეყანა, ხოლო ქართველები პოეზიის მოყვარულნი და თაყვანისმცემელები, მოვუწოდებთ ყველას: „დაესწარიტ ამ დღეს“. მაშ, მთელი ყურადღება ტერენტი გრანელს!

ტერენტი გრანელი: სისხლიანი სამარიდან.

ტერენტი გრანელი: სიკვდილში. ტერენტი გრანელი: გაფრენისათვის. ტერენტი გრანელი: პლანეტებზე. ტერენტი გრანელი: პოეზიის გრიგალში. ტერენტი გრანელი: ყველგან. მომწყობი კომისია. თბილისი. 1924 წელი“.

ეს სიტყვები მოტანილია ოთხგვერდიანი გაზეთიდან „ტერენტი გრანელი“. სათაურს ქვემოთ, ცენტრში, დაბეჭდილია ირაკლი თოიძის მიერ შესრულებული პორტრეტი პოეტისა, რომელსაც თავზე ნათლის გვირგვინი ადგას და შთამბეჭდავ სახეს ქმნის. რაც შეეხება გაზეთის შინაარსს, შეიძლება ის ტერენტი გრანელის ცხოვრების რომანად ჩაითვალოს — ანუ პოეზიისათვის წამებულ რაინდის მიმართ ქართველი ერის, მისი მადლიანი მკითხველების უდიდესი სიყვარულის დასტურად. გაზეთში წარმოდგენილი წერილებით მათ თავიანთი ხმა შეუერთეს ისეთმა ცნობილმა მწერლებმა და საზოგადო მოღვაწეებმა, როგორც იყვნენ ვასილ ბარნოვი და ივანე გომართელი, კონსტანტინე კაპანელი და თომა ჩიქვანაია, დარია ახვლედიანი და ვარლამ რუხაძე, ვალერიან ნორაკიძე და ვანლერ დაისელი (ივანე ბაბუაძე), დავით კობიძე და აპოლონ ქელ-



ბაქიანი, ალექსანდრე შანიძე და პიერ კობახიძე. აქვეა მისალმებანი ტუთაისიდან, ბათუმიდან, ზუგდიდიდან, სენაკიდან, ზესტაფონიდან, გორიდან. ბევრი ლექსი და წერილი ვერ დაიბეჭდა გაზეთში, რომელთა ავტორებს ბოდიშს უხდის რედაქცია.

ჩვენ ამ თვალსაჩინო მოღვაწეთა რამდენიმე გამონათქვამს დავიმოწმებთ. ივანე გომართელი: — „იმ ახალგაზრდა პოეტებს შორის, რომლებიც სულ ბოლო დროს გამოჩნდნენ პოეზიის სამსხვერპლოზე, ტერენტი გრანელს უსათუოდ ეტყობა ჭეშმარიტი ნიჭი. ის კლდიდან გადმოძჩქეფარე ანკარა ნაკადულია, რომელიც ჯერ არ ჩამდგარა თავის კალაპოტში. ის, რაც არსებობს, მას არ აკმაყოფილებს. მას სხვა უნდა, მაგრამ რა?.. რევოლუცია არ არსებობს მისთვის. არც თვითონ ის არსებობს რევოლუციისათვის. მთელი მისი განცდა შებყრობილი აქვს შორეულს, მარადიულს, უსაზღვროს... ტერენტი გრანელის პოეზიაში ვერ ნახავთ ყალბ ხაზებს, ყალბ განცდას, გადაჭარბებას. თქვენ არ მოგესმით წუწუნი, ნაძალადევი გოდება. პოეტის სევდაში ჩაქსოვილია დიდი გულწრფელობა, ძიება მოუსვენარი, მოწყურებული სულისა. მთლიანად აღებული პოეზია ტერენტი გრანელისა თავისებურია, თუმცა სულიერი კავშირი უსათუოდ აქვს გალაკტიონ ტაბიძესთან, იმ გალაკტიონთან, რომელმაც მეტად ლამაზად გაიფლვა განსაკუთრებით მეორე ტომში. ტერენტი გრანელის პოეზია მუსიკაა მისი სევდიანი სულისა. მელოდია ამ მუსიკისა სრულიად არის გამართლებული პოეტის შემოქმედების მთელი შინაარსით“.

დახვეწილი სტილის უსაჩინოესი ინტელიგენტი, ფილოსოფიურად განსწავლული მჭევრმეტყველი მესიტყვე კონსტანტინე კაბანელი წერდა: — „პოეტობის სურვილი საქართველოში დიდი, მაგრამ ჭეშმარიტი პოეტი — მარჯვე მხატვარი განცდისა და სულის, წვალებების ფშვიკად შეგზვდებათ. ძალას ბევრი ატანს თავს, მაგრამ მწიანს ცოტა ადწვევს... მხოლოდ აქა-იქ წააწყდებით უბედობით მოხეტიალე სულდებს, რომლებიც ობოლი მარგალიტებივით ლივლივებენ სახეებიდან და ინტუციებით ქართული ლიტერატურის უდაბნოში. მათ შორის უსათუოდ მოგაკონტებათ მწუნურულად სახე გაშლილი, მუდამ სევდიანი თვალებით, ქაჩხული „ძმობიჭებისაგან“ განაპირებული, სიშორისა და მარტოობის რწინდი — ტერენტი გრანელი... რომლის ლექსებშიც სტირის სული ადამიანის, რომელიც შეშინებულია ქვეყნის უსაზღვროებით და ოცნებათა შორეული გაალებით. გრანელი არ ახრჩობს თავის სევდას ფიზიოლოგიურ კმაყოფილებაში. იგი თითქოს შეყვარებულია, თითქოს გატაცებულია სევდის გრძნობით. გრძნობა სიშორისა და მარტოობის მისი პოეტური კულტია, მისი „იდეე-ფიქსია“.

როიალის ხმა, წვიმის წვეთები ცხოვრების სუსხი, საღამოს ნისლი —



ყველაფერი ტერენტი გრანელის შემოქმედებაში სიშორესა და მარტოობაზე მღერის: საწყალი და საცოდავია წუთისოფლად ადამიანი, — გვეუბნება ტერენტი გრანელი. იმის ლექსების წაკითხვის შემდეგ თქვენ უსათუოდ იგრძნობთ ერთგვარ სიყვარულს საერთოდ ადამიანისადმი — ადამიანისადმი, რომელიც დაკარგულია უსაზღვროებაში და რომელსაც საშინლად სწყურია მარადისობა. — დიდებული სიტყვებია!

ვასილ ბარნოვს კი ტერენტი გრანელი ზეციურ არსებად წარმოუდგენია, როცა წერს: „უხორცოთა სჩვევიათ ცთომა. ეთეროვნებს მათი შეცდომა, მაინც არის ცოდვა მამძიმ: გამჩენი უწესებს სასჯელს. გადმოსტყორცნის ქვეყანაზედ კაცთა სახით, ზოგს ავიწყდება ზეციური ყოფნა ნეტარი, სად პირისპირ მზერდა იგი მშვენიერებას. სხვას გადაჰყვება ბუნდოვნად ის სახეები, შეგრძნება მქრქალი ნეტარი სუფევის. და დაეძებს ამ ბნელში ნათელ სახეთა. ბუნდის თვალით თითქოს ჰხედავს იმათ ანარეკლს... და დაეძებს თავის საძებარს მარად, ყველგან: ყაბახზედ, თუ ორღობეში, ტყე-ღრეში, თასის ძირზედ, ყუნწის ჭურღმულში. მიღი-მოღის, დაძრწის თავშიშველი, თმა აბურბუნული, ფეხ შეუმოსი. ნათხოვარი გვაბანაკი ჩამოძონძილი, ბევრჯერ შშიერი, ხან მძღლარი, ვერ დასთმობს იგი ამ ძიებას აღსასრულამდინ! — და ჰპოვებს იგი. არ მოაკლებს შემოქმედი ძალას, შეაძლებინებს უჭკნობ ყვავილთა უხვად მოკრეფას, რომ მოუფინოს ბნელში მავალი გზა ცხოვრებისა,“ — ასცენის დიდი ქართველი, იმ დროისათვის უხუცესი მწერალი ვასილ ბარნოვი.

ალბათ სამართლიანი იქნება აქ სტუდენტი ახალგაზრდების მოსახრებაც დავიმოწმოთ: „ტერენტი გრანელის პოეზიის დღის გამო. სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ერთი ჯგუფი მივესალმებით ტერენტი გრანელს როგორც ჭეშმარიტ პოეტს, რომელსაც მიზნად დაუსახავს პოეზიისათვის თავგანწირვა და სიკვდილი. ქართულ პოეზიაში ის ბრწყინვალე ვარსკვლავია, რომელიც ანათებს ადამიანის წამებულ სულს. ის ერთადერთი პოეტია, რომელიც იწვევს სიყვარულს და თანაგრძნობას ქართველ სტუდენტობაში. მაშ, სიხარულით ვეგებებით 28 დეკემბერს, როგორც პოეზიის დღესასწაულს! ამხანაგების მონდობილობით სტუდენტი ილიკო ხუნდაძე“.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას: ლექსების მეოთხე წიგნით — „Memento Mori“, იმით, რაც ხუთ წელიწადში შექმნა, ტერენტი გრანელმა შეაბიჯა ქართველ კლასიკოს მწერალთა თანავარსკვლავედში.

სრულიად კანონზომიერია პოეტის შემდეგი სიტყვებიც:

პოეზიაში ვარ უდიდესი და ცხოვრებაში გზადაბნეული.

ვკითხულობთ ტერენტი გრანელის ლექსებს და იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს პოეტის განცდა უცვლელად გადმოღის მკითხველზე და



იპყრობს მას მთელი არსებით: მკითხველი ტირის უცრემლოდ. აქედან  
 პოეტის უდიდესი ძალა, შეიძლება ითქვას „Memento Mori“-ს გამოსვლის  
 შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა ქართულ პოეზიაში, რომელიც ზანტი დი-  
 ნამიკური პროცესით მოდიოდა. მოხდა უდიდესი გადატრიალება: „ცის-  
 ფერი ყანწები“ დადუმდნენ! გაჩუმდა ტერენტი გრანელიც! მაგრამ ეს  
 ღუმილი უფრო მეტ შთაბეჭდილებას სტოვებს, ვიდრე ზოგიერთების  
 ღრიალი, რომელმაც აიკლო ქართული პოეზია. ეს სიტყვები უფრო ქარ-  
 თველ ფუტურისტებს ეხება. ტერენტი გრანელი, პირიქით, მკითხველე-  
 ბის უდიდესი სიყვარული დაიმსახურა. მის მიმართ სიძულვილი არ არ-  
 სებობს. და თუ არსებობს — შურით! მის პოეზიაში უმაღლეს დონეზე  
 ავიდა მისტიციზმი. მან თქვა თითქმის ყველაფერი. ამ სფეროში მეტის  
 თქმა შეუძლებელია. ასეთია საღად მოაზროვნე კრიტიკოსთა ობიექტუ-  
 რი შეფასება. ასე გავიდა 1924 წელი!

მაგრამ, სამწუხაროდ, ტერენტი გრანელის ხალასი პოეტური ნიჭი,  
 მისი პოპულარობა, ბევრ მის თანამოკალმეს აღიზიანებდა და ისინი,  
 სრულიად დაუმსახურებლად, თავს ესხმოდნენ უფაქიზესი სულის ჭეშ-  
 მარიტ პოეტს. ასეთი უსიამოვნო ინციდენტი მის ცხოვრებაში საკმაოდ  
 ბევრი იყო. განსაკუთრებით 1924 წლის ცნობილი მოვლენების შემდეგ.  
 იქნებ ამის გამო, ანდა იმ წელს მიღწეული შემოქმედებითი აპოგეის  
 შედეგად მიღებული სულიერი კმაყოფილების მიზეზით, პოეტს, ეტყობა,  
 მოაკლდა ბრძოლის პათოსი და მოხდა ისე, რომ 1925 წელს მისი არც  
 ერთი ლექსი არ დაბეჭდილა. თუ გავითვალისწინებთ ერთ საგულისხმო  
 ფაქტს, რომ იმ წელს გალაკტიონ ტაბიძის მხოლოდ ხუთი ლექსი დაი-  
 ბეჭდა, შეიძლება ითქვას, ქართული ჭეშმარიტი პოეზიისათვის 1925 წე-  
 ლი მეტად მწირი გამოდგა.

მაგრამ დადგა ახალი, 1926 წელი და კიდევ ერთხელ გამობრწყინდა  
 ტერენტი გრანელის უდიდესი პოეტური ნიჭის შესაძლებლობანი. ჟურ-  
 ნალ-გაზეთებში — „ქართული მწერლობა“, „ილიონი“, „უშბა“, „თეატრი  
 და ცხოვრება“, „ახალგაზრდა კომუნისტი“ ზედიზედ დაიბეჭდა მისი ოც-  
 დაცხრა ახალი ლექსი, მათ შორის ისეთი დაუვიწყარი პოეტური სახის  
 შემკველნი, როგორიცაა: „Memento Mori“, „გაზაფხულის საღამო“, „მა-  
 რადისობის ლაჟვარდები“; უსათაუროდ: „რვა ივნისია, ცხელა“, „ქრიან  
 ფიქრები თეთრი და შავი“ და სხვა. სწორედ ეს ახალი ლექსები შევიდა  
 ტერენტი გრანელის სიცოცხლეში გამოსულ მის ბოლო, მეხუთე წიგნში  
 — უსათაუროდ. როგორც მოსალოდნელი იყო, მაშინდელი პრესა, ლი-  
 ტერატურული კრიტიკა უმაღ გამოეხმაურა ამ ფაქტს.

აქ უნდა მეტად მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენა გავიხსენო:  
 სამშობლოდან დიდი ხნით დაშორების შემდეგ, 1926 წლის სამ ივნისს  
 თბილისში ჩამოვიდა საგ. კვ (ბ) ცეკას გენერალური მდივანი იოსებ ჭუ-



ლაშვილი — სტალინი, რომელსაც ვრცელი ინფორმაცია უქონებო ბრუნსამ, მათ შორის, გაზეთმა „ახალგაზრდა კომუნისტმა“. ამ საგანგებო ნომრის მომდევნო გვერდზე, ლამაზად გაფორმებულ ჩარჩოში ტერენტი გრანელის შესანიშნავი ფოტოა ჩასმული და იქვე განცხადება, რომ დაიბეჭდა და მალე გასაყიდად გამოვა ტერენტი გრანელის ლექსების მესამე (უნდა იყოს „მეხუთე“ — გ. ც.) წიგნი. ეს იყო ისეთი მაღალი დონის რეკლამა, რომლის მსგავსი არც ერთ მის თანამოკალმეს არ რგებია. იგი მომდევნო სამ ნომერშია გამეორებული.

რაც შეეხება ტერენტი გრანელის ლექსების მეხუთე წიგნს, როგორც ყველა აღრინდელს, მაშინვე გამოეხმაურა ქართული სალიტერატურო კრიტიკა, რამეთუ აქ დაბეჭდილი ლექსები ქართული პოეზიის შედეგებია. მაგალითად:

გაზაფხულის სალამოა შშვილი,  
 ხიდან ზეზე გადაფრინდა ჩიტი... --  
 წინ შეშლება სხვა ოცნების არე,  
 მიწის ცქერით დაიღალა მთვარე.  
 ცამღე წვდება ღამეების სიგრძე,  
 რაღაც დიდი სიხარული ვიგრძენ.

ანდა:

შენ, დედამიწავ, უფრო მაშინებ, როცა ოცნებით ზეცას მოვიარ,  
 წმინდაო ღმერთო! რად გამაჩინე, მე ზომ სიცოცხლე არ მითხოვია.

ან ეს:

ქრიან ფიქრები თეთრი და შავი და ეს დღეები სახეს მიცვლიან,  
 ახლა ზომ დროა მოვიკლა თავი, მეტის მოთმენა არ შემიძლია...

მე ვერ მიშველის თვით ჩემი ლექსიც,  
 თვით ჩემი ლექსი, სისხლის რვეული.  
 პოეზიაში ვარ უდიდესი და ცხოვრებაში გზადაბნეული.

პატრიოტული?

რაღაც მინდა სიცოცხლეზე მეტი,  
 უფსკრულია და შენ მარტო კვიი.  
 მე მაფიქრებს საქართველოს ბედი,  
 მე განვიცდი ჩემს სამშობლოს ტკივილს...



პესიმისტურია, არა? აბა მოუსმინეთ:

დღეს სხვანაირი სიცოცხლე ვიგრძენ,  
და ქვეყანაზე ველარ ვეტივი.  
მზიანი დღეა, ელვარებს სივრცე  
და დაფრინავენ მაღლა მტრედები.

დიახ, ტერენტი გრანელის პოეზია — მუსიკაა მისი სევდიანი სულის, ზოლო მელოდია ამ მუსიკის სრულიად გამართლებული პოეტის შემოქმედების მთელი შინაარსით. სტრიქონების ამოღება მისი პოეზიიდან შეუძლებელია: ყოველი სტრიქონი მთელი მისი შემოქმედების, მისი ბოხოქარი სულის ერთიანი ამოძახილია.

დასანანია დიდად, რომ სიცოცხლეში მან მხოლოდ ამ მცირე ფორმის ხუთი კრებულის გამოცემა მოასწრო, რომ მეხუთე კრებულის ბოლოს გაკეთებული განცხადებით გამოსაცემად გამზადებული სამი ახალი კრებული „მარადისობის ლაქვარდები“, „პოეზია პლანეტების“ და „რჩეული ლექსები“ არათუ მაშინ არ გამოსულა, საერთოდ დაიკარგა.

ქართული  
წიგნობა  
წიგნობა



ტერენტი ბრანელი

\* \* \*

ისევ ლექსია ჩემთვის ნუგეში,  
სხვა იმედებიც ალბათ ბევრია.  
მოვშორდი ხმაურს, ვარ დიდუბეში  
და დღეს პირველი ნოემბერია.

ელაგს ოცნება და ცა გაშლილი,  
უკვე დაფარეს გული შავებმა.  
აქ განისვენებს ბარათაშვილი  
და აქ მარხია ვაჟი-ფშაველა.

მინდა სიკვდილი იყოს ადვილი,  
ეს მიწა ზეცის გული მგონია.  
ვზივარ, სივრცეა და ეს ადგილი—  
ქართველ მწერლების პანთეონია.



---

# წახსულის ფურსლები



წიგნი საღაროა უწიგნი ხსოვნისა, წიგნი ხილია  
წარსულსა, აწვევია და მომავალს შორის. ამიტომ  
უნდა გიყვარდეს წიგნი!

კონსტანტინე გამსახურდია



ქილქოვსკი  
იგნატიევი

## კველი ქართული სამოგზაურო-მემუარული მწერლობის ისტორიიდან

(ქართველი მწერლები რუსეთის შესახებ)

### 1. შავლინოვი

ქართლში შექმნილი რთული სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობის გამო ვახტანგ მეექვსემ 1724 წელს სამშობლო დატოვა და მრავალრიცხოვანი ამალით რუსეთს მიაშურა. ეს ერთობ ძნელი მოგზაურობა იმდენად მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენა იყო, რომ მას არაერთი პოეტი თუ მემატიანე გამოეხმაურა — ზოგმა გაკვრით მოიხსენია, ზოგმა კი შედარებით სრული ცნობები მოგვაწოდა. მოგზაურობის მონაწილეთაგან გაბრიელ გელოვანმა მოკლე ჩანაწერი დაგვიტოვა („მცირე ანდერძი“), ვახუშტი ბატონიშვილმა კი ზოგადი და სქემატური ცნობები შემოგვინახა (11,507-509); მოგვიანებით დავით გურამიშვილმა მხოლოდ ფაქტი აღნიშნა („ვახტანგ რუსეთსა წაბძანდა, რაჭაზედ გადაიარა“ — 1,70), სენნია ჩხეიძემ კი საკმაოდ ბევრი ცნობა შემოგვთავაზა (10, გვ. 87-91, 333-334) და ა. შ.

საისტორიო წყაროებსა და მხატვრულ თხზულებებში ყველაზე მეტი მასალა ვახტანგ მეექვსის მოგზაურობის შესახებ გვხვდება პოემა „ვახტანგთანში“, რომელიც პოეტ ფავლენიშვილს ეკუთვნის.\* იგი ხელნაწერებში უსათაუროდაა შემონახული და ამ სათაურით, — თხზულების მთავარი გმირის სახელის მიხედვით, — სამეცნიერო ლიტერატურაში პირველად ე. თაყაიშვილმა მოიხსენია (18,357). მისი თვალსაზრისი სხვა ავტორებმაც გაიზიარეს (3, 535-540; 4,436; 14; 17; 12, 595-596; 13, 183-204; 5 და სხვ). საფიქრებელია, პოემა აღრეც ასე იწოდებოდა, ყოველ შემთხვევაში, ანა დოლენჯიშვილის მზითვის წიგნში (1796წ.) ასეა დასახელებული (7,403).

ტექსტის გამომცემლის დასკვნით, „ვახტანგთანის“ ავტორი უნდა იყოს

\* დაცულია რამდენიმე ხელნაწერში (S №101, A №1125, H №1757...), გამოაქვეყნა ს. ყუბანეიშვილმა (14, 184-219). ვსარგებლობთ ამ გამომცემით, გვრდებს ტექსტშივე ვუთითებთ.



ოტია ფავლენიშვილი, ემიგრანტი, რომელიც ვახტანგ მეექვსის ამალაზე ირიცხებოდა — ამალის ნუსხაში (1724წ.) იხსენიება სვიმონ ბატონიშვილის მხლებელთა შორის (15, 138). ის ტანტმიხდილ მეფეს ასტრახანამდე მიჰყვდა და კარგა ხანს იქ დარჩა, მოსკოვისაკენ არც ვახტანგსა (II. 1725) და არც დედოფალ რუსუდანს (I. 1726) არ გაჰყოლია (16, 80-96). მოგვიანებით ის მოსკოვში ჩანს, კვლავ სვიმონ ბატონიშვილის გარემოშია, მის ახლოსაა (15, 163). 1738 წელს რიგითად ჩაირიცხა ქართულ ჰუსართა ასეულში, 1739 წელს საცხოვრებლად მიუჩინეს ს. ნოვი სანჯაროვო, მონაწილეობდა ყირიმისა და შვეციის წინააღმდეგ ბრძოლებში. სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლების შემდეგ, — 40-იანი წლების დამდეგს, — დამკვიდრდა თავის მამულში — უკრაინაში (17; 12, 594).

ეს თვალსაზრისი გავრცელდა ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში, ყველა მკვლევარი, ვინც კი „ვახტანგიანზე“ წერდა, ავტორად ოტია ფავლენიშვილს ასახელებდა (კ. კეკელიძე, გ. მიქაძე, ბ. ქიქოძე...). რ. ფირცხალაიშვილმა ყურადღება გაამახვილა ვახტანგ მეექვსის ამალის სხვა წევრზე, პოეტ როინ (ჯავლაგ) ფავლენიშვილის ძმისწულ კაცია ფავლენიშვილზე, რომელიც 1737 წლის ახლოს დაბრუნდა საქართველოში, 1750-1763 წლებშიც იხსენიება აქაურ საბუთებში და 60-იან წლებში აქვე გარდაიცვალა (9, 226-230). რადგან ეს თვალსაზრისი ვარაუდების სფეროს სცილდება და უპირატესად დოკუმენტურ მასალას ეყრდნობა, ის უფრო დამაჯერებელი ჩანს. მომავალი ძიება საკითხს ალბათ უფრო მეტ ნათელს მოჰფენს.

„ვახტანგიანი“ მოზრდილი პოემაა, მასში 289 სტროფია. დასაწყისში, რომელიც მოკლე შესავალს წარმოადგენს, საუბარია სამყაროს შექმნაზე, სარწმუნოებრივ-ზნეობრივ საკითხებზე და სხვ. შემდეგ სამ კარში (1. მეფეთა ცხოვრება; 2. მეფეთა წამობრძანება ნებით თვისით რუსეთს; 3. ბრძანებითა ღმრთისათა მეფეთ მშვიდობით გამობრძანება ზღვიდამ) აღწერილია ვახტანგ მეექვსის ამალის მოგზაურობა სამშობლოდან ასტრახანამდე. ეს გზა ავტორმა მეფესთან ერთად განვლო და რაც იხილა, დაწვრილებით აღწერა. ბუნებრივია, პოემის ეს ნაწილი განსაკუთრებით საინტერესოა: არც ერთ სხვა წყაროში, — არც საისტორიოში და არც მხატვრულში, — ასე დეტალურად არ არის აღწერილი ქართველ ემიგრანტთა ეს საბედისწერო მსგლელობა, ეს ფათერაკებით დამძიმებული მოგზაურობა.

მომდევნო კარებში (4. მეფეთ ცარიცინის მიბრძანებისა და იქ საზარელის ამბის სმენა; 5. მეფეთ პეტრებუხს მისვლისა და ღმრთითკურთხეულთ დედოფალთ ხილვა; 6. ხელმწიფის ბრძანების აღსრულება დედოფალთაგან და წამობრძანება მოსკოვს; 7. ხელმწიფეთ დედოფალთაგან წარმოგზავნა მეფის ყიზილბაშისაკენ ღიღითა ღიღებითა და უამრავის

ქართთა) აღწერილია ვახტანგ მეექვსისა და მის ახლობელთა მოგზაობა მოსკოვსა და პეტერბურგს, ლტოლვილი ქართველი მეფის მიღება იმპერატორის კარზე, მისი გილანს გამგზავრება და სხვ.

ჩვენი ავტორი ასტრახანს არ გასცილებია, ვახტანგს აღარ ვაპყობია, ამიტომაც ამ თვეებში მოწოდებული მასალა სხვათა ნაამბობის საფუძველზეა დაწერილი, თვითმხილველთა, მეფის თანმხლებთა მონათხრობს ემყარება. გამორიცხული არაა, რომ პეტერგოფის სასახლეებისა და შადრევნების აღწერისას ის ვახტანგ ორბელიანის თხზულებით სარგებლობდა, მის ცნობებს იყენებდა.

„ვახტანგიანის“ ტექსტზე დაკვირვება საფიქრებელს ზდის, რომ ის დაწერილია ავტორის ასტრახანში ყოფნისას. პოეტი ასტრახანში მისვლამდე მომხდარ ფაქტებზე საუბრისას ასეთ ფორმებს ხმარობს: ვიყავით, გარდვედით, მიგვიძღვა, წამოვედით, გამოგვეგება და სხვ. შემდეგ კი, — თვით ასტრახანში დარჩენილი, — ვახტანგ მეექვსესა და მის მცირერიცხოვან ამაღაზე, პეტერბურგს გამგზავრებულ თანამემამულეებზე ასე წერს: „წაბრძანდა, აქავ დააგდო ცოლ-შვილი კაის წესითა“ (199), „მომართეს მალაღს ხელმწიფეს, ძალითა ლომს უმხნესითა“ (199) და სხვ.

პოემაში კონკრეტულ-ისტორიული ფაქტების მოხსენიება (ვახტანგ მეექვსისა და მისი ამაღის რუსეთს გამგზავრება — 1724 წ., მოსკოვში ჩასვლა და იქ დასახლება — 1725წ., ვახტანგის გილანს გამგზავრება — 1727 წ. და სხვ.), ერთი მხრივ, და სენნია ჩხეიძის მიერ ამ თხზულებით სარგებლობა (1739წ.), მეორე მხრივ, მკვლევართ აძლევეთ უფლებას დაასკვნან, რომ „ვახტანგიანი“ დაახლოებით 1727-1739 წლებშია შეთხზული (3,540; 12,594).

„ვახტანგიანი“ — ქართული საისტორიო ეპოსის ერთ-ერთი აღრიხნდელი ძეგლი — საინტერესო წყაროა. იგი მკითხველის ყურადღებას იპყრობს ფაქტობრივი მასალის სიუხვითა და თვითმხილველის სევდანარევი კილოთი. მასში შეიგრძნობა სამშობლოდან იძულებით წასული ქართველი მამულიშვილის პოლიტიკური განწყობილება და ეროვნული სულისკვეთება, მაგრამ ავტორის იდეური ტენდენცია რამდენადმე მკრთალია, მისი მიზანი უპირატესად ფაქტების აღწუსება და ნაკლებად — მოვლენათა განსჯა-შეფასება. თხზულების მხატვრულ-გამომსახველობითი მხარე სუსტია, შესამჩნევია რუსული ლექსიკის მოძალება.

„ვახტანგიანში“, მართალია, საგანგებოდ და სრულად არაა აღწერილი რუსეთი და რუსთა ცხოვრება, რის გამოც ქართველი მკითხველისათვის მეზობელი ქვეყნის გაცნობაში ის განსაკუთრებულ როლს ვერ შეასრულებდა, მაგრამ მასში შემონახულია ცნობები საქართველო-რუსეთის ურთიერთობაზე, პეტრე პირველზე, რუსთა მხედრობაზე, სატახტო ქალაქზე, საიმპერატორო კარზე და ა. შ., რომელთა გათვალისწინე-



ბა, აუცილებელია რუს-ქართველთა ურთიერთობის ისტორიის სრულად წარმოსაჩინად.

### დამოწმებული ლიტერატურა

1. გურამიშვილი დ., თხზულებათა სრული კრებული, „სახელგამი“, თბ., 1995.
2. ზარიძე ხ., ჯაგლაგ ფანელისშვილი, „ლიტერატურული საქართველო“, 27. IX. 1991, №39 (2818).
3. კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, „მეცნიერება“, თბ., 1981.
4. კეკელიძე კ., ბარამიძე ა., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თსუ გამომცემლობა, თბ., 1987.
5. კეკელიძე მ., შატბერაშვილი გ., „ვახტანგიანის“ ახლად აღმოჩენილი ხელნაწერი, „ლიტერატურა და ხელოვნება“, 27. X. 1944, №36 (44).
6. ლეონიძე გ., გამოკვლევები და წერილები, „საბჭოთა მწერალი“, თბ., 1957.
7. საქართველოს სიძველენი, I, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, თბ., 1899.
8. ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, ს. კაკაბაძის გამოცემა, ტფ., 1926.
9. ფირცხალაიშვილი რ., ძველი ქართული პოეზიის ისტორიიდან (ფავლენიშვილის „ვახტანგიანი“), „ლიტერატურული ძიებანი“, 1 (XVI), 1986, გვ. 213-234.
10. ქართლის ცხოვრება, დასაბამითგან მებათცხრამეტე საუკუნემდის, II, ახალი მოთხრობა 1469 წლიდან ვიდრე 1800 წლამდე, გამოცემული დ. ჩუბინოვისაგან, სპბ., 1854.
11. ქართლის ცხოვრება, IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1973.
12. ქართული ლიტერატურის ისტორია, II (XII-XVIII სს.), „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1966.
13. ქიქოძე ბ., ისტორიული პოემა ძველ ქართულ ლიტერატურაში (XVII-XVIII სს.), „ცოდნა“, თბ., 1964.
14. ყუბანეიშვილი ს., ვახტანგიანი, „ლიტერატურული ძიებანი“, IV (1948), გვ. 175-219.
15. ყუბანეიშვილი ს., დავით გურამიშვილი ქართულ ჰუსართა პოლკში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1955.
16. ყუბანეიშვილი ს., სულხან-საბა ორბელიანის გამგზავრება მოსკოვში, „ლიტერატურული ძიებანი“, XI (1958), გვ. 67-96.
17. ყუბანეიშვილი ს., „ვახტანგიანის“ ავტორის ვინაობისათვის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XXXV, №2 (1964), გვ. 504-512.
18. Такайшвили Е. С., Описание рукописей „ОРГСН“, I, Т., 1902.

გამოჩენილმა მწერალმა და მოგზაურმა იონა გელვენიშვილმა (1737-1821), რომელმაც ცხოვრების ბოლო წლები რუსეთში გაატარა, საკმაოდ საინტერესო კულტურულ-ლიტერატურული მემკვიდრეობა დაგვიტოვა. მის ნაწერებში განსაკუთრებით გამოირჩევა სამოგზაურო-მემუარული ჟანრის ნაწარმოები „მიმოსვლა“\* — ავტორის „ერუდიციითა და მეცნიერული ორიენტაციის მხრივ საყურადღებო და მნიშვნელოვანი ანალოგიური თხზულებათა შორის“ (3, 386).

ი. გელვენიშვილი აღიზარდა ანტონ პირველის კარზე, წლების მანძილზე მისი მეთვალყურეობით იღვწოდა, გულმოდგინედ თანამშრომლობდა მასთან (რუსეთშიც კი ახლდა ექსორიაში). ერთხანს აქტიურად მონაწილეობდა ქართლ-კახეთის საეკლესიო ცხოვრებაში (მცხეთის ჯგრის მონასტერში, რუისის კათედრალში). 1780 წელს, — ჩვენთვის უცნობი მიზეზის გამო, — ხელისუფალთა რისხვა დაიმსახურა — საეკლესიო კრებამ ეპარქია ჩამოართვა, მღვდელმთავრის პატივი აჰყარა, ღვთისმსახურება აუკრძალა. ამის შემდეგ გარეჯის უდაბნოში ცხოვრობდა. მალე იმერეთს გაიპარა, მაგრამ იქ არ შეიწყნარეს — „არა შეწყნარებული არცა მეფისა და არცა ეპისკოპოსთაგან, წარმოგზავნილ იქმნა ქართლადგე“ (7,2-3). ერთხანს ქაშვეთის ეკლესიის ეზოში ბინადრობდა, შემდეგ იქიდანაც გაიპარა. ამჯერად ახალციხეს ეწვია, ხოლო 1783 წლის გაზაფხულზე „მიეცა უცხოებასა“ (7,10) — ახლო აღმოსავლეთისაკენ გაემგზავრა პატრიარქთა სანახავად, მათ წინაშე თავის გასამართლებლად და მღვდელმთავრობის უფლების აღსადგენად. მოგზაურობა ხანგრძლივი (1783-1795) და რთული, ხშირად ფათერაკიანიც კი აღმოჩნდა, მაგრამ იონამ მიზანს მიაღწია, ამასთანავე, შეძლო „წმიდათა ადგილებთა მოხილუა და თაყუანისცემა“ (7,10), ქართველთა ძველი სავანეების (ათონზე, იერუსალიმში, სინაზე და ა. შ.) დათვალიერება და სხვ. მისი მოგზაურობის არეალი ძალზე ფართო იყო (საქართველო, თურქეთი, საბერძნეთი, სირია, პალესტინა, ეგვიპტე, იტალია, ავსტრია, პოლონეთი, მოლდავეთი, უკრაინა, რუსეთი), მარშრუტი — გრძელი (თბილისი — ახალციხე — კონსტანტინოპოლი — აფონი — იზმირი — კვიპროსი — იაფა — იერუსალიმი — დამასკო — ბეირუთი — იერუსალიმი — ათენი — ვენეცია — ტრიესტი — ალექსანდრია — კაირო — სინა — სუეცი — ალექსანდრია — კრეტა — ტრიესტი — ფიუმე — ვენა — იასი — კიევი — მოსკოვი). მოგზა-

\*გამოსცა პ. იოსელიანმა (7). ვსარგებლობთ ამ გამოცემით, გვერდებს ტექსტივე ვუთითებთ. რუსული თარგმანების ნაწყვეტები გამოაქვეყნეს ნ. ბერძნიშვილმა (11), მ. ჭანაშვილმა (12,60-75), ვ. მაჭარაძემ (14). მეცნიერულ-კრიტიკულად დადგენილი ტექსტი გამოსაცემად გამზადებული აქვს ა. ჭაბაშვილს (8,9).



ურობით გადაღლილმა და ჯანმრთელობაშერყეულმა სიცოცხლის სქეს-  
ნასკნელი წლები (1796-1821) რუსეთის ძველ სატახტო ქალაქში გაატა-  
რა, კერძოდ, „ჩუდოვისა მონასტერში, კელიასა კეთილსა და კარგსა“  
(7,146). აქტიურად მონაწილეობდა საეკლესიო ცერემონიალებში, ახლო  
კავშირ-ურთიერთობა ჰქონდა მოსკოვის ქართული ახალშენის მოღვაწე-  
ებთან, ჩაება სასტამბო-საგამომცემლო საქმიანობაში, შეუდგა მოგზაუ-  
რობისდროინდელი ჩანაწერების ლიტერატურულ გაფორმებას. არსები-  
თად მოსკოვში, — XIX საუკუნის დამდეგს (15,85; 1,54; 9,71), — დაას-  
რულა უმთავრესი თხზულება, რომელსაც პირობით „მიმოსვლად“ იხსე-  
ნიებენ, ხელნაწერებში კი სხვადასხვა სახელწოდებითაა შემონახული („მი-  
მოსულა ანუ პუტემესტვა მროველ მიტროპოლიტისა, გედეონის ძისა“,  
„პუტემესტვე, ესე იგი მიმოსლუა ანუ მგზავრობაჲ, ქმნილი გედეონოვ  
სარდალ გაბრიელის ძის იონა მიტროპოლიტისაგან“, „მიმოსლუა ანუ  
პუტემესტვია იონა მროველ მიტროპოლიტისა, თავადის გედეონის ძისა,  
უცხოთა ადგილთა მოხილვა“ და ა. შ. : 9,67). მასში მიმოხილულია ავ-  
ტორის მოგზაურობა საქართველოდან მოსკოვამდე, გადმოცემულია მი-  
სი დაკვირვებანი და შთაბეჭდილებანი, შეჯამებულია მისი ნაფიქრ-ნააზ-  
რევი. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ი. გედევანიშ-  
ვილს ამოძრავებდა არა მხოლოდ ბილიგრიმულ-სარწმუნოებრივი მიზანი  
არამედ ინტერესთა ფართო სპექტრი — ისტორიულ-გეოგრაფიული, სა-  
ხელმწიფოებრივ-პოლიტიკური, ეთნიკურ-დემოგრაფიული, სამეურნეო-  
ეკონომიკური, ეთნოგრაფიულ-ყოფითი, ბუნებრივ-კლიმატური და ა. შ.  
(2,64-66; 4,26 — 29; 5; 6; 13, 118 — 124; 16,305 — 306). სამწუხაროდ,  
ეს განცხადება თხზულების ბოლო ნაწილზე, რომელშიც აღწერილია  
ავტორის მოგზაურობა რუსეთში, შედარებით ნაკლებად ვრცელდება.

მასალები რუსებისა და რუსეთის შესახებ გვხვდება „მიმოსვლის“ ბო-  
ლო ორ თავში. ერთში, რომელიც ასეა დასათაურებული: „მიმოხილუა  
პოლშისა და სხუათაცა ქალაქებთა“ (108-138), საინტერესო ცნობებია  
ავტორის ცხოვრებაზე ქ. იასში, მის შეხვედრაზე რუს სამხედრო-დიპ-  
ლომატიურ მოღვაწეებთან (აგრეთვე ქართლ-კახეთისა და იმერეთის სა-  
მეფოების წარმომადგენლებთან), აღწერილია რუსეთის ჯარის გამარჯვ-  
ების გამო გამართული დღესასწაული, საუბარია გენერალ-ფელდმარშალ  
გრიგოლ პოტიომკინის გარდაცვალებაზე, მის დაკრძალვაზე, თურქეთ-  
თან ზავის დადებაზე და ა. შ. ამავე თავიდან ვიგებთ, რომ, რადგან ზავის  
შედეგად ქ. იასი თურქთ ერგოთ, იონას მდგომარეობა გართულებულა,  
მისი იქ დარჩენა შეუძლებელი გამხდარა და აღარც სხვებს ურჩევიათ.  
პოლიტიკური სიტუაციის შეცვლის გამო მან იასის დატოვება და რუ-  
სეთში დასახლება განიზრახა. დახმარებისათვის რუსეთის საეკლესიო  
ხელისუფალთ მიმართა — რუსეთში მისვლის ნებართვა სინოდს სთხოვა.

1792 წელს მიიღო რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე შესვლისა და კავშირების დასახლების ნებართვა.

„მიმოსვლის“ უკანასკნელ თავში — „შემოსულა როსსიისა საიმპერიოსა შინა და მიმოსვლა ადგილითი ადგილად და მიმოხილუა“ (139 — 151) — საუბარია იონას კიევში ჩასვლასა და მღვიმეთა ლავრაში „კელიისა კეთილსა“ ცხოვრებაზე. გასაგები მიზეზების გამო ისტორიული უკრაინის მიწა-წყალი, რომელიც რუსეთის იმპერიაში იყო, ქართველი ავტორის ცნობიერებაში რუსეთად აღიქმებოდა. მისი აღწერისას იგი ჩვეულებრივზე მეტ სიძუნწეს იჩენდა. მაგალითად, კიევზე შემდეგს წერდა: „ქალაქი ესე დაბალსა და დაცემულსა ჭაობსა შინა არს. მაღალსა ადგილსა, საცა ძუწლი კიევია, არს ეკლესია წმინდისა ანდრია მოციქულისა“ (145). შედარებით სრული ცნობები შემოგვინახა მღვიმეთა ლავრაზე: „ლავრა ესე პეჩერისა არს მაღალსა ადგილსა, პირსა დნებრისა მდინარისასა. ზოლო მონასტერი ესე არს მდიდარი და მშუწნიერი, შემოზღუდული ზღუდითა. და სობორო პეჩერისა მდიდარი და მშუწნიერი, და სამრეკლო დიახ დიდათ მაღალი, რომელიცა დიახ შორიდამ იხილუშბა და კელიები კეთილი თესითა და მტილ-წალკოტითა და მას შინა სარდაფითა, რომელსაც უწოდებენ პოდრებსა. თავსა პოდრებისასა არს სახლი დაღმული, მუნ ფანჯრები და საწოლები, სამზარეულო ყოვლისავე სახმარითა გაწყობილი და სასახლე არხიმანდრიტისა დიდათ უცხო და მშუწნიერი და შინაგან სასახლისა ეკლესია კეთილი. სობოროს გუმბათი არს ოქროთი მოცურული ხუთივე გუმბათი... ტრაპეზი ვერცხლისა არს და ოქროთი მოცურული“ (143).

ასეთი ცნობების მოწოდების შემდეგ ი. გედევანიშვილი გვამცნობს, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო დატოვა კიევი, შევიდა „დიდსა რუსეთსა შინა“, კერძოდ, მივიდა „სამეუფოსა მოსკოვს“ და დასახლდა საცხოვრებლად მიჩენილ მონასტერში. დასასრულს მსჯელობს მოსკოველ ქართველ ემიგრანტებზე, ქართლ-კახეთის მდგომარეობაზე, კავკასიაში გაჩაღებულ ბრძოლებზე და ა. შ. უკანასკნელად, ერიდება რა თხრობის გაგრძელებას, მოკრძალებით წერს: „სხუასა მოთხრობასა მოკლედ დავიდუმებ სიგრძისათჳს“ (150).

როგორც ვნახეთ, ი. გედევანიშვილი ძირითადად თავის თავგადასავალს მოგვითხრობს და საკუთრივ რუსეთსა და რუსებზე ბევრს არაფერს ვგაუწყებს, მაგრამ მის ზოგიერთ ცნობას მაინც გარკვეული მნიშვნელობა აქვს ქართულ-რუსული სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური თუ საეკლესიო-სარწმუნოებრივი ურთიერთობის ისტორიის სრულად გათვალისწინებისათვის.



1. ბერძნიშვილი მ., მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისთვის, II, „მეცნიერება“, თბ., 1983.
2. ზარდალიშვილი გ., გამოჩენილი ქართველი მოგზაურები, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1958.
3. კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, „მეცნიერება“, თბ., 1980.
4. მარუაშვილი ლ., XVIII საუკუნის ქართველი მოგზაურები და გეოგრაფები, თბ., 1954.
5. მენაბდე ლ., იონა გედევანიშვილი, „სკოლა და ცხოვრება“, 1995, №1, გვ. 15 — 25.
6. მესხი ე., იონა გედევანიშვილი, წიგნში: გეტმანი გ., ნარკვევები გეოგრაფიის ისტორიიდან, თსუ გამომცემლობა, თბ., 1955, გვ. 433 — 437.
7. მიმოსულა ანუ მგზავრობა იონა რუისისა მიტროპოლიტისა, (პ. იოსელიანის გამოცემა), თფ., 1852.
8. ჭაბაშვილი ა., ზოგიერთი ცნობა იონა გედევანიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, „მაცნე“ (ელს), 1979, №3, გვ. 17-24.
9. ჭაბაშვილი ა., იონა გედევანიშვილის „მიმოსვლის“ ხელნაწერები, „მრავალთავი“, VIII (1980), გვ. 63 — 72.
10. ზარაძე კ., იონა გედევანიშვილის მოგზაურობა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 66, №1 (1972), გვ. 105-108.
11. Извлечение из путешествия грузинского митрополита Ионы, по разным городам и местам Азии, Европы и Африки, „Закавказский вестник“, 1852, №№ 11, 13, 15, 16, 28, 32, 35.
12. К материалам по истории и древностям Грузии и России. Заметки, переводы и комментарии М. Г. Джанашвили, Т., 1912.
13. Маруашвили Л. И., Вахушти Багратиони, его предшественники и современники, Географгиз, М., 1956.
14. Мачарадзе В. Г., Грузинский путешественник XVIII века И. Гедеванишвили о Молдове и Валахии. Revue des études sud-est Européennes, VIII, 3 (1970), с. 420-442.
15. Орбели Р. Р., Грузинские рукописи Института востоковедения АН СССР, I, Издательство АН СССР, М. - Л., 1956.
16. Хаханов А. С., Очерки по истории грузинской словесности, III, М., 1901.



### 3. თეიმურაზ ბაბრატიონი

საქართველოდან რუსეთის სატახტო ქალაქში „მიწვეულ“ ქართველ მოღვაწეთა შორის, რომელთაც აღწერეს სამშობლოდან პეტერბურგისაკენ მოგზაურობა, ერთობ მოკრძალებული ადგილი უჭირავს გამოჩენილ მწერალსა და მკვლევარს, პირველ ქართველ აკადემიკოსს, ახალი ქართული მეცნიერების ერთ-ერთ მესაძირკვეს, პეტერბურგის ქართველოლოგიური სკოლის მესვეურს თეიმურაზ ბაბრატიონს (1782-1846), რომელმაც ერთგვარი წვლილი შეიტანა ქართული სამოგზაურო-მემუარული ლიტერატურის განვითარებაში.

როგორც ცნობილია, XIX საუკუნის დამდეგს საქართველოში ვითარება დაიძაბა — ქართლ-კახეთმა დამოუკიდებლობა დაკარგა. რუსთაგან ამ ძველი სამეფოს ანექსიის შემდეგ ქართული სამეფო სახლის მდგომარეობა გართულდა. ერეკლე II და გიორგი XII ოჯახის წევრებს რუსეთში „იწვევდნენ“, არსებითად სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზს აშორებდნენ და ჩრდილოეთის ქალაქებში ასახლებდნენ საპატიო ტყვეებად (იოანე, ბაგრატ, მიხეილ, მირიან ბატონიშვილები — 1801წ., დავით, ვახტანგ, ჯიბრაილ ბატონიშვილები — 1803წ. და ა. შ.). თეიმურაზ ბატონიშვილმა სამშობლოში დარჩენა შეუძლებლად მიიჩნია, მალულად გაეცალა აქაურობას — ჯერ ქარ-ბელაქანს გაიპარა, ხოლო შემდეგ სპარსეთს მიაშურა (III. 1803), სადაც რამდენიმე წელიწადს დარჩა და თბილისში მხოლოდ 1810 წლის შემოდგომაზე დაბრუნდა (5,39 — 46). სულ მალე იგი, — შეუღლისა და ამალის თანხლებით, — შორეულ გზას გაუდგა, პეტერბურგს გაემგზავრა. ეს მოგზაურობა, რომელიც კარგა ხანს გაგრძელდა (16. X. 1810 — 12. I. 1811), მან აღწერა პეტერბურგში დაცულ ზელნაწერში, კერძოდ, უსათაურო დღიურში\*, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში პირობით ასეა სახელდებული: „მოგზაურობა ტფილისიდან პეტერბურგამდის“ (1,4; 2,93; 5,46 — 50).

როგორც მოგზაურობისდროინდელი ჩანაწერებიდან ჩანს, თ. ბაბრატიონის მარშრუტი ასეთი იყო (ვასახელებთ შედარებით მნიშვნელოვან პუნქტებს): თბილისი — ანანური — ფასანაური — კობი — სტეფანწმინდა — ვლადიკავკაზი — მოზლოკი — ეკატერინოგრადი — სტავროპოლი — ჩერქეზ ქირმანი — ვორონეჟი — ტულა — მოსკოვი — ტვერი — ცარსკოე

\* მოღწეულია ერთი ავტოგრაფული ზელნაწერით (7,87 — 88). გამოაქვეყნეს ვ. შაღურმა (4,310 — 317) და ს. ყუბანეიშვილმა (2,93-101). ვსარგებლობთ მორე გამოცემით, გვერდებს ტექსტივზე ვუთითებთ.



სელო — პეტერბურგი\*. ბუნებრივია, გრძელ გზაზე მწერალმა ბევრი რამ იხილა და ბევრი ვინმე გაიცნო. მან შეძლებისდაგვარად აღწერა მოგზაურობის პერიპეტიები, მოიხსენია ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი პუნქტი, სადაც კი შეჩერება მოუხდა, გვამცნო თავისი შთაბეჭდილებანი, მიუდგომლად შეაფასა ახალი გარემო და იქაური საზოგადოებრიობა, დაასახელა უცხო ქვეყანაში გაცნობილი პირები, საგანგებოდ გამოყო ის ქართველები, რომელთაც მოგზაურობის დროს შეხვდა საქართველოსა (მთიულეთის მოურავი სოლომონი, გაბრიელ ყაზიბეგიშვილი, მღვდელმონაზონი ბესარიონ ფავლენიშვილი...) თუ რუსეთში (ალექსანდრე, იულონ, ფარნავაზ, იოანე, ჯიბრაილ ბაგრატიონები...), აგრეთვე რუსი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწეები (მაიორი მ. დუბიციკოვი, გუბერნატორი მ. მალინცკი, გრაფი ა. მუსინ-პუშკინი...), კმაყოფილებით გვაუწყა, რომ „ქარგად ისტუმრეს“ და „კეთილად უმასპინძლეს“ ეკატერინოგრადში, იეგორიეცკაში, სტავროპოლში, მოსკოვსკაში, ახალ ჩერქეზში და ა. შ. მონათხრობიდან ჩანს, რომ ავტორი შეხვდა ვორონეჟელ ნუმიზმატს პ. გარდინინს (98), ტულელ არტილერისტს თ. ვორონოვს (99) და სხვ.

თ. ბაგრატიონმა საინტერესო ცნობები მოგვაწოდა ვორონეჟზე, ტულაზე, ცარსკოე სელოზე. მისი სიტყვით, „ქალაქი ვორონიში არის ახლო რე წყლისა ვორონისა. ქალაქი ვრცელი და კეთილნაშენი, განშვენებული შენებულებითა. ხალხნი მუნებურნი ფრიად სტუმრის მოყვარენი არიან. ვაჭარნი გარნა კეთილშობილნი ფრიად უსდელნი. ვნახეთ მუნ სობრანი ფრიად მცირითა შეკრებულებითა და არა ესგვარ წესოვანი“ (99).

თ. ბაგრატიონმა, — ვითარცა საარტილერიო საქმის ჩინებულმა მცოდნემ, — მეტი ყურადღება მიაქცია ტულის არსენალსა და იარაღის ქარხნებს. მის დღიურში გვითხულობთ: „ტულის ქალაქი დიახ მშვენიერი ქალაქი არის... ვიხილეთ არსინალი... არსინალსა ამას შორის იპოვებან მრავალნი საქურველნი ახლისა განწყობილობისანი... ვიხილეთ... ზაოდნი მუნებურნი... არიან ესენი მუნ წყლისა ჩარხებით მომართულნი, რომელნიცა სცემენ კვერთა, უბერვენ საბერველთა, სხვრეტენ თოფთა და სწემენდენ თოფთა და შუბთა სხვათა და სხვათა სახლთა შინა მყოფი. და ამა ქარხანათაგან გამოდის თვეში თოფი 5000, ხოლო მუშაკნი ამისნი არიან 6000 კაცნი“ (99 — 100).

დღიურის ავტორი ძალზე მოკლედ წერდა და ცნობების მოწოდებისას სიძუნწეს იჩენდა, მაგრამ, როგორც ჩანს, თავი ვერ შეიკავა და აღტაცება ვერ დამალა ცარსკოე სელოს არქიტექტურული ანსამბლისა და

\* გ. შარაძის მიერ შედგენილი პუნქტების სიის მიხედვით თ. ბაგრატიონის რუკა შეადგინა ნ. გამცემლიძემ, გამოსცა გ. შარაძემ (5, 213).

ხელოვნების სხვა ჩინებულ ნიმუშთა ხილვისას. კიდევ ერთხელ დავიმუშოეთ მოთ ტექსტი: „მოვედით ცარსკისელოს სასახლეში. დავდექით ხელმწიფის სასახლეში. ვიხილეთ სასახლე საკვირველის ხელოვნებაებით ნაქმნარნი ეკატერინა ხელმწიფისანი. აქავე ხელოვნებანი: მაზაირის ხელოვნება არის, კირმანიულნი სხვადასხვაგვარნი, დიახ საუცხოვონი. ქარვის სახლი, ლაჟვარდისა, ბროლისა, ვეცხლისა ტყავმოკრული ხელოვნებანი კიტაიურნი საკვირველად და მრავალნი უცხო სახილველნი სტატუანი ძველთა რომაელთა კეისართა, ხელმწიფეთა და ფილოსოფოსთანი და ქვანი ეშმათანი სხვისა და სხვის ხელოვნებით ნაკვეთნი და ჩაწყობილნი, სახენი გამოყვანილნი“ (101).

დღიურში გვხვდება სხვა ცნობებიც. სახელდობრ, მგზავრობის ბუნებრივ-კლიმატურ პირობებზე (98), კავკასიის სამხედრო ხაზზე — ციხესიმაგრეებში დაბანაკებულ რუსულ გარნიზონებზე (94), ქართველი ბატონიშვილისა და მისი ამალისათვის საცხოვრებლად მიჩენილ სახლებზე (94,99), მოსკოვის თეატრზე (100), ტულის მოსახლეობის ადამ-წესებზე (99) და ა. შ. ყურადღებას იქცევს ავტორის არაერთი დაკვირვება საგნებსა და მოვლენებზე, საინტერესოა მისეული აღქმა რუსულნი გარემოსი, ზოგიერთი ცნობა უთუოდ მნიშვნელოვანია თ. ბაგრატიონის პიროვნების შეცნობისა და მისი ბიოგრაფიის ცალკეული საკითხების შესწავლა-დაზუსტებისათვის. ასე რომ, იგი ანგარიშგასაწევი საისტორიო წყაროა (7,88; 4,56; 5,50), მაგრამ, სამწუხაროდ, მხატვრულად მდარეა, უფრო ზუსტად, ის არაა მხატვრული თხზულება, ისაა სამგზავრო ჩანაწერები, შავი დღიური, რომელიც ავტორს არ ჩაუსწორებია და არ გადაუთეთრებია, ლიტერატურულად არ გაუფორმებია, მისი რედაქტირება არც კი უცდია. შემთხვევითი არაა, რომ გ. შარაძემ, მკვლევარმა, რომელმაც სამი წიგნი უძღვნა თ. ბაგრატიონს, მწერალ-მოგზაურის მხატვრული მემკვიდრეობის მიმოხილვაში (6,193 — 210) დღიური არც კი მოიხსენია, ხოლო მისი (თ. ბაგრატიონის) მხატვრული თხზულებების გამომცემელმა ლ. მეფარიშვილმა იგი არ შეიტანა მის მიერ შედგენილ კრებულში და არც შესავალ წერილში („თ. ბაგრატიონის მხატვრული თხზულებები“) განიხილა, „რადგან მხატვრულ თხზულებად არ მიიჩნია“ (1,4).

ზემოაღნიშნულის გამო გადაჭარბებულად გვეჩვენება განცხადება: „რუსული სინამდვილის ამსახველ გაბრიელ რატიშვილის „მცირედი რაიმე მოთხრობა როსიისა“ და გრიგოლ ორბელიანის „მგზავრობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურღამდის“ გვერდით, თეიმურაზ ბაგრატიონის „მოგზაურობა ტფილისიდან პეტერბურღამდის“ საპატიო ადგილს იჭერს XIX ს. I ნახევრის ქართულ სამოგზაურო ჟანრის ლიტერატურაში“ (5,50 — 51).

თ. ბაგრატიონი საპატიო ადგილს მართლაც იჭერს ქართული სამოგზაურო ჟანრის ლიტერატურაში, მაგრამ არა ამ თხზულებებით, არამედ



სხვა მოგზაურობის აღწერილობით. ესაა „მოგზაურობა ჩემი ვეროპიისა სხვათა და სხვათა ადგილთა“ (1836წ.) \*. — რომელიც, მართალია, არც საბოლოოა და რედაქტირებული და არც სრული სახითაა მოღწეული, მაგრამ ცხადყოფს და წარმოაჩენს ავტორის ღრმა განსწავლულობასა და ინტერესთა ფართო სპექტრს, ნახულისა და გაცნობილს ვადმოცემის უნარს, მხატვრულ ოსტატობასა და დახვეწილ გემოვნებას (3,3 — 16, 5,127 — 136; 1,20 — 21). ასე რომ, ძნელი არაა დავეთანხმოთ მკვლევარს, რომ დასახელებული წიგნი „ქართული სამოგზაურო ჟანრის ლიტერატურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლია“ (5,134)\*\*. სხვათა შორის, ამ „მოგზაურობაში“ ძირითადად რუსეთის მეზობელ ქვეყნებზეა საუბარი, მაგრამ აქა-იქ მაინც არის ცნობები რუსეთსა და რუსებზე, სახელდობრ, ნარვის ჩანჩქერზე (18), რუსეთის დესპანზე (32 — 33), რუსულ ახალშენზე (41), რუსულ ეკლესიაზე (42) და სხვ.

### დასოფნებული ლიტერატურა

1. ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი თ ., მხატვრული თხზულებები, ტექსტები მოამზადა, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო ლ. მეფარიშვილმა, „მეცნიერება“, თბ., 1987.
2. თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები აკად. მ. ბროსესადმი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ს. ყუბანიშვილმა, „მეცნიერება“, თბ., 1964.
3. თეიმურაზ ბატონიშვილი, მოგზაურობა ჩემი ვეროპიისა სხვათა და სხვათა ადგილთა, ს. იორდანიშვილის რედაქციით, წერილითა და შენიშვნებით, თბ., 1944.
4. ქართველი მწერლები რუსეთის შესახებ, შემდგენელი ვ. შადური, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1964.
5. შ ა რ ა ძ ე გ ., თეიმურაზ ბაგრატიონი, I, „მეცნიერება“, თბ., 1972.
6. შ ა რ ა ძ ე გ ., თეიმურაზ ბაგრატიონი, II, „მეცნიერება“, თბ., 1974.
7. Орбели Р. Р., Грузинские рукописи Института АН СССР, I, Издательство АН СССР, М. - Л., 1956.

\* გამოსცა ს. იორდანიშვილმა (3), გადაბეჭდა ლ. მეფარიშვილმა (1,53 — 98). ვსარგებლობთ პირველი გამოცემით, გვერდებს ტექსტშივე ვუთითებთ.  
\*\* ქართული მეფარული ლიტერატურის ისტორიისათვის საყურადღებოა თ. ბაგრატიონის „სპარსული დღიურებიც“ (5, გვ. 38, 183 — 211).

## ქართული წიგნის სავაჭრო კატალოგების ისტორიისათვის

### 1. მ. ვორონცოვის კაბინეტის ქართული წიგნების კატალოგი

მეფის რუსეთის მოხელეს მ. ს. ვორონცოვს (1782-1856), როგორც ცნობილია, მდიდარი ბიბლიოთეკა<sup>1</sup> და არქივი ჰქონდა. იგი ყოველთვის ზრუნავდა თავისი ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შეგვებასა და დაკომპლექტებაზე. ამიტომ, როდესაც იგი 1844-1854 წლებში იყო კავკასიის მეფისნაცვლად, არანაკლებ ცდილობდა პირადი ბიბლიოთეკის შესავსებად სხვადასხვა გზით ქართული წიგნების მოპოვებას. მ. ვორონცოვის პირადი ბიბლიოთეკა იმ დროისათვის ერთ-ერთი დიდი წიგნთსაცავი იყო და დანაწილებული იყო რუსეთის რამდენიმე ქალაქში, სადაც მას სხვადასხვა დროს ცხოვრება-მოღვაწეობა უხდებოდა (თბილისის, ოდესის, ალუპკის, სიმფეროპოლისა და პეტერბურგის სასახლეებში).

მ. ვორონცოვის ბიბლიოთეკის მთლიანი აღწერილობა არ არსებობს, მაგრამ არის ვორონცოვების საგვარეულო არქივის აღწერილობანი<sup>2</sup>. ვორონცოვების მდიდარი არქივი დანაწილებული სახით დაცულია რუსეთის სხვადასხვა სიძველეთსაცავებში.

ვორონცოვების არქივის ერთი ნაწილი ინახება რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის პეტერბურგის განყოფილებაში. აღნიშნულ არქივში დაცული ქართული მასალებით ქართულ მკვლევართაგან პირველად დაინტერესდა მ. ჩიქოვანი<sup>3</sup>. ამ არქივში მან მიაკვლია

<sup>1</sup> П. Бондаренко, В. Фельдман. Библиотека Воронцовых в Одесском университете. - Альманах библиофила. Вып. X, М., 1981, с. 98-109.

<sup>2</sup> Архив кн. Воронцова, т. 1-40, СПб., 1870-1895 (იხ. "Роспис...", М., 1897; Троицкий. Архив Воронцовых. - Литературное наследство XVIII в. М., 1933, № 9-10, с. 397-420; В. А. Петров. Обзор собрания Воронцовых, хранящегося в Архиве Ленинградского отдела Института истории Академии наук СССР. - В кн.: Проблемы источниковедения, т. V, М., 1956, с. 102-145 და სხვ.

<sup>3</sup> მ. ჩიქოვანი, ხალხური ვეფხისტყაოსანი, მეორე გამოც. თბ., 1937, გვ. 6, შენ.



რუსულ ენაზე დაწერილ დოკუმენტს, რომლის სრული სათაური ასეთია: „კატალოგი ქართული წიგნებისა, რომლებიც მოიპოვება მისი უგანათლებულესობის მთავრის მიხეილ სიმონის ძე ვორონცოვის კაბინეტში, ქ. თბილისში შედგენილი 1853 წლის 1 მაისს“ („Каталог грузинских книг, находящихся в кабинете его светлости князя Михаила Семеновича Воронцова в г. Тифлисе, составленный 1 мая 1853 года“).

ეს დოკუმენტი შემდეგ შეისწავლა<sup>1</sup> და გამოაქვეყნა<sup>2</sup> გ. შარაძემ.

ზემოთ დასახელებული კატალოგი არის, როგორც სათაურშია აღნიშნული, „ვორონცოვის კაბინეტის“, ე. ი. მთავრობის დაწესებულების წიგნების და არა მ. ვორონცოვის პირადი ბიბლიოთეკის კატალოგი. ეს რომ ასეა, კარგად ჩანს მასში ჩამოთვლილი წიგნების რაოდენობიდანაც. რად სჭირდებოდა მ. ვორონცოვს თავისი პირადი ბიბლიოთეკისთვის ერთი და იმავე დასახელების დიდი რაოდენობის წიგნები, მით უმეტეს, რომ მან ქართული ენა არ იცოდა? მაგალითად, „კატალოგში“ დასახელებულია: 18 ცალი იოსებ თბილელის „დიდმოურავიანი“, ამდენივე ანტონ კათალიკოსის „წყობილსიტყვაობა“ და არჩილ მეფის „ცხოვრება მეფისა თეიმურაზ პირველისა“, 17 ცალი ზ. ანტონოვის „მზის დაბნელება საქართველოში“, 15 ცალი ჩახრუხაძის „თამარიანი“, 14 ცალი შავთელის „აბდულმესიანი“, 12 ცალი იონა გედევანიშვილის „მიმოსვლა“, 10 ცალი გ. ერისთავის „გაყრა“ და მისივე „თილისმის ხანი“ და ა. შ.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ დასახელებული წიგნების დიდი უმრავლესობა კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის სტამბაში არის დაბეჭდილი და, ალბათ, კანცელარიის საწყობში ინახებოდა. ამიტომ „კატალოგში“ მითითებულია გაუყიდავი, გასაყიდად დარჩენილი, ანუ, როგორც ასეთ შემთხვევაში ამბობენ, „ჩაწოლილი წიგნების“ რაოდენობა. თუ ასეა, მაშინ გასაგები ხდება ცალკეული გამოცემების ასეთი სიმრავლეც.

ყურადღებას იპყრობს აგრეთვე პ. იოსელიანის გამოცემებთან დაკავშირებული რამდენიმე გარემოება. მის გამოცემებში მითითებულია იოსებ თბილელის „დიდმოურავიანის“ 18 ეგზემპლარი და 8 ცალი აუკინძავი, თაბახების სახით („В ЛИСТАХ“) არსებული წიგნი. რად სჭირდებოდა მ. ვორონცოვს პირადი ბიბლიოთეკისათვის აუკინძავი, დაშლილი წიგნების ეგზემპლარები? ან ვინ გაბედავდა, მიერთმია მისთვის ასეთი სახის

<sup>1</sup> გ. შარაძე, ვორონცოვის არქივიდან, „ლიტ. საქართველო“, 1959, 27 ივნისი.

<sup>2</sup> მისივე, პლატონ იოსელიანი — რუსთველოლოგი, თბ., 1980, გვ. 187-204.



წიგნები, მაშინ როდესაც მ. ვორონცოვისათვის მისართმევად საჯანგებო ცალებს ამზადებდნენ. რა თქმა უნდა, აუკინძავი წიგნები ეკუთვნოდა მ. ვორონცოვის კაბინეტს, კერძოდ, მის სტამბას, სადაც ამზადებდნენ (ბეჭდვდნენ და კინძავდნენ) წიგნებს.

ასევე გაუგებარია, რად უნდოდა რუს მეფისნაცვალს ტიმოთე გაბაშვილისა და იონა გედევანიშვილის უკვე დაბეჭდილი წიგნების დედნები (ხელნაწერები), რომელთა მიხედვითაც განხორციელდა აღნიშნული გამოცემები<sup>1</sup>. რასაკვირველია, ისინიც სტამბის საკუთრება იყო და არა მ. ვორონცოვის პირადი ბიბლიოთეკისა.

მამასადამე, განსახილველი „კატალოგი“ არის მ. ვორონცოვის კაბინეტის და არა მისი პირადი ბიბლიოთეკის წიგნების კატალოგი. ამ განსხვავებას არსებითი მნიშვნელობა აქვს კატალოგის მიზნისა და დანიშნულების გასარკვევად, იმის დასადგენად, თუ რა სახის კატალოგთან გვაქვს საქმე. როგორც ირკვევა, ხელთა გვაქვს წიგნის საგაჭრო ხელნაწერი კატალოგი.

ახლა განვიხილოთ „კატალოგის“ შედგენილობისა და კლასიფიკაციის პრინციპები.

პირველ ყოვლისა უნდა შევნიშნოთ, რომ „კატალოგი“ რაიმე საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაციის მიხედვით არ არის შედგენილი. წიგნები დასახელებულია იმისდა მიხედვით, თუ როგორ იყო ისინი ადგილზე („ვორონცოვის კაბინეტის“ საწყობში) დაწყობილი თუ განლაგებული. წიგნები დასახელებულია არა თემატურად (შინაარსობრივი თვალსაზრისით), არამედ მათი ავტორის ან გამომცემლის ვინაობის მიხედვით ჯგუფურად, ისინი თავმოყრილია საერთო ნიშნების მიხედვით: მაგალითად, ერთ შემთხვევაში წიგნები თავმოყრილია (დაჯგუფებულია) მათი ავტორების მიხედვით — გიორგი ერისთავის წიგნები (დასახ. 5 წიგნი) და ზურაბ ანტონოვის წიგნები (დასახ. 5 წიგნი), მეორე შემთხვევაში — ქურნალ „ცისკრის“ 1852-1853 წლების ნომრები (13 ნომერი), სხვა შემთხვევაში — პლატონ იოსელიანის გამოცემები (დასახ. 9 წიგნი, უნდა იყოს 8, რადგან ზ. ანტონოვის „მზის დაბნელება საქართველოში“ შეცდომით მეორეჯერ არის შეტანილი) და ცალკეა გამოყოფილი კიდევ — საქართველოს გარეთ გამოცემული წიგნები — სანკტ-პეტერბურგში მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში დაბეჭდილი 6 წიგნი და მოსკოვში „ბიბლიური საზოგადოების“ სტამბაში 1816 წელს დაბეჭდილი „ახალი აღთქმა“. წიგნების ასეთი განლაგება ამკარად მიანიშნებს „კატალო-

<sup>1</sup> შტრ. ა. ჭაბაშვილი, იონა გედევანიშვილის „მიმოსვლის“ ხელნაწერები. მრავალთავი (ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი), გვ. 63-64.





გის“ დანიშნულებაზე — კატალოგი შედგენენ წიგნის მომხმარებლისთვის (მკითხველისთვის), არამედ წიგნით მოვაჭრისათვის (კანცელარიის სტამბის თანამშრომლისთვის), ვინც უნდა იცოდეს რომელი წიგნი აქვს, რა რაოდენობისა და სად არის დაწყობილი (განლაგებული) ეს წიგნები.

რამდენი დასახელებისა და რა რაოდენობის წიგნი იყო მ. ვორონცოვის კაბინეტში „კატალოგის“ მიხედვით?

„კატალოგის“ ზედმიწევნითი შესწავლის შედეგად აღმოჩნდა, რომ მეფისნაცვლის კაბინეტში სულ ირიცხებოდა 25 დასახელების 188 ნაბეჭდი წიგნი, აქედან 18ნ ქართული და 2 ფრანგული. ამას უნდა დამატოს 8 აუქციონაჟი ეგზემპლარი (თაბახების სახით), 2 ხელნაწერი წიგნი და 95 ცალი ჟურნალი.

საინტერესოა ვიცოდეთ, რა ბედი ეწია, სად არის ამჟამად დაცული მ. ვორონცოვის კაბინეტის წიგნები?

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ოდესის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცული ვორონცოვისეული ქართული წიგნები არის „კატალოგში“ დასახელებული ქართული წიგნები, მაგრამ დაბეჭდითებით უნდა ითქვას, რომ ოდესის უნივერსიტეტში დაცული ვორონცოვისეული ქართული წიგნები არ არის „კატალოგში“ აღწერილი წიგნები. ისინი არის სულ სხვა წიგნები, სახელდობრ, მ. ვორონცოვის პირადი ბიბლიოთეკის წიგნები.

მაშასადამე, უნდა დავასკვნათ, რომ მ. ვორონცოვის კაბინეტის წიგნების „კატალოგი“ წარმოადგენს წიგნის სავაჭრო კატალოგს და მასში დასახელებული წიგნები დროთა განმავლობაში რეალიზებული იქნა და დღემდე ისინი უკეთეს შემთხვევაში ნაწილობრივ იქნება შემორჩენილი გაფანტული სახით (კერძო პირთა ან სახელმწიფო სიძველეთსაცავებში), რომელთა დაძებნა მხოლოდ დიდი ფანტაზიის ნაყოფად გვესახება (სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ამ წიგნებს ხომ რაიმე სპეციალური აღნიშვნა არ ჰქონდათ!).

დასასრულ, ვასარკვევია, ვინ არის „კატალოგის“ შემდგენელი?

გამოთქმულია მოსაზრება, რომ „კატალოგის“ შემდგენელი პ. იოსელიანი უნდა იყოს, რადგან ის („კატალოგი“) დაწერილია გამართული რუსული ენითა და კალიგრაფიული ხელით. ამასთან, „კატალოგის“ შემდგენელს ქართული ენაც უნდა სცოდნოდა და მ. ვორონცოვთანაც მეტად დაახლოებული უნდა ყოფილიყო. ასეთ პირად კი პ. იოსელიანი მიაჩნიათ.

რა თქმა უნდა, მართო რუსული ენის ცოდნა და მ. ვორონცოვთან სიახლოვე არ შეიძლება სერიოზულ საბუთს წარმოადგენდეს. რამდენმა



ქართველმა იცოდა იმ დროს გამართული რუსული ენა და მ. ვორონცოვთანაც ახლოს იყო! აღნიშნული მონაცემების მიხედვით, „კატალოგის“ შემდგენლად შეიძლება დავასახელოთ თუნდაც დიმიტრი ყიფიანი, რადგან მან კარგად იცოდა რუსულ-ქართული და 1850-იან წლებში მუშაობდა კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიაში ჯერ საქმეთა მმართველად, შემდეგ კი კანცელარიის დირექტორად და ახლო ურთიერთობა ჰქონდა მ. ვორონცოვთან, იყო საჯარო ბიბლიოთეკის ერთ-ერთი დამაარსებელი და მას შედგენილი აქვს წიგნების სია<sup>1</sup>.

„კატალოგის“ შემდგენლად, ზემოთ აღნიშნული მონაცემების მიხედვით, ასევე შეიძლება დავასახელოთ გიორგი ერისთავიც, რომელმაც კარგად იცოდა რუსულიც და დაახლოებული იყო მ. ვორონცოვთანაც. იგი ხომ ხშირი სტუმარი იყო მეფისნაცვლის საშინაო მეჭლისებისა. ცნობილია კიდევაც ერთი კურორტული შემთხვევა, როდესაც ეროვნულ ტანსაცმელში (ჩოხა-ახალუხში) გამოწყობილი მწერალი მ. ვორონცოვის სახლში გამართულ წვეულებაზე არ შეუშვეს, რის გამოც პროტესტის ნიშნად იგი გამობრუნდა და წვეულებას აღარ დაესწრო. სწორედ მ. ვორონცოვის წყალობით გ. ერისთავმა 1850 წელს დააარსა ქართული თეატრი, ხოლო 1852 წელს გამოსცა პირველი ქართული ჟურნალი „ცისკარი“. გ. ერისთავის უშუალო სიახლოვემ განაპირობა ისიც, რომ მეფისნაცვალმა განკარგულება გასცა მისი წიგნების დაბეჭდვაზე<sup>2</sup>.

„კატალოგში“ გვხვდება ისეთი ფაქტები, რომლებიც გამორიცხავენ მის შემდგენლად პ. იოსელიანის აღიარებას. ასე, მაგალითად, ძნელი დასაჯერებელია, რომ ისეთი საფუძვლიანი სასულიერო განათლების მქონეს, როგორიც იგი იყო, ზუსტად ვერ გადაეთარგმნა ქართულ თხზულებათა სახელწოდებანი. მაგალითად, თავისი გამოცემული წიგნი „მოხილვა წმინდათა და სხუათა აღმოსავლეთისა ადგილთა, ტიმოთესაგან ქართლისა მთავარ-ეპისკოპოსისა“ (1852 წ.) „კატალოგში“ აღწერილია ასე: „Путешествие по Востоку Тимофея архиепископа Мцхетского“; ანდა: იოსებ თბილელის „დიდი მოურავიანი“ (1851 წ.) თარგმნილია შემდგენაირად: „Моуравиада“. გარდა ამისა, ყურადღება უნდა მიექცეს ერთ გარემოებასაც. პ. იოსელიანმა ჟურნალ „ცისკარში“ გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც აღნიშნავს, რომ მ. ვორონცო-

<sup>1</sup> დიმიტრი ყიფიანის არქივი. შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა შ. გოზალიშვილმა. თბ., 1951, გვ. 53.

<sup>2</sup> გ. ერისთავი, სხვადასხვა ანბავი. „ცისკარი“, 1852, № 1, გვ. 3 და № 2, [გვ. 34-36].



ვის ხარჯითა და განკარგულებით მან დაბეჭდა 5 წიგნი<sup>1</sup>. თუ ამ ცნობას შევუჯერებთ „კატალოგი“ ჩამოთვლილ პ. იოსელიანის გამოცემებს, ვნახავთ, რომ მასში შეტანილია ზ. ანტონოვის „მზის დაბნელება საქართველოში“. ზ. ანტონოვის თხზულება კი დაბეჭდილია არა „ნამესტნიკის კანცელარიის ტიპოგრაფიაში“, არამედ უ. გულიანცის სტამბაში, მერე — პ. იოსელიანის არ გამოუცია და „კატალოგი“ მის გამოცემებში შეტანილია შეცდომით. განა პ. იოსელიანმა არ იცოდა, რომელი წიგნები გამოსცა? თანაც დასახელებული თხზულება „კატალოგი“ შეტანილია ორჯერ — ერთხელ ზ. ანტონოვის თხზულებებთან (9 ცალი) და მეორეჯერ პ. იოსელიანის გამოცემებთან (8 ცალი). „კატალოგი“ რომ პ. იოსელიანის შედგენილი იყოს, იგი თავის გამოცემებში არ შეიტანდა ზ. ანტონოვის პიესას. ამასთან, ორჯერ არ აღწერდა და ისიც სხვადასხვაგვარად. მაშასადამე, თხზულება აღწერილი უნდა იყოს სხვა პირის მიერ და იგი უნდა იყოს ის პირი, ვინც კარგად იცის სად, როდის და რომელ სტამბაში დაიბეჭდა აღნიშნული წიგნი. ასეთ პირად ჩვენ მიგვაჩნია გ. ტოკარევი.

გაბრიელ ალექსის ძე ტოკარევის შესახებ მეტად მწირი ცნობები მოგვეპოვება<sup>2</sup>. არ ვიცით მისი დაბადების თარიღიც კი. ვიცით, რომ იგი თბილისში მოღვაწეობდა გასული საუკუნის 40-50-იან წლებში. იყო „ნადვორნი სოვეტნიკი“. მსახურობდა კავკასიაში მეფისნაცვლის მ. ვორონცოვის კანცელარიის მოხელედ. იყო მეფისნაცვლის კანცელარიასთან არსებული საჯარო ბიბლიოთეკის გამგე. შემონახულია გ. ტოკარევის ხელით ნაწერი 1849 წელს ბიბლიოთეკაში შესული წიგნების სია და მიმართვა დიმიტრიანისადმი მისი საკუთარი წიგნების კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიასთან არსებულ საჯარო ბიბლიოთეკასთან შეერთების შესახებ<sup>3</sup>. იყო საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების ბიბლიოთეკარი. დიდი ამაგი დასდო თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის მოწყობის საქმეს და იყო მისი პირველი დირექტორი. 1851 წლის გაზეთ „კავკაზში“ დაბეჭდილია ცნობა, რომ „თბილისის საჯარო ბიბლიოთეკა ბ-ნ ტოკარევის ღვაწლის წყალობით გაიხსნება თვენახევრის შემდეგ“<sup>4</sup>. მანვე მოაწყო საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების მუზეუმი.

<sup>1</sup> პ. იოსელიანი, სიტყვა საყოველთაოდ, წიგნთა ქართულთა ბეჭდვისა გამო, „ცისკარი“, 1859, № 3, გვ. 1-6.

<sup>2</sup> „Кавказ“, 1854, № 62, გვ. 246 (ნეკროლოგი); მ. ბერძინიშვილი, მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, II, თბ., 1983, გვ. 183; А. Фалилеева. Тифлисский Печорин, „Лит. Грузия“, 1985, № 10, გვ. 129-137; მისივე, თბილისში დაბეჭდილი პირველი რუსული რომანი, „წიგნის სამყარო“, 1985, 22 მაისი, № 10, გვ. 3.

<sup>3</sup> დიმიტრი უფიანის არქივი, თბ., 1951, გვ. 54-55.

<sup>4</sup> „Кавказ“, 1851, 18 декабря, № 96.



გ. ტოკარევა მოინდომა ხელი შეეწყო კავკასიაში წიგნით ვაჭრობის განვითარებას და დაეარსებინა საჯარო სამკითხველო, მაგრამ თავისი ცდილობები უშედეგოდ დარჩა. მისი შობილური განზრახვა ვერ განახორციელა, რადგან 1854 წლის აგვისტოში უეცრად გარდაიცვალა უბედური შემთხვევის გამო<sup>1</sup>. 1854 წლის მარტში გ. ტოკარევა გახსნა პირველი რუსული წიგნის სავაჭრო (დუქანი) თბილისში, ყოფილ კომენდანტის ქუჩაზე (ახლა გრიბოედოვის ქ.) აბიმელიძეების სახლში<sup>2</sup> და იღებდა წიგნებზე შეკვეთებს.

გ. ტოკარევა შეადგინა „კავკასმცოდნეობის ბიბლიოგრაფია“, რომელიც წარმოადგენდა იმ სომხური გამოცემების სრულ ნუსხას, სადაც მოხსენებულია კავკასია<sup>3</sup>.

გ. ტოკარევი იყო სწავლული, ეთნოგრაფი და პუბლიცისტი. მის კალამს ეკუთვნის ბევრი საინტერესო წერილი და რამდენიმე ლიტერატურული ნაწარმოები. მას გამოქვეყნებული აქვს რომანი „ნებისყოფის ძალა“ და ტრაგედია „ფარანზემა“.

1847-1848 წლების გაზეთ „კავკაზში“ გ. ტოკარევა გამოაქვეყნა წერილი „კავკასიაზე ცნობების წყაროებისათვის“, რომელსაც შემდეგ ბეჭდავს აგრეთვე კრებულ „კავკაზის“ № 1-ში. მას მიზნად დაუსახავს, შეედგინა სრული ბიბლიოგრაფიული მაჩვენებელი კავკასიის ისტორიაზე, გეოგრაფიაზე, სტატისტიკაზე და ა. შ., რომელიც სახელმძღვანელოდ გამოადგებოდათ დაინტერესებულ პირებს.

1851 წლის გაზეთ „კავკაზში“ გამოქვეყნდა ცნობა, რომ გ. ტოკარევი შეუდგა რა თავისი რომანის „ნებისყოფის ძალის“ („Сила воли“) ბეჭდვას, რომელიც ავტორმა მიუძღვნა მეფისნაცვალს, ლებულობს ხელმოწერას აღნიშნულ წიგნზე. მართლაც, 1852 წელს დასახელებული წიგნი გამოიცა, რომელიც დაიბეჭდა კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის სტამბაში. ამავე სტამბაშია დაბეჭდილი მისი მეორე წიგნიც („ფარანზემა“, 1854).

ამრიგად, 1853 წლის „მ. ს. ვორონცოვის კაბინეტის წიგნების კატალოგი“ არ არის მისი (მ. ვორონცოვის) პირადი ბიბლიოთეკის კატალოგი, ის არის სამსახურებრივი დანიშნულების წიგნი — სავაჭრო კატალოგი, რომელიც შედგენილი უნდა იყოს გ. ა. ტოკარევის მიერ, ხოლო ოდესის უნივერსიტეტში დაცული ქართული წიგნები არ არის „კატალოგი“ დასახელებული წიგნები.

<sup>1</sup> „Кавказ“, 1854, № 62, გვ. 246.

<sup>2</sup> Акты Кавказской археографической комиссии, т. XI, 1888, გვ. 967.

<sup>3</sup> იქვე.



2. ავტობიოგრაფიის მალაზიის  
ძარბაზის ხელნაწერი წიგნების სია

XIX საუკუნის 50-იან წლებში ქართული ხელნაწერების საკმაოდ მდიდარი კოლექცია ჰქონდა კომისიონერ ავეტიქ მკრტიჩის ძე ენფიანჯიანცს. იგი ვაჭრობდა როგორც ნაბეჭდი, ისე ხელნაწერი წიგნებით. როდის, საიდან და ვისგან მოხვდა მის ხელში ეს კოლექცია, ცნობილი არ არის, მაგრამ, უნდა ვიფიქროთ, რომ კომისიონერმა, იცოდა რა ძველი ქართული ხელნაწერების ფასი, ისინი შეიძინა მოსახლეობისაგან სხვადასხვა დროსა და პირობებში. ა. ენფიანჯიანცის ნაქონ ხელნაწერებს სომხურ ენაზე მიწერილი აქვთ მფლობელის ვინაობა და პირადი ბიბლიოთეკის ძველი ნომრები. ყველა ხელნაწერს თარიღად 1855 წელი უზის.

1840 წელს ქმებმა ამბარცუმ და ავეტიქ ენფიანჯიანცებმა თბილისში გახსნეს წიგნის მაღაზია<sup>1</sup>. ეს უნდა ყოფილიყო, ალბათ, ანტიკვარული მაღაზია, სადაც ნაბეჭდი და ხელნაწერი წიგნებიც იყიდებოდა, მათ შორის ქართული და სომხური ხელნაწერები. ქართული ხელნაწერი წიგნების გაყიდვის შესახებ პირველი ცნობა 1859 წელს გვხვდება. ურნალ „ცისკარის“ სარედაქციო განცხადებაში ვკითხულობთ: „მესამე ოდელენის საკუთარი კანცელარიის ტიპოგრაფიის კომისიონერი ენფიანჯიანცი გვთხოვს, ვაცნობოთ „ცისკარის“ მკითხველებს, რომ იმის მაღაზიაში იყიდებიან ქართული წიგნები“... იქვე ჩამოთვლილია 15 წიგნი<sup>2</sup>. ამის შემდგომ მის მაღაზიაში დაცული ხელნაწერი და ნაბეჭდი გასაყიდი წიგნების შესახებ დროდადრო იბეჭდებოდა განცხადებები და ცნობები იმდროინდელ ურნალ-გაზეთებში, მაგალითად: „სასოფლო გაზეთში“<sup>3</sup>, „მნათობსა“<sup>4</sup> და „ივერიაში“<sup>5</sup>. მაგრამ ა. ენფიანჯიანცის მაღაზიის გასაყიდი ქართული ხელნაწერების ყველაზე დიდი სია გამოქვეყნდა 1870 წელს გაზეთ „დროებაში“<sup>6</sup>, საიდანაც დასახელებული სია 1894 წელს თავის წიგნში გადაბეჭდა ალ. ცაგარელმა<sup>7</sup>.

<sup>1</sup> ანდრეი ანტონ II, საქართველოს კათალიკოსისა. დ. პ. ფურცელაძის გამ., თბ., 1890, წინასიტყვე, გვ. 4. სხვა ცნობით, წიგნის მაღაზია გახსნეს 1846 წელს (პ. გუგუშვილი. ქართული წიგნი. თბ., 1927, გვ. 154).  
<sup>2</sup> „ცისკარი“, 1859, № 11, გარეკანის 2-3 გვერდზე.  
<sup>3</sup> „სასოფლო გაზეთი“, 1871, № 1, გვ. 8.  
<sup>4</sup> „მნათობი“, 1872, № 10-12, გარეკანის მესამე გვერდი.  
<sup>5</sup> „ივერია“, 1888, 22 სექტემბერი, № 198; 1894, 9 აპრილი, № 77.  
<sup>6</sup> „დროება“, 1870, 16 ოქტომბერი, № 41.  
<sup>7</sup> А. Цагарели. Сведения о памятниках грузинской письменности. т. I, вып. III, СПб., 1894, гв. 245-247.



გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებულ სიას წამძღვარებული აქვს დაქვითვის საყურადღებო მცირე წინათქმა, რომელშიც გამოთქმულია სურვილი, რომ ისინი შეიძინოს ძველი ქართული წიგნების გამომცემელმა საზოგადოებამ. მასში ვკითხულობთ:

„ბანცხაღება“

„დროების“ რედაქციამ მიიღო სია ქართული ძველი ხელნაწერი წიგნებისა, რომელნიც უფ. ავეტიქ ენფიანჯიანცის წიგნის მაღაზიაში ისყიდებიან. ეს სია ჭეშმით არის მოყვანილი. ვინ არ იცის, რა ძვირია საზოგადოთ ჩვენში ძველი ხელნაწერი წიგნები; ვინ არ იცის აგრეთვე, რომ ამ წიგნებში ზოგიერთები ძალიან ძვირფასნი არიან ჩვენი საშობლოსა და წინაპრების ცხოვრების გასაცნობელათ? საუბედუროთ, ვისაც კი აქვს ჩვენში თითო-ოროლა ძველი წიგნი, ისინიც მაგრათ ინახვენ ცხრაკეტილში და არავის არ აძლევენ, თითქოს ზანღუკში შენახულს წიგნს რამე ფასი ჰქონდეს<sup>1</sup>. ძალიან სასიამოვნო საქმე იქნება, რომ უფ. ენფიანჯიანცის წიგნები, თუ იმათ რიცხვში არის რამ შესანიშნავი, იმისთანა პირმა შეიძინოს, რომელმაც, ზემოხსენებულებსავე, არ დაკეტოს ისინი ზანღუკში და არავის ასარგებლოს. ყველაზე უკეთესი კი ის იქნება, რომ ისინი შეიძინოს ძველი წიგნების გამომცემმა საზოგადოებამ, რომელიც შარშან შესდგათფილისში“.

როგორც ჩანს, აღნიშნულ საზოგადოებას ხელნაწერები არ (თუ ვერ) შეუძენია. მოგვიანებით კი, როცა ჩამოყალიბდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება (1879 წ.), ამ საზოგადოებას ერთიანად შეუძენია „სიაში“ დასახელებული ხელნაწერები. აღნიშნული ხელნაწერები ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას შეუძენია ე. თაყაიშვილის თაოსნობით, რასაც გვამცნობს მკვლევარის პირად არქივში დაცული „ენფიანჯიანცის ქართული ხელნაწერების კატალოგის“ მინაწერი: „ეს ხელნაწერები მე ვიყიდე წერა-კითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკისათვის“<sup>2</sup>. შესყიდული ხელნაწერები, იმავე რიგით, როგორც სიაშია ჩამოთვლილი, გაუტარებიათ საზოგადოების წიგნთსაცავის ფონდში. ამჟამად ისინი დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში და თითოეული მათგანი დაწვრილებით არის აღწერილი<sup>3</sup>.

<sup>1</sup> ჩვენ ვაგვიგონია, რომ ერთ თავადიშვილს ზემო იმერეთში კარგა ბლომათ აქვს ძველი ქართული წიგნებიო, მაგრამ ის დალოცვილი, არათუ სათხოვებელათ, საჩვენებელათაც არავის აძლევს თურმე.

<sup>2</sup> აკადემიკოს ე. თაყაიშვილის არქივი. აღწერილობა შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ე. კელენჯერიძემ. თბ., 1972, გვ. 204. ე. თაყაიშვილის არქივში დაცულია ნ. მთვარელიშვილის შედგენილი 1889 წლის 24 იანვრით დათარიღებული სია — „ქართული ხელნაწერები ბ. ენფიანჯიანცის წიგნთსაცავისა“, რომელშიც აღწერილია პირველი ოთხი ხელნაწერი (იქვე, გვ. 203)

<sup>3</sup> ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (S ფონდი). ტ. IV, თბ., 1965, გვ. 45-119.



აღსანიშნავია, რომ ხელნაწერების გაყიდვამდე მისი მფლობელი ხელნაწერებს ათხოვებდა ხოლმე გადასაწერად. რა თქმა უნდა, ეს ხდებოდა კომერციული თვალსაზრისით, მაგრამ ხელნაწერის თხოვება მისგან პირის (ასლის) გადასაღებად თავისთავად საინტერესო ფაქტია. ასე, მაგალითად, ა. ენფიანჯიანცის კუთვნილი ზოგიერთი ხელნაწერი 1869 წელს გადაუწერეს მღვდელ ალექსი ბაქრაძეს.

აქვე მოგვყავს ა. ენფიანჯიანცის მალაზიის ხელნაწერი წიგნების სია, როგორც ნიმუში ქართული ხელნაწერი წიგნების სავაჭრო სიისა:

[ავეტიქ ენფიანჯიანცის ქართული ხელნაწერი წიგნების სია]

1. ლექსიკონი — საბა-სულხან ორბელიანისა. შედგენილია 1685 წ.
2. წმ. დიონოსი არეოპაგელის წიგნი.
3. არისტოტელის კათილორია, პორფირის, დამასკელის, ამმონიოსი, პლატონისა და ზერისაორების (!) ფილოსოფოსთა წიგნი<sup>1</sup>. თავში და ბოლოს რამდენიმე ფურცელი აკლია.
4. პერი არმენია — არისტოტელის მიერ, გადმოთარგმნილი დავითის მიერ, არმენთა<sup>2</sup> ფილოსოფოსისა. დაწერილია თფილისში 1764 წ.
5. წიგნი საზღვართა — დავით ფილოსოფოსისა. გადმოთარგმნილია ანტონ კათალიკოზისაგან, მღვდ. ფილიპეს თანაშემწეობით, 1758 წ.
6. სრული სამართლის კანონი — დაბადებიდგან<sup>3</sup>, ბერძული, სომხური, კათალიკოზთა<sup>4</sup>, მეფის გიორგისა, აღბუღასი, მეფე ვახტანგისა.
7. ლავსაიკონი — წიგნი მამათა მეუღაბხოეთა, მოთხრობა და დამატება — ცხოვრება და ღვაწლი წმინდათა მამათა.
8. ქართლის ცხოვრება — სოლომონ პირველადმდე.
9. აკროსტიხები ოცდაათ აღსაგალათთვის — იოანესაგან სინელისა და საზღვრის დადებანი — გრიგოლ ღვთისმეტყველისა.
10. სახელმწიფო სვინაქსარი. ამაში არის სახელები: მეფეთა, პატრიარქთა, მოციქულთა და წინასწარმეტყველთა. დაწერ[ილია] ქართულს ქორონიკონს უმდ [1756].
11. კალენდარი სასიზმრო, ძვრისა და ქუხილისა, ზედნადებისა, ცათმხილვა. როგორც სჩანს, ფრიად ძველი წიგნი უნდა იყოს.
12. წიგნი აღსარებისა.
13. სამოციქულო, ხელნაწერი დაწერილია ქართ[ული] ქორონიკონით უნთ [1771].

<sup>1</sup> სავა ავტორების სახელებს ვერ ვიტყვით, რომ საქები საქმე იყოს და ქორონიკონი არ არის მოყვანილი, იქ არც თვითონ წიგნში არის ნახელები.  
<sup>2</sup> ნაბეჭდშია: არმენთა.  
<sup>3</sup> ნაბეჭდშია: დაბადება.  
<sup>4</sup> ნაბეჭდშია: კათალიკისა.



14. პარაკლისი, ყოველთა წმიდათა მოსაზავებელნი.
15. კათიგორი[ა] და იოანე დამასკელის ღვთისმეტყველება. დაწერილია 1710 წ., ქართ. ქორონ. ტყმ [1710].
16. ჟამნი, გლახათ დაწერილია, შავ ქაღალდზე.
17. სძლისპირნი ღვთისმშობლისანი. დაწერილია 1784 წ.
18. კიდევ ჟამნი — პატარა წიგნია.
19. ტიბიკონი.
20. წიგნი ნემესიოსი. ძალიან ძველ წიგნსა ჩამოკვავს.
21. სიმეტნე ღრამმატიკისა.
22. ცნობა ისტორიული და ღეოდრაფიული (ზღაპარსიტყვაობა) — რუსულისაგან ქართულათ გადმოღებული საქართველოს მეფის [ძის] და რუსეთის ღენერალ-მაიორის დავითისაგან.
23. მღვდელმთავრის ლიტურგიის განმარტება და ათორმეტ-წარწერილებანი, მეფის ძის დავითისაგან ქმნილნი, და სჯულისკანონი იოანე მმარხველისა.
24. სოგრატ ფილოსოფოსის წიგნი — რუსულიდამ ქართულათ გადმოთარგმნილი ერასტი თურქისტანოვისაგან.
25. ლოცვა და ფილოსოფია.
26. ქართული ღრამატიკა.
27. წიგნი კეისრის ფუნციანუსისა და ცოლისა და შვილისა, და შვიდთ ფილოსოფოსთა.
28. ანდერძის წიგნი — ანტონი კათოლიკოსისა. 1793 წ.
29. ქებითი წიგნი ირაკლი საქართველოს მეფისადმი, ქმნილი იოანე დიაკონის მიერ.
30. ბეჟან-მანიჟავის წიგნი — ლექსი, თქმული 1829 წ.
31. სრული სამთვარიო.
32. ეპისტოლე ნაპოლეონ ბონაპარტისა, პიოს VII პაპისა მიმართ.
33. ერთი თაბახი ლექსი — დედისაგან შვილებზედ.
34. ერთი თაბახი მუხამბაზი თ. გიორგი თუმანოვისა.  
თითქმის ყველა ეს წიგნები დაწერილია ძველის, ლურჯ და სქელ ქაღალდზე, ან ცოტაოდნე ნაწილი პერგამენტზე და ზოგი იმათგანი მშვენიერი ხელით არის გადაწერილი.  
ამათ გარდა უფ. ენფიანჯიანცს აქვს ასამდი ძველი სომხური ხელნაწერი წიგნები, აგრეთვე ზოგი სქელ ქაღალდზე და ზოგი პერგამენტზე დაწერილი”.  
ა. ენფიანჯიანცის მალაზიის ქართულ ხელნაწერებზე მოვიყვანთ მოკლე ცნობებს მათი ნომრების მითითებით (S ლიტერით აღნიშნულია ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდი, რომელიც ამჟამად დაცულია აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში):  
სიაში პირველ ნომრად დასახელებულია ს.-ს. ორბელიანის „სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი“ (S 2560). შეიცავს 165 ფურცელს, ნაწერია მხედრულად. გადაწერილია მღვდელ მიხეილ იოანეს ძის მიერ 1819 წელს.





მეორე ნომრად — დიონისე არეოპაგელის თხზულებათა კრებულში (S/2563) შეიცავს 241 ფურცელს. ნაწერია ნუსხურად. გადაწერილია XVIII საუკუნეში. 1869 წელს ამ ხელნაწერიდან პირი გადაუღია მღვდელ ალექსი ბაქრაძეს (ქუთ. 416; ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. II, შედგ. ე. ნიკოლაძის მიერ, თბ., 1964, გვ. 102-105).

მესამე ნომრად დასახელებული ხელნაწერი წარმოადგენს კრებულს, რომელშიც მოთავსებულია იოანე დამასკელის „დიალექტიკა“, ამონიოს ერმისის „მოსახსენებელი ხუთთა ხმათადმი პორფირი ფილოსოფოსისათა“ და მისივე „მოსახსენებელი ათთა კათილორიათადმი არისტოტელისთა“ (S 2562). შეიცავს 354 ფურცელს, ნაწერია ნუსხურად. ხელნაწერი გადაწერილი უნდა იყოს XIII-XIV საუკუნეებში.

სიაში მეოთხე ნომრად მითითებულია დავით უძღვევლის ნაშრომი — არისტოტელეს „პერიარმენიას“ განმარტება (S 2563). შეიცავს 118 ფურცელს. გადაწერილია 1764 წ. მხედრულად. აღნიშნული ხელნაწერის პირი გადაიღო 1869 წ. მღვდელმა ალ. ბაქრაძემ (ქუთ. 455; ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. II, 1964, გვ. 128-129).

მეხუთე ნომრად მოხსენებული დავით უძღვევლის „წიგნი საზღვართა“ (S 2564) გადმოთარგმნილია ფილიპე ყაითმაზაშვილისა და დოსითეოზ ჩერქეზიშვილის მიერ. შეიცავს 106 ფურცელს. გადაწერილია XVIII-XIX საუკუნეებში.

მეექვსე ნომრად მითითებული ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული (S 2565) შეიცავს 238 ფურცელს, გადაწერილია XIX საუკუნეში მხედრულად.

მეშვიდე ნომრად სიაში დასახელებულია ხელნაწერი კრებული (S 2566), რომელშიც მოთავსებულია „ლავსაიკონი“, „ცხოვრებაი და მოქალაქობაი წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა ტიმოთე საკვირველთმოქმედისა“ და სხვ. შეიცავს 320 ფურცელს. გადაწერილია XVIII საუკუნეში ნუსხურად მიტროფანე დიაკონის ხელით.

მერვე ნომრად — ვახტანგ ბაგრატიონის (ერეკლეს ძის) „ისტორიებრი აღწერა“ (S 2567). შეიცავს 67 ფურცელს. გადაწერილია XIX საუკუნეში მხედრულად.

მეცხრე ნომრად — ხელნაწერი კრებული (S 2568), რომელშიც შეტანილია იოანე სინელის „ეკლემასის“ იოანე პეტრიწის მიერ შესრულებული ლექსითი თარგმანი, გრიგოლ ღვთისმეტყველის, პეტრე გელათელისა და იეზეკიელის თხზულებანი. ხელნაწერი შეიცავს 78 ფურცელს, გადაწერილია XVIII საუკუნეში ნუსხურად.

მეათე ნომრად — სვინაქსარი (S 2569). შეიცავს 270 ფურცელს. გადაწერილია 1756 წელს ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილის მიერ ნუსხურად.

მეთერთმეტე ნომრად — ხელნაწერი კრებული (S 2570), რომელშიც შესულია სამთვარიო, „მარგალიტი“, „ნიშანი ძრვისა და ქუხილისა“ და სხვ. ხელნაწერი შეიცავს 166 ფურცელს. გადაწერილია XVII-XVIII საუკუნეებში ნუსხურად.

მეთორმეტე ნომრად მითითებულ ხელნაწერ კრებულში (S 2571) შეტანილია „წიგნაკი მცირე რაიმე, მცირედ რაიმედ შემოკლებით თქმული აღსარებისათვის“, ნიკოლოზ გაბაშვილის „სწავლა მოძღურისა მიერ სულიერისა სარწმუნოებისა“.



ნობისათვის" და სხვ. ხელნაწერი შეიცავს 85 ფურცელს, გადაწერილია საუკუნეში ნუსხურად.

შეცამეტე ნომრად დასახელებულია „სამოციქულო“ (S 2572). ხელნაწერი გადაწერილია 1771 წ. ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილის მიერ. შეიცავს 338 ფურცელს, ნაწერია ნუსხურად.

მეთოთხმეტე ნომრად მოხსენებული ხელნაწერი არის „ლ[მრ]თივე შემკობილი პარაკლისი ყოველთა წმიდათათვის მოსწავებულნი“ (S 2573). შეიცავს 82 ფურცელს, გადაწერილია 1800 წ. მხედრულად.

მეთხუთმეტე ნომრად დასახელებულია იოანე დამასკელის თხზულებების შემკველი ხელნაწერი (S 2574), რომელიც შედგება 151 ფურცლისაგან, ნაწერია ნუსხურად XIII-XIV საუკუნეებში. ხელნაწერი გაცხოველებულია ნიკოლოზ ორბელიანის მიერ 1710 წელს.

მეთექვსმეტე ნომრად მითითებული ხელნაწერი არის „ჟამნი“ (S 2575). შეიცავს 458 ფურცელს. გადაწერილია ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილის მიერ 1791 წელს ნუსხურად.

მეჩვიდმეტე ნომრად მოხსენებულია „სძლისპირნი ღვთისმშობლისანი“ (S 2576). ხელნაწერი შეიცავს 191 ფურცელს, გადაწერილია პაატა დიაკვნის მიერ 1784 წელს.

მეთვრამეტე ნომრად — „ჟამნი“ (S 2577). ხელნაწერი შეიცავს 319 ფურცელს, გადაწერილია XVIII საუკუნეში ნუსხურად.

შეცხრამეტე ნომრად დასახელებული თხზულება არის „სადღესასწაულო“ (S 2578), შეიცავს 393 ფურცელს. გადაწერილია ნუსხურად ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილის მიერ.

მეოცე ნომრად მითითებულია ნემესიოს ემესელის „ბუნებისათვის კაცისა“ (S 2579). ხელნაწერი შეიცავს 140 ფურცელს, გადაწერილია XIV-XV საუკუნეებში ნუსხურად.

ოცდამეერთე ნომრად — ანტონ I-ის „სიმეტნე ღრამმატიკისა“ (S 2580). ხელნაწერი შეიცავს 31 ფურცელს, გადაწერილია 1822 წელს.

ოცდამეორე ნომრად — „მეტალოღია ანუ ზღაპარსიტყვაობა“ (S 2581). შეიცავს 82 ფურცელს. გადაწერილია XIX საუკუნეში მხედრულად.

ოცდამესამე ნომრად — ხელნაწერი კრებული (S 2582), რომელშიც შეტანილია „ლ[მრ]თივე შეუნიერებით მლუდეღმთავრის ლიტურგიისა განმარტებად სახისმეტყუელებით“ და სხვ. ხელნაწერი შეიცავს 69 ფურცელს, გადაწერილია XVIII-XIX საუკუნეებში მხედრულად.

ოცდამეოთხე ნომრად დასახელებულია „აპოვთეგმატა“ (S 2583). შეიცავს 61 ფურცელს, გადაწერილია XIX საუკუნეში მხედრულად.

ოცდამეხუთე ნომრად — ქ. ბაუმესტერის „შემოკლებული ლოღიკა“ (S 2584), რომელიც შეიცავს 45 ფურცელს და გადაწერილია XIX საუკუნეში.

ოცდამეექვსე ნომრად — იოანე ქართველიშვილის „ქართული ღრამმატიკა“ (S 2585). ხელნაწერი შეიცავს 79 ფურცელს, გადაწერილია 1818 წელს.

ოცდამეშვიდე ნომრად — „თარგმანი კეისრის ფუნციანოსისა და ცოლისა და შვილის დიუგლიტანისა და შვიდ ფილოსოფოსთა“ (S 2586). ხელნაწერი შეიცავს 31 ფურცელს, გადაწერილია XIX საუკუნეში.



ოცდამეგრევე ნომრად — ანტონ მთავარეპისკოპოსის (ანტონ I-ის) ანდერძი (S 2587), რომელიც შეიცავს 7 ფურცელს და დაწერილია 1793 წელს.

ოცდამეცხრე ნომრად — იოანე ლარაძის ქრისტესშობის მილოცვა, რომელიც შემდეგნაირად იწყება: „კადრი მისისა უმაღლესობისადმი მეფის ირაკლისა ორთიკოდ, რომლისა კიდურწერილნი იტყვიან ესრეთ: „ქრისტეს შობასა მოგილოცავ, მეფეო ირაკლი...“ (S 2588). ერთი ფურცელია, დაწერილია 1790 წელს.

ოცდამეათე ნომრად — „ბეჟანიანი“ (S 2883), რომელიც შეიცავს 32 ფურცელს და გადაწერილია მოსე იორამაშვილის მიერ 1829 წელს.

ოცდამეთერთმეტე ნომრად — „სამთვარიო მართალი და ჭეშმარიტი“ (S 2590), რომელიც შეიცავს 10 ფურცელს და გადაწერილია XIX საუკუნეში.

ოცდამეთორმეტე ნომრად — „ეპისტოლე, მიწერილი შენანებისა ნაბოლონ ბონეპარტესაგან უწმინდესისა პაპისა მიმართ, პიოს მე-7-ისა“ (S 2591). ხელნაწერი შეიცავს 8 ფურცელს, თარგმნილია რუსულიდან XIX საუკუნეში.

ოცდამეცამეტე ნომრად — ლექსი „ღვთისმშობლის ნანა“ (S 2592), რომელიც შედგება ორი ფურცლისაგან და დაწერილია პარალელურად ქართულ-რუსული ტექსტი. ხელნაწერი XIX საუკუნისაა.

ოცდამეთოთხმეტე ნომრად — გიორგი თუმანიშვილის ლექსი (S 2593). ხელნაწერი წარმოადგენს ავტოგრაფს, ნაწერია ერთ ფურცელზე (XIX საუკ.).

ა. ენფიანჯიანცი დიდხანს განაგრძობდა ქართული და სომხური ხელნაწერების შეგროვებას და გაყიდვას. ასე, მაგალითად, 1890 წელს ისტორიკოსი დიმიტრი ფურცელაძე აღნიშნავდა: „ა. ნ. ენფიანჯიანცმა პირველად გახსნა 1840 წელს თბილისში წიგნების მაღაზია, და როგორც ძველი ნივთების და ხელნაწერების მოყვარულმა, ხალისით დაუწყო კრება ძველ ხელნაწერებსა, ქართულსა და სომხურსა, და ამ საგანზე ხარჯს არა ჰზოგავდა. ამჟამად (ე. ი. 1890 წელს. — გ. მ.) მას აქვს კიდევ 39 ქართული და 150 სომხური ხელნაწერი. ამ ხელნაწერთა შორის არის იმისთანები, რომლებიც ძლიერ საინტერესოები არიან და დიდი მნიშვნელობაცა აქვთ ისტორიულ, არხეოლოგიურ, პალეოლოგიურ და სხვა მხრით“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ანდერძი ანტონ II, საქართველოს კათალიკოსისა. დ. პ. ფურცელაძის გამ., თბ. 1890, წინასიტყვე, გვ. 4.

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ  
ՆԱԽԱՐԱՐԱԿԱՆ ԳՐԱԴԱՐԱՆ  
ԳՐԱԿԱՆ ԳՐԱԿԱՆ ԳՐԱԿԱՆ  
ԳՐԱԿԱՆ ԳՐԱԿԱՆ ԳՐԱԿԱՆ  
ԳՐԱԿԱՆ ԳՐԱԿԱՆ ԳՐԱԿԱՆ

ԳՐԱԿԱՆ ԳՐԱԿԱՆ ԳՐԱԿԱՆ




---

# ՈՐՈՇՈՒՄ



აბუსერიძე ტაყალი —  
XII-XIII საუკუნეების გამორჩენილი  
მწერალი და მესწიერი

XII-XIII საუკუნეებში საქართველომ არნახულ წარმატებას მიაღწია; ქართველი მამულიშვილების მრავალმხრივი საქმიანობის შედეგად ის გაფართოვდა ტერიტორიულად, გაძლიერდა პოლიტიკურად, მოღონიერდა ეკონომიკურად, დაწინაურდა კულტურულად. შემოქმედებითი ძალების გააქტიურებამ უზრუნველყო ეროვნული ლიტერატურისა და მეცნიერების აღმავლობა. ქვეყნის კულტურულ-აღმშენებლობით პროცესში და ერის სულიერ აღორძინებაში მეტ-ნაკლებად ყველა მხარე მონაწილეობდა. ამ საპატიო მისიის შესრულებაში საგულისხმოდ წვლილი შეიტანა აჭარამ, კერძოდ, მისმა ღირსეულმა შვილმა, ერისთავთერისთავ იოანე აბუსერიძის (XII ს.) უმცროსმა ძემ — აბუსერიძე ტაყალმა (დაახლ. 1190-1240).

ამ სახელოვანმა მოღვაწემ ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში მიიბყრო მკვლევართა ყურადღება, მაშინვე დაიბეჭდა მისი ძირითადი თხზულებანი — ქრონოლოგიურ-მათემატიკური ტრაქტატი (ფრანგული თარგმანით) „ქორონიკონი სრული მისითა საუწყებელითა და განგებითა“ 1868 წელს გამოაქვეყნა მ. ბროსემ, „სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისნი“ 1897 წელს დაბეჭდა თ. ჟორდანიამ. მისადმი ინტერესი არც ხენს საუკუნეში შენელებულა — რამდენჯერმე გამოქვეყნდა მისი მხატვრული ნაწერები: „სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისნი“ (განსხვავებული სათაურით) სანიმუშოდ გამოსცა ლ. მუსხელიშვილმა 1941 წელს\*. უმნიშვნელო ცვლილებებით გადაიბეჭდა „ქართულ პროზაში“ 1982 წელს, „ქართულ მწერლობაში“ 1988 წელს, წმინდა გიორგისადმი მიძღვნილ კრებულში 1991 წელს. ასევე განსხვავებული სათაურით და ხელნაწერის ფოტოპირის დართვით 1981 წელს გამოსცა ი. სიხარულიძემ, რუსულად თარგმნა ა. ხალვაშმა (მართალია, არც ეს რუსული და არც ტრაქტატის ფრანგული თარგმანი უნაკლო არაა, მაგ-

\* ვსარგებლობთ ამ გამოცემით, გვერდებს ტექსტშივე (ფრჩხილებში) ვუთი-  
ოებთ.



რამ მათ უთუოდ ხელი შეუწყვეს აბუსერისძე ტბელის ლიტერატურულ-მეცნიერული მემკვიდრეობის შესწავლა-პოპულარიზაციას); 1992 წელს რ. ხალვაშმა გამოაქვეყნა „გალობანი წმიდათა იოვანეთა: ნათლისმცემლისა, მახარებლისა და ოქროპირისა“.

აბუსერისძე ტბელს მეცნიერული ნარკვევები, სამეცნიერო-პოპულარული წერილები თუ შენიშვნები უძღვნეს მ. ბროსემ, თ. ჟორდანიამ, ი. ჯავახიშვილმა, კ. კეკელიძემ, ლ. მუსხელიშვილმა, მ. ჩიქოვანმა, ი. სიხარულიძემ, რ. თვარაძემ, პ. რატიანმა, მ. ლორთქიფანიძემ, ე. გაბიძაშვილმა, რ. ხალვაშმა, ო. სურმანიძემ და სხვ. მიუხედავად ამისა, აბუსერისძე ტბელის ცხოვრება-მოღვაწეობის ბევრი საკითხი უცნობი და გაურკვეველია, მისი მხატვრული თუ მეცნიერული თხზულებების ღრმა და საფუძვლიანი შესწავლა ქართველოლოგიის საშური ამოცანაა.

აბუსერისძე ტბელი საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიაში ცნობილი ფეოდალური სახლის ბრწყინვალე წარმომადგენელია. აბუსერისძენი მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში; საისტორიო წყაროებში ამ საგვარეულოს არაერთი თვალსაჩინო მოღვაწე იხსენიება — არტანუჯის ერისთავი ივანე (XI ს.), არტანუჯის, ხინანის, აწყურისა და სხვა ციხეთა მფლობელი ერისთავი აბუსერი (XI ს.), ღრტილის კრების მონაწილე გრიგოლი (1046 წ.), მწერლის მამა — ერისთავთერისთავი ივანე (XII ს.), მისივე ძმები — აბუსერ და ვარდან ერისთავთერისთავები (XII-XIII სს.) და სხვანი.

მწერალი თავისთავზე, — აგრეთვე ოჯახის წევრებზე, — ცნობებს გვაწვდის უმთავრეს თხზულებაში („სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისნი“), რომელშიც ერთი აღდილი ასე იკითხება: „ესე და სხუანი მრავალნი დავიდუმნე და ძალსა სიტყვასასა მოკლედ მოვიდე, მე არა ღირსი და შეურაცხი შესაძრწუნებელთა ამათ სიტყუათაჲ და სიყუარულისათჳს იძულებული და არსაკადრებელად ვერ მომთმინე აბუსერისძე ტბელი, ძე ერისთავთერისთავისა ივანესი და დიოფალთდიოფლისა ხათუთამსაჲ, რომელსა შემდგომად ქმრისა მისისა თურქთა ჴელითა აღსრულებისა, მონაზონებისა მისისათჳს მალისა ეკატერინე ეწოდა, ძმად ერისთავთერისთავთა აბუსერისი და ვარდანისი, რომელთა ბრძანებითა ჴელ-ვყავ შენებაჲ ეკლესიისაჲ, სალოცველად გარდასრულთა ჩუენთა და ცოცხალთა და მშობელთა ჩუენთა და საჴსენებელად პაპისა ჩუენისა აბუსერისისა და ძმისა მისისა სანანოასთჳს, რომელმან ნეფსით თჳსითთავი თჳსი უცოლო და უშვილო ყო ჩუენისა წყალობისათჳს“ (66-67).

როგორც ჩანს, მამამისი — ერისთავთერისთავი ივანე აბუსერისძე — თურქ დამპყრობლებთან ბრძოლას შეეწირა (საფიქრებელია, XII საუკუნის 90-იან წლებში), დედა — „დიოფალთდიოფალი“ ხათუთა — ღვთის-

მოსავი და საღვთისმეტყველო ლიტერატურით გატაცებული მანდილოსანი, მეუღლის დაღუპვის შემდეგ მონაზვნად აღკვეცილა. გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ის ცოდნა სასულიერო-საეკლესიო მწერლობისა, რომელიც მწერლის ნაშრომებში ჩანს, მან დედისგან მიიღო. ამ მწერლობას კარგად იცნობდნენ მისი ძმებიც — ერისთავთერისთავანი აბუსერი და ვარდანი, რომელთაც ახლო ურთიერთობა ჰქონდათ ჰიმნოგრაფ არსენ ბულმაისიძისძესთან (მათი თხოვნითა და მოწოდებით არსენს ეროვნული სასულიერო პოეზიის საგანძური გაუმდიდრებია). როგორც ჩვენი ავტორის ზემოდამოწმებული სიტყვებიდან ჩანს, მას ძმების „ბრძანებითა [დაუწყია] შენებაჲ ეკლესიისაჲ“. ასე რომ, ღრმადმორწმუნე დედის შვილები — ძმები აბუსერისძენი — ეკლესიების მშენებლობითაც დაინტერესებული იყვნენ (სხვათა შორის, მათ დას ვანენის აუგია „ეკლესია წმიდისა იოვანე მახარებლისაჲ და ღმრთისმეტყუელისაჲ, სამკვდრებელი“ მათი — 68).

ბუნებრივია, ამ ოჯახის კულტურულ-აღმშენებლობით ტრადიციებზე აღზრდილმა უმრწემესმა ძემ ხიხანის (აჭარის) ერისთავთერისთავის რეზიდენციაში მიიღო ის განათლება, რომელიც ესოდენ შესაძინებია მის ნააზრევსა და მონათხრობში. მისი მეცნიერული ნაშრომი, საყურადღებო ისტორიული ცნობები, ლიტერატურულ ქმნილებათა მხატვრული მხარე უცილობლად ავტორის კარგ მომზადებას მოწმობს. აბუსერისძე ტბელი „ნიჭიერი, განათლებული და ნაყოფიერი მწერალია“ (კ. კეკელიძე).

ზემოთ დავიმოწმეთ ერთი ციტატა, რომელშიც ავტორი თავის თავს „აბუსერისძე ტბელად“ გვაცნობს. გვარსახელთან („აბუსერისძესთან“) ერთად „ტბელის“ ხსენებამ არაერთი მკვლევარი დააფიქრა. საკითხისადმი ინტერესი გააძლიერა კლარჯულმა სვინაქსარმა (A № 97), რომელშიც გვხვდება „აღაბი ტბელისა აბუსერისძისა“.

რას ნიშნავს „ტბელი“? საკუთარი სახელია, წარმომავლობის, სადაურობის მაჩვენებელია თუ ხელის აღმნიშვნელი ტერმინია? მწერლის ვინაობის გარკვევისას, სოციალური მდგომარეობის დაზუსტებისა თუ სამოღვაწეო ადგილის დადგენისას ამ საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა და იგი ახლაც ცხოველ ინტერესს იწვევს.

„ტბელი“ ძველ წყაროებში არცთუ იშვიათად გვხვდება. მაგალითად, ქართული სასულიერო-საეკლესიო მწერლობის ისტორიაში ცნობილია რამდენიმე მწიგნობარი — დავით ტბელი (X ს.), ანტონ ტბელი (XII ს.), ბავლე ტბელი (XII ს.); ტბელებად იწოდებოდნენ და იხსენიებოდნენ საერო პირნიც — ქართლის დიდებულები: „ტბელნი აზნაურნი“, ტბელი ქავთარი, ტბელი ივანე და სხვ. ცხადია, არც ერთ შემთხვევაში „ტბელი“ საკუთარი სახელი არაა.

„ტბელს“ ზოგჯერ ტბეთს უკავშირებენ — იქაურ მკვიდრად, იქაურობის მფლობელად თუ იქაურ მღვდელმთავრად მიიჩნევენ.





ტბეთის სახელწოდებით რამდენიმე პუნქტია ცნობილი აჭარაში, იმერეთში, შავშეთში, რაჭაში, აფხაზეთში და სხვ. ჩვენს მწერალს შავშეთის ტბეთს უკავშირებენ. იგი საეკლესიო მოღვაწედ ჯერ კიდევ მ. ბროსემ მიიჩნია (ამის საფუძველს მკვლევარს აბუსერისძის სახელით მოღწეული ლიტერატურულ-მეცნიერული შემკვიდრება აძლევდა), ხოლო მოგვიანებით კ. კეკელიძემ ტბელი ტბეთის ეპისკოპოსად ცნო და მის სამოღვაწეო ადგილად შავშეთის ტბეთი დაასახელა. ეს თვალსაზრისი სხვა ავტორებმაც გაიზიარეს, მაგრამ მისი საყოველთაოდ აღიარება გაძნელდა ზოგიერთი გარემოების გამო:

1. ტბეთის ეპისკოპოსი, როგორც წესი, მტბევარად იწოდებოდა. ასეთი ტიტულითაა ცნობილი არაერთი იქაური მღვდელმთავარი — საბა (IX ს.), სტეფანე (IX-X სს.), იოანე (X ს.), აკვილა (X-XI სს.), გიორგი (XII ს.), საბა წყმედიძე (XVI ს.), გედეონ საფრიძე (XVII ს.) და სხვ.

2. აბუსერისძე ტბელი ხიხანში ცხოვრობდა და არა ტბეთში. ეს არა მხოლოდ უცნაურია, როგორც შენიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში, არამედ გაუგებარი და ძნელად ასახსნელიც, თუკი იგი ნამდვილად ტბეთის ეპარქიის მწყემსმთავარი იყო.

3. ავტორის განსწავლულობა სასულიერო-საეკლესიო მწერლობაში, მისი გაწაფულობა ღვთისმეტყველებაში არ კმარა იმის დასამტკიცებლად, რომ იგი სასულიერო მოღვაწე იყო. ცნობილია არაერთი საერო პირი, რომელიც ამგვარ განათლებას ამჟღავნებდა, აქტიურად მონაწილეობდა სამღვდელთა ლიტერატურულ ცხოვრებაში, მეტიც, შესამჩნევი წვლილი შეჰქონდა სასულიერო-საეკლესიო მწერლობის განვითარებაში.

უკანასკნელ ხანს გამოთქმული მოსაზრებით, „ტბელი, რომლითაც იწოდება მწერალი, სადაურობის ან ხელის აღმნიშვნელი ტერმინი კი არ უნდა იყოს, არამედ საკუთარი სახელი“ — იგი იხსენიება „გვარსახელ აბუსერისძის გვერდით, სწორედ იმ ადგილას, სადაც პირის სახელია აუცილებელი“. ამ თვალსაზრისს რამდენადმე მხარს უჭერს ის გარემოებაც, რომ ტბელი აქა-იქ მართლაც გვხვდება საკუთარ სახელად. გვხვდება აგრეთვე ტბელა, ტბელასძე, ტბელაშვილი, ტბელისძე და სხვ\*.

„ტბელი“, ცხადია, ნაწარმოებია გეოგრაფიული სახელიდან. თუ მწერალი მართლაც საერო პირი იყო, როგორც ჯერ კიდევ ნახევარი საუკუნის წინ ფიქრობდა ნ. ბერძენიშვილი, არაა გამორიცხული ვივარაუდოთ, რომ აბუსერისძეთა საგვარეულო ერთხანს ფლობდა ტბეთს და სახელიც („ტბელიც“) მაშინ დაიმკვიდრა\*\*.

\* საინტერესოა გაორმაგებული გვარსახელი „გოდერძიანნი ტბელნი“.

\*\* ვინაიდან საკამათო საკითხი საბოლოოდ გადაჭრილი არ არის, მწერალს ტრადიციული ფორმით („აბუსერისძე ტბელი“) ვიხსენიებთ.



აბუსერისძე ტბელის ლიტერატურულ-მეცნიერული მემკვიდრეობის მიმოხილვაში ერთად აღნიშნულია ძვირფას ხელნაწერში — რამდენიმე გადაწერის მიერ დამზადებულ მოზრდილ კრებულში (A № 85), რომლის ერთი (პირველი) ნაწილი XIII საუკუნეში, ხოლო მეორე XVI საუკუნეში გადაწერილი უნდა იყოს. ამ ხელნაწერმა დიდი გზა გამოიარა, იგი გადაურჩა ჯამთა სიავესა და ძნელბედობას, მაჰმადიან დამპყრობელთა ძალმომრეობას და დღემდე მოაღწია. მასში (პირველ ნაწილში) დაცულია აბუსერისძე ტბელის ყველა ის თხზულება, რომელიც ავტორის სახელითაა მოღწეული, ან მკვლევართა მიერ მის დაწერილიადა მიჩნეული. სახელდობრ: 1. „სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისნი და ანდერძი... მთქუმელისაჲ“ (A № 85, 342r-353v); 2. „ქორონიკონი სრული მისითა საუწყებელითა და განგებითა“ (A № 85, 308r-338v. იხ. აგრეთვე S № 312, 92r-101r; არქ. ხელნ. № 268, 127r-201v); 3. „გალობანი წმიდისა იოანე ნათლისმცემლისანი, წმიდისა იოანე მახარებლისა და წმიდისა იოანე ოქროპირისნი, ერთბამად შემოკრებილნი ერთმოსეხნაეობისათჳს და ერთ მაღლისათჳს“ (A № 85, 219r-221v. იხ. აგრეთვე A № 1040, 109r-112v; K № 22, 1r-2v).

აბუსერისძე ტბელის თხზულება, რომელიც ახლახან პირველად დავასახელეთ, ასე იწყება: „ჯერ-არს ჳსენებაჲ შუენიერისა და დიდისა ახოვნისაჲ, რამეთუ ესე არიან სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისნი და ანდერძი მისისა სასოებით შევედრებულისა და ამით სიტყუათა შესაკადრებელად ღირსებისაებრ მთქუმელისაჲ“.

რადგან ტექსტი ზუსტად და კონკრეტულად არაა დასათაურებული, მკვლევართ სათაურის სხვადასხვა ვარიანტი შემოგვთავაზეს: „ჯერ-არს ჳსენებაჲ შუენიერისა და დიდისა ახოვნისაჲ“ (თ. ჟორდანი), „სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისანი და ანდერძი... მთქუმელისაჲ“ (ი. ჯავახიშვილი), „სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისანი“ (კ. კეკელიძე), „ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატთან“ (ლ. მუსხელიშვილი), „სასწაულნი წმიდისა გიორგისნი“ (რ. თვარაძე), „ცხოვრება ჭვითხუროისა ბასილისა“ (ი. სიხარულიძე).

ვინაიდან მეორე-მესამე ვარიანტი უფრო სრულად ასახავს და გამოხატავს თხზულების შინაარსს და, ამასთანავე, მომდინარეობს ხელნაწერში დაცული ტექსტიდან, სამეცნიერო საზოგადოებრიობამ ძირითადად იგი შეიწყნარა.

წმინდა გიორგისადმი ინტერესი საქართველოში ძველთაგანვე შესამჩნევი იყო (ყოველ შემთხვევაში, წყაროების მოწმობით, წმინდა გიორგის კულტი ჩვენში, თუ უფრო ადრეული ხანიდან არა, IX საუკუნიდან მაინც ხანს). ამას ადასტურებს არაერთი ლიტერატურული თუ საისტორიო



თხზულება („მოქცევაჲ ქართლისაჲ“, „გრიგოლ ხანძთელი ს. ცხოვრება“, იოანე მინჩხის „გალობანი წმიდისა გეორგისნი“, სვიმეონ შოთაძის „ქებაჲ სადგერის წმიდა გეორგისი“, დათუნა ქვარიანის „წამება წმიდისა მთავარმოწამისა გეორგისა“ და სხვ.). ქართველთა შორის წმინდა გეორგის პოპულარობის მიჩვენებელია მის სახელზე აგებული ტაძრები, რომლებითაც მოფენილია საქართველოს მთა-ბარი, ბერძნული ენიდან თარგმნილი გეორგისადმი მიძღვნილი დიდძალი ლიტერატურა („წამებაჲ წმიდისა გეორგისი, რომელი აღწერა და თანა დახუდა ყოველსა სიმკნესა მისსა მოწაფევს წმიდისა გეორგისი ბასიქარტოს“, „წამებაჲ და შესხმამ წმიდისა და დიდებულისა ქრისტეს მოწამისა გეორგისი, აღწერილი სვემონ ლოლოთეტის მიერ, რომელი იკითხვების საბერძნეთისა უმრავლესთა ეკლესიათა შინა, რამეთუ სიღრმისათჳს იხუმევენ ამას“, „შესხმამ წმიდისა და დიდებულისა მოწამისა გეორგისი, რომელი თქუა წმიდამან ბასილი დღესა მას ლუაწლისა მისისა“ და სხვ.), ბევრი ქართული გადმოცემა, რომელთა საფუძველი, ერთი მხრივ, ბერძნულიდან თარგმნილი ტექსტებია, მეორე მხრივ, ქართველ შემოქმედთა მხატვრული ფანტაზია, დაბოლოს, წმინდა გეორგისადმი მიძღვნილი ქართული ორიგინალური ძეგლები, რომელთაგან ზოგიერთი უკვე დავასახელებთ.

ჩვენთვის ცნობილი წყაროებით, აბუსერისძე ტბელი პირველი ქართველი მწერალია, ვინც ჩაიწერა წმინდა გეორგის სასწაულები, მის „დიდის ნიჭიერებით შედგენილ სასწაულთა აღწერილობა“ (ი. ჭავჭავაძის ვილი), — პირველი ქართული ორიგინალური ძეგლია, რომელშიც დიდი ადგილი ეთმობა წმინდა გეორგის ეკლესიის მშენებლობაზე გავრცელებულ ადგილობრივ გადმოცემებს, არსებითად პირველი ქართული ნაწარმოებია\*, რომელიც ძირითადად (უმეტესწილად) მთავარმოწამეს ეძღვნება.

ამ ძეგლს ხან „ისტორიულ წერილად“ მიიჩნევდნენ, ხან „რელიგიურ-ისტორიულ თხზულებად“, მოგვიანებით, — ერთგვარი სიფრთხილით, — „ლიტერატურულ-ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებად“ აღიარეს. უკანასკნელ წლებში მისი რაობა კამათს აღარ იწვევს — მას ჰაგიოგრაფიას მიაკუთვნებენ და გამორჩეულ თხზულებად აცხადებენ. იგი არსებითად ორი ნაწილისაგან შედგება. თავდაპირველად აღწერილია სამცხეში, სოფელ შუარტყალში, ქვითხურო ბასილის (ბაჩილას, ბოლოკ-ბასილის) მიერ წმინდა გეორგის სახელზე ეკლესიის მშენებლობის ისტორია და წმინდანის სასწაულები, შემდეგ მოწოდებულია ცნობები ხიხათა ეკლესიის აშენება-

\* მას 1230-1235 წლებით ათარიღებენ. ამოსავალია, ერთი მხრივ, „კაცისმკამელთა მგელთა (ხვარაზმელთა) ოტებანი სრულიად საზღვართა შინა სრულისა საქართველოვასათა“ (66), მეორე მხრივ, მონღოლთა შემოსევის მოუხსენებლობა.

სა და აბუსერისძეთა ფეოდალურ სახლზე. ავტორი დიდის პატივით ასევე ხელებს და მოწიწებით იხსენიებს მამა-პაპათ, თავის შშობლებს, ოჯახის წევრებს, წარმოაჩენს მათ ღვაწლსა და დამსახურებას, აღნუსხავს მათ შეწირულებას და მკითხველებს სთხოვს „ამათ ყოველთავე ცოცხალთა და მიცვალებულთა წესისაებრ“ მოხსენიებასა და „ყოველთა დღესასწაულთა წმიდისა გიორგისთა“ დალოცვას.

ავტორის მიზანი სავესებით ნათელია, მისი „მიზეზი სიტყვსა“ გამოკვეთილია. მას სურდა წმინდა გიორგის სასწაულების აღწერით ქართველთა შორის უსაზღვროდ პოპულარული მთავარმოწამის ძალმოსილების ჩვენება, მის უდიდეს შესაძლებლობათა წარმოჩენა, თანამემამულეთათვის იმის შეხსენება თუ ჩაგონება, რომ ეკლესიების შშენებლობა საპატიო და კეთილშობილური საქმეა, მკითხველთა დარწმუნება, რომ, ვინც თავს გამოიჩენს წმინდანის სახელზე „აღშენებითა ეკლესიისადათა და აღმართებითა ჯუარისა შინა ხატისადათა და შინა სხუთა შესაწირავითა“, მას აუსრულდება „ყოველივე თხოვამ“ (56).

თხრობის დასაწყისში ავტორი გვაცნობს სამცხელ ხელოსანს — ბასილი ქვითხუროს, რომელიც სომხითს იყო წასული „მისარეწლისათჳს“, მაგრამ მოულოდნელად მოუხდა წამოწყებული საქმიანობის შეწყვეტა — წმინდა გიორგიმ ეკლესიის აგება დაავალა და მკაცრი პირობა დაუდვა: მხოლოდ საკუთარი ძალებით, სხვის დაუხმარებლად ამიშენე ტაძარიო, თან სასტიკად დაეპუქრა — თუ სათანადო გულმოდგინებას არ გამოიჩენ, „სახლეულით“ დაგსჯიო.

ჩვენთვის საინტერესო ადგილი ტექსტში ასე იკითხება: „ესე ბასილი იყო ქვითხუროდ, რომელსა ეწოდების გალატოზი. და წარვიდა ქუეყანასა სომხითისსა, მახლობელად თფილისისსა. და გამოეცხადა დიდი იგი ახოვანი და ჰრქუა: „ნუ გაქუს მოცალებად მოსარეწლისათჳს სიგლახაკისა შენისა და აღმიშენე ტაძარი ჳელითა მიერ ოდენ შენთა და ნუმცა ვინ კაღნიერ იქმნების მუშაკობად და შუელად შენ თანა. და უკუეთუ ესრეთ არა აჩუენო გულსმოდგინებად, აღგაოკრო და მოგკლა ყოვლით სახლეულით შენითურთ“ (56-57).

გალატოზი ბასილი, „რომელსა მახლობელნი მისნი ბოლოკ-ბასილობით უწოდდეს“, დიდად გააოცა და შეაშფოთა წმინდანის მკაცრმა კილომ და უჩვეულო დავალებამ, მან შეუძლებლადაც კი მიიჩნია დავალების შესრულება: „მ წმიდაო გიორგი, რაჲ მე ვყო საწყალობელმან და ყოვლად უბადრუკმან? პირველად, ვითარ შესაძლებელ არს ჩემთა ოდენ ჳელთა მიერ აღშენებაჲ ტაძრისა შენისაჲ, რომელი სოფლის დასაბამითგან არაჲოდეს ვისგან ქმნილ არს? და მე ესრეთ გლაკახსა ნუგეშინისსაცემელად ჩემდა მაქუნდა უცხოებასა მუშაკობად, რაჲთა მოვირეწო დასარჩენელი სახლეულთა ჩემთაჲ და მომიტევე, მ წმიდაო მოწამეო, რაჲთა



აღვასრულო კვლით მუშაკობადა ამის უცხოთა ეკლესიისა და ვცოცხ-  
ლობდე კვლთა მიერ ჩემთა, საფარველითავე შენითა“ (57).

წმინდა გიორგიმ უკან არ დაიხია, მიცემული დავალების შეუსრუ-  
ლებლობა შეუძლებლად მიიჩნია, ბასილის კიდევ უფრო მკაცრად დაე-  
მუქრა და თან ასწავლა, თუ როგორ უნდა ემოქმედა — „კუალადცა  
მრავალგზის აჩუენა და იგივე ჰრქუა მხილებითა შერისხვისა და ამოწყუ-  
ედისა ქადილისადათა: „ისმინეთ ჩემი, ბოლოკ-ბასილი, და წარვედ უდაბ-  
ნოსა კლარჯეთისსა, რომელსა ჰრქვან ოპიზად და მუნ არს ვინმე ბერი  
მონაზონთაგანი, რომელსა ეწოდების სტეფანე. და არს იგი კაცი უბიწოდ  
და წმიდა, რომელი სნეულებითა დიდითა შეპყრობილ არს, და აუთქუ  
ჩემ მიერი კურნებადა“ (57). ამ ბერს ჰყავს ჯორი, აქვს რკინა. ყოველივე  
„მოითხოე“ და „შექმნენ მის რკინისა ჭურჭელნი ქვისსათელენი კელი-  
თავე შენითა, თუნეირ კაცთა შეწევნისა“. დაიხმარე „უღლეულნი ჳართა  
შენთანი“ — „თუნეირ მათსა ნუმცა მოიკმარებ საზიდავსა სამუშაკოსა  
ქვისასა, გინა სხჳსა რადსამე ნივთისასა“ (57). მიმართვის დასასრულს  
მან ქვითხუროს ერთხელ კიდევ შეახსენა საოცარი ბირობა („თუნეირ  
ამათსა სხუად ნუმცა ვინ არს კადნიერ შუელად შენდა და თანაშეწევნად  
კაცითგან და ბირუტყუადმდე“ (57).

მთავარმოწამის კატეგორიული ტონითა და მკაცრი ვაფრთხილებით  
„განკრვებული და შეპყრობილი შიშითა დიდითა“ ბასილი გზას გაუდგა  
— მივიდა ოპიზას, ყოველივე ამცნო და მოუთხრო სტეფანე ბერს, რო-  
მელმაც შეასრულა ბასილის თხოვნა — „მოსცა კარაული თჳსი და რკი-  
ნად შესაქმნელი ქვისსათელელთა ჭურჭელთადა“. იგი „მეყსეულად განი-  
კურნა“, ხოლო ბასილიმ „იწყო მუშაკობად საკურველისა... ტაძრისა კერ-  
ძო-კარაულსავე თანა, უღლეულთა მათ ჳართა თჳსთადათა“ (58).

თხზულებაში რამდენჯერმეა აღნიშნული, რომ ბასილი, დავალებისა-  
მებრ, მარტო ეწეოდა აღმშენებლობით საქმიანობას („მარტომან მით  
უღლეულითა და კარაულითა სტეფანე ნეტარისადათა აღაშენა ტაძარი...  
საკურველი“, „მარტომან სრულ ქმნა მით კარაულითა და უღლეულითა  
ტაძარი... საკურველი“). ერთგზის „შვილი მისი იოვანე შეიწია, რომელი  
იყო უსწავლელი და ერისკაცი, ვითარცა მამამ მისი ბოლოკ-ბასილი“,  
მაგრამ მკაცრად დაისაჯა — „ეცა ქვამ ბასილის და იქმნა ვითარცა მკუ-  
დარი მყუარ ჟამ“ (60).

ჰაგიოგრაფის ცნობით, ბასილი ენერგიულად იღვწოდა, თავდადებით  
შრომობდა და არაერთი სიძნელის დაძლევით მიიღწია საწადელს, შეას-  
რულა დავალება და ააგო ტაძარი „საკურველი“.

ავტორი არ გვაუწყებს, თუ სად, რომელ მხარეში მიმდინარეობდა  
ეკლესიის მშენებლობა. ამან აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. რადგან  
წმინდა გიორგი ბასილის თბილისიდან ოპიზას გზავნის, ზოგიერთმა მკვლე-



ვარმა მშენებლობის ადგილად კლარჯეთი, კერძოდ, ოპიზა თუ მდინარე  
მოგარენი მიიჩნია (მ. ბროსე, თ. ჟორდანიას, ი. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე),  
ლ. მუსხელიშვილიმა სოფელი შუარტყალი, სადაც წმინდა გიორგის სა-  
ხელზე ეკლესია აშენდა, აჭარაში, სხალთის სათავეებში, ხიხათა ახლოს  
დაიგულა, ხოლო ხ. ახვლედიანის მტკიცებით, ეკლესია (და ციხეც) ხი-  
ხანში აშენდა. უკანასკნელ წლებში ამ საკითხზე მუშაობდა ი. სიხარუ-  
ლიძე. მისი დასკვნით, შუარტყალი (შუარწყალი) სამცხეში (ფოცხოვის  
ხეობაში) მდებარეობდა.

ჩვენი ავტორი არ იფარგლება მხოლოდ შუარტყალში გაჩაღებული  
მშენებლობის აღწერით, საინტერესოა მისი ცნობები წმინდა გიორგის  
სახელზე ხიხანში აბუსერისძეთა საგვარეულო ეკლესიის მშენებლობა-  
ზეც.

აბუსერისძეთა სამკვიდროში, ხიხანში (ტექსტში იხსენიება ხიხათა  
ზურგი, ხიხათა ეკლესია) ძველად არსებული პატარა ეკლესია დროთა  
განმავლობაში დაზიანდა და დაიშალა. დიდი ფეოდალური სახლის წევ-  
რები გრძნობდნენ ადრინდელი სალოცავის უვარგისობას, მაგრამ, სხვა-  
დასხვა მიზეზის გამო, საქმეს თავი ვერ მოაბეს. ბოლოს, როგორც ზემო-  
დამოწმებული სიტყვებიდან გავიგეთ, ავტორმა ძმათა „ბრძანებითა ჴელ-  
ყო შენებაჲ ეკლესიისაჲ“. იგონებს რა წინაპრებს, იგი გულისტკივილით  
აღნიშნავს, რომ „მრავალთა უცალოებათა და დამართებათაგან ვერცა  
მათ მოიცალეს და ვერცა ბიძამან და მამამან ჩუენმან და ვერცა ძმათა  
ჩემთა და ვერცა მე... და მაიძულა ეკლესიისა მცირაობითა ერისა ვერდა-  
ტევნამან და ჯარვისა მიზეზითა გულსმოდგინებისა მათისა ნაკულეგა-  
ნებამან და ძუელი სახლოვანი დაშლილ იყო და ამისთჳს ჴელ-ჴყავ შე-  
კადრებად აღშენებისა, რომლისა სრულჴქმნაჲ მანვე ახოვანმან მოგუანი-  
ჴოს“ (67).

ეკლესიის მშენებლობისათვის დახმარება აღმოუჩენიათ ახლობლებს,  
განსაკუთრებით სოფელ ბაკოს მკვიდრთ. „მამულისა ჩუენისა კაცთა დი-  
დი ჴირი ნახეს“, „ბაკოელთა მეტის-მეტად დიდი მოიჭირვეს“, მათი „ვა-  
ხირობითა და შემოხუეწითა ჴელ-ჴყავ ეკლესიისა მრავლითა სახლოვნე-  
ბითა აღშენებაჲ“ (67), — გვამცნობს მადლიერი ავტორი, რომელსაც არც  
სასწაულთა აღნუსხვა ავიწყდება. მისი სიტყვით, ხიხათა ეკლესიის „მუ-  
შაკობასა შინა მრავალნი სასწაულნი აღესრულნეს, მრავალთა კაცთა  
ფათერაკთაგან ჴსნისანი: ჴვისა, დასაცემელად განმზადებულისა, მრავალთა  
არლარა მოსაწყუედელად გარეუჴუნჴცევანი; და წამოჴცეულთა  
კლდეთაგან მშუდობით ჴსნანი მრავალთანი; და ამას ჴარისგანსა ჴდელად  
მალალსა და ტიალსა ადგილსა შთასაჴრელად განმზადებულთა კაცთა  
და ფერჴჩაცთომილთა აღმოყვანებით ჴსნანი; და მრავალთა მუშაკობით  
მოჴმედთა, ჴვისმჴნელთა და თანაშემწეთა მათთა, ხანგრძლივად სასნეუ-



ლოდ განმზადებულთა, მეყსეული კურნებანი; და კაცისმჭამელთა მგელთა ოტებანი სრულიად საზღვართა შინა სრულისა საქართველომასათა წინაშე მისსა ლიტანიობითა და დედისა ღმრთისა ხატისა მის თანავე გარეთ განყვანებითა...“ (66).

რასაკვირველია, აბუსერისძე ტბელი მხოლოდ წმინდა გიორგის სასწაულების აღწერით არ იფარგლება, მის წიგნში არაერთი საყურადღებო ისტორიული ცნობაა. მართალია, თ. ჟორდანიასეული შეფასება — აბუსერისძის თხზულება „ისტორიული წერილიაო“, რამდენადმე გადაჭარბებული და სიზუსტეს მოკლებულია, მაგრამ ის კი ცხადია, რომ მასში საკმაოდაა საისტორიო მასალა. ძეგლის ავტორის მიზანი, როგორც ვთქვით, ძირითადად წმინდა გიორგის სასწაულების აღწერა და მთავარმოწამის ძალმოსილების წარმოჩენაა, ის დაწერილია „განსაკუთრებული მიზნით და წმინდა საისტორიო თხზულებად ვერცკი ჩაითვლება“, მეტიც, იმდენად თავისებური ელფერი აქვს, რომ „ნამდვილ საისტორიო ნაწარმოებს არც-კი მიაგავს“, მაგრამ, როგორც ივ. ჯავახიშვილი წერდა, „ამისდა მიუხედავად იგი საგულისხმიერო საისტორიო წყაროდ უნდა ჩაითვალოს იმიტომ, რომ დიდის ნიჭიერებით შედგენილ სასწაულთა აღწერილობაში იმდროინდელი შინაური ყოფა-ცხოვრება ხორცშესხმულ სურათად არის წარმოდგენილი და ამ მხრივ იგი ბევრს ახალს და მეტად საგულისხმიერო ცნობებს შეიცავს“. დიდად ფასეულია მწერლის ცნობები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (სამცხესა და აჭარაში) გაშლილ საეკლესიო მშენებლობაზე, აბუსერისძეთა საგვარეულოს ისტორიაზე, ხვარაზმელთა შემოსევაზე, მტრის მიერ აბუსერისძეთა რეზიდენციის ხელში ჩაგდებასა და მამულიშვილთა მიერ მის დახსნაზე, აჭარელთა (ცხმორისელთა) ეკონომიკურ მდგომარეობასა და აგარიანთა ძალმომრეობაზე და ა. შ. საგულისხმოა, რომ, როდესაც ავტორი ამა თუ იმ ისტორიულ ფაქტს გვაუწყებს, იგი მხოლოდ მოვლენის უბრალო აღმნუსხველად კი არ გვევლინება, არამედ თავის პოზიციასაც გვაცნობს. მაგალითად, გულისტკივილით მოგვითხრობს რა ხვარაზმელთა შემოსევაზე, „ოღეს, მოგებისათჳს ცოდვათა ჩუენთაჲსა, სამცხე და ყოველი ადგილი საქართველომსა ივლტოდა ნიზნობად შიშისათჳს ხვარაზმელთაჲსა, გამოქცევასა და მოწყუედასა ზედა ლაშქართასა და მრავალთა მთავართა და კაცისშვილთა წარტყუენვასა და მოოკრებასა დედაქალაქისა ტფილისისასა და უმეტესთა ადგილთა ლიხთამერისა საქართველომასათა“ (64), გულისწყრომას გამოთქვამს მომხდურთა, — რომელთაც ის „კაცისმჭამელთა მგელთა“ სახელით იხსენიებს, — შეუბრალებლობისა და თანამემამულეთა სამწუხარო მარცხის გამო. ასევე ნათლად ჩანს ავტორის პოზიცია მისი შობლიური ხიხანის მტრის მიერ მიტაცებასა და ღირსეულ მამულიშვილთა მიერ მის გამოხსნაზე საუბრისას: „ამათ წაიხუნეს ხიხა-



ნი, მტერთა ზედა გაცემულნი, ბრძანებითა ღმრთისა სწორთა პატრონთათა და მიპარვით შესულასა შინა წმიდაჲ იგი ახოანი გიორგი ღმრთი ვარსკულავის სახედ გამოუჩნდის და კმა უყვის, ვითარცა კორციელმან და ასწავის გზაჲ შესასულელი. ესრეთ დაიცვნა ამას ხაზარელსა კლდესა ჩაჭრისაგან და გვბოძნა ხიხანი კელთავე და აჩუენა ჩუენ. ზედა წყალობაჲ გამოუთქუმელი, მობაძავი მცნებათა მისთაჲ, რომლისათჳს დაითმინა ღუაწლი წამებისაჲ" (67).

საგანგებოდ უნდა დავიმოწმოთ ერთი მოზრდილი ეპიზოდი: „ვინაძთვან ვიძულე შეკადრებად შეპყრობილი სურვილისა მიერ, ესეცა მოთხრობილი ჰქვალ-ყვო: დაბასა ერთსა, რომელსა ეწოდების ცხმორისი, მუნ მყოფნი ვინმე კაცნი წარვიდეს ნაპირსა წარმართთასა მოსარეწელად რაჲსმე, ღონედ სიგლანაკისა თჳსისა. და მუნ მყოფთა გარდაეკიდნეს აგარიანნი და ტყუე იქმნნეს. ხოლო შინაგანსა სპარსეთსა შინა წარსხმულთა გულსკმა-ყვეს დღესასწაული წმიდისა გიორგისი, დიდისა მოწამისაჲ. ერთმან გულსმოდგინებით იმარხა და მეორე მცირედ ურწმუნო იქმნა, დაღაცათუ ევედრებოდა მის თანავე იგიცა. მეყსეულად მოვიდა წმიდა მოწამე, აღიტაცნა ორნივე და რომელმან უმეტესი აჩუენა სარწმუნოებაჲ, მეყსა შინა დასუა კარსა ეკლესიისა ცხმორისს, სადა არს ტაძარი სახელსა ზედა მისსა. და იხილეს რაჲ მუნ შემოკრებულთა დღესასწაულობად, დიდებდეს ყოველნივე დიდსა მოწამესა გიორგის. და აწცა ჰკიდვან ბორკილი იგი წინაშე მისსა. და ეწოდა კაცსა ამას კუანილი. ხოლო მეორე ურწმუნო ქმნისათჳს, დაღაცათუ არავე უგულვებელს-ყო წმიდამან, გარნა არღარა მეყსეულად მოაწია აჭარას, ქუეყანასა მისსა, სადა აღზრდილ იყო, და დასუა საზვარსა ქრისტეანეთასა და წარმართთასა და ძლითღა სლვით მოიწია წინაშე წმიდისა მოწამისა, სადა იმყოფებოდა, დაბასა ცხმორისისსა, და მას კაცსა ეწოდებოდა პონილი. რომელი იყო ესე სასწაული უწინარეს ამის საკურველისა აღშენებისა" (64).

მართალია, ამ ეპიზოდში არაა დამოწმებული და დათარიღებული კონკრეტულ-ისტორიული ფაქტი, მაგრამ მასში მოთხრობილი ამბავი უთუოდ საინტერესოა (თუნდაც წმინდა ისტორიული თვალსაზრისით). ის გვაცნობს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის (ნაწილის) მიმე ეკონომიკურ მდგომარეობას, „მოსარეწელად რაჲსამე“ სამუშაოდ წასვლას, აგარიანთა მიერ დატყვევებას, სპარსეთს „წარსხმასა“ და სხვ. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ჩვენი ავტორის ცნობები აბუსერისძეთა საგვარეულოზე საინტერესოა, მაგრამ მისი წიგნის აბუსერისძეთა საგვარეულო მატრიანედ მიჩნევა მაინც არ შეიძლება. ქართველი მკითხველები-სათვის ცნობილია არაერთი საგვარეულო მატრიანე, მაგალითად, სუმბატ დავითის ძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა“ (XI ს.), ავგაროზ ბანდაისძის „ძეგლი ერისთავთა“ (ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატრი-





ნე — XIV ს.). ჩვენი თხზულების შედარება ამ ძეგლებთან, რომლებიც წინასწარ შემუშავებული გეგმითაა დაწერილი და კომპოზიციურადაც დახვეწილია, ცხადყოფს, რომ იგი უფრო საოჯახო-საგვარეულო მოსახსენებელია, ვიდრე საგვარეულო მატიაწე. სხვათა შორის, მკვლევარმა, რომელმაც თხზულების მეორე ნაწილს „აბუსერისძეთა საგვარეულო მატიაწე“ უწოდა და ასეთი სახელწოდება საერთო სათაურშიც შეიტანა, მართებულად შენიშნა, რომ ეს ნაწილი „საგვარეულო სულთა მატიაწეს ანუ მოსახსენებელთა წიგნს წარმოადგენს“.

აქვე აღვნიშნავთ, რომ გარკვეულ ინტერესს იწვევს ძეგლის გეოგრაფიული ცნობებიც, მასში დიდძალი გეოგრაფიული მასალაა; იხსენიება მხარეები (სამცხე, აჭარა), დასახლებული პუნქტები (შუარტყალი, უღე, ცხმორისი...), მონასტერი (ოპიზა), მთა (პრასინაული), აბუსერისძეთა სამკვიდრებელი (ხიხანი — ხიხათა ზურგი, ხიხათა ეკლესია) და სხვ. აბუსერისძე ტბელის მიერ შემონახული ცნობებით ხერხდება ზოგიერთი პუნქტის ადგილსამყოფელის დადგენა თუ დაზუსტება.

აბუსერისძე ტბელის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში გვხვდება ზოგიერთი ისეთი პასაჟი, ისეთი სიტუაცია, რომ სასულიერო-საეკლესიო მწერლობაზე ყურ თუ თვალმიჩვეული ქართველი მკითხველისათვის რამდენადმე უცხო და უჩვეულოა. ასეთია, მაგალითად, წმინდა გიორგის საკმაოდ მკაცრი მიმართვა ბასილისადმი — დაბეჭითებითი და დაჟინებული მოთხოვნა ეკლესიის მშენებლობის წამოწყებისა, მუქარა მოთხოვნის შეუსრულებლობის გამო. ეს ციტატა უკვე დავიმოწმეთ და სრულად აღარ გავიმეორებთ, მხოლოდ ორიოდ სიტყვით შეგახსენებთ წმინდანის მიმართვას ბასილისადმი: „უკუეთუ... არა აჩუნეო გულსმოდგინებაჲ, აღგაოკრო და მოგკლა ყოვლით სახლეულით შენითურთ“ და შემდეგ: „კუალადცა მრავალგზის აჩუნეა და იგივე პრქუა მხილებითა შერისხვისა და ამოწყუედისა ქადილისადთა“ (57).

საკმაოდ საინტერესო ეპიზოდია: წმინდა გიორგის სახელზე ეკლესიის მშენებლობას ბასილი პირადი სურვილითა და ინიციატივით კი არ იწყებს, არამედ პირველმოწყამის ბრძანებით. საერთოდ მთელი მისი საქმიანობა წმინდანის ნების აღსრულებაა. თუ ტრადიციულ ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში წარმოჩენილია პერსონაჟის სულიერი სამყარო, მისი ხასიათის ძლიერება, ნებისყოფის სიმტკიცე, მორალური სიწმინდე, ნაჩვენებია მისი სრულქმნის, ზნეობრივი ამალღების რთული და გრძელი გზა, ჩვენს თხზულებაში სხვა ვითარებაა: ყოველივე ეს ავტორს თითქოს არც აინტერესებს, მისთვის მთავარია წმინდა გიორგის სასწაულების აღწერა და არა ბასილის ღვაწლის წარმოჩენა, მის ნაწარმოებში ბასილის თვითმყოფი სახე არც კი ჩანს.

დამოწმებული ეპიზოდი გამოჩაქლისი არაა, მსგავსი ვითარება აბუ-



სერისძე ტბელის თხრობაში სხვაგანაც შეინიშნება, წმინდა გიორგის ხანება სხვაგანაც ჩანს. მაგალითად, ბასილის ვაჟიშვილს იოვანეს სა მისისა ვილ ერთი ძელი წარულო უნებლიეთ ვინმე კაცმან“. წმინდა გიორგი გამოეცხადა „უდეს, სახლსა შინა მის კაცისასა“ და მკაცრად უთხრა: „მოიყიდე სხუად უმძიმესი ძელი და აღიტკრთე ზურგითა შენითა, რადთა მოაწიო წინაშე ტაძრისა ჩემისა და ამისი არა მყოფელი მოგწყუდო უეჭუელად ყოვლითურთ, რადცა არს შენი“. დამნაშავემ „მოაწია უდით ზურგითა თუსითა მრავალთაგან ძნიად სატკრთავი ძელი წინაშე ამის ტაძრისა“ (61).

წმინდანის მუქარა და რისხვა სასულიერო-საეკლესიო მწერლობისათვის სულ უცხო არაა. შორს რომ არ წავიდეთ, საკმარისია მოვიგონოთ ისევ წმინდა გიორგისადმი მიძღვნილი ბერძნულიდან თარგმნილი „უწყებამ საეკრველებათათჳს წმიდისა და დიდებულისა ქრისტეს მოწამისა გიორგისთა“, რომელიც ზემოთ დავემოწმეთ. მასში დანაპირების შეუსრულებლობითა და აღთქმის დარღვევით აღმფოთებული წმინდა გიორგი თეოფისტე კაბადუკიელს მკაცრად ეუბნება: „დამიკლენ ორნივე კარნი შენნი და რაოდენი ღორი და ცხოვარი გითქს. უკუეთუ ესე არა ჰქნა, არღარა შემოვალ სახლსა შენსა ჰამად ღორისა, არამედ ვითხოო უფლისაგან და შენ და სახლი შენი ცეცხლითა დაგწუნე“.

ღიბს, როგორც აღვნიშნეთ, წმინდანის მუქარა და რისხვა სასულიერო-საეკლესიო მწერლობისათვის სულ უცხო არაა, მაგრამ იშვიათია და ამ ნიშნით ჩვენი ავტორის ტექსტი საკმაოდ გამორჩეულია ქართულ ჰაგიოგრაფიაში.

სასულიერო-საეკლესიო მწერლობისათვის, განსაკუთრებით ჰაგიოგრაფიისათვის, იუმორი და კომიზმის ელემენტებიც კი თითქმის უჩვეულოა, ყოველივე ეს თითქოს საეკლესიო ცენზურისაგან აკრძალულია. ჩვენი ძეგლი ამ მხრივაც გამორჩეულია, მასში ტრადიციული თხრობის დაკანონებული, — რამდენადმე ტრაფარეტული, — წესი დარღვეულია, ჰაგიოგრაფიისათვის დამახასიათებელ ცრემლს აქ იუმორი ცვლის, ქვითისა და გოდებას — ლაღობა.

აი ერთი ეპიზოდი: ქვითხურო ბასილის ეკლესიის მშენებლობის პროცესში „მუშაკობასა შინა ქვაჲ განებო, ხოლო წმიდამან მოწამემან ჰრქუა: „შთადეგ, ბასილი, და განზომე ეგე, რაოდენი არსო“. და შთადგა მას შინა და შემოაჭირა წმიდამან იმიერ და ამიერ მით განაპებითა ქვათათა. ბასილი კმა-ყო: „ვამე, რად მომკალ საწყალობელი და საბრალო, წმიდაო მოწამეო?“ ხოლო წმიდამან, რეცა სიცილის სახედ და ლაღობისა, განზიდნა მას განაპებსა ქვათასა და ჰრქუა: „აღმოკედ და ნუ ხარ მოწყინარე მსახურებისა ჩემისა და სრულ ქმენ ტაძარი ჩემიო“ (62).

არანაკლებ საინტერესოა მეორე ეპიზოდი, რომელშიც წმინდანი „ენა-



ბრგუნვილ“ ბასილის ხუმრობით ენამორღვექით მიმართავს „ბაჩილო“, „ხოლო იყო მათ ჟამთა შინა სიყმილი და სიძკრე პურისაჲ და მოუძღუ- რებულსა ენა-ბრგუნვილად ჰრქვს, რამცა ენების წმიდასა მოწამესა, რე- ცა ჩუქვების სახედ, ვითარცა ყრმამან ჩჩკლმან და ესრეთ ჳმა უყვის, ვითარმედ: „ბაჩილო!“ რამეთუ ბასილიცა ნეტარი მცირედ ენა-ბრგუნვი- ლი იყო“ (60).

დამოწმებული კომიკური ელემენტების, ხალისიანი იუმორის სათავე ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში იძებნება.

ზემოთქმული მკითხველს ნუ აფიქრებინებს, რომ განხილულ ჰაგიოგ- რაფიულ თხზულებაში სასულიერო-საეკლესიო მწერლობის ტრადიციე- ბი სულ დარღვეული და უგულვებელყოფილია, მისი ავტორი ძველი ქარ- თული ლიტერატურული პროცესიდან თუ ეროვნული აზროვნების ის- ტორიიდან ამოვარდნილია. არა, აბუსერისძე ტბელის მსოფლმხედველო- ბა ქართული შუასაუკუნეობრივი აზროვნების ბუნებრივი შემადგენელი ნაწილია. შემთხვევითი არაა, რომ მწერალი ქართველთა სამხედრო-პო- ლტიკურ მარცხს ზეციურ ძალებს მიაწერს, ჩვენი ცოდვებით ხსნის („მო- გებისათჳს ცოდვათა ჩუენთაჲსა...“) და, როგორც აღვნიშნეთ, არწმუნებს მკითხველს, რომ ეკლესია-სამლოცველოების მშენებლობა საპატიო საქ- მიანობაა, წმინდა გიორგი ამ საქმის მოთავეთა ლოცვა-გედრებას უყუ- რადღებოდ არ ტოვებს.

რამდენიმე სიტყვა თხზულების წყაროებზე.

ჩვენმა მწერალმა ცნობები შემოგვინახა ზოგიერთ ისეთ ფაქტსა თუ მოვლენაზე, რომლის მომსწრე და მხილველი თვით იყო, მაგრამ უმეტეს- წილად გადმოგვცა სხვათა მონათხრობი, აღწერა სხვათა მიერ ხილული. ამ საკითხზე ტექსტში არაერთი მითითება გვხვდება („მომითხრობდეს რომელსამე ნეტარი იოსებ, ძე იოვანესი... და რომელსამე მახლობელი მისნი“, „ჩემგან თვალით ხილული და... სასწაულისა მომთხრობელი ყრმამ ვინმე“ და სხვ.).

აბუსერისძე ტბელი იცნობდა და იყენებდა ქართულ წყაროებს (მაგა- ლითად, არსენ ბულმაისიძისძის ეპისტოლეს), განსაკუთრებით იმდრო- ინდელ საქართველოში გავრცელებულ ლეგენდებსა და თქმულებებს წმინ- და გიორგიზე. არაა შემთხვევითი, რომ მის მიერ აღწერილი ზოგიერთი ეპიზოდი საკმაოდ ცნობილია ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში (ასეთია, მაგალითად, თხრობა ბასილის მიერ, — სხვის დაუნმარებლად, მხოლოდ ორიოდ ხარის შემწეობით, — ეკლესიის აგების შესახებ, გაბობილ ქვაში ადამიანის გაჭედვაზე და სხვ.). ის არ იფარგლებოდა მხოლოდ ბერძნუ- ლიდან მომდინარე ტექსტებში შემონახული ხალხურ-ლეგენდარული ცნო- ბების გამეორებით ან გარდათქმით და, როგორც ჩანს, ადგილობრივ ქართულ მასალებსაც ესესხებოდა.



ბუნებრივია, აბუსერისძე ტბელი კარგად იცნობდა ბერძნული ენა და თარგმნილ ტექსტებს — „წმინდა გიორგის ცხოვრებასა“ თუ მთავარწამის სასწაულების აღწერილობას. მის თხზულებაში გვხვდება ისეთი ცნობები, რომელთა საფუძველი უცილობლად ბერძნული წყაროებია (უფრო ზუსტად, ამ წყაროთა ქართული თარგმანები). ასეთია, მაგალითად, შემდეგი ცნობა: „რომელმან სუეტი იგი ქურვისაჲ მიითუალა ტაძარსა შინა თჳსსა, ესერა ჟამთაცა ამათ ჩუენთა შინა ერთსა ერისა კაცთაგანსა ვისმე აღაშენებინა ეკლესიამ მისი გამოცხადებითა თჳსითა დიდებულითა და საკურველითა, ამან წმიდამან მოწამემან გიორგი, ქვისაგან და კირისა“ (56).

ეკლესიის მშენებლობაში ქვრივი დედაკაცის მონაწილეობა (კერძოდ, მშენებარე ტაძრისთვის სვეტის შეწირვა, წმინდა გიორგის მიერ მთავრის სურვილის წინააღმდეგ გამოსვლა და ქვრივის ნების შესრულება) არაერთი ბერძნული ტექსტის ქართულ თარგმანში გვხვდება („უწყებაჲ საკურველბათათჳს წმიდისა და დიდებულისა ქრისტეს მოწამისა გიორგისთა“, „სასწაულნი წმიდისა დიდისა მოწამისა გიორგისი“, „მესხმა წმიდისა და ღმრთივ-სახელოვანისა დიდებულისა მოწამისა გიორგისი“ და სხვ.).

აბუსერისძე ტბელის ჰაგიოგრაფიული თხზულება მაღალმხატვრულობით არ გამოირჩევა. ტექსტის არაერთი ადგილი რთულია, სტილი (ზოგიერთ შემთხვევაში) ხელოვნურ-მწიგნობრული და ბუნდოვანია. ავტორი ხშირად იყენებს ჰაგიოგრაფთათვის დამახასიათებელ სტერეოტიპულ გამოთქმებს („ჩუენ პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ“, „დავიდუმენ სასწაულნი წმიდისა გიორგისნი“, „ესე და სხუანი მრავალნი დავიდუმენ“, „ძალსა სიტყუასაჲ მოკლედ მოვიდენ“ და სხვ.), ცდილობს ნაკლებად შეაწუხოს მკითხველი მრავალსიტყვაობით.

ორიოდე სიტყვა აბუსერისძე ტბელის სხვა ნაწარმოებებზე.

1. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქრონოლოგიურ-მათემატიკური ტრაქტატი — „ქორონიკონი სრული მისითა საუწყებელითა და განგებითა“\*, რომელიც, ავტორის ცნობით, 1233 წელსაა დაწერილი. მისი შედგენილობა ასეთია: კვინკლოსი, „ზედნადებთათჳს“, „უწყებაჲ დიდისა მცხრალისაჲ, თუ რაჲთა დაიყენების დიდი იგი პასექი და ცხოველსმყოფელი აღდგომიჲ“, „დიდისა მცხრალისათჳს“, „მარზვისა დაყენებისათჳს“, „უწყებაჲ დდის საძიებელთათჳს, თუ რაჲსა მიზეზისაგან შეიქმნებინან“, „ძიებისათჳს და შემოწმებისა ბერძენთა და ქართველთა სათუალავისა“, „კვკლოსისა ამის ასურულისა კითხვამ ესრეთ უწყოდენ“ და სხვ. „ესაა ვრცელი ტრაქტატი, რომელშიც განმარტებულია ე. წ. ასურული კვინ-

\* ეს სათაური, რომელიც ნაწილობრივ ტექსტიდან მომდინარეობს, კ. კეკელიძემ შეარჩია და დაამკვიდრა (იგი სხვებმაც შეიწყნარეს და გაიმეორეს).



კლოსი. ის მდიდარია სხვადასხვა კალენდარული, არითმეტიკული და განსაკუთრებით ასტრონომიული ტერმინებით. ავტორი ცდილა შეეფარდებინა ერთიმეორისათვის ქართული და ბერძნული წელთაღრიცხვა და პასქალისტური სისტემა და შეძლებისდაგვარად შეეთანხმებინა ისინი“ (კ. კეკელიძე). მას უძღვის „ასურულისა კკკლოსისა საძიებელი და მასწავლებელი იამბიკონად თქუმილი წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანე შავთელისაგან“].

ტრაქტატს ერთხანს იოანე შავთელს მიაწერდნენ (მ. ბროსე, დ. ბაქრაძე, თ. ჟორდანიას, მ. ჯანაშვილი და სხვ.), მოგვიანებით გაირკვა, რომ ეს შეცდომაა: ავტორი იმოწმებს იოანე შავთელის იამბიკოებს, პატივით იხსენიებს „სანთელსა სულიერისა ფილოსოფოსობისასა წმიდასა შავთელსა, შეწყობითა იამბიკოათა კეთილად და ღმრთივშუენიერად წარმომაჩინებელსა“ ზოგიერთი საინტერესო აზრისა. იოანე შავთელი თავის თავს ასე ვერ მოიხსენიებდა, მას ეკუთვნის მხოლოდ „ასურულისა კკკლოსისა საძიებელი და მასწავლებელი“. ეს თვალსაზრისი განავითარა და ტრაქტატის ავტორად აბუსერისძე ტბელი აღიარა კ. კეკელიძემ. ამჟამად ეს აზრი გავრცელებული და დამკვიდრებულია.

ამ თხზულებამ კარგა ხანია მიიბჟრო მეცნიერთა ყურადღება. მაღალი შეფასება მისცა მას ჯერ კიდევ პირველმა მკვლევარმა მ. ბროსემ. მის ერთ დასკვნას, უფრო ზუსტად, მისი ერთი გამონათქვამის პარაფრაზს ქართულად ჩვეულებრივ ასე ბეჭდავენ: „ქართველებმა 1233 წელს უკვე იცოდნენ ნახევარი იმ ცდომილებისა, რომელმაც 1582 წელს პაპი გრიგოლ XII აიძულა შედგომოდა კალენდრის შესწორებას“.

2. „გალობანი წმიდისა იოანე ნათლისმცემლისანი, წმიდისა იოანე მახარებლისა და წმიდისა იოანე ოქროპირისნი, ერთბამად შემოკრებილნი ერთმოსეხნაობისათჳს და ერთ მადლისათჳს“ — ფრიად საინტერესო თხზულება, რომელზეც კ. კეკელიძე ფრთხილად წერდა: „აბუსერისძე ტბელს შეიძლება ეკუთვნოდეს აგრეთვე გალობანი სამთა იოანეთა: ნათლისმცემლისა, მახარებლისა და ოქროპირისა, „ერთმოსეხნაობისათჳს“ მათისა, ყოველ შემთხვევაში, ის ამბობს, რომ ეს საგალობელი მის მიერაა „შემატებულნი“ ხელნაწერში (A № 85), რომელშიაც მას სხვა ავტორთა ნაწარმოებნიც მოუქცევია“.

გამოჩენილი მეცნიერის ვარაუდის შეწყნარებას შესაძლებლად მიიჩნევდა არაერთი მკვლევარი (ლ. მუსხელიშვილი, მ. ლორთქიფანიძე, ი. სიხარულიძე და სხვ.), მაგრამ გალობათა ტექსტისთვის განსაკუთრებული ყურადღება არავის მიუქცევია და მისი გამოცემაც არავის უცდია. მხოლოდ 1992 წელს თხზულების პირველი (და ჯერჯერობით ერთადერთი) პუბლიკაცია განახორციელა თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტმა



(აწ ასპირანტმა რ. ხალვაშმა), რომელიც არ შემოიფარგლა ტექსტის ლექსიკონითა და კომენტარების დაბეჭდვით და ხელნაწერის ფოტობირის დართვით და მას გამოკვლევაც წაუძღვარა. ახალგაზრდა მკვლევარმა მოიწადინა, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, სხვადასხვა ფაქტებზე დაყრდნობით, რომელთა უმრავლესობას „სასწაულნი წმიდისა გიორგისნი“ შეიცავს, კ. კეკელიძის მოსაზრების განმტკიცება და საგალობლის ტბელისეულობის დასაბუთება. მისი დაკვირვებით, აბუსერისძეთა სახლში „წმიდათა იოვანეთა“ კულტი იყო — სახელი იოვანე (ივანე) პოპულარული იყო საგვარეულოში, როგორც აღვნიშნეთ, აბუსერისძე ტბელის დამ ვანენიმ „აღაშენა ეკლესიამ წმიდისა იოვანე მახარებელისა და ღმრთისმეტყუელისა“ (68), მწერალი დიდი პატივით იხსენიებს „იოვანეს, ჭადაგსა სიტყუსა ღმრთისასა, წინამორბედსა და ნათლისმცემელსა“ (55), ასახელებს კიდევ ერთ ეკლესიას „სახელსა ზედა წმიდისა წინამორბედისა და ნათლისმცემელისა“ (59) და ა. შ.

„გალობანი“ სამი სახელოვანი და გამოჩენილი პიროვნების ქება-დიდებას შეიცავს, მასში ზოტბაშესხმულია სამი მოღვაწე: იოანე ნათლისმცემელი („დიდი წინამორბედი“, „დიდი ჭადაგი“, „ღირსი წინამორბედი“, „სასუფეველი ღმრთისა“, „დასაბამი მადლისა“, „წყარო სახიერებისა“...), იოანე მახარებელი („დიდი ღმრთისმეტყუელი“, „ქრისტეს შეყუარებული“, „სასუფეველი ცათა“...) და იოანე ოქროპირი („ოქროსა ქნარი“, „მტეხელი ბნელისა ძალთა“, „მეცნიერებისა საღმრთოჲსა სიღრმე“, „მოდლუარი ოქრო-მდინარე“...). მკითხველს ზიზღავს ავტორის მაღალი პოეტური კულტურა, მხატვრული მეტყველება, დახვეწილი ლიტერატურული გემოვნება, გამომსახველობითი ხერხების ნაირფერობა, ბგერათა თუ სიტყვათა ალიტერაცია. „გალობანი სამთა იოანეთა“ ქართული სასულიერო პოეზიის ფრიად საყურადღებო ძეგლია.

## ახალგამოვლენილი ნათარგმნი თხზულება – „ნმ. საბინეს წამება“

თითოეული წერილობითი ფრაგმენტის გამოვლენასაც კი გარკვეული მნიშვნელობა აქვს კულტურისა და მწერლობის ისტორიისათვის, თუნდაც ეს ფრაგმენტი არცთუ ისე ძველი ხელნაწერისა იყოს. მით უმეტეს მნიშვნელოვანია ნათარგმნი ჰაგიოგრაფიული თხზულების მთელი ტექსტის გამოვლენა ისეთ უნიკალურ ხელნაწერში (ქუთ. 2), რომელიც ფილოლოგიურ სამეცნიერო წრეებში საკმაოდ ცნობილია იმით, რომ იგი შეიცავს იოანე ქსიფილინოსის მარტისთვის მეტაფრასულ თხზულებათა ქართულ თარგმანებს, რომელთა ბერძნული დედნები დაკარგულია ან მიუკვლეველია.

დღეს, როდესაც საქართველოში დაცული ყველა ხელნაწერი მეტნაკლებად ვრცლად არის აღწერილი, ახალი თხზულების გამოვლენა თითქმის გამორიცხულია და თუკი ასეთი რამ ზოგჯერ შეიძლება მოხდეს, ეს უპირველეს ყოვლისა, ხელნაწერის არქეოგრაფიული თვალსაზრისით შესწავლის დროს დაშვებული უყურადღებობის შედეგია. წინამდებარე მაგალითი გვაფრთხილებს, თუ რა ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ ხელნაწერთა აღწერილობის საქმეს.

დღეისათვის, როდესაც ფილოლოგ-მეცნიერთათვის და მით უმეტეს ჩვეულებრივი მკითხველისათვის უმრავლეს ნათარგმნ ძეგლთა ტექსტები უცნობია მათი გამოუცემლობის გამო, მათ შესახებ ოდნავი წარმოდგენის შექმნა ამ ტექსტების შემცველი ხელნაწერების აღწერილობებით არის შესაძლებელი, სადაც მოტანილია მათი დასაწყისი და ბოლო ფრაზები. ამ აღწერილობათა მიხედვით დაინტერესებულ პირს ამ თხზულების სრული ტექსტი შეუძლია ნახოს უშუალოდ ხელნაწერში. ამრიგად, მართალია, მრავალი ნათარგმნი თხზულების ტექსტი არის უცნობი მკითხველისათვის, მაგრამ ცნობილია ისინი სპეციალისტებისათვის ხელნაწერთა აღწერილობების მეშვეობით და ასეთ თხზულებათა გამოცემის შემთხვევაში ვერ დავარქმევთ მათ ახალგამოვლენილს ან ახალაღმოჩენილს, არამედ მხოლოდ პირველგამოცემული შეიძლება ვუწოდოთ.

ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ქართული ხელნაწერების კოლექციის აღწერილობაში ქუთ. 2 ხელნაწერის აღწერის დროს შეუმჩნეველი დარჩა ერთი მნიშვნელოვანი



ფაქტი: 13 მარტის საკითხავად ამ კრებულში შეტანილი თხზულება — „სიტყვად ექსორიობით აღმოყვანებისათვის სხეულისა წმიდისა ნიკიფორესსა, რომელი მამათმთავარი იქმნა კოსტანტინუპოლეს, ახალსა ჰრომსა“ — ბოლონაკლულია, ხოლო აღწერილობაში წარმოდგენილია როგორც სრული ტექსტი, რადგან მომდევნო თავნაკლული თხზულება მიჩნეულია მის გაგრძელებად.

წინამდებარე სტატიაში სწორედ ამ მეორე თხზულების ახალგამოვლენაზეა საუბარი. ეს არის ნათარგმნი ჰაგიოგრაფიული ძეგლი „საბინეს წამება“, როგორც ტექსტის შინაარსიდან შეგვიძლია დავასკვნათ, და ჩვენ არ შეგვიძლია თხზულების ზუსტი სათაური წარმოვადგინოთ ტექსტის თავნაკლულობის გამო. ამასთანავე, ეს თხზულება მხოლოდ ამ ხელნაწერშია შემონახული და მისი შემცველი სხვა ხელნაწერი არ არსებობს. ამ თხზულების მნიშვნელობა იზრდება, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ამ თხზულების ქართული თარგმანის უშუალო წყარო, ბერძნული მეტაფრასული დედანი, დაკარგულია.

საბინეს თუ საბინოსის სახელს ჩვენ ვერ ვხვდებით ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში, რადგან იგი არ ფიგურირებს ქართულ წერილობით ძეგლებში, გარდა გიორგი მთაწმიდელის მიერ ბერძნული ენიდან ნათარგმნ „დიდი სვინაქსარისა“, რომელშიც 13 მარტს შეტანილია მისი ხსენება და სვინაქსარული ტექსტი სათაურით „წმიდისა მოწამისა საბინესი“. ამ მოწამის მხოლოდ ხსენება („და საბინონ მოწამისამ“) შესულია იოანე-ზოსიმეს (X ს.) კალენდარში ასევე 13 მარტს.

ამრიგად, წმ. საბინეს ვრცელი ჰაგიოგრაფიული თხზულების ხსენებაც კი არ არის ქართულ ფილოლოგიურ მეცნიერებაში, რადგან ეს თავნაკლული და შეუმჩნეველი თხზულება ერთადერთი აღმოჩნდა — სხვა ხელნაწერს იგი არ შემოუნახავს.

რადგან ამ თხზულების ტექსტი თავნაკლულია, ხოლო ქართული თარგმანის სხვა ნუსხა არ არსებობს, მთლიანად მოვიტანთ საბინეს „წამების“ სვინაქსარულ ტექსტს „დიდი სვინაქსარიდან“; ამით შევაგვებთ ვრცელი „წამების“ ხარვეზს და, ამასთანავე, ძალიან მოკლედ გადმოვცემთ მის შინაარსსაც. „თთუესა მარტსა იგ [=13] წმიდისა მოწამისა საბინესი, რომელი იყო ერმო ქალაქით ეკუბტისამთ ჟამთა დეოკლეტიანე მეფისათა, ხოლო იყოფებოდა იგი ფარულად ადგილსა ერთსა სხუათა თანა ქრისტიანეთა გარეგან ქალაქისა, რამეთუ ეძიებდეს მას კერპთმსახურნი შეპყრობად უფროსლა, ვინამთგან დიდ იყო სახელი მისი ქრისტიანეთა შორის დიდებულებისათვის აზნაურებისა და სიმაღლისათვის ღმრთისმსახურებისა მისისა, ხოლო უკანასკნელ აგრძენს, სადა-იგი იყოფებოდა და არიანე მთავრისა წარიდგინა და ქრისტე ღმერთი აღიარა და ესოდენ იხუტა, ვიდრეღა ქუეყანად დაცვეს ჳორცნი მისნი, და მერმე ლამპარ-





თა მიერ მგზნებარეთა მოუწუნეს განშიშულელებულნი იგი ძუალნო მისინა და ამას თანა მოაბეს ლოდი სანატრელსა მას და შთააგდეს იგი მდინარესა, რომელსა შინა გკრგკნი წამებისაჲ მოილო“.

სწორედ ამ საბინეს „წამების“ მეტაფრასული საკმაოდ მოზრდილი და საინტერესო ტექსტი დაუცავს ქუთ. 2 ხელნაწერს.

ტექსტის თავნაკლულობის გამო ზუსტად არ ვიცით, თუ რომელ დღეზე არის ეს თხზულება შეტანილი კრებულში — 13 მარტს, როგორც არის „დიდ სვინაქსარში“ და იოანე-ზოსიმეს კალენდარში, თუ 14 მარტს, როგორც წარმოდგენილია იგი ზოგიერთ ბერძნულ წყაროში (Halkin, Bibliotheca Hagiographica Greca, t. II, 229).

საქმე ისაა, რომ ქუთ. 2 ხელნაწერში 13 მარტს აღნიშნულია ზემოდასახელებული ნიკიფორე კოსტანტინოპოლელის წმ. ნაწილების გადასვენების დღე, ხოლო 15 მარტს ალექსანდრე ხუცესის „წამება“. აქედან უნდა ვივარაუდოთ, რომ საბინეს „წამება“ შეტანილია ან 13 მარტს მეორე საკითხავად („ამასვე დღესა“), აწ კიდევ ერთადერთ საკითხავად 14 მარტს (უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს წმინდანი ბერძნულ წყაროებში ხსენების დღეთა მრავალრიცხოვნობით გამოირჩევა — 11, 12, 13, 14 მარტი).

წმ. საბინეს „წამების“ მეტაფრასული თხზულების დასაწყისის ტექსტობრივი ხარვეზის შევსება უფრო დეტალურად, ვიდრე ზემომოტანილი მოკლე სვინაქსარული ტექსტის მიხედვით, შეიძლება ბერძნული კიმენური რედაქციის საბინეს „წამების“ ტექსტის მიხედვით, რადგან სავარაუდოა, რომ სწორედ ეს კიმენური ტექსტი უნდა ედოს საფუძვლად იოანე ქსიფილინოსის მიერ დაწერილ აწ დაკარგულ ბერძნულ და მხოლოდ ქართული თარგმანით შემორჩენილ საბინეს „წამების“ მეტაფრასულ ტექსტს (ბერძნულ კიმენური ტექსტი გამოცემულია I. van den Gheyn-ის მიერ Archiv für slavische philologie, 18 (1896), 182-189, ხოლო მისი ლათინური თარგმანი იხ. Acta Sanctorum, Mart... II, 258. ლათინურიდანაა შესრულებული ამ თხზულების სლავური თარგმანი, სევერიანოვის გამოცემა).

ძალიან მოკლედ მოვიტანთ ქართული თარგმანის დაკარგული ნაწილის შინაარსს, რომელიც ზემომოტანილ სვინაქსარულ ტექსტში ძალიან სქემატურია: საბინე ცხოვრობდა ეგვიპტის ქ. ერმოპოლისში (ქართულად „ერმო ქალაქში“) დეოკლეტიანეს (283-311) დროს. ქრისტიანების დევნის დროს საბინე თანამოაზრე ქრისტიანებთან ერთად იმალებოდა ერთ-ერთ მივარდნილ სოფელში, მაგრამ მისი ადგილსამყოფელი ორი ოქროს ფულის საფასურად გასცა ერთმა უმადურმა ლატაკმა, რომელსაც საბინე ეხმარებოდა ფულითა და საზრდოთი. საბინე სხვებთან ერთად შეიპყრეს და წამოიყვანეს. ქართული ნაკლული ტექსტი იწყება



ეპიზოდით, როდესაც იგი რკინის ჯაჭვებით შეკრული მოჰყავთ ერთ-ერთ ლისის მთავართან, ხოლო მთავარი ამ დროს ველზეა და გზაში შეხვდება მათ. ამას მოჰყვება მათი ნაგები მდინარეზე გადასვლის ეპიზოდი და ამ დროს საბინეს მიერ ჩადენილი სასწაულის აღწერა.

თხზულების ქართული თარგმანის შინაარსი გაშლილია ძირითადად ორი მთავარი დეტალის საფუძველზე. თხზულების ძირითადი ნაწილი უჭირავს და ძეგლის ორ სხვადასხვა ადგილას ვრცლად არის წარმოდგენილი „წამებათა“ ჟანრისათვის დამახასიათებელი პოლემიკა ქრისტიანულ მცნებათა დამცველ მოწამესა და ოფიციალური წარმართული სარწმუნოების აპოლოგეტ ბრალმდებელ მსაჯულს (ან მთავარს) შორის, რაც, მართალია, მოწამის სიკვდილით (კისერზე ლოდის მობმით და მისი მდინარეში დახრჩობით) მთავრდება, მაგრამ თხზულების ავტორის მოწმობით ამ პაექრობაში მორალური გამარჯვება უქვევლად მოწამის მხარესაა.

მეორე დეტალი ძალზე ორიგინალური სასწაულის ვრცელ აღწერას წარმოადგენს; საბინემ, როდესაც იგი ნავით მდინარეზე გადაყავდათ, შუა მდინარეში სასწაულებრივ გააჩერა მთავრის (მსაჯულის) ნავი და არ მისცა მას საშუალება ნაპირზე გადასულიყო მანამ, სანამ არ მიიღებდა ქრისტიანობას და აღსარებას წერილობით არ დაადასტურებდა. მთავარმა ყველაფერი შეასრულა, მაგრამ ნაპირზე გადასვლისთანავე ასევე ყველაფერი უარყო.

ჰაგიოგრაფი ამ ორიგინალური მაგალითით გვიჩვენებს წარმართი მთავრის ორბირ დამოკიდებულებას თავისი სარწმუნოებისადმი და მის ფონზე ქრისტიანი მოწამის ზნეობრივ სრულყოფილებას და სარწმუნოებისათვის თავდადებას. საბინე ეუბნება მთავარს, როდესაც მან დაინახა, რომ იგი თვალთმაქცობდა, როცა ქრისტიანობა მიიღო და წარმართობა უარყო: „არა უკუე ვიკადრო მეცა მაცხოვრისა ჩემისა შიშისათჳს ჟამიერისა სიკუდილისა უფარყოფად არცა შინავან მდებარეობით, არცა მწმასნელობით“. მოწამისათვის ამ ზნეობრივი სიმტკიცის საფუძველი სახარების სიტყვებია: „ვინმეცა უარყოს მე წინაშე კაცთაჲსა, მეცა უარყო იგი წინაშე მამისა ჩემისა ზეცათაჲსა“.

მართალია, „მოწამეთა აქტების“ რიგის ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა მსგავსად, საბინეს „წამებაც“ ვერ აცდა ტრაფარეტულობას, მაგრამ ეს ერთი დეტალიც გვიჩვენებს ავტორის ორიგინალურ აზროვნებას. თხზულება, რომელიც III-IV სს. ამბებს აღწერს, არ უნდა იყოს თვითმხილველი ან ამ საუკუნეების ავტორის მიერ დაწერილი, ის ცოტა გვიანდელი ჩანს (მხედველობაში გვაქვს იოანე ქსიფელინოსის მიერ XI ს. ბოლოს დაწერილი მეტაფრასული თხზულების ბერძნული წყარო, საბინეს „წამების“ ბერძნული კიმენური თხზულება).



### საბა სვინგელოზის ბიოგრაფიისათვის

XIII საუკუნის პირველი ნახევრის ჰიმნოგრაფის საბა სვინგელოზის სახელით ცნობილია ერთადერთი საგალობელი „გალობანი ქრისტეს განგებულებისა და განკაცებისანი“, რომელიც მოღწეულია ერთადერთი ხელნაწერით (A-85). იგი არის ლიტურგიკული დანიშნულების ჰიმნოგრაფიული კანონი, რომელიც ეძღვნება მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის საქართველოში ჩამოტანას. მასში საუბარია მაცხოვრის განკაცების შესახებ, როდესაც მან გვიჩვენა „ბუნებითი მამული“ ან პირმო ხატი თვისი. ტრადიციის მიხედვით, ეს ხატი ჰიმნოგრაფს მიაჩნია ხელთუქმნელ ხატად, რომელიც „აღმოყვანებულ იქმნა ედესით ქართლად ქრისტეს საკუთარის“, ანუ „მეგობრის“ ანტონის მიერ. საგალობელი ემყარება ბიბლიურ-ეგანგელურ და აპოკრიფულ მონათხრობს, სახეთა პარალელიზმებითა და გამომსახველობითი საშუალებების გამოყენებით ქებას ასხამს მაცხოვრის ხელთუქმნელ ხატს, ასახავს ქრისტეს განგებულებისა და განკაცების თემას. ხელნაწერში იგი მოსდევს არსენ ბულმაისიმისძის მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატისადმი მიძღვნილ თხზულებას.

ცნობები საბა სვინგელოზის შესახებ ძალზე მწირია. ჩვენამდე შემონახული დოკუმენტებისა და ხელნაწერების მიხედვით მცირეოდენი დეტალების აღდგენადა თუ შეიძლება. უპირველესი წყარო არის A-85-ის მონაცემები. უაღრესად საყურადღებოა კრებულის შემდგენლის ტბელ აბუსერისძის ანდერძი, რომელიც გვაწვდის ცნობას, რომ საბა სვინგელოზს შეუქმნია მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატისადმი მიძღვნილი საგალობელი, ჰიმნოგრაფიული კანონი: „... უფალო დაღადყავი ითქუა არსენის მიერ კათალიკოზისა. ესე რომელი ამას ზემოთ წერილ არს ვმასა დ [=4] გუჭრდსა გალობითა და მეორენი თუთქლისპირნი გალობანი, რომელნი ამის სიტყუსა შემდგომად წერილ არიან მეორის გუჭრდისა, რომელთა საქცევნიცა მუკლ-მუკლისა თავსა წარწერილ არიან. ხოლო მესამის გუჭრდისანი ითქუნეს საბაჲს მიერ სუნგელოზისა, კაცისა ღმერთშემოსილისა კარისა ებისკოპოსისა...“ (A-85, 284v). ანდერძიდან ჩანს, რომ ძირითადი საგალობლები, მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატისა და ანტონ მარტოდმყოფელისადმი მიძღვნილი, შეუქმნია არსენ ბულმაისიმისძეს, ხოლო „მესამის გუჭრდისანი“ — საბა სვინგელოზს. არსენ ბულმაისიმისძეს თავისი თხზულებები ვარდან და აბუსერ აბუსერისძეთა თხოვ-

ნითა და ინიციატივით შეუთხზავს, კერძოდ, აბუსერი ყოფილა ინიციატორი, ხოლო ვარდანი — უშუალო „შემხუჭვი“, დამკვეთი.

მნიშვნელოვან ცნობას გვაწვდის საბას საგალობლის წარწერა: „თქუმულნი ნეტარისა მამისა საბა სუნგელოსისა, კარისა ებისკოპოსისანი, შეხუჭვითა ძმისა ჩემისა ვარდანისითა, რომლისა თავნი წითელთა ასომთავარნი მსიტყუველობენ: „ქრისტე ღმრთის ხატო, მეოხ ექმენ ვარდანს“ (295r). საგალობლის წარწერა გვამცნობს, რომ საბას თავისი თხზულება ვარდან აბუსერისძის „შეხუჭვით“ შეუქმნია. ყოველივე ეს ცნობილი ყოფილა ანტონ კათალიკოსისათვის, რომელმაც „წყობილსიტყვაობაში“ საბასადმი მიძღვნილ ერთ-ერთ სტროფში აღნიშნა, რომ საბა იყო ვარდანის სურვილის სრულმყოფი. ანტონ კათალიკოსმა მაღალი შეფასება მისცა საბას ჰიმნოგრაფიულ ნაწარმოებს, თვით საბას მოღვაწეობას (6, 99-103). როგორც ჩანს, ანტონის ამ შეხედულებებს ეყრდნობოდა იოანე ბატონიშვილი, რომელმაც ასევე მიიჩნია საბა სვინგელოზი ჩინებულ შემოქმედად.

საბა სვინგელოზის მოღვაწეობას მკვლევართაგან პირველი შეეხო ბ. იოსელიანი, რომელმაც ანტონ ბაგრატიონის „წყობილსიტყვაობის“ პირველ გამოცემას დართულ შენიშვნაში გამოთქვა თვალსაზრისი, რომ საბა სვინგელოზი თითქოს მოღვაწეობდა 1150 წლის ახლო ხანებში და მან გადმოთარგმნა ქართულ ენაზე ბერძნულიდან ძლისპირები, რომელსაც ამჟამადაც ხმარობს ქართული ეკლესია (1, 265). კ. კეკელიძემ და ი. ლოლაშვილმა სამართლიანად შენიშნეს, რომ ბ. იოსელიანი მსჯელობისას წყაროს არ ასახელებს, ხოლო საბას ცხოვრების დრო (1150 წელი) შეცდომით არის მითითებული, არც მისი ძლისპირია ცნობილი. ასევე, სრულიად გაუგებარია ზ. ჭიჭინაძის შედგენილი „ბიოგრაფია“. კ. კეკელიძისა და ი. ლოლაშვილის აზრით, მასში ან სხვა საბა იგულისხმება (ოღონდ გაურკვეველია — რომელი), ანდა თვით ზ. ჭიჭინაძის მიერაა შეთხზული. მიუხედავად ბ. იოსელიანისა და ზ. ჭიჭინაძის ცნობებისადმი უნდობლობისა, კ. კეკელიძეც და ი. ლოლაშვილიც, მართალია, კითხვის ნიშნით, მაგრამ მაინც აღნიშნავენ, რომ „საბა სვინგელოზი ყოფილა კარის (ყარსის?) ეპისკოპოსი, თანამედროვე კათალიკოსის არსენ ბულმაისიმისძისა, ძმათა აბუსერისძეთა ვარდანისა და აბუსერისა“ (4, 329; 2, 367).

საბას შესახებ ცნობას გვაწვდის საქართველოს კათალიკოსის არსენ ბულმაისიმისძის სიგელი, რომელიც, თ. ჟორდანიას შენიშვნით, თვით არსენის ხელით, მშვენიერი მხედრულით არის შესრულებული. იქვეა მხედრულით მინაწერი ქართლის მთავარეპისკოპოსის საბასი. მოვიყვანთ თ. ჟორდანიას მიერ გამოქვეყნებულ ტექსტს: „ესე ვითა წმიდასა კრებასა და წმიდასა მამათმთავარსა არსენის ქრისტეს მიერ ქართლის კათალიკოსსა განუჩენია ბჭობითა და დიდთა მამათმთავართა და მოძღუართა



ჩუენთა კელით წერილნი დაუმტკიცებინა, მეცა გლახაკი ქართველნი მათა ვარებისკობოსი საბა კელის წერით დავამტკიცებ" (9, 96). თ. ჟორდანიას შეხედულებით, საბა, მის მიერ 1218-1227 წლებით დათარიღებული სიგელის, ხელის მომწერი, უცნობია ისტორიაში, ჩანს, იგი თანამედროვეა არსენისა — „საბა კარის ეპისკოპოსი და სვინგელოსი, მწერალი, თანამედროვე არსენ კათალიკოსისა“.

არსენ ბულმაისიმისძე კათალიკოსად ჩანს 1241-42 წლებით დათარიღებულ სიგელში, ხოლო 1247-50 წლებით დათარიღებულ გრიგოლ სურამელის სიგელში მღვმის მონასტრისადმი არსენი უკვე შიომღვიმის მწირია (7, 118-128). საბა არსენს ახლდა გელათში, როცა არსენი მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატისადმი მიძღვნილ საგალობლებს ქმნიდა. სვინგელოზის (სინკელის) თანამდებობა მას ავალებდა კათალიკოსის გვერდით ყოფნას. ამიტომ საბა არსენს ახლდა მღვმის მონასტერში შესვლამდე, თუ იგი ამ დროს ცოცხალი იყო. ხსენებული სამი დოკუმენტის — A-85-ის, თ. ჟორდანიას დასახელებული სიგელისა და გრიგოლ სურამელის სიგელის გარდა საბას შესახებ თანამედროვეთა ცნობები არა გვაქვს.

საბა ყოფილა კარის, ანუ კათალიკოსის თანმხლები მთავარეპისკოპოსი. „კარი“ არ არის გეოგრაფიული პუნქტის აღმნიშვნელი სახელი, როგორც ვარაუდობდა პ. იოსელიანიდან მოყოლებული ყველა მეცნიერი, ვინც კი შეხებია საბა სვინგელოზთან დაკავშირებულ საკითხებს. ჩვენი აზრით, იგი კარის ეპისკოპოსს უნდა ნიშნავდეს, რომელიც შემდგომ ქორეპისკოპოსის თანამდებობას შეეფარდა. ამ ვარაუდს მხარს უჭერს ის გარემოება, რომ საბა ყოველთვის მოიხსენიება საქართველოს კათალიკოსთან — არსენ ბულმაისიმისძესთან ერთად.

განხილვას საჭიროებს საბას ზედწოდება „სუნგელოზი“, რომელიც სხვადასხვა ვარიანტით გვხვდება — „სვინგელოზი“, „სინკელი“. სვინგელოზობა თანამდებობა იყო, რასაც ადასტურებს საკმაოდ მრავალი მონაცემი ძველი ქართული და ბიზანტიური მწერლობიდან. სინკელი ბიზანტიაში საეკლესიო წოდების განსაკუთრებული თანამდებობა იყო. ისინი მრავალნი იყვნენ, ერთ სახლში ცხოვრობდნენ, ერთ მაგიდას უსხდნენ მუშაობის პროცესში და მუდამ თან ახლდნენ კათალიკოს-პატრიარქებსა და ეპისკოპოსებს. ფაქტობრივად, სინკელი (συγκλητος, contubernalis) ეპისკოპოსის კანცლერი, მდივანი იყო. თავდაპირველად სინკელები იყვნენ მხოლოდ მათი მოქმედების, ქცევის, საუბრების მოწმეები, ხშირად ასრულებდნენ მათ დავალებებსაც. შემდგომში მათი ფუნქცია გაფართოვდა და საიდუმლო საქმეთა განმგებლის მოვალეობაც დაეკისრათ. ბიზანტიის ეკლესიის ისტორიაში საკმაოდ ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც სინკელი ეპისკოპოსთა, ზოგჯერ კათალიკოს-პატრიარქთა თანამდებობას იჭერდა.



ამის მრავალი მაგალითი დასტურდება (5, 306). ი. ლოლაშვილმა სწავლილი მესენაკედ განმარტა, რადგან სენაკს ბერძნულში შეესატყვისება Ἰν ΚΕΛΛΙΟΝ. ს. ყაუხჩიშვილმა „გეორგიკაში“ მოთავსებულ ბიზანტიელ ავტორთა ცნობების მიხედვით სვინგელოზობა მდივნის ტოლფარდ თანამდებობად მიიჩნია. ბიზანტიურ სამყაროში ეს თანამდებობა დასტურდება VIII საუკუნიდან. ბიზანტიურ საისტორიო მწერლობაში ცნობილია VIII-IX საუკუნეების მოღვაწე, „ქრონიკების“ ავტორი, პატრიარქ ტარაისის (786-806) საიდუმლო მდივანი გიორგი სვინგელოზი, რომელსაც შეუდგენია მსოფლიო ისტორია დიოკლეტიანეს დრომდე, მის თხზულებაში დაცულია ცნობები საქართველოს შესახებ. ცნობილია IX საუკუნეში მოღვაწე მიქელ სვინგელოსი, რომელსაც შეუძღვებია სიმბოლო: „მრწამს ერთი ღმერთი, მამია უშობელი, და ერთი ძე“, რომელიც შეტანილია „მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრებაში“, როგორც მაქსიმეს სიმბოლო (4, 202). სვინგელოზი ყოფილა იოვანე-თორნიკე, ძმა იოვანე-ვარაზვაჩესი, ჩორდვანელის ჩამომავალი, რასაც ადასტურებს როგორც გიორგი ათონელის პავიოგრაფიული თხზულება, ისე სხვადასხვა ათონურ ხელნაწერს დართული მინაწერები, აღაპები (3, 183-184). გიორგი ათონელი წერს: „და ეგრეთვე სულიერსა ძმასა ჩუენსა იოვანე სვინგელოზსა, რამეთუ ფრიადითა სარწმუნოებითა მოვიდა ჩუენდა წმიდასა ამას მთასა“ (10, 59). „მე, იოვანე თორნიკეყოფილმან და ძმამან ჩემმან იოვანე-ვარაზვაჩე, ძეთა სულკურთხეულისა ჩორდვანელისათა, მოვიგეთ და დავწერეთ წმიდა ესე წიგნი, რომელსა ეწოდების წმიდათა მამათა მიერ „სამოთხე“... სალოცველად თავთა ჩუენთა, პირველად იოვანე სვინგელოზისათჳს, რომელმანცა სიყვარულისათჳს ღვთისა დაუტევა დიდებაჲ ქუეყანისაჲ და ჰპოვა ზეცისაჲ“... (8, 108). ასევე, ცნობილი ყოფილა ზაქარია ბანელ სვინგელოზი (8, 171).

ყოფილა პროტოსვინგელოზის თანამდებობაც, რაც ირკვევა S-96-ის მონაცემთა მიხედვით: „მე მამამან ნიკოლა პროტოსვინგელოზმან“... (8, 173). XI საუკუნის მოღვაწე იოანე ჭყონდიდელ-მთავარეპისკოპოსი ყოფილა სვინგელოზი 1085 წლის ახლო ხანებში (8, 232-233). ზემოთ დამოწმებულ ცნობათა მიხედვით ჩანს, რომ სვინგელოზობა შეიძლება ჰქონოდა სასულიერო პირს. პროტოსვინგელოზის თანამდებობის არსებობა კი იმ ფაქტს უნდა მიგვანიშნებდეს, რომ არსებობდა სვინგელოზთა წინამძღოლიც. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სვინგელოზის მდივნად განმარტებას რეალური საფუძველი აქვს.

ამრიგად, სვინგელოზი მდივან-მწიგნობრის თანამდებობის აღმნიშვნელი ტერმინია. საბა სვინგელოზი, ქართლის მთავარეპისკოპოსი, ჩანს, საკათალიკოსო კარის მდივან-მწიგნობრის მოვალეობას ასრულებდა, რასაც ადასტურებს შიომღვიმის მონასტრის საბუთები, სადაც არსენ ბულმაი-



სიმისძე, როგორც ქართლის კათალიკოსი, და საბა, ქართლის მთავრეპისკოპოსი, ერთად აწერენ ხელს შიომღვიმის მონასტრისათვის მიცემულ ერთ-ერთ დოკუმენტს.

### დამოწმებული ლიტერატურა

1. ანტონ I, კათალიკოსი, წყობილსიტყვაობა, ქმნილი ანტონისაგან პირუელისა, კათალიკოს-პატრიარქისა ყოვლისა საქართველოსა, პ. იოსელიანის წინასიტყვაობა, თფილისი, 1853.
2. ანტონ ბაგრატიონი, წყობილსიტყვაობა, გამოსაცემად მოამზადდა, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ი. ლოლაშვილმა, თბ., 1980.
3. გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. VIII. ტექსტები ქართული თარგმანებითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1970.
4. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1960.
5. Поснов М. Э., История христианской церкви, Киев, 1991.
6. ნ. სულაგა, ანტონ კათალიკოსი ქართველ ჰიმნოგრაფთა შესახებ, „რელიგია“, 1996, № 10-11-12.
7. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984.
8. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ I, ტფილისი, 1892.
9. ქრონიკები..., II, ტფილისი, 1897.
10. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, მ. დოლაჭიძემ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჭლამაიამ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1967.

## მგის ღაბნელების მხატვრული უნაჩნია „ნინოს ცხოვრებაში“

„ნინოს ცხოვრება“ უაღრესად სიმბოლიზებული ნაწარმოებია. ამ სიმბოლიზიდან ჩვენ გამოვყოფთ მზის დაბნელების ეპიზოდს, რომელიც ძალზე საყურადღებო სახე-იდეაა პარადიგმული სახისმეტყველების თვალსაზრისით. ჩვენი მიზანია მზის დაბნელების ვითარცა სიმბოლოს პარადიგმული მნიშვნელობის ჩვენება, რომელსაც უკავშირდება ქართლის მოქცევის მოვლენები. ამისათვის განვიხილავთ „ნინოს ცხოვრების“ ყველა რედაქციას, ისტორიულ თხზულებებს; ტიპოლოგიურ მიმართებათა დასაძებნად მოვიხმობთ რუსულ და ფრანგულ ებოსებს — „ამბავი ივორის ლაშქრობისა“ და „სიმღერა როლანდზე“.

„ნინოს ცხოვრებაში“ მზის დაბნელების ეპიზოდი წარმოადგენს ნაწარმოების კულმინაციურ წერტილს, რომელმაც განსაზღვრა მირიანის შეგნებაში ძველი ღმერთების მძლეთამძლეობის საკითხი. ამისათვის მზადდებოდა ნაწარმოებში ყოველი ნიუანსი, ამისათვის დასჭირდა ავტორს ცალკეული საკითხების თხრობა და განმარტება. ამ შემთხვევაში მზის დაბნელება — ქრისტიანული საშუალებაა მირიანის გულში ახალი მოძღვრების სასარგებლოდ აქლერებული, ბოლო აკორდია, სხვია სიბნელის ზნით მოსული, სინათლეა მირიანის ბნელი სულისა და გონების გასანათებლად და ქართლის მოსაქცევად.

სანადიროდ წასვლის წინ, მზის დაბნელებამდე, მეფე მირიანი სინათლს განიცდის თავისი სარწმუნოებრივი მერყეობის გამო და ამბობს: „ღირს ვართ ჩუენ ღმერთთა ჩუენთაგან ბოროტის ყოფასა, რამეთუ უდებ ვიქმნენით მსახურებასა მათსა და მიუშუთ ჩუენ ქრისტიანეთა გრძნელთა ჭადაგებად სჯულსა მათსა ჭუეყანასა ჩუენსა: რამეთუ გრძნებითა ჰყოფენ საკვრველებათა მათ. აწ ესე არს განზრახვა ჩემი, რათა ბოროტად მოვსრნეთ ყოველნი მოსაგნი ჭუარცმულისანი და უმეტეს შეუდგეთ მსახურებასა ღმერთთა მათ მპყრობელთა ქართლისათა“ (9, 108-9).

მირიან მეფის ასეთი ქადილი ქრისტეს რჯულის გამავრცელებელთა მიმართ, თითქოს, მობოდიშებაა მირიანისა თავისი ძველი ღმერთების წინაშე, მისი, როგორც აღამიანისა და მეფის, ცოდვათა შესამსუბუქებლად. მას, როგორც მეფეს, თავისი ერის სულიერი მამობის მოვალეობა ჰქონდა დაკისრებული.





ძველ გადმოცემათა თანახმად, მზე არ უნდა დაწვეს რისხვით, ჯავრით და ადამიანმაც თავისი გაჯავრება თუ რისხვა მზის ჩასვლამდე უნდა დაიწყნაროს. თუ იგი, სულიერი გაუწონასწორებლობის პირობებში, ჰარმონიული სიმშვიდით ვერ აცილებს მნათობს, მისი გონებაც მთლიანად არ ეკუთვნის მზეს. სულიერი წონასწორობა კი, მზის ჩასვლისას, მშვიდი ხვალის იმედია. მეფე მირიანი კი განრისხებული მიდის სანადიროდ ქრისტიანთა დასჯის გადაწყვეტილებით.

მირიანის ბჭობასა და მერყეობას თხოთის მთაზე ნადირობის დროს ზღვარი დაუდო ქრისტე ღმერთის მიერ მოვლენილმა სასწაულმა — ნათლის დაბნელებამ და მზის სინათლის კვლავ დაბრუნებამ ქრისტეს მიმართ ლოცვის აღვლენისთანავე.

„ეს ნათელი გააზრებულია ვითარცა დიდი სიცხადე და დიდი შეუცნობლობა, როგორც მათი მთლიანობა, როგორც ანტინომია“ (15, 160).

რატომ იქცა მზის დაბნელების ეპიზოდი მირიანის რწმენაში მობრუნების ფაქტორად?

ცნობილია, რომ მზის ღმერთობის აღიარება და მისი ესთეტიკა მითოსური ხანიდან მოდის. წინაქრისტიანულ, წარმართობის ხანაში მძლავრობდა ეს უძველესი ღვთაება. ამიტომ მზის ნათელმოსილ ძლიერებასთან მიმართებაში გადაწყვიტეს ავტორებმა ძველი და ახალი რელიგიის ორთაბრძოლის შედეგი ქრისტეს მოძღვრების სასარგებლოდ.

მეფე მირიანისათვის ნათლის დაბნელების მომენტი „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ჭელიშურ რედაქციაში, ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრებაში“ და „ქართლის ცხოვრების“ სომხურ თარგმანში, მიზეზობრივ კავშირშია ასტრონომიულ მოვლენასთან — მზის დაბნელებასთან. მაგალითისათვის მოვიყვანთ მეფე მირიანის თხოთის მთაზე ნადირობისას მზის დაბნელების ეპიზოდს „ნინოს ცხოვრების“ ჭელიშური რედაქციიდან: „შაფათსა, აღჴდა მეფე და განვიდა ნადირობად მუხნარით კერძო და მოვლო სანახები მუხნარისა და განვიდა მათათა ზედა თხოთისათა, მალნართა, რათამცა მოხელნა ციხეთა მათ დიდთა ასპათ და კასპად და უფლისციხედ და განვიდა თხემსა მის მთისასა. და შუა სამხარ ოდენ დაბნელდა მის ზედა მზე, და იქნა ღამე უკუნი, ბნელი ფრიად. დაფარნა ბნელმან არენი, ადგილნი იგინი. და განიბნივნეს ურვისა მისგან და ჭირსა ურთიერთ არს ყოველნი ერნი მისნი, და დარჩა მეფე მარტოჲ და იარებოდა მათათა ზედა და მალნართა შინა შეშინებული და შეძრწუნებული და დადგა ერთსა ადგილსა და წარეწირა სასოებაჲ ცხოვრებისა მისისაჲ. ხოლო კეთილის მყოფელმან ღმერთმან აქცია გონებაჲ მისი უცნობელობისაგან ცნობად და უმეცრებისაგან მეცნიერებად, და მოელო ცნობასა და განზრახვიდა გულსა თვისსა და თქუა: „აჲა ესერა, ვხედდარამეთუ ვხადი ჴმითა მალლითა არმაზს და ზადენს და არა ვპოვე ლხინე-



ბაჲ ჩემ ზედა. აწ უკვე ვხადო, რომელსა-იგი ნინო ქადაგებს ჭუარსა და ჭუარცმულსა და ჰყოფს კურნებათა მრავალთა მისითა სასიებითა. აწ არამცა ძალ-იდგა კსნათ ჩემი ამის ჭირისაგან, რამეთუ ვარ მე ცოცხლივ ჯოჯობეთს შინა, და არა უწყი ესე, თუ ყოვლისა ქუეყანისათჳს იქმნა დაქცევამ და ნათელი ბნელად გარდაიქცა, ანუ ჩემთჳს ოდენ არს ჭირი ესე“. მიყსეულად ვმა-ყო და თქუა: „ღმერთო ნინოასო, განმინათლე ბნელი ესე და მაჩუენე საყოფელი ჩემი, და აღვიარო სახელი შენი, და აღვმართო ძელი ჭუარისა შენისა და თაყუანის ვსცე მას, და აღვიშენო სახლი სახლად შენდა და სალოცველად ჩემდა, და ვიყო მორჩილ ნინოასა და რჯულსა ზედა ჰრომთასა“. და ესე რა თქუა და წარმოთქუა, მაშინ განთენდა და მსწრაფლ გამობრწყინდა მზე“ (12, 135).

მოყვანილი ციტატიდან ნათელია, რომ ნადირობის დროს დაბნელდა მზე თხოთის მთაზე. მირიანს ვერ უშველა ძველი ღმერთების მიმართ აღვლენილმა ლოცვამ. მზის სინათლე ხილული გახდა მხოლოდ ქრისტეს, ქართლის მომავალი ღმერთის ძალისხმევით.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მზის დაბნელების შესახებ, რომელიც წინ უძღვის ან თანხვდება რაიმე მნიშვნელოვან მოვლენას, მოთხრობილია ძველ საეკლესიო წყაროებშიც. ასე, მაგალითად: ბეტრე მოციქულის ქადაგებაში მოცემულია დეტალი, სადაც მითითებულია მზის მოსალოდნელი დაბნელების მოტივზე: „არამედ ესე არს თქმული იგი იოელ წინასწარმეტყველისა:... მზე გარდიქცეს ბნელად და მთოვარე სისხლად პირველ ვიდრე მიწევნამდე დღისა მის უფლისა დიდისა და განჩინებულისა“ (საქმე, 2, 20).

ლუკას სახარებაში ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ აღწერილია მზის დაბნელება, რომელიც წინ უძღოდა მისი სულის განტევებას: „და დაბნელდა მზე, და განიპო კრეტსაბმელი ტაძრისა მის შორის. და ხმა-ყო კმითა დიდითა იესო და თქუა: მამაო, კელითა შენთა შევჰვედრებ სულსა ჩემსა და ესე რაჲ თქუა, განუტევა სული“ (ლუკა, 25, 45-46).

მათეს სახარებაში კი ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ ნათქვამია: „ხოლო ექუს ჟამითაგან დაბნელდა ყოველი ქუეყანამ, ვიდრე მეცხრედ ჟამადმდე“ (მათე, 27, 45), ხოლო ქრისტეს სულის განტევებისთანავე „ქუეყანამ შეიძრა, და კლდენი განსთქდეს და საფლაგნი აღეხუნეს“ (მათე, 27, 51).

მარკოზის სახარებაში გვითხულობთ: „და ვითარცა იყო ჟამი მეექუსე, ბნელი იყო ყოველსა ქუეყანასა, ვიდრე მეცხრე ჟამადმდე, და მეცხრესა ჟამსა ვმა-ყო იესუ კმითა დიდითა და განუტევა სული“ (მარკოზ. 15, 33).

ცნობილია, აგრეთვე, იოანეს ხილვები, სადაც კრავი და ანგელოზი, რომლებიც აიღებენ ბეჭედს ან დასცემენ საყვირს, მოსდევს მზის დაბნე-



ლება: „და ვიხილე, რაჟამს აღიღო მეექუსს ბეჭედი, და მზის შავ იქმნა, ვითარცა ძაძა ბალნისაჲ“ (გამოცხადებამ, 8, 12), ან „და მეოთხემან ანგელოზმან დასცა საყკრსა, და იწყულა მესამელი მზისაჲ და მესამელი მთოვარისაჲ და მესამელი ვარსკულავთაჲ, რათა დაბნელდეს მესამელი მათი და მესამელი არლარა გამოჩნდეს, და დღს და ღამს ეგრეთვე“ (გამოცხადებამ, 8, 12).

საფიქრებელია, რომ „ნინოს ცხოვრების“ ავტორმა, თავის წინაპართა მიხედვით, მზის დაბნელება მოიმარჯვა როგორც საშუალება, მხატვრული ხერხი ნაწარმოების ძირითადი მოტივის გამძაფრების მიზნით, სადაც მითითებულია მზის ნათლის დაკარგვაზე, სახელდობრ, მეფე მირიანის ნადირობასთან დაკავშირებით, თუმცა იქ დაბნელების ფაქტორი სხვაგვარია.

ბიზანტიურ წყაროებში (გელასი კესარიელი, რუფინუსი, სოკრატე სქოლასტიკოსი, ერმია სოზომენე — IV-V სს.) ნათქვამია რალაც სქელი ბურუსის შესახებ, რომელმაც დაუბნელა მზის ნათელი მეფეს ნადირობის დროს. მიუხედავად სხვადასხვაობისა, ამ ორ მოვლენას შორის შეიძლება დაიძებნოს მსგავსების ელემენტები. მით უფრო საძებნია ისინი მოცემულ შემთხვევაში, რადგან ცნობილია, რომ ნინოს კულტის საბოლოო ჩამოყალიბება, რაც მისი „ცხოვრების“ შატბერდულ-ქელიშურ რედაქციაში და „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქრონიკებშია მოცემული, IX ს. თარიღდება. არსებობს მოსაზრება, რომ მისი შემოტანის აუცილებლობა ქართველ-სომეხთა საეკლესიო განხეთქილებამ და საკუთარი განმანათლებლის არარსებობის პრობლემამ წარმოშვა. აქედან მომდინარე — ქართველმა ავტორებმა, შეიძლება გამოიყენეს ბიზანტიურ წყაროებში არსებული მონაცემები ნადირობის დროს ნათლის დაკარგვის შესახებ და მას ახალი მიმართება მისცეს. კერძოდ, „ღრმა ბურუსი“ (გელასი კესარიელი), „ძალიან სქელი წყვდიადი“ (რუფინუსი), „სქელი ნისლი და ბურუსი“ (სოკრატე სქოლასტიკოსი), „ძალიან სქელი ნისლი“ (ერმია სოზომენე) და სხვ. ხომ არ გააიგივეს მზის დაბნელებასთან?

რ. სირაძე ამ ნისლ-ბურუსეულობით მზის დაბნელების მსგავს სიტუაციებს გამოყოფს სხვა ნაწარმოებშიც („სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“). სხვათა შორის, მოციქულთა საქმეში მითითებულია „არმურსა“ და „ბნელზე“, მოგვ-ბარიისუს მიმართებით, რომლის შესახებ წმინდა საველე ამბობდა: „და აწ ესერა ჴელი უფლისაჲ შენ ზედა და იყო შენ ბრმა და ვერ ხედვიდე მზესა ვიდრე ჟამამდე და მეყსეულად დაეცა მის ზედა არმური და ბნელი, და მიმოვიდოდა და ეძიებდა მძლუარსა“ (საქმე, 13, 11). „ვიდრე ჟამამდე“, ე. ი. მანამ არ დადგება ჟამი შენი თვალთახედვისა, სანამ არ შეიცნობ ქრისტეს ნათელს და სულიერად არ განიწმინდებიო.

ან კიდევ: როცა წმინდა მახარებელმა და ღვთისმეტყველმა იოანემ



იხილა შვიდი ანგელოზი, მეხუთემ ასეთი სასწაული ჩაიდინა: „და მეხუთე მან ანგელოზმან დასცა საყვრსა, და ვიხილე ვარსკულაფი, რომელი გარდამოვარდა ზეცით ქუეყანად, და მიეცა მას კლიტქ ჯურღმულისა მის უფსკრულისაჲ. და აღკვა კუამლი ჯურღმულისა მისგან, ვითარცა კუამლი ცეცხლისა მოტყინარისაჲ, და დაბნელდა მზს და ჰაერი კუამლისა მისგან ჯურღმულისა“ (გამოცხადებაჲ, 9, 1-2).

თხზულებათა განხილვიდან ირკვევა, რომ სინათლე გაქრა დღისით, ბუნების სხვადასხვა მოვლენასთან დაკავშირებით. თუ, მართლაც, ობიექტური მიზეზი უდევს საფუძვლად მზის შუქის გაქრობას, მაშინ უფრო მეტად მზის ასტრონომიული დაბნელებაა სავარაუდებელი. თუ განვავრძობთ ტექსტების ანალიზს, ნადირობის დროს ნათლის დაბნელების ეპიზოდში თვალში საცემია ის გარემოება, რომ მზის დაბნელება (ნისლით, ბურუსით, თუ სხვა რაიმეთი) მოხდა „მეყსეულად“, „უცებ“, „მეყსა შინა“, რომელიც განსაკუთრებით ყურადსაღებია იმ წყაროებში, სადაც საქმე ნისლსა და ბურუსს ეხება.

მოგვყავს შესაბამისი ადგილები:

1. „შუა სამხარ ოდენ დაბნელდა მზე და იქმნა ღამე უკუნი ბნელი ფრიად“ (12, 135).
2. „შუა-სამხრისა ოდენ დაბნელდა მზე მთასა ზედა და იქმნა ვითარცა ღამე ბნელი, უკუნი, და დაიპყრა ბნელმან არენი და ადგილნი“ (9, 109).
3. „და ცის გაჩნდა ნისლი და ბურუსი. დაბნელდა მზე შუადღისას და იქმნა ღამე“ (19, 107).
4. „უამსა სამხრისასა დაუბნელდა მას განგებულებითა ღვთისაჲთა, ვითარცა იგი პირველ პავლეს და ვითარცა ვერ შემძლებელ იყო იგი სვლად“ (18, 67).
5. „მაშინ განგებითა ზეგარდამოათა კაცთმოყუარისა მეფისაგან პავლესებრ მოინადირა და მეყსეულად ბნელითა შეპყრობილ იქმნა და დაცემულ და ვერ შემძლებელ სვლად“ (3, 28).
6. „მას დღისითვე ჩამოუბნელდა მოულოდნელად. უცბად შუადღეს ღრმა ბურუსმა მოიცვა მთელი ტყე“ (6, 189).
7. „და დღე დააბნელა სქელმა წყვდიადმა და რადგან სინათლე გაქრა“ (13, 203-204).
8. „რამეთუ მეყსა შინა ბნელმან რამანმე მოიცვა იგი“ (8, 216).
9. „ჩამოწვა სქელი ნისლი და ბურუსი“ (17, 232).
10. „უცბად ძალიან სქელი ნისლი ჩამოწვა... და ყოველი მხრით დაუფარა მათ ცა და მზე“ (7, 238-9).

უნდა ითქვას, რომ ავტორები აღნიშნავენ შუადღისას სქელი ნისლის გაჩენას, რომელმაც დააბნელა მზე. საერთოდ, ნისლი, როგორც ბუნების



მოვლენა არ ჩნდება უეცრად შუადღისას, განსაკუთრებით მზიანი დღე-ღამისას და არ ქრება მეყსეულად. ცნობილია ნისლიანი დღე და არა მზიანი დღე უეცარი ნისლით. ამაში დავრწმუნდებით, თუ განვავრცობთ ტექსტების შემდგომ განხილვას. კერძოდ, საინტერესოა მზის ნათლის დაბრუნების მომენტის ასეთივე მეყსეულობა „ნინოს ცხოვრების“ თითქმის ყველა რედაქციაში.

მოგვყავს ამონაწერები:

1. „და ესე რაჲ თქუა და წარმოთქუა, მაშინ განთენდა და მსწრაფლ გამობრწყინდა მზე“ (12, 136).

მირიან მეფის ლოცვა ქრისტესადმი: „შენ მიხსენ ჭირისაგან და სახელდებითა შენითა მსწრაფლ განმინათლე ბნელი ჩემი“ (12, 136).

2. „ესე ყოველი რა წართქუა, განთენდა და გამობრწყინდა მზე“ (9, 110).

3. „ესე რა თქუა ყოვლადსახიერმან მან და მოწყალემან, რომელი მარადის ეძიებს ღონესა ცხოვრებისა ჩუენებასასა, გამოაბრწყინვა ნათელი მის შორის და მსწრაფლ სიბნელისა მისგან განთავისუფლდა“ (18, 68).

4. „და ეს რომ თქვა, ამოვიდა მზე ბრწყინვალე აერით და იპოვა ის მისმა ლაშქარმა“ (19, 108).

5. „ესე რა თქუა ყოვლად სახიერმან მან და მოწყალემან, რომელი მარადის ეძიებს ღონესა ცხოვრებისა ჩუენისა, გამოაბრწყინვა ნათელი მის შორის და მსწრაფლ სიბნელისა მისგან განთავისუფლდა“ (3, 29).

6. „როგორც კი ილოცა, ნისლით გამოწვეული ბურუსი გაიფანტა“ (16, 232).

7. „უცბად ნისლი გაიფანტა და ცაც მოიწმინდა“ (7, 238-239).

როგორც ირკვევა, აქაც იგივე პრეცედენტთან გვაქვს საქმე: ქრისტეს მიმართ მირიანის ლოცვის აღვლენისთანავე გამობრწყინდება მზის ნათელი: „მყის“, „მსწრაფლ“, „როგორც კი ილოცა“, და სხვა, ზუსტად ისევე, როგორც დაბნელდა.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ნისლი და ბურუსი, რომელმაც მეყსეულად წარმოშვა და ასევე უეცრად „გააქრო“ სიბნელე, იგივე ფენომენია, რაც მზის დაბნელება. იმისათვის რომ დადგინდეს, თუ რა შესაბამისობაშია მზის ასტრონომიული დაბნელება და ნაწარმოებში მოცემული ეპიზოდის ზასიათი, საჭიროა განვიხილოთ მეფე მირიანის ნათლის დაკარგვის მოვლენა თხზულების სხვა პერსონაჟებთან მიმართებაში.

არსენ ბერის, უცნობი ავტორის, თეოდორიტე კვირელის, ქართული, ბერძნული და სხვა წყაროების მიხედვით, მზის დაბნელების არეალი მხოლოდ მეფისათვის ნათლის დაკარგვით შემოიფარგლა.

მაგალითისათვის მოვიყვანთ ნაწყვეტს არსენ ბერის თხზულებიდან:



„მაშინ, განგებითა ზეგარდამომათა კაცთმოყუარისა მეფისაგან, მავლენებრ მოინადირა და მეყსეულად ბნელითა შეპყრობილ იქნა და დაცემულ და ვერ შემძლებელ სლვად, რამეთუ თანამონადირენი, იგი მისნი მცხინვარესა მას ნათელსა ზედვიდეს ჩუეულებისამებრ. და ვიდოდეს, ხოლო მეფე დაშთომილ იქნა შეპყრობილი საკრველითა სიბრძნისათა და ზარტეხილ იქნა და წარიწირა სასოებაჲ ცხოვრებისაჲ“ (3, 28).

მხოლოდ მირიანისათვის ნათლის დაკარგვა არ შეიძლება დაფუკავშიროთ ასტრონომიულ მოვლენას. ის მირიანის პირადი ტრაგედიაა.

„ნინოს ცხოვრების“ შატბერდულ-ჰელიოურ რედაქციებსა და გელასი კესარიელის, სოკრატე სქოლასტიკოსის, რუფინუსის ბერძნულ წყაროებშიც დღის ნათელი დაბნელდა არა მარტო მირიანის, არამედ მისი თანამონადირეთათვისაც. ამ შემთხვევაშიც მზის დაბნელება არ შეიძლება დაფუკავშიროთ ასტრონომიულ მოვლენას, რომელსაც, როგორც ზოგი მკვლევარი აღნიშნავს, მართლაც ჰქონია ადგილი საქართველოში IV საუკუნეში.

ზემოაღნიშნული რედაქციების მიხედვით, თხოთის მთაზე ნადირობის ეპიზოდში ნათლის დაკარგვის მოვლენა მხოლოდ მეფითა და მის მხლებლებით შემოიფარგლა, მაშინ, როდესაც თხოთის მთის ძირას ბარე მცხეთა-ქალაქის მცხოვრებთათვის, მათ შორის დედოფლისათვის (დროის იმავე მონაკვეთში) მზე ხილულ, მბრწყინავ მნათობად რჩებოდა, რაც, რასაკვირველია, მზის ასტრონომიული დაბნელების საწინააღმდეგო არგუმენტად რჩება. ამაზე მიუთითებს „ქართლის მოქცევიდან“ ნინოს ცხოვრების ის მონაკვეთები, სადაც მოთხრობილია მეფე მირიანის ნადირობიდან დაბრუნება და ნანა დედოფლის შეხვედრის ამბავი. მოვიყვანოთ ციტატებს:

1. „ხოლო ნანა დედოფალი და ყოველი ქალაქი განვიდეს მიგებებად მეფისა, რამეთუ ესმა პირველად წარწყმედაჲ და კუალად მოსლვაჲ მშველობით. და იქმნა ფრიადი სიხარული პალატ-ბანაკსა შინა მეფისასა, რამეთუ გლოვამ მათი სიხარულად გარდაიქცა და მიეგებვოდეს ქანჯარს და ლართას“ (12, 136).

2. „ამისა შემდგომად წარმოემართა სამეუფოდ თვისად ქალაქად და ვითარცა მოეახლა, გამოვიდა ყოველი ერი სიხარულით მიგებებად მისა და მათ თანა დედოფალი ნანა, რამეთუ ესმინა პირველ მის ზედა მოხუეული იგი სიბნელე, და აწ ზედვიდეს დიდებულსა მას საკრველსა სიხარულითა და სარწმუნოებითა და ბრწყინვალეებითა სახედველთათა ერთბაშად შემკულსა და განკრვებულნი აღიდებდეს ღმერთსა ნინომსა“ (3, 29).

3. „ხოლო ნანა დედოფალი და ყოველი ერი განვიდა მოგეგებად მეფისა, რამეთუ ესმა პირველ წარწყმედა და კუალად მოსლვა მშველობით“ (9, 110).



4. „მობრუნდნენ შინ, წინდაწინ გაუგზავნეს მახარობლები [მათ], რომლებიც ისხდნენ გლოვაში ცული ამბისათვის, რაც [მათ] წინასწარ გაეგოთ. ხოლო როცა გაიგეს მშვიდობით დაბრუნება, შეეგება მეფეს დიდი სიხარულით ქალაქის მთელი ხალხი“ (19, 10).

ტექსტის განხილვიდან ირკვევა, რომ ნანა დედოფალს და მისი წინამძღოლობით „ყოველსა ქალაქს“ კი არ განუცდიათ მზის დაბნელების გავლენა საკუთარ თავზე, არამედ ჯერ სმენიათ (რომელიღაც წყაროს საშუალებით) „მის ზედა მოხუეული იგი სიბნელე“ და „წარწყმედა“ და მერე „მოქცევა მშვიდობით“, სმენიათ და არ განუცდიათ. გამოდის რომ, თუ მზის ასტრონომიულ დაბნელებასთან გვექნებოდა საქმე, თხოთის მთის ძირში მდებარე მცხეთა-ქალაქზეც უნდა გავრცელებულიყო იგი. უნდა ვიფიქროთ, რომ ავტორისათვის არსებობდა რაღაც მნიშვნელოვანი მიზეზი, რომლის გამოც ნანა დედოფალს, მიუხედავად ჰერმეტიკად არსებული მზის დაბნელებისა, მზის ნათელი კვლავ უბრწყინავდა. ძნელი დასაძებნი არ უნდა იყოს ეს მიზეზი, რადგან ნაწარმოების მიხედვით ახალი რელიგიის მქადაგებელი, უცხო ტყვე დედაკაცი — ნინო, უკვე კარგა ხანია ნანა დედოფლისათვის „დედად“, ხოლო ქრისტე მის ღმერთად იყო ქცეული.

ავტორმა ხაზი გაუსვა ნანა დედოფლის (და ამდენად მასთან მყოფთათვისაც) სულიერ ნათელში ყოფნის დიდმნიშვნელოვან ფაქტს, რომელიც აღარ საჭიროებდა მისი მოქცევისათვის რაიმე მიზეზის გამოანახვის აუცილებლობას.

აღნიშნულის დადასტურება შეიძლება მოინახოს იოანეს ხილვებში, სადაც მითითებულია, რომ ქრისტიანული რელიგიის დედაქალაქში — „და ქალაქსა მას არა უკმს მზს, ანუ მთოვარს მნათობად, რამეთუ დიდებამან ღმრთისამან განანათლა იგი, და სანთელ მისა არს კრავი იგი“ (გამოცხადებად, 21, 23).

ამგვარად, ქრისტიანულ ქვეყანაში საყოველთაო სულიერი ნათელი სუფევს, განსხვავებით „ჩრდილო“ ქართლისაგან, რომელიც საჭიროებს სხვა სინათლის წყაროს.

ამრიგად, ჩვენს მიერ განხილულ „ნინოს ცხოვრების“ იმ რედაქციებში, სადაც ნათელი დაუბნელდა მხოლოდ მირიანს, ავტორებმა განსაკუთრებული სიცხადით გააცნობიერებინეს მას საკუთარი ცოდვების სიღრმე. მეფის პირადი ტრაგედიის უმძიმესი მომენტი, რომელშიც მირიანის „ბნელში ყოფნის“ საბედისწერო მუხტი იყო ჩადებული, გამოიყენეს ავტორებმა, ლოცვა აღავლენინეს მირიანს ახალი ღმერთის მიმართ და სინათლის დაბრუნება ქრისტეს ძალისხმევით დამადასტურებელ ნიშნად აქციეს. „ნათელი ღამის“ ფენომენი მანამდე მირიანის გონებისათვის მიუწვდომელი იყო. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული რედაქციების ავ-



ტორები ნაწარმოებს საფუძვლად უდებენ გამონაგონ მოდელზე ავტორული სინამდვილეს, სადაც გამონაგონი ამბის ცნება მხოლოდ და მხოლოდ სიმბოლოს ტოლფასია. მისი ფუნქციაა ფარული შინაარსის ჩვენება, ე. ი. მოცემულ შემთხვევაში გამონაგონი სტრუქტურა სინამდვილისათვის ეთეტიკური ფენომენის მნიშვნელობას იძენს. ამ თვალსაზრისით, გამონაგონი სიუჟეტურ სიტუაციას — მირიან მეფის დაბრმავებას, მიუხედავად იმისა, რომ მისი მართებულობა გამჭვირვალე ძაფითაა ნაქსოვი და სინამდვილისაგან ძალზე დაშორებულია, აქვს თავისი გამართლება, რომლის აღქმაც მხოლოდ სიმბოლოს საშუალებით ხერხდება.

ა. ბელი წერს, რომ „სიმბოლო არის სახე, ბუნებიდან აღებული და შემოქმედებით გარდასახული; სიმბოლო არის სახე, გამაერთიანებელი თავის თავში მხატვრის განცდებისა და ბუნებიდან აღებული ხაზებისა“ (5, 8).

მზის დაბნელება სიმბოლოა ღვთის რისხვისა მირიანის, როგორც მეფის — სახელმწიფოს მეთაურის მიმართ, რომელიც ჯიუტად ეწინააღმდეგებოდა რა ახალი რელიგიის უპირატესობის აღიარებას, მით ორმაგად სცოდავდა ღვთის წინაშე საკუთარი თავისა და მთელი ერის მოქცევის დაგვიანებისათვის.

ნათლის დაბრუნების ფაქტი ადასტურებს ამ მოსაზრებას. აღიარა რა მეფემ მთელი ერისა და ბერის წინაშე ახალი ღმერთის მძლეთამძლეობა, მით თვალი აეხილა არა მარტო მას, არამედ გზა გაეხსნა ნათლისაკენ მთელ ერს. სიბნელემ ბნელ სულში შვა ნათელი, რომელმაც შემდეგ ქვეყანაში საყოველთაო სულიერი ნათელი დაამკვიდრა.

„ნინოს ცხოვრების“ იმ რედაქციებში, სადაც ნათელი დაუბნელდა მირიანს და მის მხლებლებს, ავტორებმა მირიანს მზის დაბნელება მთელი ერის ნათლის დაკარგვად აღაქმევენეს. შემფოთებული მირიანი, ჯერ კიდევ იმედიანი, უზენაესი ნათლის საპოვნელად პირველად მასთან ახლოს, მიწაზე არსებულ ღვთაებებს, თავის ძველ ღმერთებს — არმახსა და ზადენს აღუვლენს ლოცვას. მათ არ აღმოაჩნდათ ძალა მზის ნათლის დასაბრუნებლად. მხოლოდ ამის შემდეგ იკვთება მირიანის გონებაში აზრი ქრისტეს ყოვლისშემძლეობის შესახებ, რომლის გაცნობიერებით მისთვის ნათელი ხდება საკუთარი ცოდვების სიმძიმე.

მირიანი აღავლენს ვედრებას ნინოს ღმერთის — ქრისტეს მიმართ და ხდება საოცრება — მზის ნათელი უბრუნდება მეფეს და მის ერს. სინათლე ბნელ სულში მოვიდა სიბნელის გზით. აქედან აზრი: მზე — ხილული ხატია უხილავი ქრისტე ღმერთისა. ამიტომ, ლოცვა აღვლენილია არა მზის მიმართ, არამედ ქრისტესადმი, ერთადერთი, ყოვლისმხილველი და ყოვლისშემძლე ღვთაებისადმი. აქაც ავტორებმა მზის დაბნელებისა და ნათლის დაბრუნების ეპიზოდი გამონაგონი სინამდვილის მხატვრული





აზრით დატვირთეს და მას სიმბოლოს მნიშვნელობა მიანიჭეს. ისევე როგორც სახარების ავტორებმა — მზის დაბნელების მოტივი ქრისტეს ხორციელ სიკვდილს დაუკავშირეს, მზის დაბრუნება კი ქრისტეს სულიერ ანუ ზეციურ ნათელში ასვლას. მზის დაბნელების ეს ვარიანტი განეკუთვნება სახისმეტყველების ერთ-ერთ ტიპს, კერძოდ, ეიკონურ სახეს, სადაც მზის დაბნელების სიმბოლური გააზრების დადასტურება ისევ სიმბოლოს მეშვეობით — მზის განათებით ხდება.

რ. სირაძის აზრით, მზის დაბნელების ეპიზოდი კონვენციური მოტივია, რომელშიც განქიქებულია მზის ღმერთობა. თხზულების ავტორი ეყრდნობა არისტიდეს აპოლოგიას და მიმართავს ქართულ მწერლობაში გავრცელებულ ლიტერატურულ მოტივს (15, 41-42).

ამ მოვლენის გარეგანი, ხილული რაობის — სახის მიღმა დგას სხვა მოვლენა, რომელზედაც იგი მიგვანიშნებს, რომელთანაც მას აქვს რაღაც, შეიძლება სრულიად მცირე კავშირი, რომელიც ზენათლის ანუ სახის მიღმურ შინაარსს გულისხმობს და უხილავი ქრისტესმიერი ნათლის სახით აღიქმება.

„ეს გზა ხილული წინასახიდან, უხილავი მისტიკური პირველსახისაკენ, რომელიც სხვა არა არის, თუ არა „წმინდა ნათელი“, გულისხმობს ტრადიციულ, საფეხურებრივ შემეცნებას. მას აქვს საწყისი პირველსახეში, მაგრამ არა აქვს საზღვარი. ამას გულისხმობდა იოანე დამასკელი, როცა წერდა: „სახე არის ხილვა და ჩვენება დაფარულისა“. „დაფარული აზრის სილამაზე კი მისსავე იღუმალებაშია“, — წერს რ. სირაძე (16, 154).

მირიან მეფის სულიერი განვითარების გზა ნათლისა და წყვდიადის ორი მდგომარეობიდან სამ ჟამზე გადის. მირიანმა მისი ყოველი საფეხური გაიარა:

- I. წინარე — სადაც წყვდიადი, ბოროტი, ბნელი წარმართობა ბატონობდა და იგი განცალკევებული იყო სახიერისაგან, სიკეთისაგან;
- II. მყოფი — შერევის დრო, სიბნელე — წარმართობისა და სინათლე — ქრისტიანობის შერკინების ჟამი, რომელიც მირიან მეფისათვის გამოიხატა კულმინაციური მომენტით — მზის დაბნელებით;
- III. „ჟამი შემდეგი და საბოლოო“ — აღდგენა ცალკეულისა, გაყოფა, რაც წარმართული რელიგიის დამხობითა და ქრისტიანული სარწმუნოების გამარჯვებით აღინიშნა.

„ხილულ სახეებში სიბნელეა, მიღმურსა და უხილავშია ქვემარტი სინათლე, ეს ნათელი კი უნდა ვიხილოთ. ბნელში“, — წერს რ. სირაძე (16, 139).

სწორედ მირიან მეფემ ქრისტეს ნათელი მზის დაბნელების გზით იხილა.



„ნინოს ცხოვრების“ რედაქციებში აღწერილ ქართლის მოქცევასთან დაკავშირებულ მოვლენებს სათაურიდანვე ზედმიწევნით ეხმიანება ვასილ ბარნოვის რომანი — „არმაზის მსხვერვა“.

არმაზის მსხვერვის ეპიზოდი, რომელიც „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით, რელიგიათა კონფლიქტისა და ქართლის მკვიდრთა გაქრისტიანების გზაზე პირველი საწყისი მოვლენაა, ვ. ბარნოვის რომანში ფინალად არის მოწოდებული. ავტორის მიერ ქართლის მოქცევის დამაგვირგვინებელ მომენტად არმაზის მსხვერვაა გააზრებული და არა მზის დაბნელება, როგორც ეს „ნინოს ცხოვრების“ რედაქციებშია.

რომანში მზის დაბნელების ეპიზოდი წინ უსწრებს არმაზის მსხვერვას. ვ. ბარნოვის მიერ მოვლენათა ამგვარ გადანაცვლებას გარკვეული მიზანი აქვს, რათა უკეთ აღვიქვათ და შევიცნოთ არმაზ კერპის მიღმა ისტორიულად არსებული პოლიტიკურ-სარწმუნოებრივი კატაკლიზმები.

რომანის მიხედვით, თოხატის კვერნაკზე სანადიროდ წასულ მირიანს და მის მხლებლებს დაუბნელდათ მზე. „ნინოს ცხოვრების“ რედაქციათა მსგავსად, აქაც, თავდაპირველად, მეფე საშველად არმაზს მიმართავს ლოცვით, მაგრამ ამოდ. ამ ეპიზოდში ვ. ბარნოვმა, არქეტიპისაგან განსხვავებით, კიდევ უფრო გაამუქა ფერები — „უფრო დაბნელდა, აიღნენ ვარსკვლავნი. არ სჩანდა მთვარე“ (4, 530).

შემდგომი მოვლენები ისე ვითარდება, ვით „ნინოს ცხოვრებაში“. მირიან მეფე ნინოს ჯვარცმულ ღმერთს სთხოვს ხსნას და მთელი სამეფოს სრულ მორჩილებას აღუთქვამს — „განელდა ბნელი. ნათლდებოდა ქვეყნიერება. აჩნდა მზის ყური. გაღიწმინდა მნათობმა სახე. იწყო კაშკაში. შეწყდა მხეცთ დევნა. ულოცვიდნენ მხცოვან მეფეს გადარჩენასა“ (4, 531).

„არმაზის მსხვერვაში“ მზის დაბნელებამ, „ნინოს ცხოვრების“ რედაქციათაგან განსხვავებით, მთელი ქვეყანა მოიცვა. მცხეთაში დარჩენილი ნანა დედოფალი და ქართლის ერი ისევე განიცდიან წყვდიადს, ვით მეფე.

ვ. ბარნოვს ამგვარი განსხვავებული პასაჟის შეტანა ესაჭიროება, რათა ამ ფაქტთან მიმართებით წარმოაჩინოს ქართლის მკვიდრთა სხვადასხვაგვარი წარმოდგენებისა და რელიგიური მრწამსის არსებობა.

მზის დაბნელება, ისე ვით „ნინოს ცხოვრების“ რედაქციებში, რომანში პერსონაჟთა მიერ სხვადასხვაგვარად იქნა აღქმული. განსაცდელიდან ხსნას ერთნი დიდ არმაზს მიაწერდნენ, ძველისძველ ხატთა მოსაგნი — ციშებ-თარ-ხუჯს და მის ცალ ითრუმანს — ქართველთა დედას; ჯვარცმულ ქრისტეს მოსაგნი კი — თავიანთ ღმერთს — იესოს.

„ნინოს ცხოვრების“ რედაქციათაგან განსხვავებით, რომანში მზის დაბ-



ნელების მოვლენის ასახსნელად შემოტანილია ამირანის მიტოვების შესახებ — „სამუდამოდ მოიცავდა ქვეყანას ბნელი, თუ ამირანს ლასტი არ ჩაედგა გველეშაპისთვის: გასწო წნელი მზემ და გამობრწყინდა!“, — ამბობენ ერთნი (4, 531).

ეს ეპიზოდი, გარკვეულწილად, აფართოვებს მზის დაბნელების სემანტიკას და მიუთითებს ქართველთა ცნობიერებაში ამირანის მითის მნიშვნელობაზე, რაც ერთობ უზრუნველყოფს მიაჩნია ავტორს.

როგორც ვხედავთ, „არმაზის მსხვერვაში“ მზის დაბნელების მიზეზზე კი არაა საუბარი, როგორც არქეტაში, არამედ აქ მზის ნათლის დაბრუნების ფენომენია წამყვანი. ამოსავალია ხსნა და არა უბედურების პირველმიზეზის ძიება. პერსონაჟთა ამგვარი დამოკიდებულებით ვ. ბარნოვი მიგვანიშნებს, რომ მთავარია შედეგი და მისი მრავალმხრივი გაცნობიერება.

ამგვარად, ყოველივე ზემოაღნიშნულის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ „არმაზის მსხვერვაში“ ვ. ბარნოვი ძირითადად მიჰყვება წინარე წყაროებს. ეპიზოდთა ახლებური მხატვრული და ესთეტიკური ფუნქციით დატვირთვის შემდეგობით, პარადიგმულ ხასიათს ანიჭებს მათ, ახალ სულს უდგამს ძველ ქართულ თხზულებებში აღწერილ მოვლენებს.

საერთოდ, სიმბოლოს მიზანდასახულ მომარჯვებას მხატვრული ნაწარმოების ღირსების წარმოჩინებისა თუ ავტორისეული აზრის დასაბუთებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. თუ მეფე მირიანისათვის მზის დაბნელებასთან დაკავშირებული მოტივი ახალი რელიგიის ჭეშმარიტების დადასტურებად და მისი მიღების ერთ-ერთ ძირითად არგუმენტად გადაიქცა, რუსულ საგმირო ეპოსში — „ამბავი იგორის ლაშქრობისა“ — მან სხვაგვარი მოტივირება პოვა.

როგორც ცნობილია, პოემაში ასახულია ნოვგოროდ-სევერსკის მთავრის იგორ სვიატოსლავის ძის ლაშქრობა ყივჩაყების წინააღმდეგ 1185 წ. მან 1184 წელს სვიატოსლავის ლაშქრობაში წყალდიდობის გამო ვერ მიიღო მონაწილეობა, ამიტომ მის სულს მძიმე ტვირთად აწვა განზე გადგომისა და მხდალობის შესაძლო ცილისწამების სიმძიმე და მორიგი ლაშქრობისას დამხმარე ძალების მოუსვლელობა ვერ შეიქნა მიზეზი მისი დაყოვნებისა. იგორმა გადაწყვიტა წასულიყო უცილობელი სიკვდილის შესახვედრად და დაეწყო ლაშქრობა მარტო, მცირე ძალებით, რომელსაც თითქოს წინ აღუდგა მზის დაბნელება, ლაშქრობის დაწყების პირველსავე დღეს. იგი უბედურების მომასწავებელ ნიშნად იქნა მიჩნეული, მაგრამ უკან დაბრუნება, ყივჩაყებთან შებრძოლებაზე ხელის აღება, იგორს ისევ სიმხდალედ ჩაეთვლებოდა და ამიტომ იგორმა მაინც ილაშქრა. იგი დამარცხდა და მით რუსეთის კარი გაეღო მტრებს, რამაც მზის დაბნელების ფაქტი საბედისწერო ნიშნისა და გაფრთხილების სიმბოლოდან ჭეშმარიტების შემცველ მოვლენად აქცია.

ამრიგად, მირიანი ნადირობას აჩერებს, კოსმოსურ ძალებს განმობს, სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი აღნიშნულ ფაქტს ღვთის წყრომად აღიქვამს და მას სიმბოლურ მნიშვნელობას აძლევს. თავად იგორი კი მზის დაბნელებას, რომელმაც მას ყივჩაყებზე გალაშქრების წინ მოუსწრო, ღვთისმიერი გაფრთხილების სიმბოლოდ არ აღიქვამს, არ კრთება და გულდაგულ მიდის მტრებთან საბრძოლველად.

მირიან მეფისაგან განსხვავებით, იგორმა არა თუ ილოცა, არამედ არც კი გაიხსენა ღმერთი.

დ. ლიხაჩოვი წერს, რომ „იგორის ნება-სურვილი თითქოს უპირის-პირდება ბედს, ბუნებაში ხორცმესხმული: პირადული შედის კონფლიქტში ბუნებასთან, გარემომცველ სამყაროსთან“ (10, 61).

როცა იგორმა ზევით განხედა  
ბარჩხალა მზესა, მან დაინახა,  
მზით გადმოსული წყვდიადით იყო  
ჩამობურული მისი ლაშქარი.

და

დაიმონავა მთავრის გონება  
ღიადი დონის ჭაშნიკის უინმა  
და ამ წყურვილმა გადაივიწყა,  
მზით მოვლენილი ავი ნიშანი (2, 7).

ეს შერკინება მისთვის საბედისწეროდ თავდება: სიკვდილი — მზის ჩასვლა; ღრუბლებით დაფარული ცა ან ჩამავალი მნათობები — სახეა არა მარტო სიკვდილისა, არამედ მთავრის სამხედრო დამარცხებისა. ავტორთა (დ. ლიხაჩოვი, ვ. სავოლნიკი, ს. ბუგოსლავსკი) აზრით, ის ფაქტი, რომ ავისმომასწავებელი ნიშნის მიუხედავად, იგორი კვლავ აგრძელებს ლაშქრობას პირადი დიდებისა და პატივის მოსაპოვებლად, მისი ვაჟაკური, გმირული ბუნების გამოვლინებას უსვამს ხაზს.

„ამბავში“ ბუნება გმირის სიცოცხლით ცხოვრობს. ნაწარმოებში იგი აქტიური შემოქმედია და სწორედ ამიტომაც იგი ადამიანური თვისებების მატარებელი. უბედურების მაუწყებელი ბუნება ამ ეპიზოდში არის მხატვრული ხერხი, პოეტური გამონაგონი, რომლითაც ავტორი იგორს უცხადებს თანაგრძნობას. ბუნება აფრთხილებს იგორს უბედურების მოახლოებაზე, თითქოს ცდილობს აშოროს მოსალოდნელი დამარცხება და შეაჩეროს იგი სასიკვდილო გზაზე. იგი ტყვედ ვარდება, მისთვის ბნელდება მზე.

ორივე შემთხვევაში მზის დაბნელებას ბედისწერის დაღი აზის: მირი-



ანისა და მისი სამეფოსათვის იგი ახალი სარწმუნოების მძლავრ მძღვერების არგუმენტად ქცეულა, იგორის მიერ კი იგი ვერ იქნა გააზრებული როგორც სიმბოლო ღვთის წყრომისა, ღვთის რწმენის მიმართ მისი გულგრილი დამოკიდებულებისა და საკუთარი ძალების ჰიპერტროფირებული შეფასების გამო, რამაც იგი ტრაგიკულ ბოლომდე მიიყვანა.

„მზე ის კონაა (სხმულაა), რომელიც ტალღისებრ გადაუვლის მთელ „ამბავს“... მზე ბნელის წინამორბედიან თითქოს“, — ასეთ შეფასებას აძლევს დ. ლიხაჩოვი მზის ნათლის პრობლემას ამ პოემაში (11, 61).

მართლაც, იგორის დამარცხებაც აღიქმება როგორც სიბნელე, ნაწინასწარმეტყველები მზით. სვიატოსლავიც თავის სიზმარში ასევე სიბნელით აღიქვამს იგორის დამარცხების ამბავს. და როგორც „ქართლის ცხოვრებაში“, რწმენით განათებული მირიანისათვის განათდა მზე, ისევე იგორის დაბრუნებით სამშობლოში ბრწყინდება მზის ნათელი:

ლაყვარდა ზედა მზე ბარჩხალებს  
და მთავარი იგორი რუსულ მიწაზეა (2, 43).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ იგორი მზის დაბნელების დროს ქრისტიანი იყო, თუმცა მისი და ლაშქრის რწმენაში წარმართული ისევე მძლავრობდა (სწამდათ მზის კულტი, სიზმარი და სხვ.). მათი სულიერი ნათლის სპექტრში ვერ კიდევ სჭარბობდა ბნელი ხაზები.

მაშასადამე, როგორც მირიან მეფესთან დაკავშირებულ ეპიზოდში, ისე აქაც იგივე მერყეობაა ძველ და ახალ სარწმუნოებას შორის; იგორიც წარმართულ და ქრისტიანულ რელიგიათა სამანზე დგას. ძნელია სამანზე მდგარი კაცისათვის გონების მართვა, როცა გადაწყვეტილება წინასწარ მიღებულია. ასეთივე შეფასებას აძლევს იგორის ამ ნაბიჯს — განაგრძოს ლაშქრობა — სვიატოსლავიც: ვერ დაიოკა ახალგაზრდული ვნებანი და დამარცხდაო.

მთავარს ჩაუჭდა გულში სურვილი,  
და ნატვრამ სძლია ზეცის ნიშანი (1, 13).

ჩვენ ერთმანეთს შევადარეთ მზის დაბნელების, როგორც სიმბოლოს ტოლფასი მოვლენის გამოხატულება „ნინოს ცხოვრების“ სხვადასხვა რედაქციებსა და რუსულ ეპოსში — „ამბავი იგორის ლაშქრობისა“. ამასთან ერთად, შევეცდებით ამავე კონტექსტში მოკლედ მიმოვიხილოთ „სიმღერა როლანდზე“ და წარმოვაჩინოთ მისი მსგავსება-დაპირისპირებანი ზემოაღნიშნულ თხზულებებთან.

ფრანგულ სარაინდო ეპოსში — „სიმღერა როლანდზე“ ასახულია საფ-



ჩანგეთისა და მისი სამეფო კარის განდიდებისათვის ჩატარებული დაწყებული  
რობითი ომების ერთ-ერთი ეპიზოდი, რომელიც ორგანიზებულია დაკავ-  
შირებული ქრისტიანული სარწმუნოების დაცვისა და მისი განვრცობის  
იდეასთან. საფრანგეთის მეფე კარლოსი თავისი ლაშქრით ბრუნდება  
თითქოს შემორიგებული ესპანეთიდან და არიერგარდში დარჩენილი მხედ-  
რობის სარდლად მამაცობით სახელგანთქმულ რაინდს — როლანდს ტო-  
ვებს. მეფის კარის ფარული ინტრიგების მეოხებით წარმართი ესპანეთის  
მეფე და მისი მთელი არმია, რომელიც თავისი სიძლიერით ბევრად სჭარ-  
ბობს ფრანგებს, თავს ესხმის როლანდს. ეს უკანასკნელი, თავისი ძალებ-  
ის მეტისმეტად დიდი რწმენისა და რაინდული სახელის გატეხვის ში-  
შით, ყურად არ იღებს თავისი მეგობრის — ოლივიესა და სხვათა გონივ-  
რულ რჩევას — ბუკით მოუხმოს უკან მეფე კარლოსსა და მის ლაშქარს  
დასახმარებლად. ამასი როლანდი რჩება მარტო. წარმართმა ესპანელებ-  
მა ბოლო მებრძოლამდე გაუჟლიტეს მხედრობა როლანდს, რომელიც  
გმირულად დაიღუპა ბრძოლის ველზე.

მზის დაბნელების მოვლენას, როგორც მნატურულ ფენომენს, ჩვენ  
ვხვდებით „სიმღერაში როლანდზე“. ესპანელთა წინააღმდეგ როლანდი-  
სა და მისი მხედრობის ბრძოლის დროს საფრანგეთში დაბნელდა მზე:

შუადღისას კი არე-მარე ბნელმა მოიცვა,  
ნათლდება მხოლოდ მაშინ, როცა ცაზე იელვებს,  
ყველა შეიპყრო საშინელომა შიშმა და ძრწოლამ  
და იძახიან: აღსასრული მოვიდა ქვეყნის,  
ჩვენ თვალწინ დადგა საუკუნის მრისხანე ბოლო (14, 51).

მზის დაბნელება, ისევე როგორც „ნინოს ცხოვრებაში“, „სიმღერაში“  
წარმოადგენს ნაწარმოების კულმინაციურ წერტილს, რომელიც საფუძ-  
ველია ნათლის განფენისა თხზულების სხვა ეპიზოდებისათვის.

„ნინოს ცხოვრების“ და „ამბავის“ ავტორებისაგან განსხვავებით, „სიმ-  
ღერაში როლანდზე“ მზის დაბნელება, როგორც სახისმეტყველებითი ფუნ-  
ქციის მქონე იდეა, გახსნილია თვით ავტორის მეშვეობით:

მათ არ იციან არაფერი და ვერ მიმხვდარან,  
ეს არის მხოლოდ დიდი გლოვა როლანდის გამო (14, 51-52).

ნოველოროდ-სევერსკის მთავარ იგორის მსგავსად, როლანდი ისჯება  
უგუნური საქციელის გამო, მაგრამ მისგან განსხვავებით, როლანდი თავ-  
ად არ ყოფილა მოწმე მზის დაბნელებისა, როგორც ღვთის რისხვისა  
ზემოდან, რადგან მზის ნათლის გაქრობა მოხდა მისგან შორს — საფრან-



გეთმე. ამ ეპიზოდებიდან ვიგებთ, რომ ბრძოლის ბედი გადაწყვეტილიყო როლანდი მარცხდება სიჯიუტისა და უგუნური გულადობის გამო, მაგრამ გამირულად. სრულიად აღარაა საჭირო მზე დაუბნელდეს როლანდს, რადგან ეს დაბნელება, რომელიც საფრანგეთში მოხდა, ფაქტიურად გულისხმობს იმ არალწერილ დაბნელებას, რომელიც როლანდს უნდა ეხილა და რომლის არსებობაც ფუნქციონირებად კარგულ მხატვრულ ღირებულებად ჩაითვლებოდა. ავტორმა როლანდს მხოლოდ სწორი რჩევა აკმაარა, მეგობრის მიერ ნათქვამი, რომელიც როლანდმა ვერ გაიაზრა როგორც ჭეშმარიტების შემცველი მომენტი:

ოლივიემ თქვა: „წარმართები ბევრნი არიან:  
ჩვენ კი, ფრანგები, ცოტანი ვართ, ასე მგონია —  
ჩემო როლანდო, დაუკარი შენი საყვირი:  
კარლოსი მის ხმას გაიგონებს და მობრუნდება (14, 39).

„სიმღერის“ ავტორი ბუნებას უქვემდებარებს თავის სინანულს, მღელვარებასა და წუხილს თვით როლანდისა და მისი ბედისადმი. უბედურების მომასწავებელი მზის დაბნელება გვევლინება როგორც მხატვრული ფენომენი, პოეტური გამონაგონი, რომელიც სიმბოლური აზრის გამოხატულებაა.

„სიმღერაში“ მზის დაბნელების ეს ეპიზოდი ორგვარი სიმბოლური დატვირთვის მატარებელია: I — ბნელდება მზე თვით საფრანგეთის დამარცხებისა და როლანდის დაღუპვის გამო; II — სიმბოლურად ბნელდება მზე — ქრება სიცოცხლე როლანდისათვის, რაც ავტორის ჩანაფიქრით, ერთგვარი მიზეზია მზის დაბნელებისა და ამავე დროს შედეგიც.

იგორისა და როლანდის დამარცხება გარდაუვალია. პირველისათვის იგი ნაწინასწარმეტყველებია მზის დაბნელებით და გამოწვეულია იგორის განდიდების სურვილით, რომელიც ამ ეპიზოდისათვის ჩაითვლება გონებაზე აღმატებულ თვისებად. როლანდისათვის კი ბნელდება მზე არა რეალურად, არამედ სიმბოლურად. ამ ეპიზოდში ერთმანეთს უპირისპირდება: თავგანწირვა მეფისათვის, ქრისტიანობის ხსნა საფრთხისაგან და გონივრული ქმედება, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ როლანდზეა დამოკიდებული, ისევე როგორც „ამბავში“ — იგორზე. ორთავე გმირი საკუთარი უგუნურების მსხვერპლი გახდა. დამარცხებით დამცირებულმა იგორმა დაღუპა მთელი თავისი რაზმი და თვით ტყვედ ჩავარდა. მისი ქმედება — მზის დაბნელების (როგორც სიმბოლური ნიშნისა — გაფრთხილებისა ზემოდან) შემდეგ ბრძოლის დაწყება, აღიქმება ქრისტიანული რწმენის ღალატად, რომელსაც თავად იგორი არ ცდილობს გაიაზროს როგორც უდიდესი ცოდვა. მისგან განსხვავებით, როლანდი

მთელ თავის მოქმედებაში ჰეშმარიტ ქრისტიან რაინდად რჩება. არათუ გრძნობს თავისი შეცდომის სიმძიმეს, არამედ ღმერთის წინაშე ინანიებს თავის ცოდვებს; ცდილობს გამოასწოროს თავისი დანაშაული — სასოწარკვეთილი როლანდი ბუკის ძახილით მოიხმობს კარლოს მეფეს შურისძიებისათვის და გმირულად ილუპება თავის თანამებრძოლებთან ერთად ხმაღმართული, პირით ესპანეთისკენ.

ქართველთა მეფე მირიანი, იგორისა და როლანდისაგან განსხვავებით, გონებისმიერ მოქმედებას უჭვემდებარებს გრძნობას და ამდენად, მისი გადაწყვეტილება გამართლებულია. ქრისტიანობის აღიარების შემდეგ მირიან მეფე ინანიებს ცოდვებს და ეთაყვანება ნათელს, რომელიც სიბნელის ცდომილებისაგან იხსნის მას და მთელ ქართველ ერს.

„სიმღერაში“ სიმბოლო-მზის დაბნელების ერთგვარ დამთავრებას წარმოადგენს მეფე კარლოსის მიერ მტერზე შურისძიების მიზნით წარმოთქმული თხოვნა მზისადმი:

პირქვე დაემხო, შევევდრა ღმერთს სასოებით,  
რათა უბრძანოს ბრწყინვალე მზეს არ ჩაესვენოს,  
არ დადგეს ღამე, კვლავ გაგრძელდეს ნათელი ღღისა (14, 88).

ეს არის ბრძოლა ქრისტიანობისა წარმართობასთან, შურისძიება როლანდისათვის, რომელშიც კარლოს მეფეს უზენაესი ძალა ეხმარება (ჩერდება მზე). ამიტომ ბრძოლის ბედი წინასწარ გადაწყვეტილია და მათთვის მზის ნათელი ბრწყინვალეებს დროის ხანგრძლივ მონაკვეთში:

როცა კარლოსმა ნახა, უკვე მოისრა მტერი,

პირქვე დაემხო და მამა ღმერთს მადლობა უძღვნა,  
როდესაც იგი ზეზე აღგა, მზე ჩაესვენა (14, 88).

ფრანგულ ეპოსში ბუნებრივი ძალები არათუ აბრკოლებენ მოვლენათა მსვლელობას, არამედ ისინი წარმოადგენენ საფუძველს სიუჟეტის განვითარებისათვის. „სიმღერაში“ ნათლის გადასვლა ხდება ერთი მოვლენიდან მეორეზე, რომელიც ქვეშეცნეულად მიმდინარე პროცესია და, თითქოს, გარდაუვალი კანონიც. სულიერი ნათლით შემოსილ ფრანგთა ლაშქართან დამარცხებული წარმართი ესპანელები უარყოფენ თავიანთ ღმერთებს. დგება მომენტი მათი სულიერი შემობრუნებისა, რომლის დამაგვირგვინებელ ეტაპად ითვლება მათი დედოფლის — ბრამიშინდრას გაქრისტიანება.

„სიმღერაში“ ნათლის ესთეტიკა თავისებური განვითარების გზას მის-



დევს — თავისი წარმოშობიდან რეალობასთან კონფლიქტში (წაწარმოების დაწვეებისას), ოპტიმისტურ გადაწყვეტილებას პოულობს სიუჟეტის განვითარებისას და მის დამამთავრებელ ნაწილშიც.

როლანდის მიერ გამოწვეული ბრძოლა ხდება პირველშივე ნათლის განფენისა მთელ „სიმღერაში“:

I — მზის დაბნელება ბრძოლის დროს სხვა სივრცით არეალში — საფრანგეთში;

II — მზის ნათლის შეჩერება მეფე კარლოსის თხოვნით წარმართებზე გასამარჯვებლად;

III — წარმართული კერპების დაქცევა;

IV — ძველი რელიგიის უარყოფა და ახალი რელიგიის აღიარება.

ამგვარად, მზის დაბნელება არის ცენტრალური ეპიზოდი თხზულებისა, რომელიც „მოქცევამ ქართლისაჲს“, „მეფეთა ცხოვრების“ და „ნინოს ცხოვრების“ რედაქციათა მიხედვით სხვადასხვა ვერსიითაა წარმოდგენილი.

„ნინოს ცხოვრების“ რედაქციათა მონაცემები ვგაგულვებინებს, რომ მზის დაბნელება მირიან მეფისათვის სიმბოლოა ღვთის რისხვისა, რომელმაც მირიანი უნდა შემოაბრუნოს ჭეშმარიტებისაკენ, ანაზოს მას მამდე უხილავი, ნათელი გზა სულიერი ამაღლებისაკენ, აზიაროს ქრისტესმიერ ნათელს.

მზის დაბნელების ეპიზოდს ამგვარი ანტინომიური გაგება აქვს: იგი არის სიბნელის გზით მოსული და დამკვიდრებული ნათელი სიბნელეში.

„ნინოს ცხოვრებაში“ მზის დაბნელებას, ვითარცა სიმბოლოს გამოკვეთას ერთგვარი ტრადიციული ძირები აქვს და მისი გამოყენება „ახალი აღთქმის“ კონტექსტში პოულობს ანალოგებს, სადაც ჩამქრალი მზის სიმბოლო ქრისტეს სიკვდილს უკავშირდება. „ნინოს ცხოვრებაში“ სიმბოლო — მზის დაბნელება ესთეტიკური ფენომენია და განსაზოვნების ეიდეტურ ტიპს განეკუთვნება.

„ნინოს ცხოვრებისაგან“ განსხვავებით, ძველ რუსულ და ფრანგულ ეპოსებში — „ამბავი იგორის ლაშქრობისა“ და „სიმღერა როლანდზე“, მზის დაბნელებას, როგორც სიმბოლოს, სხვადასხვაგვარი ფუნქციური დატვირთვა აქვს. თუ წარმართი მირიანისათვის მზის დაბნელება ქრისტესმიერი მოვლენაა, ნოვგოროდ-სევერსკის მთავარ იგორისათვის იგი სამხედრო დამარცხების წინასწარმეტყველური ნიშანია, რომელსაც იგი ქრისტესმიერი გაფრთხილების სიმბოლოდ არ აღიქვამს; ბნელმა ნათლის გავლით შვა ბნელი, რათა კვლავ სინათლეს ზიარებულნიყო მთავრის სული.

„სიმღერაში როლანდზე“ მზის დაბნელების ეპიზოდი ორგვარი სიმ-



ბოლური მნიშვნელობისაა: I — ბნელდება მზე თვით საფრანგეთის და მარცხებისა და როლანდის დაღუპვის გამო; II — სიმბოლურად ბნელდება მზე — ქრება სიცოცხლე როლანდისათვის, რომელიც, ავტორის ჩანაფიქრით, ერთგვარი მიზეზია მზის დაბნელების და ამავე დროს შედეგიც.

„ნინოს ცხოვრების“ რედაქციებსა და „ამბავის“ ავტორთაგან განსხვავებით, „სიმღერაში“ მზის დაბნელება, როგორც სახისმეტყველებითი ფუნქციის მქონე იდეა, ახსნილია თვით ავტორის მეშვეობით. საფრანგეთის მეფის ვედრებით ბრძოლის ასპარეზზე, დროის გარკვეულ მონაკვეთში შეჩერებული მზე — სიმბოლური გამოხატულებაა ღვთის წყალობისა, რომელიც ქრისტიანი ხალხის გასამარჯვებლადაა მოყვანილი და რომელიც უფალმა საფრანგეთისა და მის ქრისტიან მხედრობას მოწყალებად მიაგო დაბნელებისას დაკარგული ნათლის ასანაზღაურებლად.

სიუჟეტური კვანძის გახსნა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ქართლის მეფე მირიანისა და ნოვგოროდ-სევერსკის მთავრის იგორის მიერ მზესთანაა დაკავშირებული; პირველისათვის მისი დაბნელება ძველი სარწმუნოების ღალატით და გაქრისტიანებით მთავრდება, „ამბავში“ კი წარმოჩენილია წარმართული რელიგიის კიდევ ერთი გაბრძოლება საკუთარი პოზიციების განსამტკიცებლად, რომელიც, გარეგანი წინააღმდეგობის მიუხედავად (იგორმა მაინც ილაშქრა), საბოლოო შედეგით იგორის ქრისტიანული რწმენისადმი ღალატად აღიქმება.

მეფე მირიანი, იგორისა და როლანდისაგან განსხვავებით, გონებისმიერ მოქმედებას უქვემდებარებს გრძნობას და მისი გადაწყვეტილება გამართლებულია.

„ნინოს ცხოვრების“ რედაქციათა ავტორებმა ამგვარი სულიერი ტრანსფორმაციით და ნათლის ესთეტიკის მიზანმიმართული ჩვენებით, წარმოდგინეს მირიან მეფისა და ქართლის ხსნის ცხოველმყოფელი გზა. მზის დაბნელების სიმბოლური დატვირთვის მეშვეობით მათ „ჩრდილო“ ქართლი ნათლის სავანედ აქციეს.

### დამოწმებული ლიტერატურა

1. ამბავი იგორის ლაშქრობისა, თარგმანი და წინათქმა ს. ჩიქოვანისა, თბ., 1938.
2. ამბავი იგორის ლაშქრობისა, თარგმანი და წინათქმა კ. ჭიჭინაძისა, თბ., 1957.
3. არსენ ბერი, ცხოვრება და მოქალაქეობა და ლუაწლი წმინდის და ღირსისა ჩუენისა ნინოასი..., ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ჭგლები, ტ. III, თბ., 1973.



4. ვ. ბარნოვი, არმაზის მსხვერველ, თბზ., ტ. VII, თბ., 1962.
5. ა. ბელი, სიმბოლიზმი, მ., 1910 (რუსულ ენაზე).
6. გელასი კესარიელი, გეორგია, ტ. I, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებანი დაურთეს ალ. გამყრელიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1961.
7. ერმია სოზომენე, გეორგია, ტ. I, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებანი დაურთეს ალ. გამყრელიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1961.
8. თეოდორე კვირელი, გეორგია, ტ. I, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებანი დაურთეს ალ. გამყრელიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1961.
9. ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთასა და პირველთაგანთა შამათა და ნათესავთა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955.
10. დ. ლიხაჩოვი, „ამბავი იგორის ლაშქრობის“ ავტორის ისტორიული და პოლიტიკური თვალსაწიერი. ამბავი იგორის ლაშქრობისა, გამოკვლევების და სტატიების კრებული ვ. აღრიანოვა-პერეტცის რედ., მ., 1950 (რუსულ ენაზე).
11. დ. ლიხაჩოვი, ისტორიულ-ლიტერატურული ნარკვევები, მ. —ლ., 1955 (რუსულ ენაზე).
12. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, „ნინოს ცხოვრების“ შატბერდულ-ჰელიოფორი რედაქციები, ძველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლები, I, ილ. აბულაძის რედ., თბ., 1953.
13. რუფინუზი, გეორგია, ტ. I, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებანი დაურთეს ალ. გამყრელიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1961.
14. სიმლერა როლანდზე, თარგმანი რ. გვეტაძის, ალ. აბაშელის, ხ. ვარდოშვილისა, თბ., 1948.
15. რ. სირაძე, ქართული ესთეტიკური აზრის ისტორიიდან, თბ., 1978.
16. რ. სირაძე, ქართული ესთეტიკის სპეციფიკისათვის, „ცისკარი“, თბ., 1984, № 6-7.
17. სოკრატე სქოლასტიკოსი, გეორგია, ტ. I, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებანი დაურთეს ალ. გამყრელიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1961.
18. უცნობი ავტორი, „ნინოს ცხოვრება“. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ს. ყუბანეიშვილის რედ., თბ., 1947.
19. „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანი, ილ. აბულაძის რედ., თბ., 1953.



# ყალბით და ფუხვით

მუროვალთა პელი მიწაღების და ნაშრომი განაძად  
დაშობის.

ქართული ხელნაწერი  
წიგნის მინაწერი



თიხუც  
ლ  
თიჯანს

- 1. კ. მარტოვი, "მწიგნობრობის ისტორია", ტ. VII, თბ., 1910 (რუსული ენა).
- 2. ი. ბერი, "საბჭო-სსსრ", 2, 1910 (რუსული ენა).
- 3. ი. ბერი, "საბჭო-სსსრ", 2, 1910 (რუსული ენა).
- 4. ი. ბერი, "საბჭო-სსსრ", 2, 1910 (რუსული ენა).
- 5. ი. ბერი, "საბჭო-სსსრ", 2, 1910 (რუსული ენა).
- 6. ი. ბერი, "საბჭო-სსსრ", 2, 1910 (რუსული ენა).
- 7. ი. ბერი, "საბჭო-სსსრ", 2, 1910 (რუსული ენა).
- 8. ი. ბერი, "საბჭო-სსსრ", 2, 1910 (რუსული ენა).
- 9. ი. ბერი, "საბჭო-სსსრ", 2, 1910 (რუსული ენა).
- 10. ი. ბერი, "საბჭო-სსსრ", 2, 1910 (რუსული ენა).
- 11. ი. ბერი, "საბჭო-სსსრ", 2, 1910 (რუსული ენა).
- 12. ი. ბერი, "საბჭო-სსსრ", 2, 1910 (რუსული ენა).
- 13. ი. ბერი, "საბჭო-სსსრ", 2, 1910 (რუსული ენა).
- 14. ი. ბერი, "საბჭო-სსსრ", 2, 1910 (რუსული ენა).
- 15. ი. ბერი, "საბჭო-სსსრ", 2, 1910 (რუსული ენა).
- 16. ი. ბერი, "საბჭო-სსსრ", 2, 1910 (რუსული ენა).
- 17. ი. ბერი, "საბჭო-სსსრ", 2, 1910 (რუსული ენა).
- 18. ი. ბერი, "საბჭო-სსსრ", 2, 1910 (რუსული ენა).
- 19. ი. ბერი, "საბჭო-სსსრ", 2, 1910 (რუსული ენა).



## ერთი კველი ქართული მორთული ხელნაწერის თავისებურება

მინიატიურა ძველი ქართული ხელნაწერის მხოლოდ სამკაული რო-  
ლია. საკმარისია ხელნაწერში ერთი მინიატიურა მაინც იყოს წარმოდგე-  
ნილი, თუნდაც არასრულყოფილი სახით, რომ ეს ხელნაწერი უკვე მორ-  
თულად იწოდება.

ხელნაწერის მორთულობაში უამრავი დეტალია გასათვალისწინებე-  
ლი, პირველ რიგში თვალშისაცემია ფერადოვნება, სრულყოფილი პა-  
ლიტრა, დეკორი.

ძველი ქართული ხელნაწერების მორთულობის ერთ-ერთი ელემენ-  
ტია ხე-მცენარე.

ხის სიმბოლიკა გვხვდება როგორც ძველ ქართულ მწერლობაში, ასე-  
ვე უძველესი ქართული ხელნაწერების მორთულობაშიც. თავდაპირვე-  
ლად ქართულ ხელნაწერებში ხე-მცენარე წარმოდგენილი იყო მეორეხა-  
რისხოვანი ორნამენტის სახით, რომლის შემწეობითაც ხელნაწერის მორ-  
თულობა დასრულებულ იერს იძენდა.

სწორედ მცენარეული ორნამენტით ივსებოდა XI საუკუნის ხელნაწე-  
რებში ტექსტებს შორის დატოვებული სივარცხლე. ეს სივარცხლე წარ-  
მოდგენილი იყო ოთხკუთხედებით, რომელთა ოთხივე, ზოგჯერ კი მხო-  
ლოდ ორ კუთხეში, გამოსახული იყო აყვავებული ფოთლები და ტალღი-  
სებურ მოძრაობაში მყოფი ყლორტები. ამ პერიოდის ხელნაწერების თავ-  
ხატულობაც (თავსართი), რომელიც წინ უძღოდა ტექსტს, ასევე წარ-  
მოდგენილი იყო მცენარეული ორნამენტით, კერძოდ, აქ გამოსახული  
იყო მცენარის ღერო ერთი, ორი ან სამფურცლოვანი ფოთლებით.

XII-XIII საუკუნეებში ქართული ხელნაწერების დასურათების პრინ-  
ციპი შეიცვალა. ამ პერიოდის ხელნაწერებში შეიმჩნევა არა მარტო ცალ-  
კეული დეკორატიული ელემენტების არსებობა, არამედ მინიატიურათა  
სერიებიც.

ამ მინიატიურებში მცენარეული ორნამენტის, ფოთლოვანი და ყვა-  
ვილოვანი დეკორის გარდა, შემოსაზღვრულია ხეებით, რომლებსაც კომ-  
პოზიციური დატვირთვაც აქვთ.

XI-XIV სს. ოთხთავების დეკორატიული მორთულობის სისტემებში  
შეიმჩნევა სტილიზებული მცენარეული ორნამენტის კა. გასათვალისწინე-  
ბელია ის გარემოებაც, რომ ტექსტი აქ მჭიდრო კავშირშია დეკორთან.



მიუხედავად იმისა, რომ ხის სიმბოლიკის გამოყენება უცხო-  
 ძველი ქართული მორთული ხელნაწერებისათვის, მაინც ერთგვარი გამო-  
 ნაკლისა სულხან-საბა ორბელიანის „სამოთხის კარის“ ხელნაწერის მინი-  
 ატიურები, სადაც მეტად ორიგინალური ფორმით არის წარმოდგენილი  
 ხე და ხის სიმბოლიკა. ხელნაწერი გადაწერილია ქ. მოსკოვში ვინმე ლუ-  
 არსაბის მიერ 1732 წელს და ყურადღებას იქცევს ორიგინალური სიმბო-  
 ლიკით. ხელნაწერს წინ უძღვის 13 ილუსტრაცია, რომლებზედაც გამოსა-  
 ხულია ჩარჩოში მოთავსებული ყვავილოვანი ხე და ამ ხის მეშვეობით  
 არის მოწოდებული შვიდი მომაკვდინებელი ცოდვა და მათი დამორგუნ-  
 ველი მადლი. მხოლოდ მეცამეტე ილუსტრაციაა სიტყვიერი მინიმუმების  
 გარეშე. ამ მინიატიურებში ხე ერთგვარ თვალსაჩინოებას წარმოადგენს.  
 დატოტვილი და ფოთლოვანი ხის საშუალებით გაცილებით ხატოვანი და  
 ფერადოვანია „ცოდო-მადლის“ ილუსტრაციული მოწოდება.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ მინიატიურებში ფერს სიმბოლოური  
 დატვირთვა არ გააჩნია და მხოლოდ თვალსაჩინოებისა და ტექსტის უკეთ  
 აღსაქმელად გამოიყენება. წინააღმდეგ შემთხვევაში, არაფრით არ  
 მოხდებოდა, რომ სხვადასხვა ზნეობრივი ნორმის გამომსახველი ფოთ-  
 ლები ერთნაირი ფერითი გამით ყოფილიყო მოწოდებული, მაშინ აუცი-  
 ლებლად გათვალისწინებული იქნებოდა ფერის საწყისი სიმბოლიკა და  
 ილუსტრაციებიც ორსახოვანი სიმბოლიკით იქნებოდა წარმოდგენილი.

ამ მინიატიურებში ხე ერთგვარი თავისუფალი გააზრებით არის და-  
 ხატული. იგი განსხვავებულია ბუნებაში არსებული ხისგან, რადგანაც  
 ფოთლოვანი და დატოტვილი ხის კენწეროზე აქ გამოსახულია დიდი  
 ზომის ყვავილი, რომლის ფურცლებიც ასევე შემოსაზღვრულია. 13 ილუს-  
 ტრაციიდან მხოლოდ ორშია ოთხფურცლოვანი ყვავილი, ათში — ხუთ-  
 ფურცლოვანი და მხოლოდ მეცამეტე ილუსტრაციაში, რომელიც ასრუ-  
 ლებს მინიატიურათა სერიას, დახატულია ცხრაფურცლოვანი ყვავილი,  
 რომელშიც გამოსახულია ხუთ- და ოთხფურცლოვანი ყვავილების ორმა-  
 გი სახე. შეიძლება ეს ყვავილი იმიტომ არის ასეთი ორიგინალური ფორ-  
 მის, რომ სწორედ ფურცელთა ორბუნებოვნებითა და რიგითობით ცდი-  
 ლობენ მიგვანიშნონ „ცოდო-მადლის“ განუყოფლობაზე.

მსგავსი შემთხვევა — ძველი ქართული ხელნაწერის ტექსტი ხე-სიმ-  
 ბოლოსა და ხე-თვალსაჩინოების ასეთი ორიგინალური შერწყმის შედე-  
 გად რომ იყოს მოწოდებული, თითქმის არ შეგვხვედრია, მაგრამ, მიუხე-  
 დავად ამისა, არ შეგვიძლია, ამ ხელნაწერის მორთულობა მივაწეროთ  
 მხოლოდ და მხოლოდ ავტორის ლიტერატურულ გემოვნებასა და თვით-  
 მყოფად ხელწერას. შეიძლება გამოვთქვათ მოსაზრება, რომ „სამოთხის  
 კარის“ მორთულობა რომელიმე უცნობი ლიტერატურულ-მხატვრული  
 სკოლის მკაცრად ჩამოყალიბებული ხელწერა და ესთეტიკაა.

ქართული ბიბლიოთეკა

საქართველოს ბიბლიოთეკების კავშირის ცენტრი

თბილისი



---

**ბიბლიოთეკები  
და  
ბიბლიოფილები**





მოუხედავად ამისა, რომ ხელისუფლების გამოცემა  
ფელა ქართული მოთხოვნილება სულ-წყობისათვის, მანვე ერთდროს გამო  
ნაკლესა სულს-სამა რამდენიმის, სამოთხის კარის ხელნაწერის მით  
ქართული მოთხოვნილება რამდენიმის არის წარმოადგენდა

**ცნობილია, რომ წიგნის სიმკვრივე სიბრძნის სიმ  
კვარულია.**

**რიჩარდ დე ბერი**

1732 წელს და უკიდურესს იქცეს თრევიზელური სიმთ  
ლოკით ხელნაწერს წიგნების 13 ილუსტრაცია, რომელიცდაც გამო  
ხელისა მართლაც მოიხატეს. ამ ხელნაწერში ხელნაწერის  
არის მოწოდებული შედეგ მომკვდინებელი ცოცხა და მათი დამოუკ  
ველი მართლაც მოლოდ შეცდებებ ილუსტრაციას სიტყვითა მიხიზნის  
გარეშე ამ მნიშვნელობაზე ხე უკიდურესი თვალსაზრისობებს წარმოადგენ  
დატოვებდა და ერთდროს მოხატულია ხელნაწერის ხატობასა და  
ფორმადგენის კოდა-მოდულს გამოუდგენდა.



ესე უნდა აღინიშნოს, რომ ხელნაწერის მიხედვით სიმთლოდ  
დატოვებდა არ გამოიხატეს, რომელიცდაც გამოიხატეს და ტექსტის უკ  
ფლავებულად გამოიხატეს. ერთდროს ერთდროს ერთდროს, არაფრით ამ  
მოხედობდა, რომ სხვადასხვა მნიშვნელობა წარმოადგენდა ერთ  
დროს ერთდროს ერთდროს გამოიხატეს მოწოდებული, მაშინ არაფ  
რითაც ერთდროს ერთდროს ერთდროს სიმთლოცა და  
ილუსტრაციების გამოიხატეს. ერთდროს ერთდროს ერთდროს

**მკვლევარული**

ამ მნიშვნელობაზე ხე უკიდურესი თვალსაზრისობებს არის და  
ხატობა. იგი განსაკუთრებულია ხელნაწერის არსებული ხისგან, რადგან  
ერთდროს და დატოვებდა სიმთლოცა და გამოიხატეს და  
სიმთლოცა და დატოვებდა სიმთლოცა და გამოიხატეს და  
13 ილუსტრაციების გამოიხატეს. ერთდროს ერთდროს ერთდროს  
ერთდროს და მოლოდ შეცდებებ ილუსტრაციას, რომელიცდაც გამო  
ღმის მნიშვნელობა სიტყვის, დატოვებდა ცნობილიყოფნის უკიდურ  
რამდენიმე გამოიხატეს ხელ- და რამდენიმე ცნობილიყოფნის თან  
გა ხისგან. შედეგზე ეს უკიდურესი თვალსაზრისობის გამო  
მის, რომ სწორედ ერთდროს ერთდროს ერთდროს და რამდენიმე ც  
ლოდინ მკვლევარული კოდა-მოდულს გამოუდგენდა.

**მკვლევარული**

შედეგზე შედეგზე — ფელა ქართული ხელნაწერის ტექსტი ხელნ  
ლოცისა და ხე-თვალსაზრისობის ერთდროს ერთდროს ერთდროს  
გად რომ ფელა მოწოდებულია, ერთდროს არ შეცდებება, მაგრამ მოწ  
დავად ამისა, არ შეცდებდა, ამ ხელნაწერის მოთხოვნილება შეცდებ  
მოლოდ და მოლოდ ატორის დატოვებულად გამოიხატეს და თვალ  
შეცდებებ ხელნაწერის მოწოდება გამოიხატეს მოთხოვნილება, რომ გამოი  
განის მოთხოვნილება რამდენიმე ცნობილიყოფნის დატოვებულად  
სიტყვის შეცდებებ გამოიხატეს ხელნაწერის და ერთდროს

## კარდინალი და ბიბლიოთეკარი

რას იზამ — კარდინალებს ისტორია უკეთესად იმახსოვრებს, ვიდრე ბიბლიოთეკარებს, ისევე, როგორც მეცენატებს უკეთესად, ვიდრე მათ, ვისაც ისინი მფარველობენ. კარდინალები მდიდრები არიან, ბიბლიოთეკარები — ლარიზნი. კარდინალები მომავალი დიდებისთვის იღვწიან, ბიბლიოთეკარები მხოლოდ წიგნებსა და მკითხველებზე ზრუნავენ.

1644 წლის 30 ივნისს პარიზის „გაზეტ დე ფრანსი“ იუწყებოდა, რომ საფრანგეთის პირველმა მინისტრმა, კარდინალმა ჯულიო მაზარინიმ „თავისი დიდებული სასახლე აქცია აკადემიად ყველა მეცნიერისთვის. მათ უფლება აქვთ ყოველი კვირის ზუთშაბათს ისარგებლონ საუკეთესო ბიბლიოთეკით, რომლის მსგავსი კაცობრიობას ჯერ არ შეუქმნია“. კეთილი ზრახვებით გულანთებულმა კარდინალმა ბიბლიოთეკარ გაბრიელ ნოდესა და მის თანაშემწეს უბრძანა: ყოველ ზუთშაბათს ბიბლიოთეკის კარები გაეღოთ ყველა მსურველისთვის; მომსვლელებისთვის მიეწოდებინათ ნებისმიერი წიგნი მათთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხზე“. ნოდეს ნაბრძანები ჰქონდა აგრეთვე, მომსვლელებისთვის გულუხვად გაეზიარებინა „მსოფლიოში ერთადერთი“ ბიბლიოგრაფიული ცოდნა, თუ მათ აუცილებელი წყაროს მონახვა გაუჭირდებოდათ.

თითქმის სამნახევარი საუკუნე გავიდა იმ დროიდან, მაგრამ ნოდეს მიერ შექმნილი მაზარინის ბიბლიოთეკა — მართალია, სულ სხვა შემადგენლობით, სხვა შენობაშია და არა დამოუკიდებელი სახით, არამედ როგორც საფრანგეთის ეროვნული ბიბლიოთეკის ნაწილი — დღესაც არსებობს და მთელ მსოფლიოშია ცნობილი. არ შეცვლილა მხოლოდ ერთი რამ — მისი დამფუძნებლის სახელი; იგი ისევ მაზარინის ბიბლიოთეკად იწოდება. ლუდოვიკო XIII-ის, შემდეგ კი დედოფალ-რეგენტის — ანა ავსტრიელის, შემდეგ კი „მეფე მზის“, ლუდოვიკო XIV-ის პირველმა მინისტრმა — ჯულიო მაზარინიმ მართლა მისცა ფული წიგნების შესაძენად და მოწყალედ მოიწონა ბიბლიოთეკარის მიერ შეთავაზებული, იმ დროისათვის გაუგონრად თამამი და დეტალურად დამუშავებული გეგმა ყველასათვის ხელმისაწვდომი წიგნთსაცავისა, მაგრამ არავის აზრად არ მოსვლია, წიგნის ამ საოცარი სამეფოსთვის მისი ნამდვილი შემქმნელის — გაბრიელ ნოდეს სახელი ეწოდებინა.

საფრანგეთს მთლად არ დავიწყებია ნოდე — ეს ორიგინალური მოაზროვნე (მონტენის მიმდევარი, როგორც ზოგჯერ უწოდებენ მას), საბიბ-



ლიოთეკო საქმის თეორეტიკოსი და უნარიანი პრაქტიკოსი; თავისი დროის ცნობილი მედიკოსი; მის საპატიო აღგილი უკავია, მაგრამ მხოლოდ მის ტორიულ შრომებში. მაზარინის ბიბლიოთეკის ახლანდელ საპარადო დარბაზში ცნობილ მეცნიერთა და მწერალთა გამოსახულებების გვერდით ნახავთ გაბრიელ ნოდეს საკულტურულ პორტრეტსაც, მაგრამ მაინც, როდესაც ეცნობი ამ წიგნთსაცავის საოცარ ისტორიას, უნებურად ფიქრობ, უფრო უპრიანი ხომ არ იქნებოდა პირიქით გაეკეთებინათ — ნოდეს სახელობის ბიბლიოთეკაში, სხვათა შორის, მოეთავსებინათ კარდინალ მაზარინის პორტრეტი.

\*

ვიდრე აღვწერდეთ ამ ორი ადამიანის შეხვედრას, რამაც ევროპის საბიბლიოთეკო საქმის ისტორიაში განუმეორებელი ძალის ელექტრონული განმუხტვა გამოიწვია, ცალ-ცალკე მოგითხრობთ თითოეულ მათგანზე. კარდინალზე ცოტა მოკლედ, ბიბლიოთეკარზე — უფრო დაწვრილებით.

ჯულიო მაზარინი (1602, 14. VII — 1661, 9. III) წარმოშობით მცირე შეძლების სიცილიელი აზნაურის ოჯახიდან იყო. რამდენიმე ხანი სამხედრო სამსახურში მოღვაწეობდა. შემდეგ რომში საუნევერსიტეტო განათლება და სასულიერო სამართლის დოქტორის ხარისხი მიიღო. ჯეროვანი უნდა მივაგოთ მომავალ კარდინალს: წიგნებისა და ხელოვნების საგნებისადმი ინტერესი ყმაწვილობის წლებიდან დაჰყვა. როგორც კი კვირინალის გორაზე საკუთარი სახლი შეიძინა, მაზარინიმ მაშინვე დაიწყო მისი გავსება ცნობილი ოსტატების მიერ შექმნილი ოქროსა და ვერცხლის ფიალებით, ლარნაკებით, გამოჩენილი ადამიანების ქანდაკებებით და, რასაკვირველია, წიგნებითაც. მათი რაოდენობა ხუთი ათასამდე აღწევდა. ციცერონი, თუკიდიდე, ვერგილიუსი და სხვა მრავალი კლასიკოსი, პატივმოყვარე სიცილიელის კომპანიონები გახდნენ მის მყუდრო სავანეში. მაზარინი დაინტერესებული იყო საფრანგეთის ისტორიით და არცთუ ცუდად იცოდა იგი; ყოველ შემთხვევაში, 1634 წელს პარიზში ბაპის ნუნციის შეცვლა რომ გახდა საჭირო, ვატიკანმა არჩევანი მაზარინზე შეაჩერა. ამან განსაზღვრა მისი ბედი. სხვა მრავალ მოვლენათა შორის, განაპირობა შეხვედრა ნოდესთან და საფრანგეთში პირველი საჯარო ბიბლიოთეკის შექმნა. მაზარინიმ, რომელსაც მოწყალე თვალთ უყურებდა საფრანგეთის პირველი მინისტრი — კარდინალი რიშელიე, სამი წელი (1634-1636) დიპლომატიურ სამსახურში გაატარა. 1639 წელს საფრანგეთის ქვეშევრდომი გახდა და, თუ ისტორიკოსებს დაგუჯერებთ, საიდუმლოდ იქორწინა ანა ავსტრიელზე — ლუდოვიკო XIII-ის ქვრივზე. ეს გამორიცხული არ არის, რამდენადაც იტალიაში მაზარინის უქორწინ-



ნობის ფიცი არ დაუღვია. 1644 წელს მაზარინიმ ბიბლიოთეკა დააპარსა.

გაბრიელ ნოდე დაიბადა 1600 წლის 3 თებერვალს ძირძველი პარიზელის, წვრილი მოხელის ოჯახში. დედამისმა წერა-კითხვა არ იცოდა. შვილს დიდი ბეჯითობით მოუხდა ამ ხარვეზის შევსება. პირველად იგი სამონასტრო სკოლაში სწავლობდა, რომ დაუფლებოდა ლათინურს — იმ დროის ადამიანის მთავარ სულიერ იარაღს; მალე გამოვლინდა ჰუმანიტური ფილოსოფიური მოძღვრებისადმი მისი ინტერესი და სკეპტიკური ჭკუა-გონება. „სენეკამ უფრო მეტი გავლენა მოახდინა ჩემზე, ვიდრე არისტოტელემ, — წერდა იგი, — პლუტარქემ უფრო მეტი, ვიდრე პლატონმა, პორაციუსმა უფრო მეტი, ვიდრე ჰომეროსმა და ვერგილიუსმა, ხოლო მონტენმა უფრო მეტი, ვიდრე ყველამ ერთად აღებულმა“. ჯერ კიდევ სკოლის პერიოდში, როდესაც წიგნის საყიდელი ფული არ ჰქონდა, ნოდე საყვარელი მწერლების ნაწარმოებებს ბავშვური ხელით გადაწერდა ხოლმე და ასე ქმნიდა პირად ბიბლიოთეკას (მომავალი ბიბლიოთეკის ჩანასახს). მან უკვე 1620 წელს შეადგინა და თავისი ხარჯით გამოსცა პოლიტიკური ტრაქტატი. მაგრამ ლიტერატურულ ნიჭს ხელი არ შეუშლია საბუნებისმეტყველო მეცნიერებებით დაინტერესებაში — იგი სორბონის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე შევიდა. იმდროინდელი საფრანგეთის მედიცინის ჩამორჩენილობა და პროფესორთა კონსერვატიზმი ნოვატორ ადამიანს ფართო ასპარეზს ჰპირდებოდა. ამასთან, სამედიცინო პროფესია მყარი შემოსავლის იმედსაც იძლეოდა, რასაც გაბრიელ ნოდესთვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა. აქ ჩვენ მივადექით ნოდეს ბიოგრაფიის გარდამტეხ წერტილს. უნივერსიტეტში ორი წლის მეცადინეობის შემდეგ, ახალგაზრდა მედიკოსმა და ჰუმანიტარმა, ადვოკატთა ერთ-ერთი კორპორაციის პრეზიდენტის, პარლამენტის წევრის, მეფე ჰენრი დე მესმას მრჩევლის წინადადება მიიღო — წესრიგში მოეყვანა და შეეგოს მეფის საგვარეულო ბიბლიოთეკა. ნოდემ იცოდა, რომ მესმათა ოჯახი ხელოვნებისა და მუზის მსახურთა მფარველი იყო. იგი დათანხმდა.

ამ დროიდან ნოდე საბიბლიოთეკო საქმის პრაქტიკოსი და თეორეტიკოსი გახდა. მესმას ბიბლიოთეკა იმ დროისათვის უდიდესი იყო: იგი 8000 ტომს შეიცავდა. კერძოდ, აქ იყო დიდი მოგოლის კარზე შეგროვილი აღმოსავლური იშვიათობანი; აღდების კოლექცია; საუკეთესოდ შენახული ანტიკური ბერძნული, ლათინური და ძველი ბერძნული ხელნაწერები. დე მესმასთან ორი წლის მუშაობის შემდეგ, რამაც დიდი სარგებლობა მოუტანა მასაც და მის პატრონსაც, ნოდე იტალიაში გაემგზავრა, რომ პადუის უნივერსიტეტში გაეგრძელებინა სწავლა. პარიზიდან წაღებულმა სარეკომენდაციო წერილებმა მას ყველა კარი გაუღო. ნოდემ იხილა ხელოვნების, კულტურისა და მწიგნობრობის ისეთი სიმდიდ-



რე, რაც უწინ არსად ენახა. ეს იყო სწორედ ის დრო, როდესაც გაზრდა სამართლის დოქტორი ჯულიო მაზარინი დიპლომატიისა და კოლექციონერობის გზას ადგებოდა, მაგრამ იტალიაში მათი შეხვედრა ისტორიკოსებს არა აქვთ აღნიშნული. მიუხედავად ამისა, იტალიაში ნოდე გაეცნო წიგნის მრავალ კერძო კოლექციას, რამაც იგი განაცვიფრა.

ნოდე საერთოდ არ აპირებდა იტალიის დატოვებას, მაგრამ 1627 წელს, როდესაც მიიღო ცნობა მამის გარდაცვალების შესახებ, მას პარიზში, მესმას ბიბლიოთეკაში დაბრუნება მოუხდა; მაგრამ პადუელ მეგობრებთან — მეცნიერ-მედიკოსებთან კავშირი არ გაუწყვეტია. მათ ახალმოჩენილი სამედიცინო წიგნებით ამარაგებდა. შემდგომში ამან კეთილი ნაყოფი გამოიღო. პარიზში დაბრუნებულმა გაბრიელ ნოდემ მალე დაამთავრა და დაბეჭდა თხზულება, რომელზეც რამდენიმე წელი მუშაობდა — „რჩევა ბიბლიოთეკის მოწყობის შესახებ“. ამ ტრაქტატმა უზარმაზარი როლი ითამაშა საბიბლიოთეკო საქმეში; ამასთან, ეს იყო მომავალი თაობისადმი ნოდეს ანდერძი, რომელიც იქამდე დაიწერა, ვიდრე ადამიანს ანდერძის წერის დრო დაუდგება ხოლმე. კერძოდ, მან თავისთვის განაზოგადა მესმას ბიბლიოთეკასა და იტალიის კერძო წიგნის კოლექციებისგან მიღებული შთაბეჭდილებანი. მაგრამ მეგობრები ისე ხშირად სთხოვდნენ „რჩევის...“ გადაწერას, რომ ნოდემ უმჯობესად ჩათვალა მისი დაბეჭდვა. ავტორის მიზანი იყო კერძო შემგროვებლებისთვის შეეთავაზებინა რეკომენდაციები „წიგნებით უფრო სრულყოფილად დატკბობისათვის“, ესწავლებინა მათთვის ბიბლიოთეკის მოწყობისა და მისი დაცვის წესები, რომ „რაც შეიძლება მეტი სარგებლობაც მოეტანა და მიმზიდველიც ყოფილიყო იგი“. მკითხველს ვთავაზობთ „რჩევის...“ ძირითადი იდეებისა და განყოფილებების კონსპექტს.

\*

ნოდეს აზრით, იდეალური ბიბლიოთეკა უნდა შეიცავდეს არა მარტო კლასიკოსთა სტანდარტულ გამოცემებს (მისი დროის კერძო ბიბლიოთეკების ჩვეულებრივი შემადგენლობა), არამედ ყველა დროისა და ხალხის უმთავრეს თხზულებებსაც ცოდნის ყველა დარგში. ასეთი განმეულობის ბედნიერი მფლობელი შეიძლება გახდეს ნამდვილი მსოფლიო მოქალაქე, რადგან ამ ბიბლიოთეკით იგი „შესძლებს შეიმეცნოს ყველაფერი“. არ არსებობს ისეთი ცუდი წიგნი, — ფიქრობს ნოდე, — რომელიც ვინმეს შაინც რაიმეთი არ გამოადგეს (ამ პუნქტში ნოდე ძველ რომაელთა მიმდევარია). ნოდეს მიხედვით, იდეალური ბიბლიოთეკის ხარისხი განისაზღვრება უბრალოდ: „მასში ყველამ უნდა იპოვოს ის, რასაც ეძებს“. მაგრამ თვით ეს დებულება გულისხმობს, რომ ერთის კუთვნილი ბიბლიოთეკა ყველასთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი. სწორედ ამას ამტკიცებდა



ნოდე. ამით მან გაუსწრო არა იმდენად თავის დროს (ასეთი გულწრფელი მიდგომა უცხო არ იყო XV-XVII სს. ჰუმანისტებისთვის), რამდენადაც შემდგომ დროს, რომელსაც ბურჟუაზიული მესაკუთრული დადი აზის და რამაც წიგნის შემგროვებლობაშიც შეაღწია. ბიბლიოთეკაზე გაწეული უზარმაზარი ხარჯების ერთადერთი გამართლება ის არის, რომ იგი კულტურული სიმდიდრის საზოგადოებრივ სარგებლობაში გადაცემას უნდა ემსახურებოდეს. ეს ითქვამს იმ დროს, როცა ევროპაში სამი საჯარო ბიბლიოთეკა იყო: ბოდლიანა — ოქსფორდში გაიხსნა 1602 წელს; ამბროზიანა — მილანში შექმნა კარდინალმა ბარომეომ 1609 წელს; ანჟელიკა — რომში შექმნა ანჟელო როსიმ 1614 წელს. საფრანგეთში კი „საჯარო და უნივერსალური ბიბლიოთეკები“, რომელზეც ნოდე ოცნებობდა, მაშინ არც ყოფილა.

ნოდემ სარკასტულად დასცინა „ყდისმოყვარულებს“, ვინც წიგნის ძვირფას სამოსელს უფრო მეტად აფასებდა, ვიდრე მის შინაარსს. ნოდე მათ ურჩევს: წიგნის გარეგნობაზე დახარჯული სახსრები ბიბლიოთეკის თემატურ გაფართოებას მოახმარონ (მართალია, შემდგომში, როდესაც ნოდე უზარმაზარი ბიბლიოთეკის შექმნის თეორიიდან პრაქტიკაზე გადავიდა, იგი არცთუ მცირე მნიშვნელობას ანიჭებდა წიგნების სილამაზესა და დაცულობას და ყიდულობდა საუკეთესოდ გამოცემულ წიგნებს, ხშირად კიდევ გაუჭრელსაც კი). ასევე უარყოფითად ეკიდებოდა ჩვეულებას — აუცილებლად დაემშვენებინათ ბიბლიოთეკის დარბაზი ანტიკური ქანდაკებებით და გამოჩენილ მწერალთა სკულპტურული გამოსახულებებით. ნოდეს აზრით, უკეთესი იქნებოდა, ისინი შეეცვალათ გლობუსებით, რუკებით, მიწერალებით, ჰერბარიუმებითა და სხვ.

ნოდე ურჩევს, რომ იდეალურ ბიბლიოთეკაში ჩართონ არა მხოლოდ ძველი, არამედ ახალ ენებზე არსებული თხზულებებიც; არა მხოლოდ მოდურ თემებზე არსებული ტრაქტატები, არამედ ნოვატორული ნაწარმოებებიც; არა მარტო ორთოდოქსების თხზულებანი, არამედ ერეტიკოსებისაც. ეს უკანასკნელი საგვებით ახალი, მოულოდნელიც კი იყო და ძირეულად განსხვავდებოდა სერ თომას ბოდლის (ოქსფორდი) თვალსაზრისისაგან. ლიტერატურის ერთადერთი სახე, რომელსაც ნოდე არ ცნობდა, ეს იყო რომანები და მსუბუქი პოეზია — მათთვის ვერ მოიძებნა ადგილი ნოდეს იდეალურ ბიბლიოთეკაში. მაგრამ „რჩევის...“ გამოქვეყნების 15 წლის შემდეგ, როდესაც მაზარინის არნახული მასშტაბის ბიბლიოთეკას აკომპლექტებდა, ნოდემ უარი თქვა ამ შეზღუდვებზე.

საუბრობდა რა ბიბლიოთეკის შეგროვების მეთოდებზე, ნოდე ამტკიცებდა, რომ სერიოზულმა კოლექციონერმა უნდა გამოიმუშაოს ალღო, რაც უცდომლად მიიყვანს საჭირო წიგნთან წიგნის გამყიდველის ჯიხურში და ბიბლიოგრაფიულ იშვიათობასთან მეძველმანის ჯიხურში, სადაც



ძველი ქალღმერთთა და პერგამენტით ვაჭრობენ. ასეთი ძეგლები შეიძლება უფრო მეტ წარმატებას მიაღწიონ ევროპის სხვა ქვეყნებში. ამიტომ ნოდე ფრანგ ბიბლიოფილებს ურჩევს, საზღვარგარეთ წიგნების მოძებნა მეგობარ მოგზაურებს სთხოვონ.

ნოდემ დიდი ყურადღება დაუთმო უკვე შეგროვილი ბიბლიოთეკის მოწყობას. პირველ რიგში, იგი გულდასმით უნდა გაანაწილონ შეიძობილად განყოფილებად (მაზარინის ბიბლიოთეკაში იგი ნოდემ 12-მდე აიყვანა): თეოლოგია; მედიცინა; სამართალი და იურისპრუდენცია; ისტორია; ფილოსოფია; მათემატიკა; კლასიკური ენები და ლიტერატურა. ნოდე რეკომენდაციას იძლეოდა, ცოდნის ყოველ დარგში წინა რიგში მოეთავსებინათ ფუძემდებლური თხზულებანი, შემდეგ კომენტარები და მისაღმი მიძღვნილი ლიტერატურა. შემდგომი დაყოფა ხდებოდა საუკუნეებისა და ენების მიხედვით, დაბოლოს, ამ რუბრიკების შიგნით გამოიყენებოდა წიგნების განლაგება ფორმატის მიხედვით. ბიბლიოთეკაში მკაცრი წესრიგის გარეშე, მის შექმნაზე დახარჯული მთელი შრომა უნაყოფო იქნებოდა, „რადგან, — ამბობდა ნოდე, — 50 ათასი წიგნიც კი, თუ იქ უწესრიგობა სუფევს, ბიბლიოთეკა არ არის, ისევე, როგორც შეიარაღებული ხალხის ბრბო არ შეიძლება იყოს არმია“.

ნოდეს არ დავიწყნია კატალოგიც, რომელიც ბიბლიოთეკარებმა გულდასმით უნდა შეუდგინონ მათ პატრონებს. კატალოგში წიგნები რაც შეიძლება პატარ-პატარა რუბრიკებად უნდა იყოს დაყოფილი. გამოცდილი ბიბლიოთეკარის მიერ შედგენილი სისტემატური კატალოგი განსაკუთრებით აუცილებელია იმიტომ, რომ განლაგება ნაწილობრივ „ბატონმური“ (ე. ი. ფორმატის მიხედვით) უნდა იყოს და, მაშასადამე, ერთსა და იმავე საგანზე წიგნი შეიძლება აღმოჩენილიყო სხვადასხვა ადგილას. ამ შემთხვევაში მკითხველს დაეხმარება სისტემატური კატალოგი. არანაკლები მნიშვნელობა აქვს ანბანურ კატალოგსაც: მისი საშუალებით მკითხველი აუცილებლად იპოვის ნებისმიერი ავტორის თხზულებას. ამასთანავე, აკურატული ანბანური კატალოგი დაგვეხმარება თავიდან ავიცილოთ დუბლეტების შექმნა, რადგან ვერავითარი მეხსიერება ვერ გაუძლებს 50 ათასი დასახელების დამახსოვრებას. ყოველივე ეს ამჟამად ანბანური ჭეშმარიტებაა, მაგრამ გაბრიელ ნოდე საბიბლიოთეკო ანბანის ერთ-ერთი გამომგონებელი იყო.

საინტერესოა ნოდეს აზრი იმის შესახებ, რომ ბიბლიოთეკაში ნახევარი წლის განმავლობაში ახალშემოსული წიგნები გამოყოფილი უნდა იყოს სხვა წიგნებისგან და ცალკე უნდა აჩვენონ მომსვლელებს. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა განალაგონ ახალი წიგნები თავ-თავიანთ ადგილას. ამასთან, ყოველი ნახევარი წლის შემდეგ ახალშემოსული წიგნების განლაგებისას, ბიბლიოთეკარი თავისდაუნებურად ყველა წიგნს გაწმენდს



მტვრისგან და გაანიავებს. სავსებით აქტუალური აზრია XX საუკუნის  
თვისაც.

„რჩევის...“ ავტორმა გვერდი ვერ აუარა ბიბლიოთეკის შენობის მო-  
წყობისა და მოწყობილობის კონკრეტულ საკითხებსაც. ამასთან, მხედვე-  
ლობაში ჰქონდა, რასაკვირველია, მდიდართა სასახლეები და არა ქალა-  
ქელთა მოკრძალებული სახლები. ამ უკანასკნელ აზრს განსაკუთრებით  
უნდა გავუსვათ ხაზი: მოკრძალებული ბიბლიოთეკარის „რჩევა...“ მიმარ-  
თული იყო მეცენატებისადმი — სწორედ მათ უნდა შეექმნათ მეცნიერე-  
ბისთვის ხელმისაწვდომი წიგნთსაცავი. ნოდეს „რჩევის...“ სხვაგვარი, ფარ-  
თო განმარტება, თითქოს იგი ბიბლიოფილურ სახელმძღვანელოს წარ-  
მოადგენდა, რომლითაც ყველას შეეძლო სარგებლობა, არაისტორიული  
იქნებოდა. ნოდე რეკომენდაციას იძლევა ბიბლიოთეკა მოათავსონ სასახ-  
ლის შიდა ნაწილში, შორს ქუჩის ხმაურისა და იმ ოთახებისაგან, რომ-  
ლებშიც მიმდინარეობს ოჯახის ჩვეულებრივი ფუსფუსა ცხოვრება: სამ-  
ზარეულო, სასტუმრო ოთახი და ა. შ. ყველას ჯობს ბიბლიოთეკის მო-  
წყობა ზამთრის ბაღში, ანდა ეზოს შუაგულში, სადაც არის ბუნებრივი  
თანაბარზომიერი განათება, სასიამოვნო ხედი ფანჯრებიდან და სუფთა  
ჰაერი. ბიბლიოთეკა მიწისგან რამდენიმე საფეხურით მაღლა უნდა იყოს,  
რომ წიგნები დაცული იქნას ნესტისგან. ნოდეს არაფერი აქვს ნათქვამი  
ბიბლიოთეკის ხელოვნურ განათებაზე და გათბობაზე. მის დროს ეს უც-  
ნაურად და საშიშადაც კი ეჩვენებოდათ.

ნოდემ თავის „რჩევაში...“ კიდევ რამდენიმე საკითხი დასვა და გა-  
დაწყვიტა. დე მესმასადმი მიმართული რჩევა მრავალი შემგროვებლის-  
თვის შეუცვლელი სახელმძღვანელო გახდა. ინგლისელი საბიბლიოთეკო  
საქმის ისტორიკოსები ოდნავი შურითაც კი აღნიშნავენ, რომ ასეთი წიგ-  
ნი შეეძლო დაეწერა მათ თანამემამულეს, — თომას ბოდლის, მაგრამ არ  
დაწერა. ნოდემ კი გააკეთა ეს! მაგრამ უფრო გასაკვირი ისაა, რომ „რჩე-  
ვის...“ ავტორს მალე წილად ხვდა ბედნიერება — თავისი თეორია რეა-  
ლობად ექცია ისეთი მასშტაბებით, რაზეც ოცნებაც კი არ შეეძლო.

\*

ისტორიული სამართლიანობის წინაშე რომ არ შევცოდოთ, უნდა  
ვთქვათ, რომ მაზარინის წინამორბედმა, კარდინალმა რიშელიემ, პირ-  
ველმა გამოთქვა აზრი საჯარო ბიბლიოთეკის შექმნის შესახებ, როგორც  
კი მისი სასახლის ახლოს შესაფერის შენობას ააგებდნენ, მაგრამ ულმო-  
ბელმა სიკვდილმა 1642 წლის 4 სექტემბერს შეწყვიტა როგორც ეს,  
ასევე მისი სხვა ოცნებანიც. თავისი ბიბლიოთეკა, თუმცა მის შექმნაზე  
დიდი ხარჯი არ გაუწევია (სათავისოდ კონფისკაცია უყო ლა-როშელის  
წიგნთსაცავს; უკომპენსაციოდ მიითვისა ვილაც ბედნავსი მოხელის მიერ





ადმოსავლეთის ქვეყნებიდან გამოზიდული ისტორიული დოკუმენტების 800-ნომრიანი კოლექცია; ყველა საშუალებით ცდილობდა წიგნადი ქრისტიანების გამოძალვას და ა. შ.), რიშელიემ თავის ნათესავს უანდერძა. ამ უკანასკნელმა კი — პატივი და დიდება მას — საიქიოში კარდინალთან შეხვედრაამდე, ეს განძი სორბონის ბიბლიოთეკას გადასცა.

რიშელიეს სიკვდილის მეორე დღესვე, ლუდოვიკო XIII-მ, თვითონაც მომაკვდავმა, შემცველად ჯულიო მაზარინი დანიშნა. ხელისუფლებაში მოსვლის დროისათვის მაზარინი ახალ ქუჩაზე შენობათა მთელ ანსამბლს ფლობდა, რაც თანამედროვეთათვის ტიუბეფის სახელით იყო ცნობილი. მან განიზრახა სწორედ აქ აეშენებინა ახალი სასახლე, რომელსაც ბრწყინვალეებით უნდა ეჯობნა ყველაფრისათვის, რაც რიშელიეს დროს არსებობდა პარიზში. თუმცა ამბობენ, გარდაცვლილი დიდი ადამიანისადმი ყველა სხვა ღვარძლზე მეტად ბიბლიოფილური შური სტანჯავდაო. თავისთავად იგულისხმება, რომ ახალ სახლ-მუზეუმში თითქმის ყველაზე მთავარი ადგილი წიგნად კოლექციას ეთმობოდა. ამ გზაჯვარედინზე შეხვდნენ ერთმანეთს კარდინალი და ბიბლიოთეკარი.

ნოდე ამ დროს დაბრუნდა იტალიაში მორიგი მოგზაურობიდან, სადაც კარდინალ ბაგიოს ბიბლიოთეკას აწესრიგებდა. სწორედ ცოტა ხნის წინ პატრონი გარდაიცვალა, ბიბლიოთეკარი უსაქმოდ იყო დარჩენილი და სიხარულით შევიდა სამსახურში მაზარინისთან, რომელიც „რჩევით...“ აღფრთოვანებული დარჩა. მაზარინიმ ნოდეს დაუსახა ამოცანა — ძალზე მოკლე დროში შეექმნა გრანდიოზული, ევროპაში არნახული ბიბლიოთეკა. ამჯერად „წუწურაქი იტალიელი“ მზად იყო ჯიბეზე ხელი გაეკრა, მაგრამ ნოდე ყველაზე მეტად მოხიბლა დაპირებამ: როგორც კი შენობა დამთავრდებოდა და შივ წიგნები განლაგდებოდა, ბიბლიოთეკის კარები ხალხისთვის გაეღოთ. ნოდე ზეიმობდა და ათი კაცის გასაკეთებელ საქმეს აკეთებდა.

დიდი ბიბლიოთეკარი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ უმოკლეს დროში გრანდიოზული ბიბლიოთეკის შექმნის ერთადერთი საშუალება იყო მთლიანი კოლექციების შექმნა წიგნებისა და მათი დუბლეტების მდგომარეობის, შემცველობის მიუხედავად. იგი გულმოდგინედ ადევნებდა თვალს ბაზარზე კოლექციების შემოსვლას და ყიდულობდა კარდინალისთვის ისე, რომ ხარჯებს არ ერიდებოდა. საქმე ადვილი არ იყო: მარტო პარიზში 1640-იან წლებში 150-მდე წიგნის ჯიხური იღვა. ამას ემატებოდა ქუჩის დახლები სენის ნაპირზე და ახალ ზიდზე; ვაჭრებს ძვირფასი გამოცემები ჰქონდათ გაშლილი მართლმსაჯულების სასახლეშიც. 1643 წლისათვის ნოდემ დააცარიელა პარიზის ბუკინისტური დახლები. ერთხელ იგი სენ-ჟაკის ქუჩაზე, ცნობილ ვაჭარ ფუესთან მივიდა და, ისე რომ სატიტულო ფურცლებისთვის არც კი შეუხედავს, შეიძინა 23 შეკვრა



ყდაგადაუკრავი წიგნი, თითოეული 3 ლივრად და 10 სუდ. რამდენიმე დღის შემდეგ იქვე გროშის ფასად შეიძინა იმდენი წიგნი, რამდენის წაღებაც შეძლეს მისმა მზიდავებმა. ამით ამოიწურა ფუფეს მაღაზიის მარაგი. იყო უფრო ძვირად ნაყიდი შენაძენიც: ნოდემ ცნობილ ვაჭარს — კრამუაზის 500 ლივრი გადაუხადა ანტიკური ხანის ავტორთა მთელ კოლექციაში — in folio; 700 ლივრი დაჯდა თალმუდის 14-ტომეულის ძვირფასი გამოცემა. ნოდე ურიკობით, ფუთობით, დასტობით (ხშირად წონითაც) ყიდულობდა წიგნებს. ისინი ჯერ თავის პატარა ბინაში მიჰქონდა, შემდეგ კი — მაზარინის ბიბლიოთეკის დაუმთავრებელ შენობაში. თუ გავითვალისწინებთ, რომ ევროპაში 1600 წლამდე 100 ათასამდე დასახელების წიგნი იყო გამოსული — საშუალოდ 500 ვგზემპლარის რაოდენობით, ნოდეს შეეძლო მაზარინი თითქმის მონოპოლისტ ბიბლიოფილად ექცია, მაგრამ, ჯერ ერთი, არსებობდა საკმაო რაოდენობის ხელნაწერები; მეორეც, ნოდე არ აპირებდა 50 მლნ ტომის ყიდვას. იგი მხოლოდ უნივერსალური ბიბლიოთეკის საფუძველს ქმნიდა.

1643 წელს ნოდემ განუმეორებელი შესაძლებლობით ისარგებლა — მაზარინის ბიბლიოთეკისთვის შეიძინა ლიმოჯელი ჟან დე კორდეს საუკეთესოდ შედგენილი ბიბლიოთეკა, რომლის ტოლფასი საფრანგეთში არ მოიპოვებოდა. განსვენებული, დიდად განათლებული კაცი, რომელიც მხოლოდ თავისი წიგნებისთვის ცხოვრობდა, ცნობილი კანონიკი, ნოდეს პირადი მეგობარი იყო. თავის ღროზე ნოდემ ამხანაგურად შეუდგინა ამ ბიბლიოთეკის კატალოგი. მომაკვდავმა დე კორდემ 1642 წელს შეადგინა ანდერძი, რომ ბიბლიოთეკა მხოლოდ ერთ ხელში მოხვედრილიყო, ყოველგვარი დანაწილების გარეშე. კატალოგში ჩამოთვლილია 1700 ტომი in folio; 2000 — in quarto; 4000 — in octavo; ამასთან, ერთად აკინძული მრავალი წვრილი ბროშურა. უმთავრესად, ეს იყო ეკლესიის მამათა, სქოლასტიკოსთა და ბიბლიის კომენტატორთა თხზულებანი. უნდა ითქვას, რომ „კორდენიანას“ კატალოგიც კი XVII საუკუნის ბიბლიოგრაფიის მნიშვნელოვანი ძეგლია. მაზარინი დიდხანს ოხრავდა და ხენეშოდა, ვიდრე 22 ათას ლივრს გადმოულაგებდა კოლექციის შესაძენად, მაგრამ მაინც გადადგა ეს ნაბიჯი, რამაც ნოდე დიდად გაახარა. როგორც იგი წერდა, მაზარინიმ ამ ბიბლიოთეკის ყიდვით „შეიძინა უმნიშვნელოვანესი წიგნები, რაც მისი ბიბლიოთეკის ჰერმეტიკ ფუნდამენტს შეადგენდა“.

მაზარინის მრავალფეროვანი ბიბლიოთეკიდან ჯერჯერობით დავასახელებთ მხოლოდ დოკუმენტების კოლექციას, რომელიც საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანმა ანრი დე ბრიენმა შეადგინა. ეს 360 ტომი in folio, გატკეცილი, ფერად მაროკენგადაკრულ ყდებში, ლუდოვიკო XIII-მ თავის ღროზე 40 ათას ლივრად შეიძინა. მაზარინიმ კი იგი მუქთად ჩაიგდო ხელში: მეუღლის გარდაცვალების შემდეგ (1643 წელს) ანა ავ-



სტრიელმა მიამიტად აჩუქა თავის საყვარელ ბიბლიოფელს. ამბობდნენ, ამ ტომებში „საფრანგეთის ნახევარსაუკუნოვანი საიდუმლოებები“ ხელშეკრულებები, ელჩების პატაკები, ორი ათასზე მეტი კერძო ბარათი და ა. შ.

როდესაც დედოფლის მეუღლე და ქვეყნის სრულუფლებიანი პატრონი გახდა, მაზარინი კიდევ უფრო გაიტაცა გრანდიოზულმა ბიბლიოფილურმა იდეამ. ტიუბევის სასახლეში საბიბლიოთეკო ფრთა არათუ დღითიდღე, არამედ საათობით იზრდებოდა. ნოდე თეთრად ათენებდა ღამეებს მშენებლობის მეთვალყურეობასა და იქ ბიბლიოთეკის განლაგებისთვის მზადებაში. ეშინოდა რა, მცირე ხნითაც მოშორებოდა იქაურობას, ნოდე მარტოდმარტო სადილობდა ბიბლიოთეკის დაუმთავრებელ დარბაზში. მან დაიქირავა 12 მკინძავი, რომელთაც პარიზის წიგნისმოვაჭრეთა ხარახურა საამკინძაო ხელოვნების საოცრებად აქციეს, რამაც ნამდვილად დაამშვენა კარდინალის სასახლის გალერეები. ნოდეს ნახაზების მიხედვით კეთდებოდა მაგიდები და სავარძლები მკითხველებისთვის. უამრავი რაოდენობით შეუკვეთა კალმები, მელანი, ქაღალდის საჭრელი დანები, კალენდრები, საათები. უკვე 1643 წლის სექტემბერში სასახლეში მთელი მოწყობილობა მოიტანეს. ოქტომბრის დასაწყისში წიგნთსაცავის გალერეებში განალაგეს 14 ათასი ნაბეჭდი წიგნი და 400 ტომი ყდაგადაკრული ხელნაწერი. მაგრამ ეს იყო საბიბლიოთეკო მშენებლობის „პირველი რიგი“. ისტორიამ შემოინახა მაზარინის ჭეშმარიტად რაინდული უესტის შესახებ. მან 10 ლივრით „გაიღარიბა თავი“, რათა პრემია მიეცა ბიბლიოთეკის თაროებისა და ავეჯის გაწყობაზე მომუშავე დურგლებისთვის.

1644 წლის დასაწყისში ბიბლიოთეკა გაიხსნა და პირველი მომსვლელნი, შეცბუნებულნი იქ გამეფებული არნახული ფუფუნებით, შევიდნენ სამკითხველო დარბაზში. მათ პირველად უნდა გაეგოთ ეზო, მდიდრული კიბით ასულიყვნენ მეორე სართულზე, გაეგოთ სურათების ორი გალერეა, პატარა შიგა სამკითხველო, და მხოლოდ შემდეგ აღმოჩნდებოდნენ ხის 50 კორინთული სვეტით დამშვენებულ, მოფარდაგებულ დარბაზში, რომელიც ნოდემ წინასწარ მოაწყო მკითხველებისთვის. ასე გაგრძელდა რამდენიმე ხუთშაბათს, მაგრამ დიდმა ბიბლიოთეკარმა შეამჩნია, რომ ღარიბ მეცნიერებს მრავალრიცხოვანი მოსამსახურეებისა და დიდებულ მორთულობათა გავლისას მოკრძალება ეუფლებოდათ და ეს ხელს უშლიდათ გულისყურის მოკრეფაში. ნოდემ მოითხოვა გაეღოთ გვერდითი კარები, რომელიც პირდაპირ რიშელიეს ქუჩაზე გადიოდა. ამ კარებით ხუთშაბათობით ბიბლიოთეკაში შესვლა შეეძლო XVII საუკუნის ხელმოკლე, დელიკატურ ინტელიგენციას. სამკითხველო დარბაზი ერთდროულად 100 კაცზე იყო გაანგარიშებული.



ამასობაში ბიბლიოთეკა ივსებოდა. ამ დროს ოცდაათწლიანი ომი მიმდინარეობდა. მაზარინი ფრანგ მხედართმთავრებს ავალებს მთავარი ყურადღება მიაქციონ წიგნად ნადავლს. „თუ ღვთის განგებით, შეხვედებით ნაბეჭდი წიგნის ან ხელნაწერთა კოლექციას, — სწერდა იგი თავის გენერალს გერმანიაში, — გთხოვთ იყიდოთ და გამოგზავნოთ თანდართულ მისამართზე, რადგან შეეკმენი საკმაოდ ვრცელი ბიბლიოთეკა, ხოლო წიგნები ქონების ის სახეობაა, რომელთაც ომის კაცები ხშირად ასე ამარცხვინოდ აჩანაგებენ“. მეორე მხედართმთავრისადმი, მარშალ ებრიენისადმი მიწერილ წერილში მაზარინი აცნობდა „საკმაოდ დიდი ბიბლიოთეკის შექმნის“ თავის გეგმას და მარშალს სთხოვდა პარიზში გადმოგზავნა ხელში ჩავარდნილი ყველა წიგნი და ჰპირდებოდა, როგორც კი შემთხვევა მომეცემა, გულუხვად დაგაჯილდოებო. კიდევ ერთ მეომარს, მარშალ ტიურინს სწერდა: „ვალდებული ხართ რეკვიზიცია უყოთ წიგნებსა და ძველ ხელნაწერებს. თქვენ იცით, რომ ბიბლიოთეკა ჩემი ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ვატაცებაა...“ მარშლები ხალისით ეხმაურებოდნენ „უგვირგვინო მეფის“ თხოვნას, რათა ამ უბრალო საშუალებით მისი ნდობა დაემსახურებინათ.

1644 წლის შუა ხანებში ნოდე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ პარიზისა და საფრანგეთის წიგნით მოვაჭრეთა შესაძლებლობანი ამოწურულია, ამ წყაროებიდან მაზარინის ბიბლიოთეკას ვერაფრით შეავსებდა. 1644 წლის 23 ივნისს „გაზეტ დე ფრანსში“ მოთავსებულმა განცხადებამ მეცნიერულ სამყაროს ამცნო, რომ „მისმა უსამღველოესობამ გადაწყვიტა გაამდიდროს თავისი ბიბლიოთეკა, სერ გაბრიელ ნოდე საზღვარგარეთ გაამგზავრა იმ თხზულებათა მოსაძიებლად, რომლებიც ჯერ კიდევ აკლიათ ბიბლიოთეკაში. მის დაბრუნებამდე ბიბლიოთეკა დაიკეტება იმათთვის, ვინც ხუთშაბათობით მიეჩვია იქ მუშაობას“. კარდინალს უბიბლიოთეკაროდ ყოფნა არ შეეძლო. მარტო ნოდე ერკვეოდა მის მიერ შექმნილ „ბაბილონის გოდოლში“. ნოდე რამდენიმე თვეს მოგზაურობდა საფრანგეთთან ახალშემოერთებულ ფლანდრიაში; ცოტა ხნის შესვენების შემდეგ — მთელ წელიწადს — იტალიაში.

ნოდეს ერთ-ერთი იტალიელი მეგობარი ნაღვლობდა: „როდესაც ნოდე გამოჩნდება, შეიძლება იფიქრო, რომ აღამიანმა კი არა, ქარბორბალამ გააცამტვერაო წიგნის გამყიდველთა დახლები. იგი ყიდულობს თითქმის ყველა წიგნს, ნაბეჭდსა და ხელნაწერს და დახლებს ცარიელს ტოვებსო“. იტალიის წიგნის მაღაზიებში სიარულისას, ნოდეს ხელში ეჭირა მეტრსაზომი და სინამდვილეში ფულს იხდიდა არა თითოეულ ტომში, არამედ იმ ფართში, რაც წიგნებს ეჭირა. იგი ყოველთვის მოულოდნელად ჩნდებოდა, — იღუმალი, შავ ლაბადაში გახვეული. შესახედაობითაც კი აოცებდა წიგნის გამყიდველებს — ისინი სულ სხვანაირ მყიდვე-



ლებს იყენენ მიჩვეულნი. ნოდეს შეეძლო მაგიურადაც ემოქმედა წიგნადი საქონლის მფლობელზე. დატვირთავდნენ იღუმალ უცხოელს, შემდეგ კი, როდესაც ნოდეს გადატვირთული ეკიპაჟი გაჰქირვებით გასცდებოდა კარებს, ჩიოდნენ — უმჯობესი იყო კარაქის ან თევზის გამყიდველისთვის მიეყიდათ წიგნები ნავაჭრის გასახვევად. რომში ამბობდნენ — წიგნის თაროები თითქოს დამპყრობმა დაარბია და არა ბიბლიოთეკარმაო. თვითონ ნოდეს უყვარდა თქმა, რომ წიგნის შეგროვებისას, როგორც სიყვარულში და ომში, ყველა ხერხი დასაშვებიაო. არ უნდა დავივიწყოთ, რომ იგი წიგნებს აგროვებდა არა თავისთვის, არამედ საფრანგეთის პირველი საჯარო ბიბლიოთეკისთვის.

თანმიმდევრობით დაიპყრო რა რომის, ფლორენციის, მანტუის, პადუის, დაბოლოს, ვენეციის წიგნადი სიმდიდრე, ნოდემ ლივორნოდან საფრანგეთში გემით გაეზავნა მრ უზარმაზარი ბარდნა წიგნები, რამაც „გაზეტ დე ფრანსის“ შეფასებით, გააორმაგა მაზარინის ბიბლიოთეკის სიმდიდრე. გადაურჩა რა ალპებში თოვლის ზევისგან დაღუპვას, ბიბლიოთეკარ-ტრიუმფატორმა 1646 წლის 12 მარტს ფენი დაადგა სამშობლოს მიწას. ეს მოგზაურობა, წიგნების ღირებულებისა და ნოდეს „სამივლინებო ხარჯების“ ჩათვლით, 12 ათასი ლივრი დაუჯდა კარდინალს. ნოდეს არყოფნისას ბიბლიოთეკისთვის სერიოზულად არავის მიუხედავს და ახლა მან თანაშემწეთა რაოდენობა სამი კაცით განსაზღვრა. ნოდე ფიქრობდა, რომ ამ სამი კაცისა და თავისი დაუღალავი მუშაობით უზრუნველყოფდა ბიბლიოთეკის ნორმალურ მუშაობას. მაგრამ კარდინალი სულ სხვას ფიქრობდა. წიგნთსაცავის რეალური საზოგადოებრივი მუშაობა მას აინტერესებდა თეორიულად, ხოლო წიგნადი ევროპის „გადარცვა“ — პრაქტიკულად. კიდევ ორი წელიწადი (1646-1647) ნოდემ შვეიცარიაში, ნიდერლანდებში, ინგლისში უწყვეტ მოგზაურობაში გაატარა. 1647 წლის ბოლოსთვის ბიბლიოთეკაზე დახარჯულმა საერთო თანხამ 65 ათასი ლივრი შეადგინა. ამბობენ, როდესაც ეს შეიტყო, მაზარინის კრუნჩხვებმა სახე დაუმახინჯაო. მან ნოდეს ოთხი წლის ყველა ანგარიში და ხელწერილი მოსთხოვა და ქაღალდების ამ გროვაში ჩაიკეტა. ერთ სუბდეც კი ყველაფერი დაემთხვა.

მაგრამ აღმოჩნდნენ ადამიანები, ვინც დიდ ბიბლიოთეკარს უსაყვედურებდა, რომ კარდინალის ფულით იყიდა და „ფონდში ჩართო“ (ახლანდელი ტერმინით) ბევრი არასაპირო წიგნი. „ვინ წაიკითხავს ამდენ უსარგებლო წიგნს?“ — კითხულობდნენ სკეპტიკოსები. ნოდე დაახლოებით ასე პასუხობდა: შედით ნებისმიერ აფთიაქში და ნახავთ, რომ მარგალიტისა და არომატული ნივთიერებების გვერდით დევს ცხოველთა საზიზღარი განავალი, ვირთხის ცურცილიც კი, რომლებსაც მავანნი სამკურნალოდ იყენებენ. ჩემს ფარმაკოპეიაში შეიძლება ნახოთ დასნებოვნე-



ბული წიგნები, რომელთაც მხოლოდ მეცნიერთა უმცირესობა გადასცემდა. ცლავს, მაგრამ იგი ხაზს უსვამს იმ წიგნების სიკეთეს, რომლებსაც უმრავლესობა წაიკითხავს.

ამასობაში სასახლე, რომელიც ტიუბეფის სახლიდან გადმოტანილი ავეჯით გააწყვეს, იფურჩქნებოდა და სხვადასხვაგვარი განძეულობით ივსებოდა. ტიციანი, კორეჯო, რაფაელი მათი ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებით იყვნენ წარმოდგენილი. თვით სასახლე ნებისმიერ მონარქსაც კი შეშურდებოდა. 1646 წელს რიშელიეს ქუჩის გასწვრივ ახალი ფრთა მიაშენეს და 40 ათასმა ტომმა იზეიმა ახალმოსახლეობა წიგნთსაცავის უზარმაზარ გალერეასა და ექვს დარბაზში.

ნოდემ პირველ დარბაზში განალაგა იურისპრუდენცია, ფილოსოფია, თეოლოგიური კოლეჯციის ნაწილი. საფრანგეთის საუკეთესო იურისტები აღფრთოვანებული იყვნენ ყველა ხალხისა და ყველა დროის კანონებისა და სხვა სამართლებრივი აქტების შერჩევით. ისინი აღიარებდნენ ამ განყოფილების ბიბლიოგრაფიულ სრულყოფილებას. მეორე დარბაზში განალაგა წიგნები ქიმიკში, ასტრონომიასა და საბუნებისმეტყველო ისტორიაში, საუკეთესო, დიდი ავტორიტეტების სამედიცინო ტრაქტატები. გალილეის გვერდით იდო არისტოტელე და გალენი; ზოგიერთ თანამედროვე ავტორსაც მიაგეს მათ გვერდით მოთავსების დიდი პატივი. წიგნთსაცავის მესამე დარბაზი წარმოადგენდა ბიბლიის სამყაროს — ტექსტები და მისი განმარტებანი მსოფლიოს მრავალ ენაზე; თუმცა არა მარტო ბიბლია, ყურანი და თალმუდიც — ყოველგვარი სარწმუნოებრივი მოძღვრებანი ერთმანეთის გვერდით იყო დალაგებული. მეოთხე დარბაზი ლათინური და აღმოსავლური ხელნაწერების სამეფო იყო. მეხუთეში ერთმანეთს ეჭვის თვალთ შესცქეროდნენ პოლიტიკურ მოძღვრებათა ავტორები, კანონიკური სამართლის შემქმნელები და მსუბუქი ლიტერატურის მთხზველნი. რამდენს არ ეცადა ნოდე, თავი აერიდებინა ბელეტრისტიკისათვის, მაგრამ 700-მდე რომანმა, 330-მდე ტრაგედია, მისდა გასაკვირად, მაინც გაინალდეს ადგილი კარდინალის ბიბლიოთეკის თაროებზე. დაბოლოს, მეექვსე დარბაზში, როგორც ალყაშემორტყმულ ციხესიმაგრეში, მოყუჩდნენ ოდესმე არსებულ კოლეჯციათაგან ყველაზე დიდი — ერეტიკოსთა მოძღვრებანი. აქ შეკრებილი იყო რ ათასი ტომი მსოფლიოში ცნობილი მეცნიერებისა და მწერლების და მათ ჩრდილს ამოფარებული ნაკლებად ცნობილი ავტორებისა. ნოდე უზომოდ ამაყობდა ამ კოლეჯციის იშვიათობებით: ერეტიკოსთა წიგნები — კოცონებზე დამწვარი, ზოგჯერ ავტორებთან ერთადაც, ნაფლეთებად ქცეულნი, ან პერგამენტის ნაგლეჯები, ასეთივე რადიკალური მეთოდით განადგურებულნი, რაც XVII საუკუნეშიც კი ძალზე ძნელი საპოვნელი იყო. საეკლესიო კანონთა აშკარა ხელყოფა რომ არ გამოსვლოდა — მაგალითად, იგი



უარყოფდა ლუთერისა და კალვინის მოძღვრებებს, — ნოდემ პატრიარქის წინააღმდეგობის ხარკს იმით უხდიდა, რომ აგროვებდა მათ წიგნებს. ორთოდოქსთა აშკარად არად ჩაგდების მიზნით, მან ამ ცოდვილთა ქმნილებანი ხელმისაწვდომი გახადა ბიბლიოთეკაში მომსვლელი ნებისმიერი მეცნიერისთვის...

შექმნა რა ეს წიგნადი საოცრება, ნოდემ შეთხზა სადღესასწაულო წარწერა-მიძღვნა: „ლუდოვიკო XIV-ისა და ყოველი სამეფო საქმის შეიღოს სახელით აღმსრულებელი, მისი უბრძნესი და უაგვუსტოესი მშობლის ზეობის გაფურჩქვნის ხანაში, და მათი პირველი მრჩევლის, რომის ეკლესიის კარდინალის ჯულიო მაზარინის უშუალო გულისმოდგინებით იხსნება ბიბლიოთეკა ესე, რომ იქცეს პარიზის სიამაყედ, საფრანგეთის მშვენებად და მეცნიერების განვითარების სტიმულად აწ და მარადის“.

\*

ო, დიდ ბიბლიოთეკარ ნოდეს რომ სცოდნოდა, რა პირობითი ცნებაა მარადისობა — ყოველ შემთხვევაში, ბიბლიოფილიის ისტორიასთან მიმართებაში მაინც! და სულ ახლო მომავლის განჭვრეტა რომ შესძლებოდა, მას, შესაძლოა, დანანებოდა კიდევ უძილოდ გატარებული ღამეები, არნახული ასკეტიზმი, თავს რომ არ აძლევდა არც ქეიფის, არც გართობის უფლებას, არ გაიჩინა ოჯახი, დაივიწყა მეგობრები; მაზარინის ბიბლიოთეკას „ჩემს უფროს ქალიშვილს“ უწოდებდა. ბიბლიოთეკამ შთანთქა ბიბლიოთეკარის მთელი დრო, მთელი სული და გული. იგი აღარ წერდა პოლიტიკურ პამფლეტებს — ადრე კი სიტყვამახვილი პუბლიცისტი იყო; კარგავდა სამედიცინო კვალიფიკაციას — ადრე საუკეთესო ექიმად ითვლებოდა; არ პასუხობდა წერილებზე — ადრე განთქმული იყო ეპისტოლური ხელოვნებით. იგი ღამეებს ათენებდა ბიბლიოთეკის შევსებაში, კლასიფიკაციაში, განლაგებასა და კეთილმოწყობაში. მას სამუშაოსგან სწყვეტდა ერთადერთი მეტოქე — ის ბიბლიოგრაფიული ახსნა-განმარტებანი, რომელსაც საათობით უწევდა მკითხველებს.

მაგრამ პოლიტიკა ბიბლიოთეკარზე ძლიერია. არც ისაა დამამშვიდებელი, რომ პოლიტიკა კარდინალზეც ძლიერია. იგრილა ფრონდამ. პარიზელ ბურჟუებსა და ხელოსნებს არ უყვარდათ მაზარინი, რომელმაც ქვეყანა ომებით გამოფიტა, ხალხი გადასახადებით დატანჯა, სახელმწიფო და საეკლესიო სახსრები საკუთარი საჭიროებისთვის დახარჯა, დაარღვია მისი წინამორბედის — კარდინალ რიშელიეს მცნებანი. ბევრი ფიქრობდა ასე მაშინ. ყოველი დიდგვაროვანი ფიქრობდა ესარგებლა კარდინალისადმი ხალხის სიძულვილით და დაებრუნებინათ საფრანგეთის ძარცვის უფლება.



ასეთ დროს კარდინალს არც ბიბლიოთეკისთვის ეცალა და, მით უმეტეს, აღარც ბიბლიოთეკარისთვის. ფრანგი პატრიოტები მაზარინის სიცილიელ არარაობას, უზურპატორსა და ჯაშუშს ეძახდნენ. გინდათ იცოდეთ, რას აკეთებდა ამ დროს ნოდე? უღუგრილად აგროვებდა სახელდახელოდ დაბეჭდილ პამფლეტებს, რომლებშიც არამზადა და ყალთაბანდი მაზარინი იყო მხილებული. როგორც ყოველთვის, მას მწიგნობრულმა ალღომ არ უღალატა — „მაზარინადების“ (ასე უწოდებდნენ ამ პამფლეტებს) კოლექცია შემდგომში ბევრი ევროპული ბიბლიოთეკის სიამაყის საგანი გახდა. ნოდემ 526 პამფლეტი შეაგროვა. მაგრამ იგი კარდინალის ერთგული დარჩა და მაზარინის მტრების წინააღმდეგ გესლიანი თბზულება დაწერა.

1649 წლის 13 იანვარს პარიზის პარლამენტმა, აჯანყებული ხალხის სახელით, გამოსცა დეკრეტი დედაქალაქიდან გაქცეული მაზარინის ქონების კონფისკაციის შესახებ. პარლამენტის წარგზავნილები გაემართნენ ტიუბეფის სასახლეში მთელი ქონების სასწრაფოდ აღსაწერად და გასაყიდად. სასახლე ცარიელი იყო. მსახურები გაფანტულიყვნენ. ნოდე იჭდა თავის სახლში პარიზის განაპირას და იმედი ჰქონდა, რომ სასახლის დაკეტილი კარების გატეხას პარლამენტარები ვერ იკისრებდნენ. იკისრეს. მაგრამ საგონებელში ჩავარდნილნი შეჩერდნენ: ბიბლიოთეკის ბედი ვერ გადაეწყვიტათ. ზოგიერთები სთავაზობდნენ: ყველა წიგნი, როგორც ეროვნული ქონება, სორბონისთვის გადაეცათ; ზოგნი კი — ჩაებარებიანთ იგი პარლამენტისთვის, რომელიც ხალხისთვის საჯარო ბიბლიოთეკას გახსნიდა; მესამენი გამოსავალს იმაში ხედავდნენ, რომ გარკვეული თანხის საფასურად, ბიბლიოთეკა პარიზის ღვთისმშობლის ტაძრისთვის გადაეცათ, მაგრამ მათ შეახსენეს, რომ მაზარინის ბიბლიოთეკა, სულ ცოტა, 100 ათასი ლივრი მაინც ღირდა და ტაძარს ამის შესაძლებლობა არ ჰქონდა.

ამასობაში ბიბლიოთეკარი ცდილობდა უბედურება თავიდან აეცილებინა. 1649 წლის 12 მარტს იგი კარდინალს სწერდა: „მე მგონია, რომ რამდენადაც თქვენს უსამღვდელოესობას ბიბლიოთეკა ყოველთვის ხალხისთვის ჰქონდა გათვალისწინებული, შეგიძლიათ მოვლენებს დაასწროთ და ახლა იგი აჩუქოთ უნივერსიტეტს. ასეთი საბოძვარის გამო იგი მადლიერებით აღივსება და ეჭვი არ მეპარება, შესძლებდა ბიბლიოთეკის გადარჩენას დალუპვისაგან“. მაზარინი ოდნავადაც არ იყო განწყობილი ასეთი რჩევის მისაღებად. პარლამენტი ემზადებოდა ბრძანების გასაცემად, რომ მოემზადებინათ კატალოგი აუქციონისთვის. საფრანგეთის ბიბლიოფილიის დინასტიის წარმომადგენელმა, პრეზიდენტმა დე ტუმ კოლეგებს შეახსენა, რომ „ბიბლიოთეკა უკვე გადაცემულია საზოგადოებისთვის და დაცული უნდა იქნეს მათთვის“, რომ არ შეიძლება მისი





დანაწევრება, რამდენადაც ბიბლიოთეკა ფასეულია როგორც ერთიანი და მთლიანი. პარლამენტმა ვერ გაბედა ამ პრინციპის დარღვევა და მიიღო გადაწყვეტილება: ბიბლიოთეკაზე მზრუნველობა დაეკისროს გაბრიელ ნოდეს. განემარტოს, რომ იგი ფრანგი ხალხის წინაშე პასუხისმგებელია მის დაცვაზე. როგორც ცნობილია, მალე დაიღო სენ-ჟერმენის ხელშეკრულება და 1649 წლის 18 აგვისტოს მაზარინი, ახალგაზრდა მეფისა და ანა ავსტრიელის კვალდაკვალ, საფრანგეთში დაბრუნდა. მაგრამ ამით ტრაგედიის მხოლოდ ერთი აქტი დასრულდა.

მეორე აქტი, კიდევ უფრო სამწუხარო ბიბლიოთეკარისა და „მისი უფროსი ქალიშვილისთვის“, დაიწყო 1651 წლის 7 თებერვალს, როდესაც მაზარინი, შეშინებული ხალხის გულისწყრომის ახალი აფეთქებით, რომელსაც მოხერხებულად წარმართავდნენ დიდგვაროვანნი, საიღუმლოდ გაიპარა პალე-როიალის ჭიშკრიდან და მოჩვენებასავით დაინთქა ღამის სიბნელეში. 7 თებერვალს, გამთენიისას, ნოდე გამოაღვიძა მაზარინის სასახლის ფანჯრების წინ შეკრებილი ბრბოს აღტყინებულმა ყიჟინამ. თითქმის მთელ პარიზს უხაროდა პირველი მინისტრის გაქრობა, მაგრამ მათ შეშფოთებას იწვევდა მომავლის გაურკვეველი მდგომარეობა. მალე ნოდე თავისთან მიიწვია ხაზინის პრეზიდენტმა, მაზარინის ახლო მეგობარმა და განუცხადა, რომ 600 ათასი ლივრის სანაცვლოდ, რაც ნოდეს არ გადაუხდია ხაზინისთვის, დღეიდან ეუფლება სასახლესა და ყველაფერს, რაც იქ არის. მაზარინის მეგობრებმა გადაწყვიტეს ამ ხერხით ეხსნათ განადგურებისაგან მისი ქონება და ბიბლიოთეკა. ნოდეს თავის ადგილზე დარჩენა შესთავაზეს. ამ წინადადებას იგი დაამშვიდა: კარდინალის გარეშე კიდევ შეეძლო ცხოვრება, წიგნების გარეშე კი — არავითარ შემთხვევაში.

მაგრამ კარდინალისა და მისი მეგობრების მანევრმა დროებით გადასწია ტრაგედიის დასასრული. 1651 წლის 31 მარტს პარიზის პარლამენტმა მართლმსაჯულების ორგანოებს ბრძანება მისცა დაეპატიმრებინათ კარდინალი მაზარინი, სადაც არ უნდა ყოფილიყო იგი. მისი ქონება ხალხის საკუთრებაში უნდა გადასულიყო; ყველა ბენეფიციას, რითაც იგი სარგებლობდა, დაუყოვნებლივ ძალა დაეკარგა. ბევრმა ყოფილმა მეგობარმა ზურგი აქცია კარდინალს, მაგრამ არა პრინციპის ერთგულების და, მით უმეტეს, არა ხალხის გულისთვის, არამედ მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი უშიშროების მოსაზრებით. ნოდე არ იყო ასეთი. იგი წერდა: „მათ ყოველგვარი სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე დასაჯეს მაზარინი. ისინი მის წინააღმდეგ აქეზებენ დაბალ კლასებს. ისინი კარდინალის მეგობრებსა და მსახურებს სახელმწიფოს მტრებად თვლიან. საფრანგეთის ისეთ ერთგულსა და თავდადებულ პრემიერ-მინისტრს, როგორიც არასოდეს ჰყოლია, იმდენი დარტყმა დაატეხეს თავს, რომ



მეტის გამოგონება "შეუძლებელია!" ნოდეს გულწრფელად მიაჩნდა. მაზარინის მოღვაწეობის მთელი არსი იმაში მდგომარეობდა, რომ მან ნოდეს უფლება მისცა შეექმნა „ამ საუკუნის არნახული წიგნების კოლექცია, მსოფლიოს მერვე საოცრება, ბიბლიოთეკა, სადაც დაცულია ყველაფერი, რაც მოგვცა ეგვიპტემ, სპარსეთმა, საბერძნეთმა, იტალიამ და ევროპის ყველა სამეფომ; ბიბლიოთეკა, რომელიც ერთადერთია და თვალწარმატა“.

1651 წლის 5 სექტემბერს ლუდოვიკო XIV-ს 13 წელი შეუსრულდა, დასრულდა რეგენტობის პერიოდი. მაგრამ ანა ავსტრიელმა და მისმა ქმარმა, კარდინალ-მინისტრმა, ამით თავიანთი პოზიციები გაიმყარეს. მაზარინიმ გამოაცხადა, რომ ემორჩილებოდა მხოლოდ მეფეს და არა პარლამენტს და ქვეყანაში შესაჭრელად საფრანგეთ-გერმანიის საზღვარზე ძალების შეგროვება დაიწყო. ამის საპასუხოდ პარლამენტმა კარდინალი კანონგარეშე გამოაცხადა. 150 ათასი ლივრი დააწესა იმათთვის, ვინც მაზარინის — ცოცხალს ან მკვდარს — პარიზში ჩამოიყვანდა. მაგრამ დახეთ ბედის უკუღმართობას — პარლამენტს ფული არ აღმოაჩნდა კარდინალის თავის ხელში ჩასაგდებად და ეს თანხა რომ მოეგროვებინათ, გადაწყვიტეს... აუქციონით გაეყიდათ მისი ბიბლიოთეკა. ეს ერთადერთი პარადოქსიაა წიგნის შემგროვებლობის ისტორიაში — ბიბლიოთეკა არაპირდაპირი იარაღი უნდა გამხდარიყო მისი პატრონის მოსასპობად! პარლამენტის აქტით გაუქმდა მაზარინის გარიგება ხაზინის მეთაურთან. ბრბო ზეიმობდა. მაგრამ განათლებული ადამიანები პარიზში ლაპარაკობდნენ, რომ ამაზე უკანონო და ბარბაროსული გადაწყვეტილება საფრანგეთის პარლამენტს არასოდეს მიუღიაო.

შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ნოდეს სასოწარკვეთა, როდესაც შეიტყო, რომ ბრძენაკცთა და ჰუმანისტთა უდიდესი ქმნილებანი მკვლელობას უნდა მოხმარებოდა. ნებისმიერი ხერხით — თუ საჭირო იქნებოდა, საკუთარი სიცოცხლის ფასად — იგი ვალდებული იყო თავიდან აეცილებინა უბედურება. ნოდემ გარისკა — შეიძლებოდა იგი ბრბოს დაეგლიჯა — შეეთავაზებინა „პარლამენტის ბატონი წევრებისთვის რჩევა კარდინალ მაზარინის ბიბლიოთეკის გაყიდვის თაობაზე“. ნოდემ მათ ემუდარებოდა, გადაერჩინათ წიგნადი კოლექციები, რაც ფორმალურად კარდინალ მაზარინის, ფაქტიურად კი ფრანგი ხალხის კუთვნილება იყო. ამ უდიდესი საგანძურის გაპარტახება, — აფრთხილებდა მათ, — „ისტორიის ანალებში ისევე საგულდაგულოდ იქნება აღწერილი, როგორც კონსტანტინოპოლის დაპყრობა და დაკარგვა!“ წიგნზე უანგაროდ შეყვარებულ ნოდეს ვერ წარმოედგინა, როგორ შეიძლებოდა ადამიანებს ხელისუფლების ინტერესები ჰუმანურობასა და კულტურაზე მაღლა დაეყენებინათ. „ნუთუ დაუშვებთ, რომ, — წერდა იგი, — თქვენი ხელით დაჰკნეს ეს ახალი



პარნასი, საუცხოო ყვავილი, რომელიც სურნელებას აფრქვევს მთელ მსოფლიოს". ათი წელი იღვაწა ნოდემ, რომ აღემართა გონების ეს უღი-  
დესი გოდოლი და, ახლა, როდესაც მას დანგრევით ემუქრებოდნენ, სა-  
მართლიანობას თავისთვის კი არ მოითხოვდა; ბიბლიოთეკარი ისევე უან-  
გაროდ იბრძოდა თავისი ხელთქმნილისთვის, როგორი თავგამოდებითაც  
მხოლოდ შშობლებს შეუძლიათ შვილების დაცვა. „თუ ყველა მოგზაუ-  
რობა, რომელიც მოვაწყვე, რომ ბიბლიოთეკისთვის მასალები მომეპოვე-  
ბინა, თუ მთელი ძალისხმევა, რომელიც მის წესრიგში მოყვანას მოვან-  
დომე, თუ ის მგზნებარე გულისხმიერება, რაც გამოვიჩინე, რომ დამეცვა  
იგი დღემდე — სუსტი არგუმენტებია პირადად ჩემდამი სამართლიანი  
დამოკიდებულების სასარგებლოდ... მაშინ იფიქრეთ ბიბლიოთეკაზე და  
გადაარჩინეთ იგი!“ მაგრამ ამჯერად ნოდე ყრუ ადამიანებს ელაპარაკე-  
ბოდა. მას აუხსნეს, რომ ბიბლიოთეკის გაყიდვის თავიდან აცილება ახლა  
მეფის საკუთარი ხელით მოწერილ სასწრაფო ბრძანებულებას შეეძლო.  
მაგრამ მეფისგან ასეთი ბრძანებულების მიღება თითქმის შეუძლებელი  
იყო. ანა ავსტრიელი ბიბლიოთეკას თავის ბიბლიოთეკარიანად გასწი-  
რავდა, რომ ამით პარიზელთა ყურადღება ჩამოეცილებინა, მისი აზრით,  
უფრო მნიშვნელოვანი მოვლენებისადმი, რომელთაც მაზარინის პარიზ-  
ში დაბრუნება უნდა მოემზადებინა.

1652 წლის 7 იანვარს, კვირას, დილის 10 საათზე, ოთხი კომისიონე-  
რი და ერთი მწიგნობარ-ექსპერტი, რომლებმაც პარლამენტისგან ინ-  
სტრუქციები მიიღეს, შევიდნენ მაზარინის სასახლეში, რომ აუქციონი  
მომეზადებინათ. ნოდე ბიბლიოთეკაში გიდად იყო მიწვეული, მაგრამ  
მან, როგორც მოსალოდნელი იყო, უარი უთხრა „ხლებოდა ჯალათებს“. მას  
აცნობეს, რომ ზვალისთვის, ბიბლიოთეკაში ყველაზე ფასეულის —  
თეოლოგიური განყოფილების აუქციონი იყო დანიშნული. ნოდეს უნ-  
დოდა დრო მოეგო და კიდევ ჰქონდა სასწაულის იმედი. მან ურჩია  
დაეწყოთ დუბლეტებით და უყდო წიგნებით, რომლის წესრიგში მოყვანა  
და ფონდში ჩართვა ვერ მოასწრო. თითქოს შესძლო კიდევ აუქციონე-  
რების — პიტოსა და პეტუს დაყოლიება, მაგრამ გამოცხადდა მათი უფ-  
როსი; მან ყურად არ იღო საწინააღმდეგო აზრი და ბრძანა — 8 იანვარს  
წიგნების გაყიდვა პირდაპირ ბიბლიებით დაეწყოთ.

ორშაბათ დილით უკანასკნელად სცადეს ბიბლიოთეკის გადარჩენა:  
მაზარინის ერთმა აგენტმა პარლამენტს შესთავაზა, ბითუმად მიეცათ  
ბიბლიოთეკა 40 ათას ლივრად. მაგრამ ეს წინადადება გულისწყრომით  
უკუაგდეს. შემდგომი რამდენიმე დღე ნოდესთვის ერთ საშინელ წამად  
იქცა. თითქმის ერთ კვირაში მუყაოს ხუხულასავით დაინგრა ის, რაც მან  
ათი წლის განმავლობაში შექმნა. ორშაბათს გაიყიდა ბიბლიები: ანტვერ-  
პენის ცნობილი ბიბლია — 300 ლივრად, დანარჩენები — იაფად. სამშა-



ბათს ვაჭრობა შეჩერდა, რადგან მაზარინის მეგობრებმა შეაგროვეს 45 ათასი ლივრი და ამ თანხას სთავაზობდნენ ბიბლიოთეკის დანარჩენი ნაწილისათვის. პარლამენტართა გააფთვრებული კამათი აუქციონის გაგრძელებით დასრულდა. ოთხშაბათს ნოდეს შესთავაზეს დარჩენილიყო სასახლეში და თვალყური ედევნებინა, რათა წიგნები არ დაეტაცათ და ძვირადაც გაყიდულიყო. მან უპასუხა, რომ უწინ თავისი ხელით გადაწვავდა მთელ ბიბლიოთეკას, ვიდრე ნაწილ-ნაწილ გაანადგურებდა მისი პატრონის მოსაკლავი ფულის მოსაგროვებლად.

ხუთშაბათს სალამოს სასახლეს უამრავი ხალხის ბრბო მოაწყდა. გამეფდა სრული ქაოსი. მოსამსახურეებს შემადლებულზე აჰქონდათ პირველივე ხელში მოხვედრილი 7-8 ფოლიანტი და აუქციონერები სახელდახელოდ ასახელებდნენ ფასს. ჩხუბი და დავიდარაბაც ხდებოდა (როდესაც ცრუ მყიდველებს გროშებად აძლევდნენ უძვირფასეს წიგნებს). ბოლოს ყველას დაავიწყდა მაზარინის მკვლელისთვის შეპირებული ჰონორარი და ცდილობდნენ იაფად დაეთრიათ ულამაზესი წიგნები. „მყიდველები“ შეიჭრენ წიგნთსაცავის მეექვსე დარბაზში, მცირე ქრთამით „აცდუნებდნენ“ დარაჯთა სიფხიზლეს, იტაცებდნენ, რაც ხელთ მოხვდებოდათ. როგორც თანამედროვე წერდა: „ნახევარ კრონად ყიდულობდნენ იმას, რაც ორასი კრონი ღირდა. ბიბლიოთეკარის ადგილს სერჟანტები იკავებდნენ“. პოეტი ჟილბერ ჰოლმანი ეპიგრამაში წერდა: „ამ მექრთამე მართლმსაჯულებმა წიგნებიც ისე გაყიდეს, როგორც კანონს ყიდიანო!“ სიმართლის ნატამალი იყო ამ ნათქვამში. აუქციონის მთავარი ორგანიზატორებისთვის უცხო არ იყო პატარ-პატარა ცდუნებანი. ღვთისმოსავმა ბატონმა პიერ პიტუმ რამდენიმე ღია საზიდარი დატვირთა ილუსტრირებული ბიბლიებით, დელიკატურად დაელოდა, ვიდრე დარაჯთა უფროსი სასადილოდ წავიდოდა და ეს ტვირთი სახლში გაგზავნა. მისი კოლეგა ალექსანდრე პეტო, რომელიც გულგრილად ვერ უყურებდა ყდებს და შინაარსს სულაც არ დაგიდევდათ, დაუბრკოლებრივ ეზიდებოდა სტამბური ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებს. ზოგიერთი პარლამენტარი-ბიბლიოფილი პატიოსნად აღიარებდა, რომ უმეცარი იყო მწიგნობრობაში და, მიუხედავად ამისა, ცდილობდა რაიმე „იშვიათობა“ წაეგლიჯა. თვითმხილველთა გადმოცემით, აუქციონი მუშტი-კრივს ჰგავდა. წიგნის ქურდებს არავითარი დაბრკოლება არ ხვდებოდათ. წიგნის გამყიდველებს განუმეორებელი შესაძლებლობა მიეცათ მეოთხედ ფასად დაებრუნებინათ მათ მიერ ოდესღაც გაყიდული წიგნები. თითქმის მთელი პარიზი მიაწყდა ტიუბეფის ყოფილ სახლს. ერთნი — აუქციონში მონაწილეობის მისაღებად, მეორენი — ნაცნობ-მეგობრებთან შესახვედრად, მესამენი — გულუბრყვილოდ, რომ დამტკბარიყვნენ „წითელქუდიანი ტირანის“ დამხობით.



18 იანვარს მაზარიანი ნოდეს სწერდა: „ისტორია არასოდეს ამბობს პარიზის პარლამენტს ამ ბიბლიოთეკის გაყიდვაზე ბრძანების გაცემას, რასაც ერთადერთი მიზანი ჰქონდა: მოლაღატურად მოეკლათ მისი მფლობელი. არასოდეს დავიჯერებ, რომ გუთები ან ვანდალები, ან კიდევ უფრო ველური ხალხები პარიზის პარლამენტით მოიქცეოდნენ“. რა უნდა ეთქვა, რა ეპასუხა ნოდეს? მისი მკირე ხელფასით შეიძინა თავის დროზე მის მიერ შეგროვილი თითქმის მთელი სამედიცინო ლიტერატურა. მოელაპარაკა რამდენიმე მეგობარს — შეეძინათ მნიშვნელოვანი წიგნები იმ ანგარიშით, რომ, როდესაც მაზარიანი ბიბლიოთეკის აღდგენას დაიწყებდა, წიგნები აუქციონის ფასში დაებრუნებინათ მისთვის. ნოდეს მწარე სიამოვნება მიანიჭ მიანიჭა იმან, რომ აუქციონმა ვერ მოაგროვა იმდენი თანხა, რისი იმედიც პარლამენტს ჰქონდა.

მხოლოდ 1652 წლის 1 თებერვალს, როდესაც ყველაფერი დიდი ხნის დამთავრებული იყო, ლუდოვიკო XIV-მ თავის გენერალურ პროკურორს უბრძანა — საქმეში ჩარეულიყო და გადაერჩინა ბიბლიოთეკა, რომელიც ძვირფასი კარდინალი მაზარიანის მიერ საფრანგეთის საზოგადოებისთვის იყო განკუთვნილი. „ჩვენ გვსურს, — აცხადებდა ყმაწვილი თვითმპყრობელი, — რომ იგი სრულად იქნას დაცული, რომ ეს ძვირფასი და მშვენიერი კოლექცია არც დაიფანტოს და არც გაფუჭდეს“.

როგორც ჩანს, ქარმა საწინააღმდეგო მიმართულებით დაჰბერა. ნოდემ იგრძნო რა ეს, მაზარიანის მიმართა წინადადებით: დაეწყოს ბიბლიოთეკის აღდგენა. „რატომ უნდა დაზარალდეს ხალხი იმ აღმაშფოთებელი მოქმედების გამო, რაშიც ისინი დამნაშავენი არ არიან?“ — კითხულობდა ნოდე. გამწარებულმა კარდინალმა უპასუხა, რომ მისი ბიბლიოფილური ენთუზიაზმი ამოიწურა და ვერავითარ ხეირს ვერ ხედავს ბიბლიოთეკის ხელახლა შეგროვებაში. იგი ხომ ტიტანური შრომის ფასად დაუჭრა მას (მას?) და ასე ტრაგიკულად კი დაიღუპა.

დადგება პერიოდი, როდესაც დროებით დაწყნარდება სახალხო აჯანყებანი, გაუსწორდებიან ან შეურიგდებიან თავიანთ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს, მაზარიანი დაბრუნდება სასახლეში და შექმნის ახალ ბიბლიოთეკას, მაგრამ მთლად ახალს არა: ბევრმა მყიდველმა და დამტაცებელმა „აღალი გულით“ სასწრაფოდ დააბრუნა ამ დიდი კოლექციის წიგნები — ზოგმა საფასურით, ზოგმა საჩუქრად. იცვლებიან დრონი: ცოტა ხნის წინ კარდინალის თავში 150 ათას ლივრს იძლეოდნენ, ახლა კი მისი მტრების თავები დაფლეთილი in quartos ფასად დაგორდებოდა. უფრო უსაფრთხო იყო წიგნების დაბრუნება. რაც შეეხება წიგნის გამყიდველებს, რომლებიც ნაკლებად განიცდიდნენ შიშსა და პოლიტიკურ კონიუნქტურას, ვიდრე სასახლის კარისკაცები და პარლამენტარები, მათ მიიღეს კარდინალის აღთქმა: „ვიყიდი ყველა წიგნს ხელახლა, ყოველგვ-



რი შეკითხვის გარეშე“. ბოლოსდაბოლოს, ბიბლიოთეკა ძველი ბრწყინვალეობით აღდგა. მაგრამ დიდ ბიბლიოთეკარს მისი ნახვა აღარ ეწერა.

\*

შვედეთის დედოფალი ქრისტიანა, მეფე გუსტავ III ადოლფის ქალიშვილი, ცნობისმოყვარეობითა და ინტერესით ადევნებდა თვალს ანა ავსტრიელის პირველი მინისტრის ბედის ზიგზაგებს. ქრისტიანას, ყველა სხვა ევროპელ ხელმწიფესავით, მხოლოდ პოლიტიკური ზრახვები კი არ ამოძრავებდა, არამედ ბიბლიოფილური ინტერესიც ჰქონდა. ევროპაში ლეგენდები დადიოდა შვედეთის დედოფლის არა მარტო სილამაზეზე, არამედ მის დიდ განსწავლულობაზეც: თითქოს მან 11 ენა იცოდა და მათ შორის — ლათინური, ბერძნული და ძველი ებრაული; ფრანგულად უმცირესი აქცენტის გარეშე ლაპარაკობდა, ასევე ადვილად გადადიოდა ესპანურზე ან იტალიურზე. ევროპის უდიდეს მეცნიერებს ღირსების საქმედ მიაჩნდათ, შვედეთის დედოფლისთვის ეცნობებინათ თავიანთი აღმოჩენების შესახებ. შვედეთის გლეხები შიმშილით იხოცებოდნენ, მაგრამ მისმა უდიდებულესობამ 90 ათასი კრონი დახარჯა ფრანგი, იტალიელი და ესპანელი მუსიკოსების მოსაწვევად. ქრისტიანას დიდი ხანია ჩაფიქრებული ჰქონდა შვედეთის მეფის კართან თავისუფალი აკადემიის, სამხატვრო გალერეისა და ბიბლიოთეკის შექმნა, რითაც მეტოქეობას გაუწევდა მაზარინის განძეულობას. მან შვედეთში მრავალი ფრანგი სწავლული მიიწვია (მათ შორის, ცნობილი ფილოსოფოსი რენე დეკარტი). ნოდესა და მაზარინისათვის სავალალო მოვლენებში ქრისტიანამ დაინახა ბედნიერი შესაძლებლობა — შეეცაო შვედეთის მეფეების წიგნანი ფონდი. დროზე მიუსწრეს მისმა აგენტებმა: ათასი ცალი უძვირფასესი წიგნი და ხელნაწერი გაემგზავრა ჩრდილოეთის დედაქალაქში. მაგრამ ქრისტიანამ განიზრახა ბიბლიოთეკასთან ერთად ბიბლიოთეკარიც ეგდო ხელთ. პატრიცემული Naudeus (ასე უწოდებდა ნოდეს ცერემონიულ ლათინურ წერილში) მიწვეული იყო სტოკჰოლმში, რომ სამეფო ბიბლიოთეკის „სრული ბატონ-პატრონი“ გამხდარიყო. ნოდე არასოდეს დატოვებდა საფრანგეთს, მაგრამ უწყოდა, მაზარინის რამდენი წიგნი გაემგზავრა შვედეთში და გადაწყვიტა. ასე მალმერთებელი მამა გაემგზავრება ხოლმე დატყვევებული ქალიშვილის კვალდაკვალ ზღვის გაღმა. ნოდეს პირდებოდნენ 3 ათას კრონს წელიწადში, უფასო ჭამა-სმას და ბინას სასახლეში. ნოდემ კარდინალის წერილებიდან ისიც შეიტყო, რომ იგი ბიბლიოთეკის დალუპვას, ნაწილობრივ, ბიბლიოთეკარის დაუდევრობითაც ხსნიდა. ეს კი უკანასკნელი წვეთი იყო ფიალის ასავსებად. 1652 წლის 21 ივლისს ნოდე, მოწადის თანხლებით, გზას დაადგა და 13 სექტემბერს



ჩავიდა „აგურითა და ქვით ნაგებ სახლებიან პატარა, ულიმლაძის ქალაქში“, რომელსაც სტოკჰოლმი ერქვა.

1652-1653 წლის გრძელი ზამთარი ნოდემ მოუწყენლად გაატარა. მომაჯადოებელი დედოფლის წიგნადი სიმდიდრე 21 განყოფილებად განალაგა თაროებზე, მოახდინა მისი კლასიფიკაცია და შეადგინა კატალოგი. ძველ ტექსტებსა და კომენტარებში გამოცდილმა თვალმა აღვილად შეამჩნია ლაკუნები. მან მიმართა ევროპის ნაცნობ წიგნის გამყიდველებს და მოკლე დროში ქრისტიანს ბიბლიოთეკა მნიშვნელოვანი შენაძენით შეავსო.

ამასობაში პარიზში დიდი მოვლენები ხდებოდა. ჯერ კიდევ 1652 წლის ზაფხულში, ვიდრე ნოდე სტოკჰოლმის გრძელ გზას ადგა, ფრონდამ საბოლოო მარცხი განიცადა. ლუდოვიკო XIV-ის ძალაუფლება ურყევი ხდებოდა. 1653 წლის 3 თებერვალს მაზარინი დედაქალაქში დაბრუნდა. ძნელი მისახვედრი არ არის, როგორი განწყობილება დაეუფლებოდა ნოდეს. ახლა შვედეთი „უსიამოვნო ქვეყნად“ ეჩვენებოდა. ამასთან, შეიტყო, რომ ქრისტიანა მზად იყო ფართო ქრისტი გაეკეთებინა: თავის თანამდებობაზე აღდგენილი პირველი მინისტრისთვის უსასყიდლოდ დაებრუნებინა აუქციონზე ნაყიდი წიგნები. „უფროსი ქალიშვილი“ საფრანგეთში ბრუნდებოდა. 1653 წლის ივნისში ნოდე გამოეთხოვა ქრისტიანს და კვალდაკვალ გაჰყვა წიგნებს. მაგრამ უნაყოფო ბრძოლებითა და ძნელი გზებით მისი ჯანმრთელობა შერყეული იყო. მან ჩააღწია საფრანგეთში, მაგრამ 1653 წლის 29 ივლისს, 53 წლის ასაკში ციებ-ცხელებისგან გარდაიცვალა პიკარდიის ქალაქ აბვილში. დაკრძალეს იქვე, სენ-ჟორჟის ეკლესიაში.

აბვილში, სიკვდილამდე რამდენიმე დღით აღრე დაწერილ ანდერძში, ბიბლიოთეკარმა არ დაივიწყა კარდინალი. შვედეთში ნაყიდი რამდენიმე იშვიათი წიგნი მას დაუტოვა. ბიბლიოთეკის დანარჩენი ნაწილი ნოდემ თავის ლარიბ ძმისშვილებს უანდერძა. ნოდეს სხვა ქონება არ აღმოაჩნდა. ბიბლიოთეკარის სიკვდილი რომ გაიგო, კარდინალმა მისი მემკვიდრეებისგან 10 ათას ლივრად შეიძინა ყველა — 2 ათასი ტომი. ასე შეერწყა კარდინალის განახლებულ ბიბლიოთეკას ნოდეს პირადი კოლექცია. მართალია, ბოროტი ენები ამბობენ, რომ ნოდეს სამედიცინო წიგნების კოლექცია გაცილებით მეტი ღირდაო, რადგან მასში შედიოდა ისეთი იშვიათობანი, რომელთაც ვერანაირი ფულით ვერ იყიდდი. მომაკვდავ ნოდეს სჯეროდა, რომ მაზარინის ბიბლიოთეკა აღდგებოდა და, ბოლოსდაბოლოს, იგი ფრანგი ხალხის საკუთრება გახდებოდა. ნოდე მართალი გამოდგა. ე. წ. 4 პროვინციის კოლექცისადმი 1661 წელს ნაანდერძევი მაზარინის ბიბლიოთეკა დღესაც არსებობს საფრანგეთის ეროვნული ბიბლიოთეკის შემადგენლობაში. იგი გამდიდრებულია რამდენიმე პირადი კოლექციით და ნახევარ მილიონამდე წიგნს ითვლის.



1658 წელს პარიზში გამოიცა ნოდეს ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებული. „იგი ჩვენი საუკუნის გონებაჩლუნგობას მკურნალობდაო“  
 ქვამია ამ წიგნის შესავალში. დიდმა ბიბლიოთეკარმა მხოლოდ დიდი წიგნთსაცავის აგების პრინციპი კი არ გვიანდერძა, რომელსაც ისტორიული მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს, არამედ ყველა ჩვენგანს დაგვიტოვა წიგნის, განათლებისა და სიკეთის სიყვარული, რაც ნებისმიერ კარდინალსა და მეფეზე ძლიერია. წიგნის შემგროვებლობის ისტორიაში მაზარინის როლის განსაზღვრას თუ შევეცდებით... რა გაეწყობა, იგი დიდი ბიბლიოთეკარის ეპოქის საკმაოდ იღბლიანი ბიბლიოფილი იყო.

თარგმნა პელო დელეყვამ



## დავანდობის ბიბლიოფილის ბაზენება

ბატონ ზურაბ შენგელიას სახლს მუდამ უამრავი სტუმარი ჰყავდა. მიდიოდნენ შეჭირვებული ავადმყოფები და იცოდნენ, რომ გულისხმიერი მკურნალის რჩევა-დარიგება მაღამოდ დაედებოდა მათ სატკივარს.

მიდიოდნენ წიგნის მოყვარულები და იცოდნენ, რომ ბიბლიოფილი მასპინძელი უნიკალური წიგნების მდიდარ ბიბლიოთეკაში საჭირო წიგნს უთუოდ მოუხაზავდა.

მიდიოდნენ ახალგაზრდები უბრალოდ იმ სურვილით, რომ მოესმინათ კაცისათვის, რომელიც ერთდროულად იყო მეცნიერიც, მკურნალიც, წიგნის მოყვარულიც და სხვა იშვიათი ნივთების კოლექციონერიც. ეს სამოცდაათ წელს გადაცილებული მხნე და ენერგიული კაცი, 10 წიგნის, 250 სამეცნიერო ნაშრომის, 200-მდე პუბლიკაციის ავტორი, ჩინებული მკვლევარი რამდენიმე უცხო ენისა, მართლაც რომ მრავალმხრივი ნიჭით იყო დაჯილდოებული. თავად ზურაბ შენგელიას აზრით კი, ყოველგვარი ნიჭი წიგნის სიყვარულით იწყება.

ზურაბ სიმონის ძე შენგელია იყო თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის ბოტანიკის კათედრის დოცენტი, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკი. ოთხ ათეულ წელზე მეტხანს სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდას ემსახურებოდა. უფრო ადრე კი სამედიცინო და ვეტერინარული განათლება მიიღო.

სამედიცინო პრაქტიკა რკინიგზის საავადმყოფოში დაიწყო 1935 წელს. ყელ-ყურის განყოფილებაში მუშაობდა დავით თევზაძესთან. სამკურნალო მცენარეებით გატაცებამ ახალი პრეპარატის შექმნა უკარნახა. „იბერიცინმა“ საავტორო მოწმობა მიიღო და ოთხ ათეულ წელზე მეტხანს ამ ეფექტური საშუალებით კურნავდა ბატონი ზურაბი ნუშისებური ჭირკვლებისა და ცხვირის ზედა და ქვედა სავალი გზების ანთებებს.

სამედიცინო და ვეტერინარული ლიტერატურა მის მდიდარ წიგნთსაცავში თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი. აქვე ნახავთ სამკურნალო მცენარეების შესახებ გამოცემულ უამრავ ლიტერატურას. ყველა ამ გამოცემას ცალკე განყოფილებაში აქვს მიჩენილი ადგილი ისევე, როგორც



მხატვრულ, ისტორიულ, მემუარულ, საარქივო მასალებს, გოლინის წიგნებს, მინიატიურულ სასაჩუქრო გამოცემებს, საქართველოს ისტორიის მასალებს, „ვეფხისტყაოსნის“ მრავალ გამოცემას და ჭედლორობით გაფორმებულ წიგნებს. წიგნისადმი სათუთი დამოკიდებულება ბიბლიოთეკაზე უბრალო თვალის გადავლებითაც იგრძნობა.

15 ათასი წიგნი... თითოეული საკუთარი ისტორიით. ბიბლიოთეკის ყველაზე „ხანდაზმული“ ბინადარია ჰარიეტ ბიჩერ სტოუს „ბიძია თომას ქოხი“. ექვსმა ათეულმა წელმა ვერ დაავიწყა ბატონ ზურაბს ის სიხარული, რაც ამ პირველი წიგნის შეძენამ განაცდევინა. 20-იანი წლების მიწურული იყო. მაშინ ცნობილი საბავშვო მწერალი შიო მღვიმელი მუშაობდა ვერისუბნის ბუკინისტურ მაღაზიაში. გულისხმიერად ურჩევდა ყველა მომსვლელს სასურველ წიგნს. განსაკუთრებული სითბოთი ბატონებს ხვდებოდა. ბატონ ზურაბსაც მან შეურჩია ეს წიგნი.

ბატონი ზურაბის სახლში მომსვლელი უამრავ უნიკალურ გამოცემას ნახავს. იქაა კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტების კრებულის ტომები, საქართველოს არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის დოკუმენტური მასალები (ტფილისი, 1866 წ., კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს ტიპოგრაფია). ეს კრებულები ექვთიმე თაყაიშვილის ნაქონია. ასეთი სრული კომპლექტი არავის აქვს მთელ კავკასიაში. ბატონი ზურაბის ბიბლიოთეკაში საფრანგეთიდან ჩამოტანის შემდეგ მოხვდა. ქართველი ისტორიკოსებისა და ეთნოგრაფებისათვის, არქეოლოგებისათვის ძვირფასი ცნობებია ამ კრებულებში.

უნიკალურია აგრეთვე ამანდ კონინგის მიერ ტუბინგენში 1791 წელს გამოცემული ფარმაკო-ქიმიური ლექსიკონი.

„კავკასიური კალენდარი“ 1872 წლიდან 1911 წლამდე — უძვირფასესი საცნობარო მასალები საქართველოს შესახებ.

„კავკასიელი მთიელები“ — მასალები მათი ყოფაცხოვრების, ეთნოგრაფიისა და ისტორიისათვის, 1901-1910 წწ.

ფასდაუღებელია 30-ტომეული გამოცემა — „მასალები კავკასიის ადგილებისა და ტომების შესახებ“.

ბატონ ზურაბისეულ ბიბლიოთეკაში დაცულია უნიკალური გამოცემა — „ევროპის მოამბე“, სრული კომპლექტი. პეტერბურგი, 1889-1900 წლები.

1831 წლით არის დათარიღებული სანკტ-პეტერბურგში გამოცემული გ. დერეჟინის თხზულებების სამტომეული.




ამას ემატება ის იშვიათი გამოცემები, რომლებიც ბატონი ზურაბს ჩამოჰქონდა უცხოეთიდან. მოგზაურობის დიდ ტრფიალს მრავალი ქვეყანა ჰქონდა მოვლილი. წიგნების გარდა მარკებისა და ფულის იშვიათ ნიმუშებსაც აგროვებდა. ამ საინტერესო მასალებს ხალისით ათვალიერებინებდა სტუმრებს. ბიბლიოთეკაში კი სასურველ წიგნს შეგიჩვენებდათ მასპინძელი. ამიტომაც ჰყავდა უამრავი სტუმარი შენგელიების სახლს.

გულისხმიერი მარტო სტუმრებთან როდი იყო ბატონი ზურაბი. სამტრედიის რაიონის მშობლიური სოფლის, კულაშის სკოლას ბიოლოგიის კაბინეტისათვის გაუგზავნა მიკროსკოპები, ტაბულები, ჰერბარიუმები. გასაგზავნად ამზადებდა წიგნებსაც, მაგრამ არ დასცალდა; 1992 წლის 17 იანვარს მოულოდნელად შეწყდა ამ შესანიშნავი მამულიშვილის გულისცემა, შთამომავლებს კი დიდი სულიერი სიმდიდრე დაუტოვა.

წელს ბატონ ზურაბს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდებოდა. დაე, სხივნათელი იყოს მისი გახსენება.

ՀԱՅԿԵՅՐԱՆ ԵՐԵՎԱՆ

ՀԱՅԿԵՅՐԱՆ ԵՐԵՎԱՆ



---

**ԵՈՅԵՈՒ...  
ԵՈՅԵՈՒ...  
ԵՈՅԵՈՒ...**



ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

ამის უმატებია ის იშვიათი გამოცემები, რომლებიც ბაზრობაში  
სამომხრედა წყვეტილიან. მთვ სურობის დიდ ტრეფადას  
ვანა მქონდა მოვლილი. წიგნების გაბრა-მარებისა და ფულის იშვიათ  
რომეშისაუ, ვრობება ამ სარტრისო მასალებს წაღისით ააფ-ლავ  
**წიგნი ახროვნების დავაღალი შრომათა.**

აიბეკი .

ფულისმეცხი მარტო სტეპრებითან როლი იყო მატონი სურამი. წა-  
ტრეფის რაიონის მშობლიური სოფლის, კელამეს სკოლის ბიბლიოთე-  
ის გამანეტისთვის გაფულისა მიკლის თმბი ტაბლოები, მერმარეხი  
ნი, ვასაგ სავიდი ამხადე... დასკოლა: 1977  
წლის 17 იანვარს მოუღო... მწიგნი მწიგნი მწიგნი მწიგნი  
ლის კლავისკემა, შიამო... სამხილრე დავა-  
ტრე...



წელი მატონ სურამის დამიდებდან 80 წელი შეუსრულდებოდა  
დაუ სხეინათევი მწიგნი მწიგნი მწიგნი მწიგნი

... იაბთი  
... იაბთი  
... იაბთი

## მეხნიერის უკანასკნელი წიგნი

(ოთარ კასრაძის „ნარკვევები ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიიდან“)

ბატონი ოთარ კასრაძე ათეული წლების მანძილზე ნაყოფიერად იკვლევდა ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიას, რის საფუძველზეც სპეციალისტებსა და მკითხველთა ფართო საზოგადოებას წარმოუდგინა უაღრესად საჭირო გამოკვლევები: „ძველი ქართული წიგნი“ და „ქართული წიგნის ბეჭდვის კერები“. ამ დიდი და საშური საქმის კვლევას იგი ჩვეულებრივ პროფესიონალიზმითა და ენერგიულობით განაგრძობდა სიცოცხლის დასასრულამდე, რის შედეგადაც მივიღეთ ისეთი ფუნდამენტური გამოკვლევა, როგორც არის მისი „ნარკვევები ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიიდან“, და რაოდენ დასანანია, რომ თვით ავტორი ვეღარ მოესწრო სტამბაში ათი წლის წინ ჩამოშვებული ნაშრომის გამომხეურებას. ათ წელს იმიტომ აღვნიშნავთ გამოკვეთით, რომ, ბუნებრივია, ბოლო წლების სიახლენი ამ სფეროში წინამდებარე წიგნში გათვალისწინებული არ არის. ამითი აიხსნება ისიც, რომ ავტორის გამოკვლევაში ხანდახან გაიღვებდნენ დროისათვის ჩვენში დამკვიდრებული სოციალური ტერმინები „ფეოდალური არისტოკრატია“, „წვრილი ბურჟუაზია“ და მისთა მსგავსი. მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ მინიმალური „თავშეკავებული“ გამოვლენაა ეპოქის სტილისა.

წიგნში წარმოჩენილია დამწერლობის განვითარების სამი ძირითადი ეტაპი: იეროგრაფიული, ლურსმული და ასოთა ანუ ანბანური დამწერლობა. გომარეთის ზურტაკეტის ყორღანების სამარხებში აღმოჩენილ მასალებზე დაკვირვებითა და აკად. ოთარ ჯაფარიძის გამოკვლევაზე დაყრდნობით ავტორი აკადემიური სიფრთხილით აღნიშნავს: არაა გამორიცხული, რომ აქ ფიქსირებული იყოს „დამწერლობის ცდა“. წიგნში კარგად არის ჩამოყალიბებული გარკვეულ ისტორიულ პირობებში თუ რა ცვლილებები განიცადა ქართულმა ნაბეჭდმა წიგნმა. სარწმუნოდ მიგვაჩნია, აგრეთვე, ქართული ნაბეჭდი წიგნების ძირითადი ეტაპების გამოკვეთა და თითოეული ეტაპისათვის ნიშანდობლივი სპეციფიკის ჩამოყალიბება.

ავტორი საგანგებო აღგილს უთმობს XVII-XVIII საუკუნეებში უცხოეთში დამზადებული შრიფტების შესწავლას; მეცნიერთა მიერ და საკუთარი კვლევის შედეგად მოპოვებული მასალების ანალიზით მდიდარ სურათს წარმოგვიჩენს ქართული შრიფტის შექმნისა და რაობის გასათ-



ვალისწინებლად. განსაკუთრებით ფასეულია ბატონ ოთარ კასრაძის დეკორატიული ნაწარმები, როდესაც იგი მსჯელობს ალექსანდრე ბატონიშვილის (არჩილის ძის) დეკორატიული შრომების შექმნასთან დაკავშირებით; აქვე უდავოდ ანგარიშგასაწვევი მოსახერხებელი მამა-შვილის საგანმანათლებლო მოღვაწეობასთან დაკავშირებით. ნაშრომი მდიდარ ცნობებს გვაწვდის „ვეფხისტყაოსნისა“ და „ბიბლიის“ ბეჭდვის ისტორიის გასათვალისწინებლად.

ავტორის მიერ სწორედ სასტამბო საქმის პროფესიული ცოდნის შედეგია, რომ იგი ასე საფუძვლიანად იკვლევს და უდავოდ ანგარიშგასაწვევ დასკვნებს გვაწვდის ნაბეჭდი წიგნის სტამბური კაზმულობის შესახებ; ეს სფერო მისი სპეციფიკის გამო ნაკლებად იყო ჩვენში შესწავლილი და ამ ხარვეზს წარმატებით ავსებს ავტორის ნაკვლევ-ნაფიქრალი.

დიდ სიახლედ უნდა მივიჩნიოთ ავტორის მტკიცება, რომ არც ნ. ირბახის დროს იტალიაში და არც არჩილის დროს რუსეთში ქართული სტამბა არ არსებობდა და სათანადო მასალების ანალიზით ო. კასრაძე სარწმუნოს ხდის, რომ ნ. ირბახმა და არჩილმაც გამოიყენეს უცხოეთში არსებული სტამბები ქართული წიგნის შესაქმნელად და (ყოველ შემთხვევაში ეს ორი) იტალიასა და რუსეთში იმ დროისათვის „ქართული სტამბის“ არსებობის შესახებ მსჯელობა გაუმართლებელია.

უდავოდ დიდ ინფორმაციას ღებულობს მკითხველი და სპეციალისტთათვისაც საინტერესო ფაქტებია გამოვლენილი მონაცემთა, სადაც საუბარია უცხოეთსა და საქართველოში XIX საუკუნეში დაბეჭდილი წიგნების შესახებ.

ახალი ასპექტია გამოვლენილი ილია ჭავჭავაძის მრავალფეროვანი მოღვაწეობის სფეროში. ეს გახლავთ საგამომცემლო საქმე, რომელიც წარმოჩენილია გამოკვლევაში „ი. ჭავჭავაძე და „ქართველ გამომცემლთა ამხანაგობა“.

საგანგებო ყურადღებას იმსახურებს მკვლევრის ძიებები ქართველ მბეჭდავ-გამომცემელთა ნამოღვაწარის წარმოსაჩენად. ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის (ირბახის), არჩილის, ვახტანგ VI-ის, ანტონ I-ის, გაიოზ რექტორისა და ქართული წიგნის ბეჭდვის სხვა დიდი მოღვაწეების გვერდით საგანგებოდ არის წარმოდგენილი შესანიშნავი პორტრეტული მონახაზები „უსახელო“ მამულიშვილებისა: ეს იქნება დეკანოზი ივანე თუ ტრიფილე, შიო ტურაშვილი თუ გიორგი ბაიჭაძე, პეტრე ქებაძე თუ სიმონ ტაბიძე, ყველა ის, ვისი რუღუნებითა და ძალისხმევითაც შეიქმნა და განვითარდა ჩვენში საგამომცემლო საქმე.

ვითვალისწინებთ რა წინამდებარე წიგნის უდავო დიდ ღირსებას, ავტორის გამოჩენულ წვლილს ქართული ნაბეჭდი წიგნის ისტორიის წარმოჩენაში, დიდი გულისტკივილით აღვნიშნავთ, რომ ამ საჭირო წიგნის გამოცემას ვერ მოესწრო თვით ავტორი, ბატონი ოთარ კასრაძე, რის გამოც დანაწილებით ვიმეორებთ ძველ ქართულ თქმას: „საწუხარ არს ესე“.

## იპირონის ჩამქრალ პარსკვლავთა შუქი

ძველი ქართული კულტურის საზღვარგარეთული კერების შუქი, როგორც დიდი ხნის ჩამქრალ შორეულ ვარსკვლავთა სხივები, დღესაც აღწევს ხოლმე ჩვენამდე და გულებს გვითბობს. ამ კერებიდან, როგორც ცნობილია, ყველაზე მძლავრი და მნიშვნელოვანია ათონის ივერთა მონასტერი, ე. წ. ივირონი, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა X ს. 80-იან წლებში საბერძნეთში, ქალკედონის ნახევარკუნძულზე. აკად. კორნელი კეკელიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „არც ერთ სამონასტრო დაწესებულებას ისეთი მნიშვნელობა არ ჰქონია ჩვენი მწერლობისა და კულტურის ისტორიაში, როგორც ათონის ივერთა მონასტერს. უიმიოდ ჩვენი კულტურის ისტორიას შეიძლება სხვა სახე და ხასიათი მიეღო“. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ათონის ქართველთა სავანისა და სხვა საზღვარგარეთული კერების ისტორიის გაუთვალისწინებლად თვით ბიზანტიური ლიტერატურისა და კულტურის ისტორიაც სრულყოფილად ვერ იქნება წარმოდგენილი.

ათონის ივერთა მონასტრის განსაკუთრებული ადგილითა და მნიშვნელობით აიხსნება ის ფაქტი, რომ არ დაჩინებულა თითქმის არც ერთი თვალსაჩინო მკვლევარი ძველი ქართული ლიტერატურისა, რომელიც ათონის ქართულ სავანეს ამა თუ იმ კუთხით არ შეხებოდეს. მიუხედავად ამისა, საკვლევი და საძიებელი აქ ჯერ კიდევ აურაცხელია, მით უფრო, რომ ბევრი რამ ამ მასალებიდან მხოლოდ ბოლო დროს გახდა ცნობილი და ხელმისაწვდომი სპეციალისტებისათვის.

იმ თანამედროვე მკვლევართა შორის, რომლებიც დაუდალავი ენერჯითა და შემართებით მიჰყვებიან ჩვენი დიდი მეცნიერების მიერ გაკვალულ გზას და ახალი ფაქტებით, ახალი მიგნებებით ავსებენ და ამდიდრებენ ათონის ქართველთა მონასტრისა და სხვა საზღვარგარეთული კერების ისტორიას, პირველ რიგში უნდა დავასახელოთ აკადემიკოსი ელენე მეტრეველი. უკვე ნახევარი საუკუნეა, რაც იგი დაუცხრომელ მეცნიერულ კვლევა-ძიებას ეწევა ამ მიმართულებით და ძველ ქართველ მწიგნობართა ლიტერატურულ-შემოქმედებითი და კულტურული მოღვაწეობის მრავალი უცნობი ფაქტი გამოავლინა, არაერთ მნიშვნელოვან საკითხს მოჰფინა ნათელი. მისეული ბუბლიკაციები, ხელნაწერთა აღწერილობანი და ფუნდამენტური გამოკვლევები სპეციალისტებისათვის კარ-





გად არის ცნობილი და ამ თემაზე ამჟერად სიტყვას არ ვაგვიტყვია. ყურადღებას შევაჩერებთ მხოლოდ მის ახალგამოცემულ წიგნზე „ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან“ (გამომცემლობა „ნეკერი“, 1996).

წიგნი, რომელიც ივანე ჯავახიშვილის ნათელ ხსოვნას ეძღვნება, ერთგვარად აჯამებს ავტორის ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო მუშაობის შედეგებს კვლევის ერთი გარკვეული მიმართულებით. ესაა წერილების კრებული, სადაც წარმოდგენილია 12 ნარკვევი, რომელთა უმეტესი ნაწილი პირველად იბეჭდება.

პირველივე გამოკვლევა „ჩორღვანელთა დიდი სახლის ისტორიისათვის“ ყურადღებას იპყრობს ისტორიული წყაროების, კერძოდ, 977-981 წლებში გადაწერილი ოთხი ქართული წიგნის ანდერძ-მინაწერების დრმა ანალიზით და ახლებური ინტერპრეტაციით. ამ ოთხი წიგნიდან სამი ოშკშია გადაწერილი და ამჟამად კი ათონის ქართველთა მონასტერში ინახება. ესენია: „ოშკის ბიბლია“ (Ath. 1), „იოანე ოქროპირის ცხოვრება“ (Ath. 3) და „სამოთხე“ (Ath. 9). მეოთხე წიგნი, ე. წ. „განძი“, გადაწერილი „კარინის ქვეყანაში“ (კარხუ-ქალაქში ანუ ერზერუმში), ამჟამად აღარსად ჩანს, მაგრამ, საბედნიეროდ, შემონახულია მისი ანდერძი, რომელიც ერთი ბერძნული ხელნაწერის თავფურცლად გამოუყენებიათ. ის ამჟამად მოსკოვის ისტორიული მუზეუმის სინოდის კოლექციისაშია დაცული (Gr. 62). აქ ის, როგორც ჩანს, ათონიდან მოხვდა.

ამ ხელნაწერთა მომგებელნი არიან ჩორღვანელთა სახლის სახელოვანი წარმომადგენლები — ძმები იოანე-თორნიკე და იოანე-ვარაზვაჩე, რომლებიც არაერთგზის იხსენებიან ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებში. მათგან ჩვენი მკითხველისათვის განსაკუთრებით კარგად არის ცნობილი იოანე-თორნიკე, იგივე თორნიკე ერისთავი, რომლის სარდლობითაც ქართველთა ლაშქარმა 979 წელს დაამარცხა ბიზანტიის იმპერატორის წინააღმდეგ აჯანყებული ბარდა სკლიაროსი.

იმ დროისათვის თორნიკე უკვე ბერად იყო შემდგარი იოანეს სახელით და პატრიკის წოდებით, სახელოვანი გამარჯვების შემდეგ კი მას მიენიჭა მეტად საპატიო სასულიერო ტიტული — სვინგლოზი. ამავე დროს თორნიკეს წილად ხვდა დიდძალი ნაალაფვევი ქონება, რომლის დიდი ნაწილიც მან ათონის მთაზე ქართველთა მონასტრის მშენებლობას მოახმარა. სწორედ აქედან იწყება ივირონის ისტორია.

თორნიკესა და მისი ძმის ვარაზვაჩეს შეკვეთით გადაწერილი ხელნაწერებიდან ყველაზე ადრინდელია იოანე ოქროპირისა და ეფრემ ასურის ქადაგებათა კრებული, ე. წ. „სამოთხე“, გადაწერილი 977 წელს სტეფანე მწიგნობრის მიერ მთავრული ასოებით. მის ფურცლებზე მოთავსებულია გადამწერისვე ხელით ნუსხურად ნაწერი რამდენიმე მოსახსენებელი, სა-



დაც იხსენიებიან მეფე დავით მაგისტროსი, იოვანე-ვარაზვაჩე და მისი ძმები. ბოლოს იოვანესთან ერთად იხსენიება გადამწერიც: „ქრისტე, ძეო ღმრთისაო, შეიწყალე სული იოვანესი და სტეფანესი, რომელმან ესე წმიდაა წიგნი დავწერე“.

ამის შემდეგ იმავე ფურცელზე მოთავსებულია კიდევ ორი მოსახსენებელი, დაწერილი სტეფანეს ხელითვე, ოღონდ არა ნუსხური ასოებით, არამედ მთავრულით. აქ იოანე-ვარაზვაჩესთან ერთად პირველად იხსენიება სვინგელოზი, ე. ი. იოანე-თორნიკე. ამას მოსდევს იოანე-თორნიკეს ვრცელი ანდერძი, რომელიც მისი სახელით შეუდგენია ცნობილ შატბერდელ მწიგნობარს, მიქაელ მოდრეკილის დისწულს — დავითს.

ამ ანდერძ-მინაწერების ფილიგრანული პალეოგრაფიული და კოდიკოლოგიური ანალიზისა და სხვა წყაროებთან შეჯერება-შემოწმების გზით მკვლევარი მიდის ერთადერთ სწორ დასკვნამდე, რომ ეს ანდერძები ავთენტურია, აბსოლუტურად სანდოა და არავითარ წინააღმდეგობას არ შეიცავს, მათ შორის მცირეოდენი განსხვავება კი იმით აიხსნება, რომ ანდერძ-მინაწერების ერთი ნაწილი შეტანილია წიგნში მისი გადამწერის პროცესშივე, 977 წელს, მეორე ნაწილი კი — დაახლოებით ორი წლის შემდეგ, როცა ბარდა სკლიაროსთან ბრძოლაში გამარჯვებული ქართველები თორნიკე ერისთავის მეთაურობით სამშობლოში დაბრუნდნენ.

977 წელს, როცა „სამოთხის“ ძირითადი ტექსტი იწერებოდა, თორნიკე ერისთავი ტაოში არ იმყოფებოდა. ე. მეტრეველის ვარაუდით, ის 973 წლიდან უკვე ათონზე იყო, ათანასეს ლავრაში. ჩანს, ის თავიდანვე „სამოთხის“ დამკვეთთაგანი („მომგებელი“) არ ყოფილა და ამიტომ ანდერძ-მინაწერთა პირველ წყებაში არც იხსენიება; მაგრამ როცა ის გამარჯვებული დაბრუნდა სამშობლოში და აქ დავით კურაპალატის თანხმობით გადაწყდა ქართველთა დამოუკიდებელი მონასტრის აგება ათონზე, თორნიკე მაშინვე შესდგომია თადარიგს ამ მონასტრისათვის საჭირო წიგნების მოსაპოვებლად და პირველი წიგნი, რომელიც მას ამ მიზნით შეუძენია, სწორედ ცოტა ხნის წინ გადამწერილი „სამოთხე“ ყოფილა. ამიტომ წიგნს ბოლოში დაუმატეს კიდევ სამი ფურცელი, სადაც მოთავსებულია თორნიკეს მოსახსენებელი და ვრცელი ანდერძი, დაწერილი საზეიმო კალიგრაფიული მთავრულით.

„თორნიკეს კარნახით შექმნილი ეს დოკუმენტი, — როგორც ე. მეტრეველი აღნიშნავს, — დაწერილია ეროვნული ღირსების მაღალი გრძნობით, შორსმჭვრეტელი და გამოცდილი პოლიტიკოსისა და სახელმძღვანელო მოღვაწის დიდი ტაქტიკითა და თავდაპირველად. თორნიკეს ანდერძი დიდი ისტორიული ღირებულების მქონე უტყუარი დოკუმენტია, რომელსაც გვერდს ვერ აუვლის ამ ეპოქის შემსწავლელი ვერც ერთი ისტორიკოსი. ამიტომ, რა თქმა უნდა, სრულ გაუგებრობაზე და მასალის არ-



ცოდნაზეა აგებული იმ მეცნიერთა თვალსაზრისები, რომლებიც ამ შესა-  
ნიშნავ ისტორიულ პირველწყაროს უნდობლობას უცხადებენ (გვ. 15-  
16).

ეს ანდერძი პირველი წერილობითი დოკუმენტია ქართველთა დიდი  
გამარჯვების შესახებ ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამავე  
დროს ანდერძში წარმოდგენილია დაწვრილებითი ცნობები ჩორღვანელ-  
თა დიდი სახლის სამი თაობის შესახებ, ოღონდ მხოლოდ მამაკაცთა  
ხაზით; ქალთაგან კი სახელდობრ მხოლოდ ოჯახის უფროსის — ჩორღვან-  
ელის მეუღლე მარიამი იხსენიება.

ჩორღვანელსა და მარიამს ჰყოლიათ ხუთი ვაჟიშვილი: თორნიკე, ვა-  
რაზვაჩე, ბაგრატი, არშუშა და აბუჰარბი. ამათგან ვარაზვაჩეს ჰყავს სამი  
ვაჟი: მიქაელი, ჩორღვანელი და თორნიკე. ამათ გარდა ანდერძებში იხსენ-  
იება იოანე-თორნიკეს კიდევ ორი ძმისწული: ჩორღვანელ პატრიკი და  
ბაგრატ პატრიკი, აგრეთვე უფროსი ჩორღვანელის ძმები — აბუჰარბი და  
არშუშა.

სავსებით ანალოგიური სურათია მეორე ხელნაწერის — „განძის“ ან-  
დერძშიც (981 წ.). მათთან სრულ შესატყვისობაშია დანარჩენი ორი  
ხელნაწერის ანდერძებიც, ოღონდ იქ ნათესაობა ასე დაწვრილებით არ  
არის ჩამოთვლილი.

ანდერძებიდან ჩანს, რომ მათი შედგენისას უფროსი თაობის წარმო-  
მადგენლები (ჩორღვანელი, აბუჰარბი, არშუშა, მარიამი) უკვე ცოცხლე-  
ბი აღარ არიან. სამაგიეროდ, სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსულია უმ-  
ცროსი (მესამე) თაობა, რომლის ერთი წარმომადგენელიც (ჩორღვანე-  
ლი) ჩოროლოდისა და ექუსოვიტის წოდებით იხსენიება, ე. ი. დიდი  
სახელმწიფო მოხელეა, ორი კი (მეორე ჩორღვანელი და ბაგრატი) პატ-  
რიკის ტიტულს ატარებს.

სხვათა შორის, ანდერძებში რატომღაც მითითებული არ არის, რო-  
მელი ძმის (ან ძმათა) შვილები არიან ჩორღვანელ პატრიკი და ბაგრატ  
პატრიკი, რის გამოც ელ. მეტრეველს ისინი არ შეუტანია ჩორღვანელთა  
ოჯახის გენეალოგიურ ტაბულაში (გვ. 24). პირადად ჩვენ უფრო მიზან-  
შეწონილად მიგვაჩნია მათი წარმომავლობის მითითება ბაგრატის, არ-  
შუშასა და აბუჰარბისაგან მომდინარე წყვეტილი ხაზით (იხ. ჩვენი —  
ქართული ხელნაწერების კვალდაკვალ, 1983, გვ. 140). სხვა მხრივ ჩვენი  
და ელ. მეტრეველის მიერ შედგენილი გენეალოგიური ტაბულები ერ-  
თმანეთს ემთხვევა, რაც პირადად ჩვენთვის სასიამოვნო ფაქტია.

როგორც ჩანს, თორნიკე ერისთავს საკუთარი ვაჟიშვილი არ ჰყოლია,  
თორემ ის უთუოდ იქნებოდა მოხსენიებული იმ ანდერძებში, სადაც ჩორ-  
ღვანელთა ოჯახის მამაკაცები და მათი ნათესაური ურთიერთობა დაწ-  
ვრილებით არის აღნუსხული. ამავე დროს ანდერძ-მინაწერებში ზოგა-



დად, მაგრამ გარკვევით არის საუბარი თორნიკეს შვილებზე. ელ. მეტრეველი ველის აზრით, ამ წინააღმდეგობას შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი ახსნა: თორნიკეს ჰყოლია ქალიშვილები, რომლებიც გვარის გამგრძელებლებად არ ითვლებოდნენ და ამდენად არც გენეალოგიაში აისახებოდნენ (გვ. 23).

ჩვენ დასაშვებად მიგვაჩნია ალტერნატიული ახსნაც: თორნიკემ იშვილა ადრე დაობლებული ძმისწულები — ჩორდვანელი და ბაგრატი, რის გამოც ისინი ანდერძებში (ასევე ზოგ სხვა წყაროშიც, მაგალითად, ასოლიკთან) ხან თორნიკეს ძმისწულებად იხსენიებიან და ხან ხორციელ შვილებად.

ჩორდვანელთა გენეალოგიურ ტაბულასთან დაკავშირებით აღსანიშნავია კიდევ ერთი მომენტი: „იოვანე და ეფთვიმე მთაწმიდელთა ცხოვრებიდან“ ცნობილია, რომ თორნიკე იყო „თჳსი“ იოანესი. ამ ცნობაზე დაყრდნობით ზოგი მკვლევარი მათ მმებადაც კი მიიჩნევდა, მაგრამ ამგვარი ვარაუდი საფუძველს მოკლებულია და დღეს მას აღარავინ იზიარებს. მაშინ საკითხავია: რა ნათესაური ურთიერთობაა იოანე მთაწმინდელსა და თორნიკე ერისთავს შორის? ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს თორნიკეს ერთ-ერთი ბიძის (მამის ძმის) სახელი აბუჰარბი, რომელიც ემთხვევა იოანე მთაწმიდელის სიმამრის სახელს. აშკარაა, აქ ერთსა და იმავე პირთან უნდა გვქონდეს საქმე, ე. ი. გამოდის, რომ იოანე მთაწმიდელს ცოლად ჰყოლია თორნიკეს მკვიდრი ბიძაშვილი და ისინი მართლაც „თჳსნი“, ე. ი. დღევანდელი ტერმინი რომ მოვიშველიოთ, „მოყვრები“ უოფილან.

მეორე ნარკვევში — „ჩორდვანელთა დიდი სახლი და ივირონი“, რომელიც პირველის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს, სრული დამაჯერებლობით არის ნაჩვენები, თუ როგორი ზუსტი შესატყვისობაა ქართულ თუ უცხოურ ნარატიულ წყაროებსა და ოშკური ხელნაწერების ანდერძებში წარმოდგენილ ცნობებს შორის. ამ ცნობებს ავსებს და ამაგრებს აგრეთვე ათონის ივირონის ბერძნულ აქტებში წარმოდგენილი ცნობები. ამ აქტების ვრცელი კორპუსი ოთხ ტომად გამოიცა პარიზში 1985-1995 წლებში. მისი I ტომის წინასიტყვაობაში უკვე ხაზგასმით აღნიშნულია ქართული წყაროების დიდი სიზუსტე და სანდოობა, რაშიაც ადრე უსაფუძვლოდ შეჰქონდათ ეჭვი პ. პეტერსს, ნ. აკინიანს, ნ. აღონცს და სხვა მკვლევრებს.

ამ მკვლევართა ნიპილისტური თვალსაზრისის პირველი დასაბუთებული კრიტიკა მოგვცა უცხოეთში მოღვაწე გამოჩენილმა ქართველმა მეცნიერმა მიქელ თარხნიშვილმა. ამ თვალსაზრისის კრიტიკული შეფასება წარმოდგენილია აგრეთვე ვ. კობალიანის, ნ. ლომოურის, შ. ბაღრიძის და სხვათა ნაშრომებში. ელ. მეტრეველის სარეცენზიო ნაშრომით



საკითხი, შეიძლება ითქვას, უკვე საბოლოოდ გარკვეულია და ქართული წყაროების სანდოობა და დიდი მნიშვნელობა არავითარ ეჭვს აღარ იწვევს.

ელ. მეტრეველი საგანგებო ყურადღებას უთმობს ივირონის X-XI საუკუნეთა ქართულ და ბერძნულ დოკუმენტებში პარალელურად ხმარებულ ფორმებს — ჩორდვანელსა და ჩორჩანელს. მისი ვარაუდით, ესაა ზედწოდება სამცხის ჩორჩანელთა ფეოდალური სახლის მეთაურისა, რომელიც ფლობდა ზარზმის მონასტერს და მის მახლობლად მდებარე სოფლებს — ჩორჩანსა და ზანავს. როცა ამ ფეოდალურმა სახლმა სამცხე დატოვა და ტაოში გადავიდა, სახლის მეთაურს შერჩა თავისი ადრინდელი ზედწოდება, მაგრამ ახალ გარემოცვაში მას რეალური შინაარსი დაეკარგა, ხოლო შთამომავალთა მეორე და მესამე თაობაში უკვე საკუთარ სახელად იქცა (გვ. 52-53).

ყოველივე აქედან აშკარად ჩანს, რომ ჩორდვანელები, იგივე ჩორჩანელები, რომელთა ფეოდალურ ოჯახსაც ეკუთვნოდა თორნიკე ერისთავი, იყვნენ ეროვნებით ქართველები და კონფესიურად მართლმადიდებელი ქრისტიანები და არა სომეხი გრიგორიანელები, როგორც ამას ზოგიერთი ფიქრობდა და შესაძლოა დღესაც ფიქრობდეს.

პირველი ორი წერილის ერთგვარ რეზიუმეს წარმოადგენს მომდევნო ნარკვევი „О ктиторах Ивирона“. ეს ერთადერთი ნაშრომია კრებულში რუსულად დაბეჭდილი, ჯერ ერთი, რათა მკითხველი გაეცნოს მას იმ სახით, როგორც წაკითხული იქნა საერთაშორისო სიმპოზიუმზე რამდენიმე წლის წინათ, მეორე და უფრო მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ კვლევა-ძიების შედეგად მიღებული დასკვნები მისაწვდომი და გასაგები გახდეს ქართულის არმცოდნე მკითხველისთვისაც.

ლექსიკოლოგიური და ეტიმოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად ფრიალ საინტერესო და მნიშვნელოვანი დასკვნებია გაკეთებული ნარკვევში, რომელიც ეხება ორ სამოხელეო ტერმინს — ჩოროროდსა და ოთხმიზდურს. ამათგან პირველი დისიმილირებული ფორმით (ჩოროლოდი) გვხვდება „სამოთხის“ ანდერძში, სადაც ის იოანე-ვარაზგაჩის ერთ-ერთი ვაჟის — ჩორდვანელის ტიტულია. უფრო ადრე ეს სიტყვა აღიშის სახარების მათეს თავში დასტურდება, ჯრუჭ-პარხლის რედაქციაში კი იმავე ადგილას „ოთხთა სამთავროთა მთავარი“ იკითხება. სიტყვა რომ არ გაგვიგრძელდეს, დასკვნის სახით ვიტყვით, რომ ამ წყაროების დაწვრილებითი ანალიზის გზით და სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებების ურთიერთშეჯერებით ელ. მეტრეველი ადგენს, რომ ჩოროლოდი სომხური ჩორორდაბეტის გაქართულებული, არალიტერატურული გზით შემოსული ფორმაა, შესატყვისი ბერძნული ტეტრარხისა, რომელიც აღნიშნავდა სახელმწიფოს ერთ-ერთი რეგიონის მთავარს, ადმინისტრაციულ და სამხედრო მმართველს.



რაც შეეხება ოთხმიზღურს, ელ. მეტრეველის აზრით, ეს სამთხველო ტერმინი ქართულ სალიტერატურო ენაში შემოტანილია არსენ კულთოელის მიერ დიდი სჯულისკანონის თარგმნის პროცესში. აგებულით ეს სიტყვა კომპოზიტია (ოთხ-მიზღ-ურ-ი) და ნიშნავს რეგიონის დაქორაგებულ, ხელფასით აყვანილ მოხელეს. „ოთხმიზღური, დღევანდელ ტერმინოლოგიაზე რომ გადმოვიტანოთ, პოლიციის უფროსი იყო ადგილობრივ მმართველობაში“ (გვ. 84).

როგორც ვხედავთ, სიტყვის განმარტება ამომწურავია, ეტიმოლოგია — დამაჯერებელი. აქვე უნდა დავუმატოთ, რომ უთუოდ ამ სამოხელეო ტერმინს უკავშირდება ქართული გვარი ოთხმეზური, რომელსაც ადრე სულ სხვაგვარად განმარტავდნენ და მუსიკალურ ინსტრუმენტზე დამკვრელს უკავშირებდნენ (ეს მცდარი ეტიმოლოგია გაზიარებულია ჩვენს წიგნშიც „რა გქვია შენ?“).

სარეცენზიო წიგნის მნიშვნელოვანი ნაწილი უკავია გამოკვლევებს ცალკეულ ათონელ მოღვაწეთა შესახებ, რომელთა სახელებიც კარგად არის ცნობილი ძველი ქართული ლიტერატურის გულშემმატკივართათვის (გიორგი მაშენებელი, ზაქარია ბანელი, იოანე პატრიკი, თეოფილე ხუცესმონაზონი, ნიკოლაოს ჯუმათელი). ეს სახელები ადრინდანვე გვსმენია, მაგრამ მათ შესახებ ბევრი რამ არ ვიცოდით ან არასწორად ვიცოდით.

მაგალითად, „იოვანე და ეფთვიმე მთაწმიდელთა ცხოვრებიდან“ ცნობილია, რომ ამ სახელოვანი მამა-შვილის შემდეგ ათონის ივერთა მონასტრის მესამე წინამძღვარი იყო გიორგი, „რომელი-იგი თვისივე იყო მათი, კაცი სახელოანი და ფრთხილი ჴორციელთა საქმეთა ზედა“. სწორედ მისი წინამძღვრობის დროს აშენდა ივირონში ღვთისმშობლის მიძინების ცენტრალური ტაძარი, რის გამოც გიორგიმ „მაშენებლის“ ზედწოდება დაიმსახურა; მაგრამ სამშენებლო საქმიანობის გაფართოებას თან ახლდა ბერძენი ბერების მომრავლება ივირონში, რასაც საბოლოოდ ქართველთათვის მეტად უსიამოვნო შედეგები მოჰყვა და გიორგის ძმომ ბრალად დაედო.

ელ. მეტრეველი დაწვრილებით განიხილავს გიორგი მაშენებლის ვინაობას და მის ნათესაურ კავშირს იოვანეს, ეფთვიმესა და თორნიკესთან, რის შესახებაც განსაკუთრებით ძვირფასი ცნობები მოიპოვება ათონის ბერძნულ აქტებში. ამ წყაროში გიორგი წინამძღვარი თორნიკეს ძმისწულად და ვარაზვაჩეს ძედ იხსენიება. ამავე დროს, როგორც ცნობილია, ჩორღვანელთა სახლის წევრთაგან გიორგი არავის რქმევია. ამ შემთხვევაშიც მკვლევარი საესვებით ბუნებრივ ახსნას გვთავაზობს და დამაჯერებელი არგუმენტებით ასაბუთებს კიდევ თავის მოსაზრებას, რომ გიორგი ბერობის დროინდელი სახელია ვარაზვაჩეს უფროსი ვაჟის მიქაელისა. ამ



იდენტიფიკაციის შემდეგ გიორგი მაშენებლის ბიოგრაფია ძალგანსწავნი ტერესო და მნიშვნელოვანი დეტალებით ივსება და მდიდრდება.

მოვიყვანთ კიდევ ერთ დამახასიათებელ მაგალითს იმის საილუსტრაციოდ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ელ. მეტრეველის კვლევა-ძიების შედეგები. ძველი ქართული კულტურის ისტორიაში ასე თუ ისე ჩახედულ მკითხველს მოეხსენება, რომ ნიკოლაოს ჯუმათელის სახელთან დაკავშირებულია ხუთი უძვირფასესი ხელნაწერის შატბერდიდან გამოტანისა და გადაჩვენის ისტორია, რომელსაც თვითონ ნიკოლაოსი გვამცნობს ადიშის სახარების მინაწერში. ეს მინაწერი დაზიანებულია და თარიღი აღარ ჩანს, ხელის მიხედვით კი მას XV-XVI ან XVII საუკუნით ათარიღებდნენ. ბოლო დროს ისტორიკოსმა ვალერი სილოგავამ შეიტანა ეჭვი ამ დათარიღებაში და ნიკოლაოსი XI ს. მოღვაწედ გამოაცხადა. ელ. მეტრეველს მართებულად მიაჩნია ეს დათარიღება და მეტად მნიშვნელოვანი არგუმენტი მოჰყავს მის განსამტკიცებლად. სახელდობრ, მისი დაკვირვებით, ნიკოლაოს ჯუმათელის ანდერძი ადიშის სახარებაში და „გიორგი მთაწმიდელის ცხოვრების“ უძველესი ნუსხა (S-353) შესრულებულია ერთი და იმავე ხელით. აქედან გამომდინარე, ნიკოლაოსი სწორედ XI საუკუნის მოღვაწე ყოფილა.

კიდევ ბევრის თქმა შეიძლება სარეცენზიო წიგნის ღირსებათა შესახებ, იმ მიგნებათა და აღმოჩენათა შესახებ, რომლებიც წიგნის ყოველ ნარკვევსა თუ მონაკვეთში გვხვდება, მაგრამ სიტყვა გაგვიგრძელდა და ეს ვიკმაროთ. დავუმატებთ მხოლოდ, რომ წიგნს დანართის სახით ახლავს გიორგი მთაწმიდელისადმი მიძღვნილი საგალობლები, რომელთა სახითაც ჩვენს წინაშეა მეტად საყურადღებო ნიმუშები ძველი ქართული პოეზიისა.

ელენე მეტრეველის წიგნი მნიშვნელოვანი ნაბიჯია ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო სავანის ისტორიის შესწავლის საქმეში და ის უთუოდ ახალ ბიძგს მისცემს აქ დასმული საკითხების შემდგომ გაღრმავებულ კვლევა-ძიებას.

## ქართული „პლატერო“

ჩვენს საზოგადოებაში ფეხს იკიდებს, მკვიდრდება არცთუ სასიამოვნო აზრი: გარდამავალმა ხანამ, შეცვლილმა სოციალურმა ყოფამ, მოსახლეობის უმეტესობის გაღატაკებამ და დაბეჩავებამ ის მოიტანა, რომ ხალხმა თანდათანობით ზურგი შეაქცია წიგნს, გაუცხოვდა საკაცობრიო კულტურის ამ უდიდესი მონაპოვრის მიმართ. მართლაც ძნელია წიგნსა და ხელოვნებაზე იფიქრო, როცა გამუდმებით იმაზე ზრუნავ, როგორ მოიპოვო ყოველდღიური საზრდო და ოჯახი განადგურებას გადაარჩინო.

და მაინც, გვრჩება იმედის ნაპერწკალი — ქართველი კაცის სული ისე არ გაუხეშებულა და გატლანქებულა, რომ ყველაფერი დაღუპულად ჩავთვალოთ. ეს რწმენა კიდევ უფრო განმიმტკიცდა, როცა ამ რამდენიმე თვის წინათ გამოვიდა მანანა გიგინეიშვილის მიერ სამაგალითო ოსტატობითა და სიყვარულით თარგმნილი დიდი ესპანელი პოეტის ხუან რამონ ხიმენესის უბრწყინვალეს პროზაულ მინიატურებად შეკრული და გამთლიანებული ანდალუსიური ელეგია „პლატერო და მე“, სადაც გასაცარარი სიფაქიზითა და ხატოვანებით არის მოთხრობილი ავტორის ზღაპრულად გულთბილი დამოკიდებულება პატარა სახედართან. მთელი ამქვეყნიური სილამაზე, სიკეთე თუ უბედურება პლატეროს თვალთ არის დანახული.

დიდი მოაზროვნენი ადამიანს მიუტევებელ ცოდვად უთვლიან, რომ ცხოველისადმი სიბრაღულისა და სიყვარულის უძველესი გრძნობა, სინატიფე თანდათან დაკარგა, გაუხეშდა, ხოლო სულის სიტლანქე კარგს არაფერს გვიქადის, მხეცობის, ბარბაროსობის მომასწავებელია, რისი მაგალითიც დღევანდელ მსოფლიოში უთვალავია. უპირველეს ყოვლისა, სწორედ ამ გაუხეშებულ სულთა გაფაქიზებას და გადარჩენას ისახავს მიზნად ხიმენესის ეს იშვიათი წიგნი. იგი მუდმივი და კეთილი თანამგზავრი იქნება მისი, ვის თვალშიც სილამაზეს, მშვენიერებას, სიყვარულსა და სათნოებას ფასი არ დაუკარგავს, პოეზიისადმი ლტოლვა არ განელებია.

აუცილებელია იმის ხაზგასმაც (ეს მთარგმნელისეულ მცირე, დიდი შინაგანი მღელვარებით დაწერილ წინათქმამიც არის აღნიშნული), რომ ესპანური ენის შესწავლა და „პლატეროს“ თარგმნა ქალბატონმა მანანა გიგინეიშვილმა მისი უნიჭიერესი ვაჟის, ვანიკო რამიშვილის სიცოცხლე-





ში, მის ტრაგიკულად დაღუპვამდე დაიწყო და რაოდენი სულღმირი მალე, რა თავგანწირვა და ნებისყოფა უნდა გამოემქლავნებინა ადამიანს, დედა-შვილობის ღვთიურ მადლს როგორი სასოებით უნდა ატარებდეს იგი, რომ უძნელესი საქმე ასე სრულყოფილად დაავგირგვინა.

თითოეული ელევგია, ყოველი მინიატიურა გასათოცარი ძალისა და სილამაზის პოეზიაა. ეს არის ნამდვილი სიტყვიერი მხატვრობა; ამოუწურავი, დაუშრეტელია ავტორის პალიტრა, ფერთა შეგრძნების, მუსიკალურობის ჯადოსნური უნარი. ყოველ განცდას, ყოველი სურათით აღძრულ ცინცხალ შთაბეჭდილებას იგი თავის ორეულად ქცეულ პლატეროს უზიარებს. მაგალითების მოსახმობად მთელი წიგნის გადმოწერა მოგვიხდებოდა და, ამდენად, მხოლოდ ორიოდ ჩანახატით შემოვიფარგლებით. აქ ყველაფერი აუხსნელადაც ცხადია, ბევრი რამ სტრიქონსა და სტრიქონს შორისაც იგრძნობა:

„პლატერო, ნეტა საით გააქანა ის ქალი მზისგან ალაპლაპებულმა შავმა მატარებელმა, ბექობიდან ჩრდილოეთისკენ რომ მიაპობდა ქულა ღრუბლებს.

ჩვენ ვიდექით ქვემოთ, ყვითლად მოლადანე და მოშრიალე ყანაში, რომელსაც შუა ივლისში ყაყაჩოები შემხეფებოდა. ვერცხლისფერი გვირგვინიც დაესხა ზოგს. ცისფერი კვამლის ბოლქვებიც ხომ გახსოვს? გახსოვს, მზე და ყვავილები რომ დაგვიჩრდილა უცებ და მერე უკვალოდ გაქრა?

წამით გაელვებული ოქროსფერი თმა და შავი პირბადე?! სიზმარს ჰგავდა, ფანჯრის გაჩქარებულ ჩარჩოში გამომკრთალს.

ალბათ გაიფიქრა ქალმა: „ნეტა ვინ უნდა იყვნენ ეს სევდიანი კაცი და ვერცხლისფერი ჩოჩორი?“

ვინ უნდა ვიყოთ? ვინა და — ჩვენა ვართ. ასე არაა, პლატერო ჩემო?“ („ის და ჩვენ“).

ბროლივით გამჭვირვალე და ნათელია ყოველი ფრაზა, მოქნილი, ღრმა და ფერადოვანი, ჭეშმარიტი ოსტატის თვალში, გულსა და გონებაში გამოდნობილი და მუდამ თან გახლავს იმის შეგრძნება, რომ მთარგმნელი დედანს არაფერს უკარგავს. მეორე ელევგიის ამოწერაც მთლიანად მოგვიწევს; შემოკლება, გამოხშირვა არ უხერხდება, „კვირადღე“ ისეა გამოკვეთილი და დაწურული:

„მომცრო ზარი სხაპასხუბით რეკავს და ისე წკარუნობს, თითქოს შუშად ქცეულიყოს საზეიმო დილის ცის სილურჯე. ცაში მორიალე ხმათა წკრიალსა და ფერთა სიხალისეში ოქროსფერად გამოანათეს შეყვითლებულმა მინდვრებმა.

ყველა გაეშურა წირვაზე, ყველა, დარაჯიც კი. მარტო დავრჩით პლატერო და მე. რა სიმშვიდეა! რა სიწმინდეა! რა კარგია! პლატერო მოუ-



თიბავ ბალახში მიეწევი და ლაბუა ჩიტებით ჩამოხუნძლული ვიწქის ძირას მიეწევი წიგნის წასაკითხად. ომარ ხაიამი...

თანდათან ძალას იკრებს, ხმას იმაღლებს სექტემბრის დილის მშფოთვარე სიჩუმე და იჭრება რეკვის შუალედებში. შავ-ყვითელი კრაზანები ირევიან მუსკატის მსხვილი მტევნებით ჩამოძიმებულ ვაზთან. პეპლები ყვავილებს დაჰფარფატებენ, თითქოს ფერს იცვლიან და ჯადოსნურად გარდაისახებიან ყვავილები პეპლებად, პეპლები — ყვავილებად. დიად და ნათელ აზრს ჰგავს მარტოობა.

დროდადრო პლატერო ბალახს თავს ანებებს და გამომხედავს... კითხვას თავს ვანებებ და გავხედავ პლატეროს...

რამოდენა სიყვარული გამოსჭვივის თუნდაც ამ ბოლო, ციცქნა აბზაცში.

ქართული „პლატეროს“ ტირაჟი ათასი ცალი იყო და იგი უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა. უთუოდ მაღლობის ღირსია საქართველოს ტელე-რადიო კორპორაცია, რომ ამ ბრწყინვალე წიგნს სპონსორობა გაუწია. აღსანიშნავია, რომ ვანიკო რამიშვილს, ამ მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებულ, ყველასგან გამორჩეულ უბადლო ყმაწვილს, დალუბვამდე ცოტა ხნით ადრე (ეს ახლახან გახდა ცნობილი), დედა რომ გაეხარებინა, „პლატეროს“ დასაბეჭდად საგანგებო შრიფტი შეუქმნია. დიდად სასურველი იქნებოდა, შემდგომ გამოცემაში ეს შრიფტი იქნეს გამოყენებული, წიგნიც უფრო მდიდრულად გაფორმდეს (აქაც მშვენიერია ჩვენი გამოჩენილი მხატვრის, ელგუჯა ბერძენიშვილის გარეკანზე გამოტანილი ნახელავი) და ტირაჟიც მეტი იყოს. ყველა თაობის ქართველმა მკითხველმა, ვფიქრობთ, უკვე კარგად იცის ამ წიგნის ფასი.

ქართული ენის ენციკლოპედია  
საქართველოს ენციკლოპედია  
საქართველოს ენციკლოპედია  
საქართველოს ენციკლოპედია

## ღამით თბილისში

თბილისში ღამით ვინ სეირნობს, პოეტის გარდა,  
სხვას ლექსისათვის ღამის თევა არ მოუნდება.

შევდგები ხიდზე,

ქულს მოვიხდი,

ჩაეხედავ მტკვარს და...

ზეცა გულაღმა ამობრუნდება.

მერე ვაფეხები...

ვივლი, მანამ არ დავიღლები,

მტკვარი მეტეხთან აპყოლია ჯებირს ყელამდე,

სახლის კედლებთან მიყრდნობილან ჭადრის ჩრდილები

და ასე სძინავთ გათენებამდე...

სძინავთ?

იძინონ,

ხელს არ ვუშლი ძილში სრულებით,

დავდივარ ფრთხილად,

აი, ჩრდილსაც გადავალაჭე,

დაეხეტილობ,

თბილისს ლექსებს ვედუღუნები

და ვაეჭვებ ღამის დარაჯებს.

მერე თენდება...

თმებს მიწეწავს სუნთქვა დილისა,

კახეთის მხრიდან მატარებლის კივილი მესმის...

ო, როგორ მინდა,

როგორ მინდა, ჩემო თბილისო,

ჩვენს სიყვარულზე დავწერო ლექსი.



საქართველოს  
საგარეო ურთიერთობების  
სამსახური

ავტორი ქვემო წიგნს, საზოგადოება იღებს ან  
შარყოფს მას. წიგნის შერჩეული ავტორია, მისი გე-  
ლის შერჩეული საზოგადოებაა.

ვიქტორ ჰიუგო

სიმართლე

ქვემო წიგნს  
შარყოფს მას  
წიგნის შერჩეული  
ავტორია  
მისი გელის  
შერჩეული  
საზოგადოებაა

1997 წელი

11 აპრილს შედგა პროფ. ავთანდილ მენტეშაშვილის წიგნის — „მღელვარება კავკასიაში“ (გამოცა აშშ-ში) პრეზენტაცია. წიგნი წარადგინა პროფ. ნ. ხაზარაძემ. განხილვაში მონაწილეობა მიიღეს აკად. მ. ლორთქიფანიძემ, პროფესორებმა ე. ხოშტარია-ბროსემ, ო. ჟორდანიამ, დ. მუსხელიშვილმა და სხვებმა.

21 აპრილს საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის წიგნის მოყვარულთა საზოგადოების დარბაზში საქართველოს მხატვართა კავშირთან ერთად მოეწყო გამოფენა — „წიგნი და მხატვარი“. გამოფენა მიეძღვნა მხატვრის კვირეულს. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო იმ წიგნის მხატვართა ნამუშევრები, რომლებიც აქტიურად თანამშრომლობდნენ და თანამშრომლობენ წიგნის მოყვარულთა საზოგადოებასთან: (დევით ღუნდღუა, ლევან ცუცქერიძე, თენგიზ სამსონაძე, ნინო ზაალიშვილი, ოთარ ჭიშკარიანი, ნინო ჭიშკარიანი, ანზორ თოდრია, რომან მახარაძე, თენგიზ და გიორგი მირზაშვილები და სხვ.).

2 ივნისს შედგა პრეზენტაცია მწერალ ფრიდონ ხალვაშის წიგნისა „დარდი“. წიგნი წარადგინა პროფ. დ. სტურუამ. სიტყვით გამოვიდნენ მწერლები რ. მიშველაძე, ე. კვიციანიშვილი, გ. ალხაზიშვილი, ჯ. ჩარკვიანი, კინორეჟისორი ს. ჟღენტი.

11 ივნისს წიგნის მოყვარულთა საზოგადოების „საინტერესო შეხვედრათა კლუბში“ მოეწყო შეხვედრა გამოჩენილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწესთან ნინო ჯავახიშვილთან. ნ. ჯავახიშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ისაუბრეს აკადემიკოსმა მ. ლორთქიფანიძემ, პროფესორებმა ო. ონიანმა, ნ. ჭიჭინაძემ, დოც. თ. ლიბრაძემ, ს. მჭედლიშვილმა, რესპუბლიკის ქალთა საბჭოს თავმჯდომარემ ზ. კვაჭაძემ, პროფესორმა ნ. ხაზარაძემ, თბილისის კლასიკური გიმნაზიის დირექტორმა ლ. შეწირულმა.



30 ივნისს კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის შენობაში ჩატარდა პოეტ ნიკო სამადაშვილის ხსოვნის საღამო. საღამოს უძღვებოდა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, აწ განსვენებული გ. ფანჯიკიძე. მოგონებებით გამოვიდნენ პროფ. გ. გაჩეჩილაძე, მწერლები ჯ. ლვინჯილია, ჯ. აჯიაშვილი, ი. ორჯონიკიძე, მხატვარი თ. ჯაფარიძე.

24 სექტემბერს შედგა წიგნი-ცნობარის „ვინ ვინაა საქართველოში — 1996-97 წწ.“ პრეზენტაცია (გამომცემლობა „ლიოგენე“). წიგნი წარადგინა გამომცემლობა „ლიოგენე“ დირექტორმა ბ. სულაკაურმა. განხილვაში მონაწილეობა მიიღეს პროფესორებმა ნ. ხაზარაძემ, ლ. დოლიძემ, ც. სვანიძემ, გ. შარაძემ, მხატვართა კავშირის თავმჯდომარის მოადგილემ ნ. ზაალიშვილმა, ჟურნალისტებმა პ. ნაცვლიშვილმა, მ. გეგეშიძემ, გ. ჩოკოშვილმა, პარლამენტარმა რ. საყვარელიძემ.

13 ნოემბერს შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის მცირე დარბაზში გაიმართა პოეტ გრიგოლ აბაშიძის ხსოვნის საღამო. საღამო მიჰყავდა ჟურნალ „ხელოვნების“ რედაქტორს ნ. გურაბანიძეს. მოგონებებით გამოვიდნენ მწერლები ჯ. ჯარჯიანი, ჯ. აჯიაშვილი, დ. სტურუა, გ. ალხაზიშვილი, რ. ჩხეიძე.

20 ნოემბერს ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალურ მუზეუმში ჩატარდა ილია ჭავჭავაძის დაბადების 160 წლისთავისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური დაუსწრებელი ვიქტორინა-კონკურსის შემაჯამებელი ღონისძიება.

ვიქტორინა-კონკურსმა მოსწავლეთა დიდი დაინტერესება გამოიწვია. საქართველოს სხვადასხვა კუთხის სკოლებიდან წარმოდგენილი იყო 108 ნაშრომი. პირველი ადგილი დაიმსახურა ამბროლაურის მე-2 საშუალო სკოლის მოსწავლემ ეკატერინე ოშხერელმა, მეორე ადგილი — თბილისის 23-ე საშუალო სკოლის მოსწავლემ ეკატერინე კვარაცხელიამ, მესამე ადგილი — თბილისის 46-ე სკოლის მოსწავლემ ლევან ინაშვილმა. საპატო სიგელით დაჯილდოვდა 10 მოსწავლე. კონკურსში გამარჯვებულ მოსწავლეებს საპატო დიპლომები და სიგელები გადასცა ჟიურის თავმჯდომარემ პროფ. გ. შარაძემ.

ვიქტორინა-კონკურსის ჩატარებაში წიგნის მოყვარულთა საზოგადოებასთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღო ი. ჭავჭავაძის მემორიალურმა მუზეუმმა და ლ. ასათიანის სახელობის სახელმწიფო საბავშვო ბიბლიოთეკამ.



საქართველოს  
საქართველოს

10 დეკემბერს ჩატარდა პრეზენტაცია ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორ ნოდარ ჭითანავას წიგნისა — „გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები“. აღნიშნული წიგნის შესახებ ისაუბრეს პროფესორებმა ლ. ჩიქავამ, მ. კვარაცხელიამ, შ. ფუთურიძემ, დოცენტებმა დ. გეგენავამ, კ. წულაიამ, ე. ლებანიძემ, გ. ოტობაიამ და სხვებმა.

26 დეკემბერს თბილისის კლასიკურ გიმნაზიასთან ერთად მოეწყო პრეზენტაცია-განხილვა ნოდარ გრიგალაშვილის წიგნისა — „სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლები“. წიგნის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს მწერლებმა: კ. იმედაშვილმა, რ. მიშველაძემ, რ. ჩხეიძემ, პროფესორებმა: ა. გომართელმა, რ. სირაძემ, გ. ფარულავამ, თბილისის კლასიკური გიმნაზიის დირექტორმა ლ. შეწირულმა, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მეთოდისტმა მ. ანდრიაძემ, პედაგოგებმა: ბ. ფუთურიძემ (თბილისის კლასიკური გიმნაზია), რ. აბრამიძემ (123-ე სკოლა), ნ. ბუაძემ (23-ე სკოლა), ნ. ჯაფარიძემ (57-ე სკოლა).

შეადგინა საქართველოს წიგნის მოყვარულთა საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობის პროპაგანდის განყოფილების გამგემ  
ლ ე ი ლ ა ბ ა რ ა ბ ა ძ ე მ





## მუიბნობარი — 98

ხელმოწერილია დასაბეჭდად **23** 07.98. ფორმატი 60 x 84 1/16.  
სააღრ-საგამომცემლო თაბ. 10. შეკვ. №

© საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის წიგნის მოყვარულთა საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობა, 1998 წ.

თბილისი, რუსთაველის გამზირი, 40/1.

ტექსტი ააწყეს გულიკო პაქსაშვილმა და ირმა კაკალაშვილმა  
დააკაბადონა ირაკლი ჩირაძემ

აიწყო და დააკაბადონდა გამომცემლობა „ნაკადულის“ კომპიუტერულ ცენტრში. თბილისი, გრ. რობაქიძის გამზ., №7.



20

20

99

99

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ  
ՔՈՆՍՏԱՆԻ

n 4538/2